

K 120916
3

საქართველო
სამართლის

სამართლის

აჯანს სამართლი

ხუთი 2026
ყველა მოვალე

“სამართლის”




845-3


საქართველო
მთავრობის
მუნიციპალიტეტი

კულტურის
მინისტრის
მიერ

1920. 9. 16.




საქართველო



საქართველო

«საქართველო»

19 თბილისი 66





Г2

899.962.1-3

ა871

მამია ასათიანის შემოქმედებას კარგად იცნობს
ქართველი მკითხველი.

ამ კრებულში მხოლოდ ლეგენდები შევიდა. მათ-
გან რამდენიმე პირველად იბეჭდება.

სამშობლოს სიყვარული, მეგობრობა, ადამიანის
კეთილშობილება, სულიერი სიმტკიცე და მხნეობა ამ
ლეგენდების ძირითადი თემაა.

სპეც-2000
კვერცხების



თქმულება ქუთაისზე

გულზეიადი მამა ჰყოლია დადაშ გულბანს. ჭაბუქს მშეილდ-ისრით ღმერთებისათვის ნიშანდიკრული ხარჯიხე მოუკლავს. მამა განრისხებულა — ღვთაების შესაწირს კაცის ხელი არ უნდა შე-ხებოდაო. ორი დღე სდია შვილს მოსაკლავად სისხლიანი თვალე-ბით. ფაზისის ბობოქარ ტალღებზე ფიჭვის ორი მორი გააწვინა დადაშმა, თვითონ ზედ შედგა, ბარისკენ გაცურა, მამის თვალს მიე-ფარა და ტივიდან კავკასიონის უკანასკნელ კლდეფერდზე გადახტა.

იქ, სადაც ახლა უქიმერიონის კალთებია, მაშინ ძელქვის გაუვალი ტყე ყოფილა. ძელქვები ვაზის მტევნებით იყო დახუნდ-ლული. ვაზის ფესვებთან ჭაბუქს კარავი მოულობავს, კერა გაუ-ჩენია და ცხოვრება დაუწყია. ზემოთ, წიფლნარსა და მუხნარში, გარეული ღორი იცოდა, ცამდე აშოლტილ მთვლემარე უღრანში კი — ირემი და შველი; აბა, სანადიროს რა დაულევდა დადაშის გამ-შრიაა თვალს და ვეფხის ბწყალივით მკლავს. მისი ნასროლი ისარი ორი დღის სავალზე ეწეოდა ცაში ფრინველს თუ მიწაზე ნადირს. მავნე სულისაგან დადაშის მკერდზე დედის ხელით შებმული დევის კბილის ავგაროზი იცავდა. მწვერვალთა სიახლოეს დაბალებულს და გაზრდილს სიკეთის განსახიერებად არწივი მიაჩნდა. აშიტომ დაბინავდა თუ არა, ჯერ კიდევ შეუბუმბლავი მართვე დაიჭირა და გამოზარდა.

კლდის ქანი შემოიტანა და კარვის კუთხეში გაუმართა ბუდე.

მართვე ჭერ ღინდლით შეიმოსა. მერჩე ფრთხები გაუშენებულა, მისკარტისა და ბრჭყალებზე მუხის კანის ფერი დაედო, გაიწვროთ გონება გაუმახვილდა. დადაში ღილით მშვილდ-ისარს გადამუშავდა და, მართვეს წინ აიფრენდა და ფაზისის კიდეებს დაუყვებოდა. არწივის თვალს არაფერი გამოეპარებოდა. ნადირს რომ შენიშნავდა, ზევიდან დაიყივლებდა, გამზრდელს მის ადგილსამყოფელს ანიშნებდა. ნანადირეებს ერთად შეექცეოდნენ, შინაც ერთად ბრუნდებოდნენ — არწივი ცის ბილიკით, დადაში — ტყის საცალფეხოთი.

ერთ საღამოს მართვე შინ არ დაბრუნდა. დადაშმა თეორიად გაათენა. ღილით ფრთხების შრიალი მოესმა. კარვის წინ, ძელქვის ტოტზე წყვილი არწივი შენიშნა. ერთში მისი გაზრდილი შეიცნო, მეორე კი უცხო იყო. მიხვდა დადაშ გულბანი, დაწყვილების დრო დასდგომოდათ. ახალგატყავებული შველი მათ მიუგდო, თვითონ კი რატომდაც სევდამ შეიპყრო.

ზამთარ-ზაფხულ ბოლმამორეული დადიოდა დადაში, დარჯის წამალი კი ვერ ეპოვა. ამასობაში არწივებმა მართვეები გაიჩინეს.

იქ, საღაც ფაზისის ტალღები უფრო მშვიდი და წყალუხვი ხდება, ერთ ღლეს ძელქვას მოფარებულმა დადაშმა ვეება ნავი შენიშნა. მწვანეზე უცხო ადამიანები ჩამომსხდარიყვნენ და ნანადირეებს შეექცეოდნენ. ცოტა ხნის შემდეგ მათ ორი ქალი გამოეყო და ტყისკენ წამოვიდა. ერთი ახალგაზრდა იყო, მეორე უფრო ხნიერი და დარბაისელი ჩანდა. ახალგაზრდა დაწინაურდა და სწორედ იმ ძელქვას მოაშურა, რომელსაც დადაში ეფარებოდა. ვაჟკაცმა თავი მოიმძინარა. ქალწულს შეეშინდა, ალბათ მკვდარი ეგონა, ჩაინიქა და ვაჟის მკერდზე ყურის დადება დააპირა. დადაშის გულისცემა ერთი ღლის სავალზე ისმოდა. ქალს ღიმილი მოერია. გუმანით მიხვდა მის ეშმაკობას და ტყის ნაპირზე ჩუმი კისკისი გაისმა. ჭაბუქმა თვალები გაახილა.


— თქვენ ვინ ბრძანდებით? — ჩურჩულით იკითხა ქალწულშა. რბილი და ხავერდოვანი ხმა ჰქონდა.

დადაშმა სიტყვა ვერ დასძრა.

— მუნჯი ხარ? — გაიღიმა ქალმა.

— შენმა ხილვამ დამამუნჯა, — ჩაილულლულა ჭაბუქმა.

ქალმა არაფერი თქვა, მხოლოდ უკან დაიხია და მხლებელს შეეხმიანა:



— დედა-ძაძუ, შენ უკან დაბრუნდი, მეც მალე გვასობის
ხანიერი ქალი უსიტყვოდ გაბრუნდა, ქალიშვილი კი აბებუბების
დაშთან მივიდა, ნელი რხევით მშვილდი აიტაცა და თვალირეობა
დაუწყო. ლარის მოზიდვა სცადა, მაგრამ რაფი ვერ შესძლო, ვაჟკა-
ცის გულ-მექერდზე გადაიტანა მზერა.

— უშ, რა ღონიერი ყოფილხარ?

— დათვი მომიკლავს მუშტის ერთი დარტყმით. — ქალმა
ეჭვით შეხედა, ვაუი შეცბა, თავისივე ნათქვამი ეუხერხელა.

უცებ, დადაშის ბედზე, შრიალი გაისმა და ციდან ჩამოსხლე-
ტილი მისი გაზრდილი არწივი ზედ ბეჭის თავზე დააფრინდა.

ქალს შიში დაეტყო.

— ავი სული ხომ არა ხარ?

— ავი რად ვიქნები, ეს ჩემი გაწვრთნილი არწივია, — ამაყად
თქვა დადაშმა.

— შენი გაწვრთნილი?! — ფერი მოუვიდა ქალს.

— ჰო, ჩემი, ამ უშიშარს თავისი ცოლ-შვილიცა ჰყავს. ამქვეყ-
ნად მგონი მარტო მე დავიარები უცოლოდ. — უნებურად წამოსც-
და ჭაბუქს გულის დარდი.

ქალმა პირდაპირ შეხედა და თვალები დახარა. მზერაში ისეთი
ელვა-ქოცონი შენიშნა, თვითონაც ათრთოლდა და ქრუანტელმა
დაუარა.

— ენა ჩვენი გაქვს და უცხო კი ჩანხარ, — შეეხმაურა ვაუი.

— მე აიეთის მეფის ასული ვარ...

— მეფის?! — გაიკვირვა ვაუმა. — მე კი ქავკასიონის მაღალი
მთების შეილი გახლავარ, ჩვენ მეფე არასოდეს გვყოლია. მამისა-
გან გამიგონია კი, ბარის მცხოვრებლებს მეფე წინამძლოლობსო.

— ჰოდა, მე მისი ქალიშვილი ვარ, ერთადერთი ასული.

— ამბობენ მეფეები გულგოროზნი არიანო, ერთმანეთს ეომე-
ბიან, აღამიანებს დილეგში ამწყვდევენო.

— მამაჩემი მამაცი მეომარია, მაგრამ გულკეთილი, მტერს არ
ეპუება, კეთილ აღამიანებს კი არაფერს ერჩის, — წყენა დაეტყო
ქალს.

— ნუ გამიჯავრდები, — შეტოკდა ვაუი. — ეს მამას უამბნია
ჩემთვის. ახლა მე მარტოდმარტო ვარ ამქვეყნად. მამისაგან დევ-
ნილი ტყე-ტყე დავეხეტები, ცოცხალთაგან მხოლოდ ეს ზვიალი
ფრინველი სუნთქვას ჩემს ახლოს.



ქალმა არწივს თვალებში ჩახედა. ვაჟი გაოცა, ქართულები ლომბიერებამ. იკოდა დადაშმა, ფრინველი ყოველი ცხადების ერჩოდა მის გარდა. ახლა კი მუდამ ბრაზიან მზერაში თითქოს სიკე-თე ჩადგომოდა.

— ეტყობა, არწივსაც მოეწონა ეს ასული, ჩემი გულის ნადები თუ იგრძნო მტაცებელმათ, — გაიფიქრა.

ქალმა ფრთებზე ნაზად დაუსვა ხელი ფრინველს, არწივი გაიტრუნა, არ იუცხოვა.

— კარგი ყოფილა შენი გაზრდილი, — ლიმილით თქვა.

— ეტყობა, მოეწონეთ, ჩემსა და თავის ფრთოსან მეგობარს გარდა ამდენ ხანს არავის იკარებდა. ახლა მესამე მეგობრად გა-გულათ.

— მეც ვუმეგობრებ, სიკვდილამდე ვუმეგობრებ, — ჩაიჩურ-ჩულა ასულმა და ვაჟს მორცხვად შეხედა.

დადაშს თითქოს ცეცხლი შემოენოო. არწივს ჩალობილ ნის-კარტზე ხელი წაავლო, თავისკენ მიაბრუნა და თვალებში ჩახედა.

— რას იტყვი ახლა? — ხმამაღლა პკითხა ზეიად ფრთოსანს.

— გრანგი-ჰე-ჰე, — შეყივლა არწივმა ცის ტატნობს.

— გრანგი-ჰე-ჰე, — მოესმა პასუხად ზევიდან და ცოტა ხნის შემდეგ ღრუბლებს ქვემოთ მობოინე დედალი არწივი შენიშნა ასულმა.

ქალმა უნებლიერ გაიწია ვაჟისკენ. ვაჟმაც უნებლიერვე მოხვია ხელი.


— წამოხვალ ჩემთან?

ქალი გაინაბა, ხმა ვერ ამოილო.

— იქ კარგია, მდინარის ტალღები მეხივით ასკდება კლდეებს, ცივი წყაროები გადმოსჩქეფენ მღვიმეებიდან; ყურძნის მტევნებით დატევრილია ძელქვის ტოტები. იქ კარგია... — სუნთქვა გაუხშირდა დადაშს. — ცა უფრო სუფთაა და ვარსკვლავმრავალი, მიწაც უხვია და თბილი. ჩვენი სამყოფელიც კლდეებით არის შემოზღუდული. დასასვენებლად უშიშარია და სანეტარო. წამოხვალ ჩვენთან?

— არ ვიცი, მე შენთან მინდა, მაგრამ მამას მაინც უნდა ვკითხო. უიმისოდ გადაჭრით ვერაფერს გეტყვი.

— იქ კარგია, — ისევ აფეთქდა ვაჟი. — ზემოთ არწივთა საბუ-



დარი მწვერვალებია, ქვემოთ გაშლილი ველები. ზემოთ წაბლის
ტევრებია, ქვემოთ ძელქვის გაუვალი აშოლტილი ტყეუბრუბრებუ-
ლება გარემო. მთათა მწვერვალებზე ჯიხების ჭოგები დანავარდო-
ბენ, ქვემოთ ხარისხები დარბიან. ხეთა ტოტებზე თვალუთვალავი
ფრთოსანია და ფულუროებიდან თაფლის წყაროებიც გამოულევ-
ლად მოუკინავს, კარგია-მეთქი, ხომ წამოხვალ აიეთის მეფის ასუ-
ლო, ჩემთან?

ქალი ათრთოლდა. ვაჟმა კიდევ ახლო მიიზიდა იგი.

— იქ კარგია, ჩემო სიცოცხლევ, არწივები ხომ მოგვეფერნენ
და ბედი დაგვილოცეს. ციხეს ავაგებ სალ ქლდეზე, სასახლეს გაშ-
ლი მწვანე მდელოზე, კიბე-სვეტს მარმარილოსას დავუგებ, თაღებს
ვარსკვლავთა გუნდებით მოვჭედავ; გუმბათს იალბუზის წვერს
ვუსწორებ, კედლებს ცის დასალიერში ამოვიყვან, ხომ წამოხვალ,
ჩემო დედოფალო?

ქალმა კოჭებამდე ჩაშვებული ნაწნავები აიკრიფა, ჭერ ცაში
მობონე არწივს შეანათა შავი, დანამული თვალები, მერე ისევ და-
დაშის მხარზე ჩამომჯდარ ზეგიად ფრთოსანს მოეფერა და ჰეითხა:

— წამოვიდე თქვენთან, ფრინველთა მეფევ?

— გრანგი-ჰე-ჰე, — შეყივლა ისევ მამალმა დედალს ცის
ლურჯ გუმბათში.

— გრანგი-ჰე-ჰე, — ისევ მოისმა საპასუხო ყივილი ზემოდან.

ასულმა გაიღიმა, ვაჟს ხელი კისერზე შემოხვია და წყნარად
ჩასჩურჩულა:

— მთვარე რომ თორმეტჭერ დაილევა და გაიბადრება, მაშინ
მელოდე. მამას ნებართვას ვთხოვ, მისი სიყვარული ღონეს მისცემს
ჩვენს ცოლქმრობას. იცოდე, დამელოდე და მოვალ.

შვილზე გამწყრალმა შერგილ გულბანმა ცოლის გული ვერ
მოიგო. ქმრის გულზვიალობამ მეტად განარისხა დედა-ძაძუ.

— ღმერთი სულგრძელია, — ამბობდა იგი, — ჩემს შეილს შეკ-
ლომას მიუტევებდა, შენ კი ღმერთიც გასწირე, როცა შვალზე მა-
ხვილი აღმართე და მეც გული მომიკალი. უმაღ გავარვარებულ
ქვის კეცზე დავწვები, ვინემ შენი მქლავის სიახლოვეს ვიგრძობ.

ძაძუ კოშკში ჩაიკეტა და შვილს დაუწყო ლოდინი. ქერის გაპ-
ხმარი პურის ყუას წყალში ალბობდა და იმით ცხოვრობდა. ქმრის



ნანადირევი ახლოს არ გაიკარა. ალბათ მათაც ისე უმიზნებდა შვილდ-ისარს, როგორც ჩემს დადაშს მიკმართა იყო.

თანდათან დადნა შერგილ გულბანის ცოლი. ულაშაზესი ქალი კი იყო თურმე. პირველად ჯარიბაზე ენახა იგი განთქმულ მონადარეს და ნადირობის ქალღმერთი ჰერნებოდა. გორაკზე მდგარი ასულის წამწამები ყორნის გაშლილი ფრთებივით შრიალებდა. მათი ნიავი ათ ნაბიჯზე ბალახსაც არხევდა და აღელვებდა. ტანი აღვის ხესავით მაღალი ჰქონდა და თმები შავი ღრუბელივით სინათლეგაუვალი. ძლიერ უყვარდა შერგილ გულბანს ლამაზი მეუღლე, მისი თვალის შუქით ინათებდა ცხოვრების გზას, მისი გუმანის გამომცნობი და შემსრულებელი იყო. ახლა კი ოჯახში დატრიალებულმა უბედურებამ სავონებელში ჩააგდო.

„შვილიც დავკარგე და ცოლიც დავღუპე, ვაი ჩემს მოსწრება!“ — ფიქრობდა იგი და გალიგვებული თვალებით შესცქეროდა კოშკის ცივ კედლებს. დრო კი გადიოდა. დადაშის კოშკი დედის ძუძუ-მკერდი ჭინწებოდა, კოშკის ძირას მამის მხარ-ბეჭი ილეოდა.

ქვეყნად არაფერია შვილზე დაფიქრებული დედის გუმანზე ძლიერი.

მისი გულ-ღვიძლი შორით გრძნობს შვილის პედსა თუ უბედობას, შვილის ღიმილს თუ თვალზე მომდგარ ცრემლს. და ის, ერთ გათენების უამს კოშკის წვერს შემყურე შერგილ გულბანზა დაინახა, მისი ცოლი ტაატით, მაგრამ პირმოლიმარი ჩამოდიოდა კოშკის კიბეზე.

— წადი, შე უბედურო შერგილ, შვილს მიეშველე, წუხელ გულმა მითხრა მისი ბედნიერება. ეტყობა, მამის ხელი სჭირდება. სახლიკაცებიც წაიყვანე, ვგრძნობ, ისინიც გამოგადგებიან. გუმანით იმასაც მივმხვდარვარ — ჩემს შვილს სასახლის აშენება განუზრახავს და ხუროები აურჩი. ჩემი თმის ფთილები თან წაილე და ციხე-ქალაქის ბალავერს დაატანეთ. შთამომავლობას დედის თბილი სიყვარული დაყვება, ძუძუკეთილი ქალები დაიბადებიან, სამართლიანი ვაჟეკაცები დაიზრდებიან.

სიტყვა არ უთქვამს შერგილს, ცოლის ბრძანება ღმერთის ძახილად მიუჩნევია და მზის ამოსვლისას გზას გასდგომია.

მდინარის პირას რომ ჩასულა, მხოლოდ მაშინ შეუნიშნავს მის თვაზე მობორიალე ორი არწივი.

შამასაც მიმხვედრი გუმანი ჰქონია, ამიტომ მასაც გეზი იქნა
აულია, საითაც არწივები ფრთის შრიალით მიუძღვებოდნენ.

თვითონ აიეთის მეფე ამოსულიყო ამალით. ორი ასეთ უფრო
და ხის ოსტატი ამოეყვანა თან, შერგილ გულბანის სახლიკაცებს
ისინიც დაემატენ და ციხე-ქალაქის კედლებმა ცისკენ აიწიეს.

შთამომავლობა რომ პირიანი და ვაჟკაცური დამდგარიყო, გა-
ლავნის ოთხივე კედელში ბალავრს დედის თმის ფთილებთან
ერთად მამების თითო ულვაშის ღერიც ჩააყოლეს.

თქმულება იმასაც ამბობს, თითქოს აიეთის მეფეს ვეფხის სამი
ბოკვერი მოეყვანოს. ხუროები მათი ნერწყვით ზელდნენ კირს და
საშენ ქვასაც მათ ალოკვინებდნენ, ციხეში გაზრდილ თაობებს
ვეფხური ძალა და ბწყალი რომ დაპყოლოდათ.

თაღის შეკვრაზე რომ მიღეა საქმე, არწივთა გუნდი მოიხმო და-
დაშმა. თითოს თითო ფრთის ნაპტკენი დააძრო და გუმბათის კალ-
თებს ჩაატანა. შენობა პატროვანი და მძლავრი იქნება, დასაზრდე-
ლებიც არწივების საბუდარს თავისად იგულებენ.

აშენდა კლდეზე ციხე-ქალაქი. წყაროები იჯუმალი გზით შე-
მოიყვანეს, ბილიკები და გზები მოკირწყლეს... აღმოსავლეთით
ფაზისის ტალღები ასკდებოდა ციხე-ქალაქის კედლებს, დასაცლე-
თით კი ქვესკნელს ჩათხრილი, გაზაფხულით გაგიჟებული პატარა
მდინარე უვლიდა ირგვლივ. ამ მდინარის პირას ბალ-ბოსტნები
გააშენეს, ხეებზე სხვადასხვა ჭიშის მაღალი ვაზი მიუშვეს, ყურძენ-
მტევნები გაამრავლეს და შეატოტეს.

მთვარე რომ თორმეტჯერ დაილია და გაიცსო, მაყრიონიც მოუ-
ახლოვდა ციხეს.

საპატარძლო და მისი ამაღა დარახტული ცხენებით შემოაფრი-
ნეს გალავანში. ცხრა სამთავროს ულამაზესი ქალწულნი ხლებია
აიეთის ასულს. მათი მშვენება თვალს სტაცებდა დადაშ გულბანის
დევგმირ სახლიკაცებს.

ქალები გააკვირვა მთის ვაჟკაცების სილამაზემ და ახოვნება.

მეფე თქვა:

— სამი დღე მომიცა ქალ-ვაჟთათვის დრო. ერთმანეთს თვა-
ლი დაადგან, გაეცნონ და შეუღლებისათვის მოემზადონ. სამი
დღის შემდეგ მათი ქორწილი და ახალ ციხე-ქალაქში დასახლება
შიბრძანებია. მზითევს თვით მე ვიდებ თავს. მამაკაცები ჩემ მხედ-



რებად ჩამირიცხავს, უფროს მთავრად შერგილ გულტერი გულტერი — გულტერი

ნიშანებს!..

სამი დღე-ღამე ხარობდნენ და ეცნობოდნენ ერთმანეთს ქალვაჟები. მეოთხე დღეს ხალდეს საზაფხულო მინდვრებიდან სამასი ხარი ჩამოლალეს და დაკლეს, ორი ამდენი წვრილფეხიც მიაყოლეს, დიდი ნადიმი გამართეს.

ქალებს ტკბილნაყოფიერების სიმბოლო — წაბლის ჩტოები ეკავათ ხელში.

ვაჟებს ლომთავიანი ვერცხლის სატევრები შემოერტყათ — სიმღიდრის, სიბრძნისა და ვაჟეაცობის დამამტკიცებელი.

შვიდი დღე-ღამე იქორწინეს და მერევ დღეს ძაძუ-დედა მოაჟგა ახალ ციხე-ქალაქს. შერგილ გულბანის მეულლეს კარიბჭეზე შვილის სიღედრი, აიეთის სამეფოს დიდი დედოფალი გამოეგება.

-- ყოველ დედას ერთი ფიქრი აქვს, — თქვა დედოფალმა, — შვილის ბედნიერება, დავლოცოთ შვილები, ჩემო და!

— დედის გულწრფელი ბაგით დამილოცნია ორივე, — წყნარად თქვა ძაძუმ, — დამილოცნია ჩვენი ხალხის გასახარად, ჩვენი მიწის ასაყვავებლად, შთამომავლობის ბედნიერი გზის გასაკვალად.

მუხლი მოურთხამს ძაძუ-დედას დიდი დედოფლის წინაშე. შეჩევიფებულა დედოფალი, მძახალისოვის დაჩოქება არ დაუნებებია, მკერდზე მოხვევია და დარბაისლურად უთქვამს:

— ამქვეყნად თანასწორთა შორის მხოლოდ დედები არიან. თანასწორნი. ჩვენც ხომ დედები ვართ, მძახალო ჩემო, მიგულეთ თქვენ სისხლად და ხორცად. ერთად ვიფიქროთ მათვის!

მერმე დამსხდარან, საუბარი გაუბამთ, როგორც ეს დედებმა იციან ბედნიერ წუთებში, მოუგონებიათ შვილების სიყრმე, აქა-იქ ქმრების ავ-კარგიც გამოუჩევიათ და დაახლოვებულან.

მეფის ბრძანებით ახალ დაქორწილებულთათვის სახლ-კარი გაუმართავთ, წყვილი ხარი და ცხენი უჩუქებიათ, მათი დიდი ცხოვრებისათვის საძირკველი ჩაუყრიათ.

ვიდრე ქალაქი გაშენდებოდა, აიას მთის კალთები და ველ-მინდვრები ორხელ დაითოვლა და ამწვანდა. მესამე გაზაფხულზე ციხე-გალავანს ქონგურები ამოუშენეს, კოშკის თავს დარავები განამწესეს.

როგორც ვეფხსა და ლომს ბწყალი აქვს მძლავრი, ისე მაში-

ნდელ კოლხეთს ახალი ციხე მიუჩნევია ქვეყნის ფესვ-სიმაგრედ და როცა აიას მეფეს შვილიშვილი შეეძინა, სამეფო ნადიშავაში უწევდები ქალაქში გადაუხდით.

თქმულება ამბობს: დადაშ გულბანსაც ბავშვობიდან ქვასავით მაგარი, უჩევულო ღონის მუჭი გამოჰყოლია.

ჯერ კიდევ ჩვილს წაბლის ხის აკვნის რიკული მოუფშვნია თო- თებშუა.

— ვეფხის თათი ჰქონია! — გაკვირვებია მეფე-პაპას.

— ქვის თათი დაპყვა ჩემს შვილიშვილს, — უთქვამს შერგილ გულბანს.

— ციხე-გალავანიც ხომ სიპ ქვაზე დგას, ალბათ მისი ფეხი თუ ასაზრდოებს ჩვილის ძარღვს! — დაუდასტურებია დიდ დე- დოფალს.

— სახელიც ქვათათი დაენათლოს! — უთქვამს ძაძუ-ბებოს.

— ამ ციხე ქალაქსაც ქვათათისი დაერქვას! — უბრძანებია მე- ფეს.


შემდეგ ხმიადი გაუტეხიათ, ბიჭისთვის ყურძნის წვენით ჩვილი ტუჩები მოუბანიათ. მთელ სამეფოში მალემსრბოლებიც უფრე- ნიათ.

— შვილიშვილი მეყოლა, ჩემი ერთადერთი მემკვიდრე ის არის და სახელადაც ქვათათი დამინათლავს. ახალი ციხე-ქალაქის- თვისაც ქვათათისი დამირჩმევია, იცოდეთ, ამიერიდან ჩემი სამ- ყოფელიც აქ იქნება!

მალემსრბოლები ჯერ კიდევ წასული არ ყოფილან, რომ სამ- ხრეთიდან და ზღვისპირეთიდან ავი მაცნე მოსულა. ქვეყანას მომხდურთა უთვალავი ლაშქარი შემოსეოდა.

მტერთან შერკინება მეფეს ახალ ციხე-სიმაგრეში განუზა- ხავს. ლაშქარი სამად გაუყვაია: მარჯვენა ფრთის მეთაურად შერგილ გულბანი დაუნიშნავს, მარცხენასი — დადაში, ხოლო მეწინავედ თვითონ მეფე გასძლოლია მეომრებს.

მტერი. მოძალებულა. ისარნატყორცნ წრიახი კლდის ქიმებს ნაპერშეკლები ბლუჭა-ბლუჭად სცვიოდა. მეციხოვნენი გაზინთულ ჩერებს ამ ნაპერშეკლებზე ცეცხლს უკიდებდნენ და მომხდურთ ესროლნენ. დახოცილ მეომართა გვამებით ადიდებულ მდინარეზე



ზიდი გაკეთებულა, მდინარე შევუბებულა და გაღმა-გამოსუმარტვა
რე ზღვასავით დაუფარავს.

ციხე-გალავანში მყოფთ ამ ზიდით უსარგებლიათ. ღამით,
მტრის შეუმჩნევლად ჯარი მდინარის მარცხენა ნაპირზე გადაუს-
ხამთ, ზურგით მოუვლიათ, მწვანე ტყითა და ყვავილნარით დაფა-
რული გორაკები გაუკავებიათ და თავდამსხმელები გაურკვიათ.
მტერს ერთხელ კიდევ გაუბრძოლია, და ციხე-ქალაქს ისევ შე-
მორტყმია მრისხანე ტალღად. სწორედ ამ დროს მეფის ლაშქარს
ჩრდილოეთიდან ჰერეთლები მიშველებიან და მტრის ურდოები
ისე უწყალოდ უკაფავთ, ამბის მთხრობლად მხოლოდ სარდალი
და მისი მცირე ამაღლა გადარჩენილა.

თქმულება იმასაც ამბობს, დამარცხებულსა და შერცხვენილ
თავდამსხმელთა სარდალს გაქცევის წინ ცხენი ახალი ციხე-ქალა-
ქისკენ მოუბრუნებია და შეუთხოვია: მთელი ქვეყნები გამარჯვე-
ბით მომიღლია, ათასი ციხე-ქალაქი დამიქცევია, აქ კი ამხელა ლაშ-
ქარი ამომიხოცეთ, ვაი, რომ არც ციხე-ქალაქის სახელი ვიცი და
არც მისი პატრონისაა.

მაშინ, თვით მეფეს, ქვათათა ბიჭი ხელში აუყვანია და შეუძახ-
ნია: ამ ციხე-სიმაგრის ბატონი აი, ეს ვაჟკაცია, მისი სახელი ქვა-
თათა გახლავთ, ციხე-ქალაქსაც ქვათათისი ჰქვიანო.

გამარჯვებულ მეციხოვნეებს კი ზევიდან ვეფხის თათები და
არწივის ფრთანაპტკენები გადმოუყრიათ — ნახეთ, ასეთი ვაჟები
ჰყავს ამ ციხე-ქალაქს, ვეფხის თათების და გაფრენილი არწივის
ძალ-ღონის პატრონები არიანო. შერცხვენილ სარდალს თავი ჩაუ-
ქინდრავს, ცხენი შეუბრუნებია და უკან გაბრუნებულა. მის ამაღლ-
ში ერთი ჰქვიანი კაცი ყოფილა, სარდალს პირდაპირ შეხედა თურ-
მე და ასე უთხრა:

— ციხე გალავანი ვეფხის ნერწყვით უშენებიათ, მკლავშიც
ვეფხის და არწივთა ძალ-ღონე ჰქვინიათ. აბა, ვინ მოსპობს მათ ნა-
შეირთ, ან ვინ ძლევს მათ ქვეყანას?!

ნირწამხდარი სარდალი სპარსეთის საზღვრამდე სულ ერთსა და
იმავეს გაიძახოდა:

— ქვათათისი, ქვათათისი, ბიჭი ქვათათა, ქვათათისი...

ასე მთავრდება ეს ლეგენდა ქუთაისზე. მაგრამ თქმულებებს
ვანა დასასრული აქვს?

ახლა, როცა რიონის ტალღებით აბრუნებულ გენერატორებს
ელექტრონის სინათლით გაუჩირალდნებიათ ამ უძველეს ძალაში
ქუჩები და მოედნები, როცა ქუთაისელი ვაჟაპების ხელით მიმდინარე
ნილი მძლავრი მანქანები ჩვენი ქვეყნის მაღაროებსა თუ ველ-
მინდვრებზე სახალხო სიმღიდრეს ქმნიან, ამ ლეგენდას მეტი ძალა
და ღონე ეძლევა. ჭეშმარიტად ქვათათიანი ვაჟაპები აკეთებენ ამ
დიდ საქმეს.



აფხაზური თქმულება

შოთა ძიძიგურს

— შუაღამე თუ გადავიდა, დედი?

— ჯერ ადრეა, ასთამურ! — დედის მაგიერ უპასუხა უფროსში
ძმამ და ქალამნების თასმებს დაუწყო შეკვრა.

ჭაღარა დედა, სვანის ქალი დაჯილი, ნელა წამოდგა, კარი გა-
მოაღო, ხელი მოიჩრდილა და ღმენს გახედა. დიდხანს უყურა, მე-
რე თავი ასწია და მოკრიალებულ ცას მიაპყრო თვალი.

„რამდენი ვარსკვლავია ამ დალოცვილ ცაზე, ჩემი ბიჭების თვა-
ლებივით ციმციმებენ, დედა ენაცვალოთ. ალბათ ეს ვეებერთელა
ცის გუმბათი დედის კალთაა, ვარსკვლავები კი ჩვენი ბავშვების
გამოხედვა. აი, ორი წვრილი ვარსკვლავი რომ კიაფებს ცის კა-
ლურზე, ჩემი შვილიშვილის თვალებია. ეჭ, ქმარი რომ ცოცხალი
მყოლოდა, რაღა მიჭირდა, ჩემზე ბეღნიერი ქალი დედამიწაზე არ
იქნებოდა.“ — გაიფიქრა და გულისპირზე ისე მოისვა ხელი, თით-
ქოს ოდესლაც ქმრის ხელით დაბნეულ ქინძისთაგს იმაგრებსო.
მერე სახლში შებრუნდა.

— გათენებას, შვილებო, ერთი ძილისპირი აკლია, წასვლის
დროა, დამილოცნიხართ დედის ლოცვით.

— ძალი გამოუშვი, დედი, — შეეხვეწა უფროსი შვილი.

— კი, შვილო, კინაღამ დამავიწყდა, აბა უძაღლოდ მონადირე ვინ გაიგონა! — დაჭილი გარეთ გავიდა.

ძმებმა თავი ყაბაღახით გაიქრეს, თოფები გადაიკიდეს და წა-სასვლელად მოემზადნენ.

— შუქჩიარას არ დაემშვიდობები? ბავშვი არ გააღვიძო, ასთამურ, — მზრუნველად უთხრა მათემ.

— ბარემ მინდოდა, მაგრამ... — ასთამურმა კრძალვით შეხედა ძმას, მერე ხელი ჩაიწნია და ჩაილაპარაკა: — ბავშვს რომ აძინებდა, თვითონ შემეხვეწა, უჩემოდ არ წახვიდეო.

უფროსმა ძმამ ცხვირწინ სიცილით მიუხურა კარი.

— არ დაიგიანო, დედა ჰიშერამდე მიგვაცილებს.

დიდი კაჯლის ძირში მათეს ძაღლი შემოეგება, ლამეზე უშავესი ვეფხო ამ სიბნელეში საოცრად დიდი ჩანდა. იგი პატრონს თვა-ლებში შეაჩერდა და რაკი ალერსი შენიშნა, საკინძეზე შეეტოტავა.

— ჰატ! — შეუწყრა მათე. ძაღლიც უხასიათოდ დახტა მიწაზე. ერთ ხანს მიწას დაუწყო ფხოჭნა და მერე კაკლის ტოტებს შეუ-ჟეფა.

— ასთამური მალე დაგვეწევა. — კაცივით შეეხმიანა მათე. — პატარა ბიჭის იყოცებს, ვეფხო, ხომ უნდა დაემშვიდობოს ცოლ-შვილს.

მოახლოებულმა დაჭილმა ჩურჩული გაიგონა.

— თქვენ კი გენაცვალეთ, რომ ძმებს ასე გიყვართ ერთმა-ნეთი, — დედამ ცისკენ აღაპყრო ხელები. მიცვალებული მეუღ-ლე მოაგონდა, — ვაი შენი ბრალი, მათეს და ასთამურის დავაუკა-ცებას რომ ვერ მოესწარი, შე უბედურო!

— ვის ელაპარაკები, დედი?

— თქვენს ლოცვას ვამბობ, შვილო, ხომ იცი, დედის გულს შვილებზე ფიქრი და ლოცვა ამაგრებს.

— შუქჩიარას და ბიჭს მიხედე, დედი, ჩვენ რა გაგვიჭირდება, პირველად ხომ არ მივდივართ საჯიხვედ.

— პირველად არა, მაგრამ რაღაც გული მიკვნესის, შვილო. — დედა უცებ შეჩერდა, ეს რა წამომცდაო, გაიტიქრა და უნებლიერ კინაღამ ხმამაღლა დააყოლა, — ვაი, რომ ძუძუს თავებიც ამეწვა, ბიჭო.

მათე მიუახლოვდა.

— დედა, თუ გული გიშლის, აღარ წავალო.

დაჭილმა სახლის კარს გახედა და წყნარად თქვა:

— ასთამური არ იზამს, შვილო, ხომ იცი, ფრცია, მოწვევის
ბედი მაწუხებს და ბევრი რამ მედარდება.

— რა მაქვს საწუხარი?

— სად გაგონილა ბიჭო, უმცროსმა ცოლი შეირთოს, უფროს
კი უცოლოდ დარჩეს.

— ეჭ, დედი, ნუ ჩქარობ, არ დავრჩები, ხომ იცი, თავს არ დაე-
ჩაგრავ.

— ნუ გერიდება შვილო, ძმისა, განა მას არ გაუხარდება შენი
ქორწილი? — მათეს გაეღიმა, მერე დაფიქრებით თქვა:

— ხომ იცი, დიდი ხარჯია საჭირო. ახლახან ერთი ქორწილი
გადავიხადეთ, მეორე ასე უცებ გაგვიძნელდება. კიდევ ცოტა და
ბედიც მოფრინდება.

— ვიცი, შვილო, ვინც მოგწონს, მისი ბადალი აფხაზეთში არ
არის.

— მე სხვა მინდა, დედი, — გაიღიმა მათემ.

— ვიცი, შვილო, დედის გულს ვერ მოატყუებ.

— კარგი, დედახემო, ასთამურმა არ გაიგონოს, იღარდებს,
აქაოდა ხელი შევუშალეო.

— კი, შვილო, ხელი მართლაც შეგიშალა. თუმცა რა მისი არა-
ლია, შენ დაიუინე, საქვეყნო წესი დაარღვიე, უმალ უმცროს ძმა
მოაყვანინე ქალი.

— ასთამურის მეტი ვინ გვყავს, დედი, მისი ერთი დღის დარ-
ღი მეც დამადნობდა და შენც.

— ახლა, ბიჭო, შენ რომ დნები იმ ქალის სიყვარულით?

— ჩემი მოითმენს, — მათემ სახლისკენ გაიხედა. კერ კიდევ
არავინ ჩანდა.

— მარულაზე ვნახე, ცხენზე იჯდა, დალალები უზანგამდე უწევ-
და, თავი თეთრი დარაიას ყაბალახით აფხაზურად წაეკრა, თვალი
ვერ მოვაშორე.

მათე გაილურსა.

— თვალები ჩენი პატარა ბიჭივით სუფთა აქვს.

— კარგი, დედი!

— დოღშიც ყველას აჭობა, შვილო.

— გაჩუმდი, დედი, გაჩუმდი, — ბავშვივით მოეხვია შაჟე და
დას და შებლზე აკოცა.

— კარგია ჩენი შუქზიარა, მაგრამ იმ შენი რჩეულის გულება
გულება მეჩქარება, დედის გული ასე მეუბნება, შვილის გულება მეუბნება.

სახლის კარი გაიღო და ასთამურთან ერთად შუქზიარაც გა-
მოჩნდა სანთლით ხელში. სინათლე ფარშევანგის ფრთას ვით გაი-
შალა და მწვანე ბალახებში აკანკალდა.

— არაფერი თქვა, დედი, შუქზიარამ ეჭვი არ აიღოს, — ჩას-
ჩურჩულა მათემ დედას და თბილ ლოყაზე აკოცა.

თენდებოდა. კავკასიონის ცად აზიდული მწვერვალები ღრუბ-
ლებს ზემოდან დასცერეროდნენ ქვეყანას. კრიალა ცის გუმბათის
დიდებულ სილურჯეში მთათა თეთრი წვერები თვალისმომჭრე-
ლად ქათქათებდნენ. გუგუნებდნენ ჯერ კიდევ ბინდით მოცული
ხევები, ქვესქნელში შეეფაბოლებული მდინარეები ასკდებოდნენ
კლდეებს. ხევებს შორის ფერდობებზე შეფენილი ტყე შრიალებდა.

— ჰამ, ჰამ, — გაისმოდა ხევისპირზე ძალლის ყეფა და ამ ხმას
მთის კალთებზე აშორტილა ტყეები იმეორებდნენ.

— გაჩუმდი ვეფხო, ახლა ყეფა აღარ შეიძლება, საჯიხვეებს
ვუახლოვდებით, — უტევდნენ ძმები ძალლს.

აქელებული ვეფხო შორდებოდა ხევის პირებს და აღმადაკიდე-
ოს ბილიკებზე გარბოდა.

ზევით და ზევით თეთრი სამყარო იწყებოდა. ჯერ თოვლის და
მოხეთქილი ზვავების გუნდები გამოჩნდა აქა-იქ, შემდეგ ყინულის
კლდეები. მზე ნელ-ნელა ამოიწვერა მთების კალთებზე. თვალის-
მომჭრელი სინათლის ბული დაიბნა. ძმებმა სასაუზმოდ შეისვენეს.

— თითო ჭიქა არაყი დავლიოთ, ასთამურ.

— დავლიოთ, — ჩაფიქრებით თქვა უმცროსმა.


მათე ასთამურს დააცექერდა.

— რამ ჩაგაფიქრა, შენი ბიჭი გაგახსენდა?

— ჰო, გამახსენდა, — გაეღიმა ასთამურს, — რომ მოვდიოდი,
პატარა ხელებით ულვაში დამაწიწვნა, — მოკრძალებით შეხედა
შეას.

— თუ კარგი ნაღირობა გვექნა, დაბრუნებისთანავე ნათლობა
უნდა გადავიხადოთ.

— არა, ჯერ შენი ქორწილი უნდა მოვათავოთ. ზალხის ყბაში
2. გ. ასათავინი



ვართ ჩავარდნილი, ამბობენ უმცროსში ქალი მოიყვანა, უფროსში
კი არაო.

— სხვას ყურს ნუ უგდებ, ჩემო ძმაო, ჩვენი ურთხების მაქვე-
ჩვენ ვიცით.

— ალბათ დედასაც გული ეთანაღრება, თვალში ვერ შემიხე-
დავს მისთვის. შენიც მრცხვენია, მათე! ვიცი, ჩემ სულწასულობას
აპატიეთ ყველაფერი.

— რას ამბობ, ბიჭო, სულწასულობა კი არა, ასე იყო საჭირო,
მე ჯერ არავინ მიღევს გულში.

— ვითომ?

— გეუბნები და დამიჯერე.

— მე კი მგონია, შენ ჩვენს ძმობას მოეფერე და ჩემი სულმოკ-
ლეობა სოფელს დაუმალე.

მათემ ძმას ბეჭებზე მოხვია ხელი. — ასეთი რამ გულში არ
გაივლო. მე ჯერ თვალი არავისთვის დამიღვამს.

ასთამურმა ოდნავ დამცინავი ღიმილით მოჭუტა თვალი.

— არც ხიმური მოგწონს, თარკილის ქალიშვილი?

მათეს ალმურმა გადაუარა სახეზე. შუბლი ოფლმა დაუცვარა.

— აი, ლამაზი ქალიაო, ხიმურზე ითქმის. ნაწნავები ყაბალაზის
ფრთებზე გრძელი აქვს. მისი ტანი სიარულის დროს ფშანში ამო-
სული ლერწამივით ირჩევა. ჩემმა შუქზიარამ გუშინწინ თვითონ
მითხრა, მათეს შესცემის თვალებშით. ქალმა ქალისა უკეთ იცის.

— ჰაუ, ეტყობა, შუქზიარას თვალი ატყუებს. სად მე და სად
ხიმური. — ასთამური გააკვირვა ძმის წამოძახილმა.

— ვითომ რატომაო?

მათემ უცებ ვერაფერი მოისაზრა და გაწითლებულმა ისეთი
რამე წამოროშა, თვითონაც ინანა.

— ხიმურს ჩვენი ძუძუმტე უნდა უყვარდეს.

გაოცებული ასთამური ქარივით წამოიჭრა.

— რომელი ძუძუმტე?!

— ხერითს თარბა.

ასთამური ისე შეტოკდა, თითქოს შუბლში ქვა მოხვედროდეს.

— შეუძლებელია! — ჩაილაპარაკა თავისთვის, — აბა რაღა გვე-
შველება?

მათეს ღიმილი მოერია.

— რას ჩააცივდი თარქილების ქალიშვილს? ჯერ შენი ბიჭის
ნათლობა გვიდევს წინ, მერე ვნახოთ.
უმცროსმა ისევ ახედა, შუბლზე ნამი შეამჩნია.

— არა მათე, ნუ მოატყუებ ასთამურს, ხერიფს თარქმა შექმარებული

ამორჩეულს ბოროტი თვალით არ შეხედავს.

— არც მე შევხედავ ცუდად მის საცოლეს.

ასთამურმა არაფერი უპასუხა. ცოტა ხანს იყუჩა, მერე მთებს
გადახედა და წყნარად თქვა:

— მე კი უკვე რძლად ვიგულებდი ხიმურს.

მზემ მთელი ძალით დააცხუნა. ყინულის ზოდებს წვეთები
ნელ-ნელა სწყდებოდნენ და ვერცხლის წყლის ცვრებად მოცვიო-
დნენ. ზოგან ერთმანეთს უერთდებოდნენ და პატარა ღარებს იკე-
თებდნენ. სხივთა საოცარ ლივლივში ეს მარგალიტის შეცები ბე-
წვისხელა ნაკადულებად მიჩრიალებდნენ ყინულის კედლებზე.

— ასთამურ, თოფებს შალითა გავაძროთ!

— ჯერ ადრე არ არის ვითომ?

— საჭიხვეთი უკვე იწყება. რა იცი, სად წავაწყდებით ჯოგს.

— კარგი, — არ შეედავა ასთამური, — შენი ნება იყოს. ყანწე-
ბი და ნაჩჩენი შოთები ხურჯინში ჩაალაგეს, თასმები გაიკრეს,
თოფებს შალითები გააძვრეს და ზევით აუყვნენ.

შუალდემდე „თეთრ ხევს“ მიაღწიეს. გალმა-გამოლმა თვალუწვ-
დენი ყინულის კალთები იყო დაკიდებული. ქვემოთ მდინარე
მიშეუოდა. გადასასვლელზე მათეს მოულოდნელად ფეხი დაუ-
ცდა და კოჭი შეუბრუნდა.

აი, დედაჩემის ნათქვამიო, — გაიფიქრა, თქმით კი არაფერი
უთქვამს.

ჯერ არ დაიმჩნია ფათერაკი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ კოჭ-
ლობა დაიწყო.

— ფეხზე გაიძვრე, შევხედოთ!

მათემ ქალამანი გაიხადა და კოჭს დახედა. ფეხი ორივე მხარეს
შესიებული ჩანდა.

— ცუდი ნადირობა მოგვიხდა, მათე, უნდა დავბრუნდეთ.

— არაფერია, სიარულს შევძლებ, მხოლოდ ვიჩქაროთ.

— ფეხი გისივდება, ამ წრიახებს უნდა გავშორდეთ.

— თითო ჭიხვი თუ არ, მოვინადირეთ, სოფელში არ ჩავითავსება, ბიჭო.

— უფეხოდ ჭიხვზე ნადირობა ვინ გაიგონა, ტაორი მეტე შინია.

— ასთამურ, ნათლობა მალე უნდა გადავიხადოთ, უმისობა არ შეიძლება.

უმცროსს ფერმა გადაპქრა.

„ნათვლა ეჩქარება“ — გაიფიქრა და კინალამ ხმამაღლა წამოიძახა: მიგიხვდი, ამას რომ მოვილევთ, მერე შენ ქორწილსაც გადავიხდით.

— კარგი, შენი ნება იყოს. მხოლოდ მეშინია, არ დაეცე, — ეს სიტყვები კი ხმამაღლა თქვა.

ყაბალახები შემოიხვიეს და ციცაბოზე ცოცვა დაიწყეს.

წინ ახლა ასთამური მიღიოდა, უკან მათე მიჰყებოდა. უჭირდა სიარული, სიმსივნე თანდათან მატულობდა, ფეხი უხურდა. ძმის ნამალევად ჭერ პაჭიჭი გაიძრო, მერე ორი წინდიდან ერთი გაიხადა.

ვეფხო ისევ წინ გარბოდა. უგუნებოდ ჩანდა. არ ყეფდა, კუდა დაშვებული მიყებოდა ბილიკებს. ხანდახან მობრუნდებოდა, დაიცდიდა და მათეს თვალებში შეხედავდა. თითქოს წუხილს მიუხვდაო, ფეხით ყინულს მოფხოჭნიდა და ისევ წინ გაიქცეოდა.

მზე გადაიხარა. ძმებს განზრახული ჰქონდათ ღამე საჯიხვე მოების მისასვლელზე გაეთიათ. სალამო ხანს ნისლებმა ქვევიდან ზევით იწყეს სვლა. აღარაფერი ჩანდა. უცებ გაღმა მთის მწვერვალს ვება ყინულის კლდე მოსკდა და ქვემოთ წამოვიდა. ზვავი ცველა-ფერს მიიხვეტდა და საოცარი სისწრაფით იზრდებოდა. ძმებს ფერი ეცვალათ. გრძვინვით მოხეთქილი ყინულეთი თითქოს პირდაპირ მათენ მოექანებოდა.

— უნდა გადავინაცვლოთ, ასთამურ!

მზის სიმხურვალით ყინულის ქერქი შემლხვალიყო და ფეხი უცურავდათ. ძლივძლივობით მიიკვლევდნენ გზას. ორიოდე ნაბიჯზე ასთამურს კვნესა მოესმა.

მიიხედა.

მათე ყინულზე გაშელართულიყო.

ჭიხვივით გადმოხტა ძმისაკენ და მხრებში სწვდა.

— ისევ გადამიბრუნდა ფეხი, — დაიკვნესა.

— ვაი ჩვენს უბედურებას!

სიტყვა არ დაესრულებინა, რომ ზვავი გამოლმა მთის კალაქს მოასკდა, თვალუწვდენი ყინულის კედლები გრიალით მიექანებოდნენ უფსკრულისაკენ.

ძმები უნებლიერ ერთიმეორეს ჩაეკრინენ და ყინულზე გაწვნენ. თვალი რომ გაახილეს, აზვირთებული თოვლის მღინარე შხუილით და ზათქით მიჰყვებოდა ზვავის ნაკვალევს.

— გადავრჩით! — გაუბედავად თქვა მათემ.

— გადავრჩით! — ლოცვასავით გაიმეორა ასთამურმა. მწვერვალის ჩრდილო კალთაზე მინდორივით გაშლილი პატარა ფლატე მოჩანდა. მათემ იქით გაიწია.

მაგრამ ფეხის გადადგმა ვერ შეძლო და ისევ დაიკვნესა.

— ვნახოთ, რა დაგვემართა, — ჩუმად, ხმის კანკალით თქვა ასთამურმა. მათემ წინდის ყელი ჩაიწია; სიმსივნე წვივზე ასულიყო, მუხლისთავამდე ფეხი აფუებული პურის ცომივით მოჩანდა.

— ახლავე უნდა დავეშვათ, — გადაჭრით თქვა უმცროსმა ძმამ.

— ხელცარიყელი უკან წასვლა ვერათერი ბედენაა.

უცებ თვალები გაუშტერდათ. სწორედ მათ ზემოთ, მწვერვალის ქიმზე ჯიხვების ჯოგი გადმომდგარიყო. წინ ვეება ყოჩი იდგა. ჩამავალი მზის სხივებზე მისი რქები ნასისხლარი ხმლებივით ულავლენ. ქვევიდან ისე მოჩანდა, თითქოს ცის თალის გასამაგრებლად შებჯენოდნენ სამყაროს.

— ახლა რა ვიღონოთ? — აღმოხდა მათეს. ასთამურს თვალები გაუფართოვდა.

— წამოვეპარები! — ჩასჩურჩულა ძმას.

— ღამდება, — ბოლმით თქვა მათემ, — ასვლასაც ვერ მოვასწრებთ.

— მარტო წავალ.

— მარტო წახვალ? — თითქოს ბურანში გაიმეორა უფროსია, — არა, არ შეიძლება!

— გამიშვი, თორემ, არ ვიცი, რა მომივა!

— გვიანია-მეთქი! — გაჯავრდა მათე.

— მოვასწრებ, ბიჭო, მოვასწრებ.

— ღამდება ასთამურ. ხედავ, მზე ჩავიდა.



ასთამურმა ჯიხვებს გახედა.

— გავგიუდები თუ არ წავედი! — მტკილედ გადაწყვეტილ დაკაყინულზე გახოხდა.

— დაიღუპები, ბიჭო, ოჯახს დამიქცევ! — ამოსკლა გულიდან მათეს.

ასთამურს ეს სიტყვები არ გაუგონია. იგი უკვე ბეჭივით დაკიდებულ ყინულის ღარს მიჰყვებოდა, ციცაბო კედელი ძნელად სავალი იყო, ასთამური ფორთხვით მიიწევდა ზევით. მათე შიშით ადევნებდა თვალს.

— ნაპრალს დაუკიირდი, ასთამურ, თვალმა არ მოგატყუოს.

ასთამურმა ღარს დახედა და გააურუოლა. ადგილ-ადგილ ხახადალებული ნაპრალები ჩანდა; ზევით გახედა ჯიხვებს და უცებ ყველაფერი გადავიწყდა.


„ან დავიღუპები, ან იმ მამალ ჯიხვს მოვკლავ, ძირს ჩავიტან და მათეს გავახარებ,“ — გაიგლო გულში.

მათე ყინულზე იწვა და ძმასაც და ჯიხვებსაც ერთ ხანს კარგად ხედავდა. ფეხი კვლავ სტკიოდა. ასთამური მწვერფალის ყინულთვან ცხვირზე მუცლით გადახოხდა და ბინდ-ბუნდში გაუჩინარდა.

— ნეტავ კი მოასწრებდეს ჩამოსვლას! — ემინავდა მათე. ზევიდან ისევ ხრიალი მოისმა, მათეს ტკივილი დაავიწყდა, ძმას გახედა. სწორედ ის ღარი, რომელსაც ასთამური მიყვებოდა, მის ფეხებთან შუაზე გატყდა და ძირს სრიალით წამოვიდა. მათემ სიბერელეში თვალი ჰქრა უმცროსი ძმის ლანდს. მან არააღამიანური ნახტომი გააკეთა და კლდეს ჩაებლაუჭა. რიბრაბოში ისიც გამოჩნდა, როგორ ჩაიმუხლა ჯიუტმა მონადირემ ყინულის პატარა მინდორზე.

— გადარჩა, დაღუპვას გადარჩა! — გამშრალ ყელში ჩაიხრიალა მათემ. ცოტა ხნის შემდეგ ვეფხოს ლანდიც შენიშნა. ძალლი ასთამურისკენ მიიწევდა.

— ვეღარ დაბრუნდებიან! — ელვასავით გაპრა ფიქრმა. — ვაი, რომ მართალი გამოდგა დედის ეპვი? — გულზე ცეცხლი შემოენთ მათეს. ვარსკვლავები დამსხვილდნენ და უფრო აკაშკაშლნენ. გალმა მწვერერვალები ახლა ვეება ლანდებივით აღიმართნენ ცამდე. არც ჯიხვები ჩანდნენ და არც მონადირე, მხოლოდ ძალლის ყეფა ისმოდა.



- მოემწყვდნენ, ძალი უმიზეზოდ არ აყეფდებოდა, ქვლავ
შხამი ჩაეწეთა გუნებაში ისედაც ტკივილებით გატანჯჭლს.
- ჰაუუ, ასთამურ! — გასძახა ბნელ სივრცეს.
- ჰაუუ! — მოესმა ასთამურის ხმა. თეთრ ყინულზე ძალი და
მონადირე აჩრდილებად გამოჩნდნენ, ცის თაღზე კი უთვალავი
ვარსკვლავი ციმციმებდა.
- ჩამოსვლა არ გაბედო!
- ერთ მტკაველ ყინულზე ვდგავარ, გზა უნდა ვნახო.
- არ გაბედო! დაიღუპები, უსათუოდ დაიღუპები!
- გავიყინები, ბილიკი უნდა ვიპოვო!
- მათემ კარგად იცოდა, ზეაგმომსკდარ მწვერვალზე ამ სიბნელე-
ში ბილიკის ძებნა უცილობლად სიკვდილს ნიშნავდა.
- ასთამურ, დამიჯერე, ბიჭო, გადაიჩეხები!
- პასუხის ნაცვლად ხვეწა მოისმა. უფროსი ძმა მიხვდა, ყინულ-
ზე თითებჩაფრენილი ასთამური ფეხით ეძებდა ბილიკს.
- ვერ იპოვე, ხომ?
- ირგვლივ უფსკრულია.
- არ გაინძრე, გეხვეწები, ასთამურ, არ გაინძრე!
სივრცეში ისევ ხვეწა გაისმა.
- ვეფხო ახლა გაბმით აყმუვლდა.
- ყმუილი დაიწყო! შეწუხდა მათე, — ეს ცუდის ნიშანია.
- ასთამურ! — თითქოს თვითონაც ყმუილით გასძახა ძმას.
- რა გინდა, კაცო! — მათეს მოეჩვენა, რომ ძმა კი არა, ვიღაც
უცხო ებმიანებოდა.
- არ დაიძრა, ბიჭო! შუქზიარა მაინც შეიცოდე!
- სწორედ ამიტომ უნდა მოვნახო ბილიკი!
- დაიღუპები ბიჭო!
- უნდა ჩამოვიდე-მეთქე!
- გადაითენე ასთამურ, როგორმე გადაითენე!
- არ შეიძლია, ვიყინები.
- ხელები ისრისე, ვეფხოს ჩაეხუტე, ხომ იცი, ძალის ბალანს
ნაპერწყალი აქვს და გაგათბობს.
- ეჲ, — მოესმა პასუხის ნაცვლად.
- დილა ბილიკს მოგანახვინებს, ძმაო, ახლა კი...

ვეფხო ისევ აყმუვლდა. მათემ იკრძნო, რომ თრთოდა, კანკა-
ლებდა. ძაღლის ხმა დალონებით შესძახოდა ცივ მწვერვალში
— გაჩუქრდი! — გაუწყრა ასთამური.

ვეფხო მაინც ყმუოდა. ცოტა ხნის შემდეგ მათემ უფსკრულში
ჩაქანებული ძაღლის წყავწყავი გაიგონა.

„ფეხი კრა და გადაჩეხა.“ — გაზარა ტანში — „გაგიცდა, ახლა
დაეშვება და დაიღუპება“.

მოვარე ამოვიდა. გარემო კიდევ მეტად გაირინდა და გაცივდა. მხოლოდ ორი ადამიანის ხენეშა და სუნთქვა ისმოდა ამ ყინუ-
ლეთში. ცალმუხლზე დაყრდნობილ მათეს სახე მოღრეცოდა, თვა-
ლები ველურივით უელავდა, ძმას ისე გასცეროდა, თითქოს თოფს
უმიზნებსო.

— ასთამურ, ჰაი, ასთამურ! — მის ხმას ახლა სიმტკიცე
დაეტყო.

— რა გინდა, კაცო! — გაკვირვებით ჩამოსძახა ასთამურმა.

— სათქმელი უნდა გითხრა.

— რა სათქმელი?

— ვიცი, შენი წუთები დათვლილია.

— მეც ვიცი, — მოისმა ზემოდან თითქოს უდარდელი ხმა

— ჰოდა, ჩემი გაიგონე.

— მესმის ძმაო, — ახლა ხმას ნაღველი დაეტყო.

— ძმა კი არა, ჩემი მტერი ზარ!

— ჰა?

— მტერი ხარ-მეთქი, მოსისხლე მტერი.

— მათე, რა თქვი?

— ამქვეყნად მე და შენ ერთად არ გვედგომებოდა.

ზემოთ ყინული აჩხრიალდა. მათე მიხედა, ასთამური მაგრალ
ჩეგბლაუქა კლდეს.

„მით უკეთესი“ — გაიფიქრა და ხმაში რკინა და ფოლადი
ჩაისხა.

— ასთამურ-მეთქი, კარგად გამიგონე, სანამ ჩემი თვალები შუქ-
ზიარას დაინახავდა, შენი ძმა ვიყავი... — გესმის თუ არა? —
დაიგრგვინა მათემ.

— თქვი!

— იცი, ქალს რატომ არ ვირთავდი?

- თქვი-მეთქი!
- შენი ცოლი მიყვარდა!
- ტყუილია! ვაი ჩემ დღეს, მათე შეიშალა, ღმერთო მიშვე-
ლე! — აბლავლდა ასთამური.
- მათე გაირინდა.
- ეს ტყუილი არ არის, მართალია! — ისევ შეაზანზარა მისმა
ხმაშ ყინულეთი.
- რას ამბობ მათე, რას?!
- სიმართლეს. მე შენი ცოლი მიყვარდა.
- „გაგიუდა, ნამდვილად გაგიუდა!“ — ისევ თავისთვის ჩაილა-
პარაკა.
- მე კი არა, შენ იყავ გიუი; შუქწიარა შემიყვარდა, შენ კი
ვერ მიხვდი!
- ამას რას მოვესწარი?
- გათავდა, დლეიდან ვეღარაფერს შეესწრები
- რა თქვი?
- დაილია შენი დღე.
- როგორ თუ დაილია?
- ამაღამ დაილუპები.
- ჰა!
- დაილუპები, შენს გარშემო უფსკრული იზრდება.
- მერე? — ახლა სხვანაირი შხამი ჩაეწეოთა ხმაში ასთამურს.
- შენ კი ერთ მტკაველ ყინულზე დგახარ, უფსკრულიდან
სიკვდილი გიწვდის ხელს.
- შენ რაღა ეშმაკი გახარებს?
- შუქწიარა დარჩება, ასთამურ.
- რას ამბობ, წყეულო!
- მიხარია, როგორც იქნა გზიდან ჩამოგიცილე, ქონებაც მე
დამრჩება, შენ ხომ ჩემი მენახევრე ხარ.
- „ნამდვილად შეიშალა.“ — ისევ დაეჭიდა უმცროსი ძმა.
- არ გვერა?
- გაჩუმდი, შეშლილო გველო!
- არ გავჩუმდები, შენს გარშემო ყინულეთის ქვესკნელია,
ასთამურ, შენ კი დაუოკებელი კაცი ხარ. ერთ ადგილას, ვიცი, ვერ
გაძლებ. გაინძრევი და დაილუპები.



— ასე ფიქროს?

— კი არ ვფიქრობ, მჯერა. შუქზიარა მე დამრჩება, ჩსე ჭიუკერი მოგქლავდი, ძმა იყავ, ქვეყანა დამცინებდა. — ნაწილი-ნაწილი ისროდა სიტყვებს მათე.

— ვაი, ჩემს დღეს. ძმა კი არა, გველი მყოლია სახლში.

— ჩქარა, ნუ აყოვნებ, გაინძერ, რომ უფსკრულში გადაიჩეხო.

— მაშ, ჩემი სიკვდილი გინდა!?

— მინდა და ასეც მოხდება.

— ასე ფიქრობ? — ისევ შეეკითხა ასთამური.

— გაინძერ-მეთქი! — შებდავლა მათემ.

— არა, რახან ასე გინდა, შეიძლება სხვა რამ ვიღონო. — მოისმა გესლიანი ხმა. წუთით ორივენი დაჩუმდნენ. ცოტა ხნის შემდეგ მათემ ყინულზე თოფის დუგლუგის დარტყმის ხმა გაიგონა „ალბათ მუხლის ჩასალგამ ორმოს იღრმავებს“, — იაზრა მან და ცას გახედა. ვარსკვლავები თანდათან კარგავდნენ ფერს, აღმოსავლეთით გუმბათი შეთეთრებულიყო, ნისლში გახვეული ყინული კი ისევ გარინდებით სუნთქვდა.

„მალე გათენდება და შეიძლება მეშველოს!“ — გაიფიქრა მათემ.

*
* *

შამფურიანის ქალი, დაჯილი, სვანეთიდან მოიყვანა თემპერატ — მათესა და ასთამურის მამამ. აფხაზმა მონადირემ ლამე გაათია სვანეთში, მონადირისავე ოჯახში და მის ქალიშვილს თვალი დაადგა.

სვანეთიდან ქალის წამოყვანა არც ისე ადვილი იყო, მით უმეტეს, ლამაზი ქალისა. დღეობაზე დაჯილის გამოსვლა სვან ვაჟკაცებს ნათელს უმატებდა თვალში.

საკრავზე დაამდერებდა დაჯილ და მის ხმას და სიმების კვნესას, თითქოს ერთი სიტკბო დაპყოლოდა ადამიანის საამებლად. იცეკვებდა და სვანი ვაჟკაცების გულის ძეგრას ისე აჩქარებდა და ანელებდა, როგორც მოესურვებოდა. მისი დალალები ნადირობის ღმერთქალს შეშურდებოდა, სწორედ ამიტომ იყო ძნელი დაჯილის სვანეთიდან წამოყვანა. თემპერატ ქალს თვალი

მოპერა თუ არა, დაიფიცა: ჩემი ცოლი მარტო შენ იქნები მევებუ-
ნადო.

ფიცი ფიცად დარჩებოდა, მისი განზრახვა დროშე მოკიდა.

შეხედა თუ არა დაჯილმა აფხაზ მონადირეს, გულმა უთხრა —
აი, შენი ბედი და იღბალიო.

არც შეიძლებოდა ქალწულს თემპვა არ მოსწონებოდა. მის
თეთრ, მაგრამ მზით გარუჭულ სახეზე გრძელწამწამა შავი თვალე-
ბი იმდენ ცეცხლს აფრჩევდნენ, რომ დაჯილს ეგონა მათი სითბო
სვანეთის მყინვარებსაც დაადნობდა. ოდნავ კეხიან ცხვირს ქვემოთ
ულვაშის შავი ზოლი ბიბინებდა. სწორი ნიკაპი და ფართო შუბლი
ვაჟკაცურ იერს აძლევდა მის სახეს. კოხტად შეკოპილი თეთრი ყა-
ბალახის ქვემოთ შავი თმის კულული ურჩიად ჰქონდა გაღმოშლილი.
ნაცრისფერი შალის ჩიხა ტანზე მოხდენილად ადგა. მის ბეჭებს
ვაჟკაცის მკლავი ვერ შემოსწვდებოდა, წელს კი მუჭში მოიქცევდა
ქალწულის ხელი. შავი ყაითნით პირმოქობილი პაჭიშები ეცვა.
ამოკოპილი ქალამანი თეთრი თასმით ჰქონდა ამოკრული.

ვარსკვლავებივით ციმციმა თვალები შეანათა თემპვას დაჯილმა,
მონადირემ კი ვეჟხივით ჩამოხედა ზევიდან ქალწულს.

ორი კვირა იარა მთებზე თემპვამ, ვითომდა სანადიროდ. ამ ხნის
მანძილზე ბუთი ღამე საპატარძლოს ქონგურმაღალ ქვიტკირის
სახლში გაათენა და მეექვსე ღამეს დაჯილი ფარულად წამოიყვანა
აფხაზეთში. განრისსხებული შამფრიანები ორი წელი უვლიდნენ
სიძის კარ-მიღამოს სამტროდ. ქალი კი მშობლებს ერთსა და იმა-
ვეს უთვლიდა. თემპვას რომ თქვენი მიზეზით რამე დაუშავდეს,
თავს არ ვიცოცხლებო.

იგრძნეს შამფრიანებმა, მათ ასულს სვანი ქალის ჩვეული სი-
ყვარულით შეჰყვარებოდა აფხაზი მონადირე და მტრობას შერი-
გება არჩიეს.

ერთ დილას დაჯილის მამა ქალიშვილის სახლის ჭიშკარს მიაღ-
გა. სიძე თავაზიანად შეეგება საპატიო სტუმარს. დაჯილი აკვანში
ჩაკრულ მოღულუნე მათე-ბიჭე ეალერსებოდა. შვილიშვილი ლია
კარში შემოსულ მზის სხივსა და პაპას ღიმილით შესციცინებდა.
ყველა წყენა დავიწყდა დაჯილის მამას.

ეს იყო და ეს, ამის შემდეგ შამფრიანები გულდაგულ უკლიტ-
ენ სიძის ოჯახს, ვინმეს სამტრო თვალით რომ არ გმრანტეც მარტ
აღამიანის ბედი ვარსკვლავებით მოჭედილ მოქამდაშე მარტ
ჰეგავს. ერთი წამი და ამ კრიალა ზეცას ყველაზე დიდი ვარსკვლავი
მოსწყლება, სივრცეში გაიელვებს და მის კვალსაც ვერავინ ნახავს.
ასე მოუციდა დაჯილსაც. ორი ჩვილი ბიჭის პატრონს საყვარელი
მეულლე მოულოდნელად გამოეცალა ხელიდან.

მას შემდეგ კარგა ხანმა განვლო. ძმისწული ივაკი შამფრიანი
მზრუნველობას არ აკლებდა ადრე დაქვრივებულ მამიდას. დაჯი-
ლის ვაჟები დავაჟეაცდნენ, განთქმული მონაღირენი დადგნენ.
ბედნიერი დედა ახლა ყოველთვის გულისფანცქალით ელოდა შვი-
ლების ნადირობიდან დაბრუნებას.

დაჯილს ჭიხვის ხორცი უყვარდა.

— ნანადირევს სხვა გემო აქვს, შინ გაზრდილი ოთხფეხი აბა
რა საჭმელია? — იტყოდა ხოლმე.

იცოდნენ შეილებმა დედის ხასიათი და მარილდაყრილი და
კვამლში გამომშრალი ჭიხვის ბეჭები გამოულევლად იყო ოჯაშში.

შვილებს რომ არ მოეტანათ, მამიდას ივაკა ჭიხვის ხორცს
მოაკლებდა?

თავს ერჩია თანმეზრდილი მამიდაშვილები. მათე და ასთამური
რომ ცხენებზე შესხდებოდნენ და ის შუაში ჩაუდგებოდა, დაჯილი
ცქერით ვერ ძლებოდა, მათხე ამოადიოდა მზე.

სვანმა თავგადადებული და ულალატო ნათესაობა იცის. ივაკის
რომ ძმები ჰყოლოდა, მათესა და ასთამურზე მეტად არ ეყვარე-
ბოდა.

მართალია, აფხაზი მამიდაშვილებივით სხარტი და ლამაზი არ
იყო, მაგრამ მისი ბეჭების ჩრდილში ხუთი კაცი მოიგრილებდა.
სამწყრთიანი სატევარი მოუშორებლად ეყიდა. ატოტებულ დათვს
ერთი მოქნევით წააცლიდა თავს, მისი ტყვია უცილოდ მიზანში
ხელებოდა.

ამ ვეება ვაჟკაცს საოცარი ჩვილი გული ჰქონდა. სხევისი ცრემ-
ლის დანახვაზე თვითონაც ატირდებოდა. ერთხელ მათე და ივაკი
ჭალებში სამწყერაოდ ჩასულან. შემოდგომა იყო და მწყერი ზღვის
კიდეს ასდევნებოდა. ელვა სამართებელივით სერავდა ამღვრეულ
ზეცას. ასეთ ამინდში დამით მწყერაობა ხელსაყრელია. პატარა

ასთამური დედას გამოპარებია და მათ შორიახლო ასდევნებია. ეს—
კი და მათემ მწყრებით ჩოხის კალთები გაიცეს თურქე. და არა
შინისკენ პირი ჰქნეს, ბუჩქებიღან ბავშვის ტირილი შეესმარისადა—
ახლოს მივიდნენ, ნახეს, — ასთამური ტირის. ჭარბული და ტირილსაც არ
წყვეტს.

— თქვი, ბიჭო, შეგეშინდა? — ეხევწებოდა მათე ძმას.

ბიჭი ტირის და სიტყვას არ ამბობს. ივაკიმ ბავშვი ხელში
აიყვანა და შინისაკენ გასწიის. ასთამური მაინც ზლუქუნებს, ვერა-
ფერი მოუხერხეს, ვერ გააჩუმეს.

უცებ ივაკიმ ჩოხის კალთაზე ხელი მოისვა და მისმა სისველებ
შეაცბუნა. დანამული თითები დაყნოსა. სისხლის სუნი ეცა.

— მათე, ასთამურს სისხლი სდის მგონი.

— რაო? — გოლცა ძმა.

— თქვი, გენაცვალე, რა გტკივა? — ისევ შეეხვეწა ივაკი მამი-
დამვილს.

ასთამურმა ტირილს უმატა, სიტყვა კი მაინც ვერ დააცდენინეს.

სოფელში რომ შევიღნენ, გულს შემოყარათ. ბიჭს მართლაც
სისხლი სდიოდა.

თხელ წულა-მესტში ვეება ეკალი შესობოდა, ჭრილობა არც ისე
პატარა იყო.

ახლა ივაკის წასკდა ცრემლი. არავინ იცის, ბავშვის ჭრილობაშ
აატირა ბიძაშვილი, თუ ამტანობამ და სიტყვის უთქმელობამ. ეკა-
ლი ამოულეს, ფეხი შეუხვიის, ასთამური დაშოშმინდა, ივაკის კი
დიღხანს სდიოდა ცრემლი.

ასეთი ბიძაშვილი ჰყავდათ მათესა და ასთამურს. მათი ჭირისა
და ლხინის მოზიარე იყო სვანი ვაჟკაცი.

სანადიროდ წასულ ძმებს რომ ფათერაკი შეემთხვათ, ივაკის
ულმა უგრძნო მოახლოებული უბედურება, შინ ვერ გაჩერდა,
ცხენი შეკაზმა და მამიღასკენ გამოსწია.

დიღხანს არ დასძინებია იმ ლამით დაჭილსაც, ცული წინათგრძ-
ნობა ჰქონდა. თვალი რომ მილულა, დაესიზმრა, ფრთები გე-
მოსხმოდა და კავკასიონის კალთებს შუა დაფრინავდა. ნახა, ბილიკზე
მისი ქმარი თემპევა მოაბიჯებდა. ნანადირევი წყვილი ჯიხვი გაედო
მხარზე. ვეება რქები ყინულზე ფართო კვალს სტოვებდა. ნაკვა-

ლევში ისე მოჩქრიალებდა წყალი, როგორც წისქვილის ღარში. შინისკენ კი არა, აღმა, მწვერვალებისკენ მიჰყვებოდა ბილიკი თემპევა.

— სად მიგაქვს ნანადირევი, კაცო? — შეეკითხა ქმარი.

— ბიჭებთან, — უპასუხა მონადირემ.

— ბიჭებს რად უნდათ შენი ნანადირევი, თავიანთიც თავსაყრელად აქვთ.

— შენ ისე გონია, — ჯავრით თქვა თემპევამ.

— წუხელ წავიღნენ, თვალო, სანადიროდ.

— პოდა, ხორცი ენატრებათ ჩემს შვილებს.

— ნამცევარიც ბევრი გავატანე.

— უკან დაბრუნდი, ქალო, — გაუჯავრდა ქმარი, — სახლს მიჰედე, პატარას არაფერი მოუვიდეს.

თემპევა ნელა აპყვა ყინულის წვერებზე შვეულად დაკიდულ ბილიქს, დაჯილიც ფრენით გამოედევნა.

უცებ თვალი მოჭრა სანახაობამ, მაღალ მყინვარებს ბრიალით მოსდებოდა ცეცხლი.

— სად არიან ჩემი შვილები? — დაიკივლა დედამ.

— რად გამოუშვი შინიდან? — ახლა მამამაც დაიბლავლა, მყინვარებიდან ავარდნილი ცეცხლი და კვამლი ცას შეტოტებოდა, ცას გუმბათი გავარვარებულ თონესავით ისროდა ჩინჩელებს. დაჯილმა თვალი მოჰკრა მათესა და ასთამურს, ორივენი წრიახებზე ეკიდნენ თოქებით.

არა, ესენი მისი შვილები არ იყვნენ, არც ერთს სხეული აღარ ჰქონდა: არც მხრები, არც თავი, არც ხელ-ფეხი, მხოლოდ გულები, მფეთქავი გულები დარჩენილათ. გულის ბეჭებზე არწივის ფრთები გამოსხმოდათ და ისე ბოინობდნენ აგიზგიზებული უფსკრულის თავზე.

— ვაი თქვენს დედას, შვილო! — დაიკვნესა დედამ.

— ვაი ჩემს გაჩენას! — დაიბლავლა მამამ.

— რა დაგმართნიათ, მათე? — შეპყივლა დედამ უფროს შვილს.

— ასთამურს ჰქითხე, დედი! — გულმოსულად ჩაიბუზლუნა მათემ.

— რა მოხდა, ბიჭო! — მიაფრინდა დაჯილი ახლა ასთამურს.

— ოჯახი შეგვირცხვინა მათემ! — დაიყივლა ასთამურის არწივ-
ფრთიანმა გულმა.

— რა თქვი, შვილო? — დაიბუხუნა შუბლშეკრულმა მამი.

— შენმა უფროსმა შვილმა გვარი შეარცხვინა, მთელს აფხა-
ზეთს შუბლი გაუტალახიანა.

— ტყუი, ეს არ მოხდებოდა! — გაუწყრა თემპება ასთამურს.

— შემცდარი ხარ, შვილო, — ჩაიქვითინა დედამ!

— არ დაუჭეროთ, მამა! — სასოწარევეთით დაიბლავლა მათემ.
იმ ხმაშე, მწვერვალებს მთელი ყინულეთი მოსკლა და ხანძრის
კერებს გადაეფარა. ნელ-ნელა დაიწმინდა კვამლი, ცეცხლი ჩაქრა
და გამოიდარა. ცისა და მიწის შუა სივრცე ფირუზისფერი ჰაერით
გაივსო, მზის სხივებმა ლივლივი დაიწყეს, წყაროები ჩქრიალით
დაეშვნენ დაბლა. დაწყნარდა მთელი ქვეყანა.

— აი, დედიკო, შეხედე, — განაგრძო მათემ, — ასთამურის ნათქ-
ვამი ჯოჯონეთის ცეცხლს იწვევს ამქვეყნად, ჩემი კი — სიმშვიდეს,
მზისა და მიწის ბეღძნიერებას. მე მართალი ვარ, დედი, მართალი!

აღმოსავლეთიდან ნიავა დაპბერა, ზევით და ზევით ამაღლდნენ
არწივფრთიანი მობონე გულები. თანდათან ნათლად გამოჩნდნენ
მათესა და ასთამურის სახეები.

მათე ლიმილით შეპყურებდა მშობლებს. მხოლოდ ასთამურის
სახეს ეფარა თალხი.

— ვაიმე, უბედურსო! — მოესმა დაჭილს უმცროსი შვილის
ამოკვნესა.

*
* *

მზე კარგა მაღლა იყო, როცა ივაკის ჭიშკართან შუქიზიარა
შეეგება:

— აბა, ბიჭი მომაწოდე, რძალო, — გაუწოდა ხელები ბავშვს
და გულშე მიიკრა. არც პატარამ იუცხოვა, ლიმილით მიეყრდნო
მის ვეება მკერდს და მამის ულვაშებს მიჩვეული ხელი წაუპო-
ტინა.

— ულვაში არ შემირცხვინო! — გაელიმა ივაკის. ფრთხილად

მოიშორა ბავშვის ჩვილი თითები, ცალ ხელში აიყვანა, მრისებრ
გასწია და ისე გახედა თითქოს კვერცხს ლანდავდა.

— რა ბიჭი გამხდარა, რძალო, ეს ჩემი ძმისწული? ეს მონაბივით სხივიანი კაცი დაზგება. ხომ ხედვის ულტრავისკუმ
მიურბის ხელი. მალე დავაკაცებულს ვნახავთ.

— ასთამურმა მიაჩვია ამ სიცელქეს. — გაიმართლა თავი შუქ-
ზიარამ.

— მამიდაჩემი სად არის, შუქზიარა!

— სასიმინდეში შევიდა საკენკისათვის.

— მათე და ასთამურიც არ უნდა იყვნენ სახლში! — სიფრთხი-
ლით იკითხა ივაკიმ და რძალს დააცეკერდა.

— ჯიხვებზე სანადიროდ წავიდნენ, ივაკი, ბატონო!

შამფრიანს არ მოეწონა ნათქვამი, მაგრამ არ შეიმჩნია.

— რა უჭირთ მერე, შე ქალო! — თითქოს თავის დასაიმედებ-
ლად ჩაილულლულა.

— ივაკი, ხომ მშვიდობაა! — კალთაში საკენკჩაყრილი დაჯილი
სასიმინდედან სირბილით ჩამოვიდა.

— მშვიდობა ნუ მოგვეშალოს, მამიდა, ავი ამბავი როდის მო-
მიტანია, ახლა რომ დავიბედო.

— მე კი მუხლი მომეკვეთა, ცუდი სიზმარი ვნახე, ბიჭო! იმ
შენს მამიდაშვილებს არაფერი გაუჭირდეთ, ნეტავ, — ისე წყნარად
თქვა დაჯილმა, თითქოს შიშობდა ზედმეტი არაფერი წამომცდესო.

— ცუდი სიზმარი ნახე, დედი? — შეპჭივლა შუქზიარამ, — ვაი
ჩემს თავს უბედურს, ბავშვსაც მთელი ღამე არ სძინებია, ბორგავდა
და ტიროდა.

— სიზმარს რა შეუძლია შვილო? — გული დაუამა რძალს და-
ჯილმა, — უბედურებისა ცხადში უნდა გეშინოდეს.

— მითხარი, ბიჭო, — მიუბრუნდა მერე ძმისწულს — შენ რამ
ჩამოგიყვანა სვანეთიდან, სხეულმა ხომ არ გიგრძნო ფათერაკი?

ივაკის ტანში გასცრა. მამიდას მიხვედრილობამ ნაპერწკლები
დაუნთო ძარღვებში. კინაღამ წამოსცდა მოსვლის მიზეზი. თავი
მაინც შეიმაგრა, დაჯილს თვალებში შეხედა და წყნარად თქვა:

— უბედურება ჩვენს მტერს მისვლოდეს ოჯახში, ჩვენთან მას
რა ხელი აქვს.

უცებ, ქათმები დაფურდნენ და ქორქითით დაიჭარტენ ყველა მიიხედა.

— რა ტურა მოელანდათ? — ივითხა ივაკიმ. ჭიშკარისუნიკებულება გასისხლიანებული თავი გამოჩნდა. ცოცხალ-მკვდარი ძაღლის „ჭიშკარის“ ფეხებს ძლივს მოათრევდა.

ივაკის ფერი ეცვალა.

„მამიდააჩემთა არ შეხედოს, თორემ დავიღუპე“, უმაღ გაიფიქა და ისე შებრუნდა, თითქოს არაფერი დაენახოს.

— არაფერია, დღეს ყველაფერი გეჩვენებათ. შინ შემიყვანეთ, ჩემი მოსვლა ხომ არ გვწყინათ?..

— მოდი შენი ჭირიმე, მოდი, მამიდა გენაცვალოს, — მოეფერა დაჯილი ძმისწულს.

შუქზიარა ბავშვით ხელში შინ შებრუნდა, ივაკიმ რძალ-დე-დამთილი მიაცილა და შესვლისთანავე კარი ისე მიიხურა, თითქოს ეშინოდა უკან არ გამომექცნენო. ცოტა ხნის შემდევ ისევ ეზოში გამოვიდა. დაკვირვებით მიიხედ-მოიხედა და რაკი შენიშნა, არავინ უყურებდა, ჭიშკართან მიიჭრა.

ძალი ძელქვეშ იწვა, ადამიანივით კვენესოდა და ქშენდა: სველ ტანზე ოხშივარი ასდიოდა. ივაკიმ ფრთხილად მოკიდა თავზე ხელი და თვალებში ჩახდა.

„ფერდები აქვთ ჩამტვრებული, უკანა ფეხებიც მოტეხილი ჩანს. — გაიფიქრა და დასკვნა: — ზვავი დასტაკებიათ, დავლუპულ-ვართ,“ — მერე მთებს გახედა. მზე მთავარ კავკასიონს დაჰყურებდა, მწვერვალებს ქვემოთ თეთრი ნისლი ირეოდა, იისფერ სიცრცეში აზიდული მყინვარები ღმერთთან მისასვლელი კიბეებივით მოჩანდნენ აქედან.

— ნუთუ იქ, იმ ღმერთების სამყოფელში ჭოჭოხეთური ამბავი დატრიალდა? — ხმამაღლა წამოიძახა ივაკიმ, ჭიშკარი გამოაღო და მწვერვალებს მიაშურა.

*

* *

ლამე მწვერვალებთან გაათია ივაკი შამფურიანმა. დილით უკვე ყინულის სამყაროში იყო და მსუბუქად მიიკვლევდა ეზას ბილ-კებზე.

3. მ. ასათიანი

— პე-პე-პე-ე-ე, — გასძახებდა დროდაღრო გალიგვებულ მთებს და რამდენი ხევი და მთა იყო, იმდენჯერ უკან უბრუნველუფლეო ჰქმია. ცოტა ხნის შემდეგ ხმაური მიწყდებოდა და საოცარე ჭრის მიზნის უკან დაუკლიდა ქვეყანას.

ხანდახან ცის ლურჯ კიმარაში ქათქათა თოვლის ნაზი სინათლე რომ ალივლივდებოდა, თითქოს ნიავი ამოვარდებოდა, ისეთი შრიალიც მოისმოდა — ეს ფრინველები გადაუფრენდნენ უფსერულებსა და მწვერვალებს ზემოდან. პე-პე-ე-ე! — ისევ გასძახებდა ივავი მწვერეალებს. ერთს გადაიგრიალებდა მთებიდან მთებზე მისი ხმა და ისევ ჩაჩურდებოდა ყველაფერი.

„ძაღლი რომ წამომეყვანა, კარგი იყო, ფიქრობდა თავისითვის, აღარ შეეძლო ეფუძოს სიარული, იქნებ ახლა მკვდარია კოდეც, საწყალი!“

თანდათან მაღლა იწევდა შავფრიანი, თანდათან უახლოვდებოდა მწვერვალებს.

— შრირ. — ახრაშუნდა უცებ ყინულთა ნაფხვენი. დაფეთებულმა ჯიხვმა ყინულ-ფლატეს არწივივით გადაუფრინა და კლდის უკან გაუჩინარდა.

ივაკიმ უნებლიერ თოვლისკენ წაიღო ხელი.

— რა ეშმაკად მინდა, სად ვათრიო, — თავისითვის ჩაილაპარაკა და ხელი ჩაიქნა.

შუაღლის მზე აცხუნებდა, მყინვარებიდან ახლად ვამდნარმა წვეთებმა დაიწყო ცრემლებიცით უონვა. აღგილ-ადგილ ჩხრიალით რბოდნენ წვრილი ნაკადულები. დილით მოსიბული ყინულის ქერქი, ახლა მოლხვა და სასიარულოდ ადვილი გახდა.

ივაკი დაუინებით გაპურებდა პიტალო, შვეულ კედლებს, ჩასცემობდა უფსერულებს, მაგრამ მამიდაშვილების კვალი არსად ჩანდა. დაღლილი და დაქანცული კლდის ქიმზე ჩამოჭდა.

უცებ თვალებში დაპყვესა. გაღმა მწვერვალის კალთაზე კაცი დაინახა. „ცოცხლები ყოფილიან, მაგრამ მეორე რატომ არ ჩანსო“, — გაიფიქრა და „პე-პეო“ გასძახა. უცნობი ერთ ხანს შეჩერდა და მერე ისევ განავრძი გზა. ივაკიმ ახლა შენიშნა, რომ ის რაცრაცით მიპყვებოდა კლდის პირს.

— პე-პე-ე-ე, — ისევ გასძახა — ივაკი ვარ, ივაკი შამორიანი! უცნობი ტყვიანაკრავივით ჩაიკეცა. ივაკის სული შეუგუბდა.

სწრაფად მოავლო თვალი ექაურობას და უფსკრულისაკენ წავიდა.
ოდესლაც ზვავად წამოსული ყინული და ხერგი მთებშით გატე-
ლილიყო, მერმე კიდევ თოვლყინული დაპყროდა და ახლა ორ მთა-
შუა სიდად იყო გადებული. ზემოთ ვიწრო იყო საცალფეხო ზილა-
კივით, ადგილ-ადგილ ადამიანის ტერფიც არ დაედგმებოდა. ჟერმ,
თვალუწვდენელ უფსკრულში მდინარე გარბოდა. მის მშეოთვარე
ტალღებს ყინულის გული გამოეშვენა და ათასნაირი ზღლაპრული
დარბაზებიცით გამოეკვეთა.

შეიძლება ფეხქვეშ ჩამექცეს ეს ყინულეთი, — გაიუძქრა ივა-
კიმ, მაგრამ შეჩერებით არ შეჩერებულა.

ფრთხილად მიიწევდა წინ. ზოგან ვიწრო ყინულის ზურგს უნა-
ვირივით გადაჯდებოდა და ისე მიუფოხსავდა მის ხმლის პირივით
გაბასრულ ზედაპირზე. გაღმა კი ის კაცი გაუნძრევლად იწვა.

„ვაითუ უცხოა, მე კი თავს ვიკლავ, ქართველი კაცი ხომ იქნე-
ბა, ეტყობა, უჭირს“, — ფიქრობდა ცოცვით მიმავალი ივაკი.

ვაი-ვაგლაბით მიაღწია გაღმა კალთას, ზვავად მომსკდარ გეება
ვორაკს გვერდი აუარა და მგზავრს თავზე დაადგა.

— ასთამურ, შენა საჩ, ბიჭო?! — გაოცებულმა შეანკლრია ზა-
მიდაშვილი. წაქცეულმა ხმა არ გასცა. ივაკიმ ყაბალახის შემოხსნა
დაუწყო. ყველაფერი ტანზე შემოყინვოდა, გამხმარი ქერის პურის
ყუასავით ტყდებოდა ყაბალახის ტოტებიც და ჩოხის კალთებიც.

— მომქვდარა კაცი, — თავისითვის ჩაილაპარაკა შამფრიანმა,
მათარიდან არაყი გაღმოასხა და სახის ზელა დაუწყო, ცოტა ხნის
შემდეგ ასთამურმა თვალები გაახილა.

— ხმა ამოიღე, ასთამურ! — ჩასძახა ივაკიმ. ასთამური უცებ გა-
მოფხიზლდა, ოდნავ წამოჯდა, მარჯვენა ხელით კლდეს დაეყრდნო
და ბიძაშვილს თვალების ბრიალით შეხედა.

— შენ აქ როგორ გაჩნდი, — გაიკვირვა მან.

— მათე სად არის, ბიჭო?!?

— ეჭ, — ჩაიქნია ხელი ასთამურმა და თვალმილეული ისევ
კლდეზე მიწვა.

— „ეძინება, გონზე არ არის“, — გაიფიქრა ივაკიმ. მათარა
პირთან მიუტანა და სითხე რამდენჯერმე ჩაყლაპა.

— კიდევ მოსვი, ბიჭო, კიდევ, ჩვენებური არაყია! — ჩასძახა
ისევ.

ასთამურმა არაყი რამდენჯერმე უაზროდ მოსვა და ლკოლი
გაახილა.

— მათე სად არის-მეთქი, ასთამურ?

— არ ვიცი, — წყნარად თქვა მან.

ნათქვამი არ მოეწონა შამფრიანს.

— როგორ თუ არ იცი, შენთან არ იყო საჭიბვედ წამოსული?

— არ ვიცი, თავი დამანებე!

ივაკის ნერწყვი გაუშრა, უცებ სიტყვა ვერ თქვა. ამოიგმინა.
მამილაშვილს დასწვდა, მისი ბეჭები ნიჩებივით გაშლილ ხელებში
მოიჭრა და წამოაყენა, ალბათ ეგონა გონს კიდევ არ მოსულა
და ყურში ჩაჰყვირა:

— გაიხსენე, ასთამურ, გაიხსენე, ბიჭო, სად დაშორდი მათეს?

ასთამური შეინძრა, ხელიდან გაუსხლტა, წინ გაიწია და მერე
შემობრუნდა. ისე ცაცახებდა, კბილს კბილზე აცემინებდა.

— რას ჩამაცივდი, ალბათ შენც იცოდი მისი კაიკაცობა და მი-
მალავდით, უთუოდ დედამაც იცოდა, ყველამ იცოდა, ვაი სირცხვი-
ლო, ოჯახის შერცხვენავ!

ივაკი შეშფოთდა.

„ნამდვილად ჭკუაზე გადამცდარა, დავიღუპეთ“, — გაიფიქრა
და ბეჭებზე მოხვია ხელი.

— კარგი, ასთამურ, არაფერს გეითხავ, ბიჭო, სახლში წავი-
დეთ! — ახლა მოეფერა მამილაშვილს.

აქვითინებული ასთამური ცხვარივით დაემორჩილა, ცანცახით
გაპყვა.

მალე ყინულის გორაკები ჩამოათავეს, დაბლა უკვე მოჩანდა
ბალახზე მიშვებული საქონლის ჭოგები, თხისა და ცხვრის ფარა,
ძალლების ყეფაც ამოლიოდა.

— რატომ მომდევ! — უცებ შემოტრიალდა ასთამური, — შენ
იმას მიხედე, იქნებ ცოცხალია. — შამფრიანი შეტორტმანდა.

— მითხარი, ბიჭო, რა უბედურებაა ჩვენს თავს? — შეეცელდა
და თვალებში ჩააჩერდა.

— გიუი გგონივარ ხომ?! უარესი მეკუთვნის, ვაი, ჩემს დედას,
რომ შვილის მაგივრად ოჯახის შემარცხვენელი გაუზრდია უბე-
დურს.

— ვისზე ამბობ, ასთამურ?!



— შენს უფროს მამიდაშვილზე, ჩემს გამზრდელ ძმაზე! დაიყვირა ასთამურმა, რომ კისრის ძარღვები ბაწარივით დაუჭირა, თვალებში სისხლი მოაწვა.

— რაო, რა თქვი?

— რაც გაიგონე, შუქჲიარა შეპყვარებია ჩემს ძმას!

— გაგიჟებულხარ, უბედურო, უთუოდ გაგრებულხარ?!

— თვითონ მითხრა, თავისი პირით.

— ღმერთო მიშველე! — ივაკის ხანჯალზე დადებული ხელი აუკანკალდა, შუბლზე ცერის სიშხო ნაოჭები დააჩნდა.

— ტყუილია! მოგჩვენებია, ძმის ნაცვლად ქაჯი დაგლაპარა-კებია.

— ქაჯი და ეშმაკი თქვენს თავს, ვიცოდი, არავინ დამიჯერებდა, — სასოწარკვეთით წამოიძახა ასთამურმა. — ვიცოდი, არავინ გამიგონებდა, — გაიმეორა ისევ, სახე ხელებში ჩარგო და აბლავლდა. მისმა ტირილმა ივაკი გამოაფხიზლა, სიდინჯე დაუბრუნა. კარგა ხანს უყურა და მერე მკლავზე მოყიდა ხელი.

— მათე სად დასტოვე, უბედურო!

— სიჩუმის ხევში.

— იქ ვინ ჩაიყვანდა, ბიჭო?

— მისმა სიკვდილმა ჩაიყვანა, ოჯახის შერცხვენამ გადაჩეხა.

— ვაი მამიდაჩემის ძუძუს! — წაიშინა ივაკიმ თავში ხელი.

ქვემოდან ძალლების ყეფა მოისმა. მწყემსები მეავე წყაროებზე ამოსულიყვნენ.

ივაკიმ მიიხედ-მოიხედა, ცოტა ხანს შეჩერდა, რამდენჯერმე ამოიხსრა, მერე ასთამურს დაადგა თავზე.

— მწყემსებთან ჩადი, კრინტი არ დასძრა, თუ გყითხონ, ზევით დარჩა-თქო უთხარი, ხომ გესმის, უბედურო, სიტყვა არ წამოგცლეს!

მეტი არაფერი უთქვამს. ყაბალახი შემოიხვია და აღმართს შეუდგა.

ასთამური იალალებისკენ წალასლასდა. მწყემსებმა შორიდანვე შენიშნეს მომავალი.

— რა უბედურება შეგმთხვევია, ასთამურ! — შემოეგება უხუცესი მწყემსი თემშუღ თარკილი. ასთამური ახირებული თვალით დააჩერდა დამხედურს, დიდხანს უყურა და ხიმურის შაშა რომ შეიცნო, მიწაზე მოწყვეტით დაეცა.

— აბა, საკაცე, საღომამდე ჩავიტანოთ! — წამოუწერა და შეუძღვდა, და თვითონ ყურდების სრესა დაუწყო გონწასულს.

*
* *

სამი მყინვარის კალთებქვეშ გართხმულა სიჩუმის ხევი. როცა კავკასიონის დიდი მწვერვალები ბეჭებს დაიფერთხენ და ქვემოთ ყინულის ვეება ზვავებს გზავნიან. ხევი ცივ ჭოჭოხეთსა ჰვავს. ზემოდან დაქანებული ზვავები გრიალ-გრიალით სკდებიან, ყველაფერს გლოგენ და ხეეტენ. მიწას ქარიშხალი არყევს და აზანზარებს. შემდეგ კი ჩაჩუმდება, გაირინდება, ძინავს ხევს წყნარად, უშოროველად, სამი მწვერვალის ძირას.

ადამიანის თვალს თუ დაუხედავს ზემოდან, თორემ კაცის ფეხი არასდროს დაკარებია. ზევიდან გადმოვარდნილ კენჭს ჩიტის ფრთის ნიავიც აათამაშებს, ისე მოუპირკეთებია და გაუსარკავს ბუნებას ყინულის ზედაპირი. მზის შუქი ვერ აღნობს და აცრემლებს, მხოლოდ მიწისქვეშ დაბუდებული სითბო ალბობს მის ქვეშეთს და წყაროები ჩხრიალით მოჩქეფენ. წყაროთა დენას თუ დაულარავს ეს მთები და თვალჩაუწვდენელი უფსკრული გაუჩენია. ივაჯი შამფრიანმა ზემოდან დახედა ყინულეთს. ყველაფერი ხელისგულივით მოჩანდა. აქა-იქ კლდისა და ყინულის ახალი ნამსხვრევები ეყარა. მისმა გამოცდილმა თვალმა მათეს ცალი პაჭიშვი შენიშნა უფსკრულის ზედაპირზე, კაცი კი არსად ჩანდა. დიღხანს ათვალიერა ხევი, დიღხანს და მათეს მაინც ვერსად მოპკრა თვალი. ახლა მეორე კალთაზე გადავიდა სვანი მონადირე, ვერც იქიდან შენიშნა რამე.

„პაჭიში აქ არის, — ფიქრობდა იგი, — მათეც საღმე აქ უნდა იყოს“.

შეჩერდა და კლდის კალთებს ააყოლა თვალი. გაღმა ფრიალოზე რაღაც შავი საგანი შენიშნა. დაუკვირდა და მათეს ნაბდის ყური იცნო. კლდის ბოლოზე თოკი დამაგრა და ფრიალოზე დაიწყო ჩაცოცება. გაღაჩენილ მათეს ფიფქი თოვლი დაპყრობა, ფრთხილად გადაფერთხა და გულმა რეჩხი უყო. ნაბადი მთელ ტანზე შემოხეულ შეჩენოდა მამიდაშვილს.

„ცოცხალი იქნება, ნაბადი და თოვლი სითბოს შეუნახავდა“, —

გაუელვა შამურიანს, ხანჯალი გაიძრო და ბაგე-ცხვირთან მრუტანა.
ხანჯლის პირი ოდნავ შეიორთქელა.

— ცოცხალია, ღმერთო მიშველე! — წამოიძახა სხამზადული კუს
მათარა მოიხსნა. ჯერ სახე დაუზილა არყით, მერმე საკინძე გაუხსნა
და გულ-მკერდი დაუსრიას.

მათემ ამოიკვნესა.

— თვალი გაახილე, ძმაო, შენი კირიმე, გამოფხიზლდი!

მათემ ვაი-ვაგლახით გახსნა წამწამები.

— შენა ხარ ივაკი?

— მე ვარ, ჩემო მათე, ახლა ეს მოსვი, პო, კიდევ მოსვი, ძალას
მოგცემს.

ცოტა ხნის შემდეგ მათე ნელა წამოდგა.

— დალაპარაკებაც არ მაცალა იმ სულელმა, ისე მკრა ხელი და
გადამჩეხა; — ეს იყო მისი პირველი სიტყვა, რომელიც ბავშვის
ლულლულს უფრო გავდა, ვინემ ვაჟკაცის ნათქვამს.

— ვინ გადაგჩეხა?! — გაოცდა ივაკი.

— ასთამურმა!

— რა იქვი?

— რაც გაიგონე, ასთამურმა გადამჩეხა.

— ორიე გაგიყდით? — არ დაიჯერა ივაკიმ. მათემ წამოდგომა
დააპირა, მაგრამ მტკიგანი ფეხი არ დაემორჩილა.

— ფეხი რომ არ მტკენოდა, იმ სიტყვასაც არ ვიტყოდი, მე
ზევით ვერ ავედი, ის კი სიბნელეში იღუპებოდა, სხვა გზა არ
მქონდა.

ივაკის ვერაფერი გაეგო, გაშტერებული მისჩერებოდა მამილა-
შვილს.

— კარგი, თქმას მოესწრები, ჯერ სამშვიდობოს გავიდეთ.—ივაკი
თოკს დაეკიდა და ჯერ თვითონ აყვა კლდის კალთას, მერე მათეს
ჩამოუგდო მისი ერთი წვერი. მათემ თოკის ბოლო წელსა და ბეჭიშე
შემოიხვია, მაგრამ კლდეზე ასვლის დროს სასტიკი სისუსტე იგრძნო.
ფეხის სიმსივნე ახლა ისე არ აწუხებდა, ღონე ვერ მოეკრიბა მხო-
ლოდ.

— მთელი ღამე სიცხეს დავუბუგივარ, პე, ალბათ ამან გადამარ-
ჩინა კიდეცო, — გაიფიქრა.

— რას შვრები, იჩქარე, კაცო! — ჩამოსხახა ზემოუან შე-
ფრიანმა.

— სისუსტემ დამრია, ცოტა ხანს მაცალე. შემოხვეული თოკი მოხსნა და ფეხადგმულ-
მა თვითონ დაიწყო მისი აერეფა.

— აბა, შენ მხოლოდ ნელა იმოძრავე, მე თოკს დაგვქაჩავ, ბიჭო, —
ჩაუძახა ისევ.

მათეს ამოსვლისთანავე გული შეუღონდა. ისევ ჩაიკეცა კლდის
ქიმზე.

არაყმა თავისი გაიტანა და ცოტა ხნის შემდეგ ხელმეო-
რედ ჩაუდგა ტანში ძალ-ღონე. ივაკი პირმოკუმული და შუბლშექ-
რული მიჰყვებოდა. მუავე წყლებთან რომ შეისვენეს, მაშინ ამოილო
ხმა შამფრიანმა.

— ახლა მიამბე რა გჭირო, ბიჭო! — თითქოს თავისთვის ჩაი-
ლაპარაკა.

ცაზე ვარსკვლავები ჩნდებოდნენ, მათემ რომ სათქმელი დამ-
თავრა, ხანგალზე ხელდადებული ივაკი სახეგაფითრებული მისჩე-
რებოდა.

— დიდი ცოდვა ჩაგიდენია, მათე, — გაგუდული ხმით წარ-
მოთქვა მან.

— სხვა გზა არ იყო, მმა უნდა გადამერჩინა, ივაკი.

— ტყუი! — ერთი სიკვდილი თუ მეორეში შეანაცვლე, ეს სიკე-
ოდ მიგაჩნია?

— რას ამბობ, ივაკი?!

— რასაც შენ მაშინ უნდა მიმხვდარიყავი, ჩემო ძმაო. ასთამური
მართალია. შენ გულზე მიტანილი სასიკვდილო დანა ააცალე, სატე-
ვარი კი თვითონვე ჩაჰკარი ულმერთოდ.

— არა ხარ მართალი, — წამოდგა მათე, — ჩამოვიდა თუ არა,
სიტყვა არ მაცალა. სიცხით გათანგული, ფეხდასიებული კაცი კლდე-
ზე გადამისროლა.

— ძმის მოლალატეს სიკვდილი ეკუთვნის!

— მერე მე მოლალატე ვიყავი?

— შუქზიარა ხომ შენი და იყო? — გაბრაზდა შამფრიანი.

— იყო და არის კიდეც.

— სიტყვამ კაცის გულში ნადები უნდა გამოთქვას, მათე.



- მერე მე...
 — შენ კი... — გააწყვეტინა სათქმელი შამფრიანმა. — შენ პროცესუალის კვლეულმა ესროლე ბინძური ტალახი მამის სახლის საძირკველსა და თავანს.
- მე მისი სიცოცხლე დავიცავი.
 — სამაგიდოდ, სამი სიცოცხლე გასწირე, — თანდათან ულმობელი გამდა ივაკი.
 — როგორ?
 — როგორ და შენი ნათქვამის შემდეგ არც ცოლი ივარებდა, არც დედა და არც შვილი.
 — მაგას ნუ მეტყვი, ივაკი. მე ძმა გადავარჩინე.
 — ცუდი გზით მოპოვებულ სიცოცხლეს ვაჟვაცი სიკედილს არჩევს ყოველთვის.
- მათეს ცეცხლი შემოენთო. იგრძნო აფხაზმა მონადირემ, მისი ბიძაშვილი დიდ საწუხარს წუხდა.
- ხომ იცი, ასთამურს შხამი და ბოლმა აფხაზლებს. გესლიანი სიტყვა რომ არ მეთქვა, ძმა მეღუბებოდა.
 — მამიდაშვილო, აფხაზ კაცს სიკედილი ურჩევნია ლალატს.
 — შენ ასე ფიქრობ, ივაკი?!
 — სიმართლეს გეუბნები, პირველმა შენ გაუბზარე გული ასთამურს.
 — რაღა ექნა მე უბედურმა! — სასოწარკვეთილი მათე წყაროს პირას ჩამოჭდა და თავი ჩაღუნა...
- საბალახოებს ქვემოთ ქარი ქროდა. ხეები წელში იზნიქებოდნენ. ხანდახან მათ შუა სიცარიელე ჩნდებოდა და მაშინ მზის სხივები კაშკაშა ფერით გაიღვებდნენ ხოლმე.
- მათე თავაუღებლად იჯდა.
 ივაკის შეეცოდა მამიდაშვილი.
 — ასეა, ძმაო, უჩრდილო სიყვარულია გამძლე და ბედნიერი, თორებების ოხერი ეჭვის ბზარი კაცის გულს კი არა, აი, იმ მთებს გააპობს შუაზე.

* * *

თემშულ თარკილმა ასთამური თავის საღვანო ფაცხაში შეიყვანა.
 — თბილი რძე ასვით. არყით დაზილეთ! — ბრძანა მან და ანალგაზრდა მონადირე, ქალებს ჩააბარა.

იატაკი და კედლები ნადირის ტყავით იყო მოთარდაგებული — თემშუდ თარკილის ქალმეცილიც ჯიხვის ტყავგადაფსერმანი ჩატარდა. შეხედვისთანავე იცნო ასთამური ხიმურმა. მჭიდრი არა განთიადის უამს ცის ტატნობს ფრთას გაპკრავს და ალმურს მოუკადებს, ისე მოედო ალი სახეზე. „ალბათ მათეც აქ არის“, — გაიფიქრა და ოდნავ შემკრთალი წამოდგა. ყელმოლერებით, წყნარი და მსუბუქი ნაბიჯით წავიდა კარისაკენ.

ზღურბლს რომ გადააბიჯა, მწყემსებს შეეფეთა. ყველამ მოქრძალებით დაუთმო გზა. თავშეყრილთა შორის წამოძახილები ისმოდა.

— რა დაემართა ნეტავი?!?

— ზვავმა თუ ჩაიტანა!

— გაყინულია საწყალი ბიჭი.

— დაღლილი და გატანჯული ჩანს.

ხიმურმა წყნარად მოავლო თვალი ყველას. მაგრამ ვისაც ეძებდა, ვერ დაინახა. ოდნავ შეჩერდა, მერე თავი დახარა და წყაროს პირის კენ ჩაუხვია.

დიდხანს იჯდა წყაროს პირის ხიმური, იჯდა და მათეს სახე ელანდებოდა.

„მათე მარტო არასოდეს ნადირობს. წასვლის წინ თვითონ მითხრა, ასთამურიც მოდისო, რა დაემართა? ნუთუ დამღუპა და გადიოჩება!“ ქალს ცრემლი მოადგა.

— უშენოდ ერთ წუთსაც ნუ მიცოცხლია. — ჩაილაპარაკა. მისმა ჩურჩულმა წყაროს ზედაპირზე ჭავლები რგოლებად წამოშალა. ქალი წყალს დააშტერდა. რგოლები საყურის რკალივით ჩნდებოდნენ, ნელ-ნელა ფართოვდებოდნენ და თრთოლვით ქრებოდნენ. უცებ წყალში მათე გამოჩნდა: ცხენზე იჯდა, თეთრი დარიას ყაბალახი ისევე შვენოდა, როგორც პირველად ნახვის დღეს.

წარსულის გახსენებამ ააღელვა თარკილის ქალი. ლხინში, ზედ შერვაშიძის სასახლის წინ გაშლილ ტრიალ მინდორზე დოლი იყო გამართული. ვინ არ იყო მაშინ იქ: შერვაშიძეთა სასახლეს მარშანიების, გარდაფხაძების, ჩაჩების ოჯახები წვეოდნენ. ოქროვერცხლში დალესილი ქალ-ვაჟი ბედაურებს აჯიბრებდნენ. ქერქინქ მარშანიას ნაცრისფერმა კვიცმა გადარია შეკრებილნი. გოგმანით



იწყებდა და თანდათან, ქარიშხლის წინ ამოვარდნილი წევეზე უმატებდა სკლას.

თვალები სასახლის წინ, ფანჩატურს ქვემოთ იდგნენ, გლეხებს კი საყდრის გალავანში მიესვათ ცხენები. ვეება მინდორი ხალხით იყო საესე. მარშანიას კვიცმა ხუთი წრის შემორბენაში ყველა უკან მოიტოვა. ახლა ათი შემორბენისათვის ემზადებოდნენ ბედაურები. ხიმური ხედავდა, მარშანიას ნაცრისფერი ბედაური სხვა ცხენებივით კი არ ცქმუტავდა აღგილზე, დინჯად იღგა, მხოლოდ ლაგამს კვნეტდა და თვალებს აბრიალებდა. ისიც კარგად შენიშნა, როგორ შემოგოგდა ჭიშკარში ნესტოებდაბერილი ნისლისფერი ბახა კვიცი. იგი ერთი შეხედვით გარეულ ღორს უფრო წააგავდა, ვინემ ცხენს. ჯაგარივით სქელი თმა ზღარბივით აბუძოვდა პატარა და მრგვალ ტანზე. უცებ ხიმურის თვალებში ნაპერწკლებშა იეღვა, მხედარს დარაიას თეთრი ყაბალახით ჰქონდა თავი წაკრული. სწორედ ისეთით, როგორიც თვითონ ხიმურს ეხურა. ცხენზე ლალად იჯდა, წელი და ბეჭები არ ერხეოდა. ლაჯებშუა ამოკეცილი ნისლისფერივე ჩოხის კალთები მუხლებზე მიკრულივით ჩანდა.

ხიმური სწრაფად გამოეყო ხალხს და წინ წაიწია. მხედარი უდარდელი სახით მიაგელვებდა ცხენს და სტუმრებს ათვალიერებდა. ხიმურს რომ გაუსწორდა, მისკენ მოიხედა. ქალს ახლაც ქრუანტელი უვლის ტანში, მისი შეხედვა რომ გაახსენდება.

შეხედა თუ არა ხიმურს, ცხენისანს თვალები გაუფართოვდა, ქალწულივით გაწითლდა. უნებლივთ შუბლზე მოისვა ხელი. ხიმურმაც მონუსხულივით გაიწია მისკენ. მოსულმა სადაცე მოქაჩა და ცხენი ადგილზე გააშეშა.

— მე ხომ არაფერს მიბრძანებთ, ქალიშვილო? — ვაჟკაცის ხმამ ცეცხლი მოუკიდა თარქილს.

ხიმური დაიბნა.

— ცხენი მომეწონა, ჩვეულებრივს არ გავს.

მხედარი თვალის გახელის უმალ დაქვეითდა.

— ჰოი, თქვენი საჩუქარი იყოს, — რეტდასხმულივით თქვა და აღვირი გაუწოდა.

— ჰა, როგორ გეკადრებათ.

— ნეტავი მე შემხედოთ ასეთი თვალით, ჩემს თავსაც არ დავიშურებდი.

— ვითომ? — გამომწვევად აათვალიერა დაქვეითებული ცუკრის
ჩოხის კალთები კოჭებამდე უწევდა მოსულს და უფრთხოებოდა. ბრტყელი
და განიერი ბეჭები მძიმედ ირხეოდნენ ჩოხაში, ხოლო თვალები
სულშებერილ ნაკვერცხლებივით ბრიალებდნენ. ხიმურმა წამწამები
დასარა და უთქმელად გამობრუნდა. ვაჟი ისევ იმ ადგილზე დარჩა.

მალე ღოლი დაიწყო, ქარიშხალივით მიპქროდა დაწინაურებული
მარშანიას ბედაური, ნისლივით მსუბუქად მიყვებოდა გვერდი-
გვერდ ბაჩა-კვიცი.

წრის ექვსჯერ შემორბენის შემდეგ ის ყველაზე წინ იყო, ძალ-
ლონის დაუზოგავად ეშურებოდა ფინიშისაკენ.

მარშანია სირმის მათრახს სცემდა ისედაც ფიცხ ბედაურს. თან-
დათან დაგაბნა მისი ცხენი ბაჩა-კვიცმა და მინდვრის მეოთედ შემოე-
ლისას, უკვე ერთი რეალით გაასწრო.

— ის პატარა ცხენი თევზივით გვერდიგვერდ იყურება! — შე-
ნიშნა ვიღაცა.

— მხედარს შეხედეთ?! — გაითვა შერვაშიძემ, — როცა ცხე-
ნებმა სულ ახლოს გაუქროლეს, სუნთქვაც არ გახშირებია, წამწამ-
საც კი არ ახამხამებს. აი, ცხენოსანიც ამას ჰქვიან.

— ენ არის ნეტავი? — იყითხა შერვაშიძის ქალიშვილმა.

— თემშვას უფროსი ბიჭია, ქალბატონო, სვანი-ქალის, დაჯილის
ვაჟი.

ხიმურს გული გადაუტრიალდა. მიხედა, რომ თავადის ქალს
თვალი ეჭირა ბაჩა-კვიცის მხედარზე. მათემ კი ამ დროს ეკლესიის
გალავანთან მიაგდო ცხენი. მეგობრები შემოეხვივნენ და გამარჯვება
მიულოცეს.

— ცხენს შეხედეთ, ერთი ცვარი ოფლი არ დასჭენია! — გაით-
ცეს მოჯირითებმა.

— ჯიქის ძუძუნაწოვია, — გაიღიმა მათემ.

— რაო?! — ახლა კი ვერ შეიმაგრა თავი ხიმურმა. მათე მისკენ
შემოტრიალდა.

— კვიცი რომ იყო, ჯიქის ძუძუს ვაწოვებდით, ქალიშვილო!

— ჯიქი როგორ მიიკარებს კვიცს! — ხელები გაშალა ხიმურმა.

— ცოცხლად დავიჭირე დედა ჯიქი თავისი ბოკვერით, კვიციც
შეეჩინა, არც მე დაეუშალე.

შერგაშიძის ქალი ახლო მისულიყო და გაოცებული უკვედა.

— ჩვენ კი გვასწავლეს ჯიქი არ შინაურდებათ, — ნელა აჩვა
მან.

— შეიძლება ასეა, ქალბატონო, — ჩაფიქრებით გვიპატის უკვედა
მათე, — ალბათ შვილთან ერთად რომ შევიპყარ, ამან დააოკა, ძუ-
ძუს საწოვრად ბოკვერთან ერთად კვიციც მიუშვა. მის თვინიერებას
კი ვერც ახლა დავიქადებ, რეინის პალოზე მიბია ჯაჭვით.

იმ ღამით თვალი ვერ მოხუჭა ხიმურმა — შერგაშიძის ქალის
გამჭვალავი თვალები ელანდებოდა. ვერც მეორე ღამეს დაიძინა
გულდამშვიდებით. მამამ დაღონება შეატყო ერთადერთ ასულს.

— ავად ხომ არა ხარ, გოგო!?

ხიმური შეცბა. მამას მხრებზე მოეხვია.

— არა, მამა, ცოტა უგუნებოდ შევიქნი.

— საძოვრებზე ავიდეთ, შვილო, გოგში, მთის ჰაერი მოგიხდება.

ხიმურს შეეშინდა. იფიქრა, ვაითუ წამიყვანონ და მათეს მთელ
ზაფხულს ვერ ვნახავო.

— ვერ წამოვალ, დედას ვერ მივატოვებ.

სწორედ ამ დროს ჭიშკარი გაიღო და მათეს ქმამ, ასთამურმა
პატარა ჯიქი შემოიყვანა.

— ჩემმა უყროსმა ძმამ მოგიძლვნათ, — წყნარად თქვა და
ხიმურს შეხედა.

თარკილის ქალიშვილი სიხარულით თითქოს ცას ეწია.

— მობრძანდით, — არ დაიბნი იგი, მოსული სახლში შეიპატიყა.
გაოცებული მამა ჩაფიქრებით მიუძღვოდა სტუმარს. მიხვდა ძველი
მეგოგე, მათეს საჩუქარი რაღაც მნიშვნელოვანს მოასწავებდა.

დიდი პატივით მიიღო ასთამური ოჯახმა.

ხიმური თავს ევლებოდა. მეორე დღეს უმცროსი ძმა მათეს თარ-
კილების უხევ მასპინძლობაზე უამბობდა.

დალალები კოჭებამდე უღელავსო, — ქება-დიდებას ასხამდა სარ-
ძლოს და ძმას ეშმაქურად უღიმობდა...

მას შემდეგ არა ერთხელ მოუსმენია ნიავს მათეს მკლავზე და-
ყრდნობილი თარკილის ქალის ჩურჩული. ახლა კი წყაროს თვალში
უყურებდა ხიმური თავის გულისტოლს.

— არა, ასთამურს უნდა ვკითხო! — გადაწყვიტა მან და კარვის-
კენ წამოვიდა.

გონწასული ასთამური შფოთავდა; ზღურბლზე გადაბიჯა თუ არა, ხიმურმა მის ბოლვას მოპერა ყური.

— ტყუილია, არ მჯერა. შეუძლებელია, გაგივდა... — ერთშემსრული ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

— იწვის უბედური. — ჩაიჩურჩულა ხიმურმა, თაგსაფარი დაასველა და ავადმყოფს შუბლზე დააფინა.

ასთამური ერთ ხანს გაინაბა, გაყუჩდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ აფორიაქდა და უფრო ხმამაღლა აყვირდა.

— რა თქვი: როგორ გაბედე! ოჯახი შეარცხვინე! არა, ტყუი ვერაგო, შუქწიარა არ მიღალატებდა, ძმა კი არა, გველი ყოფილ-ხარ!.. ეს შენ დასწამე ცილი ჩემს ცოლს.

ხიმურს მუხლები უკანკალებდა.

— გაგივდა, სიცხემ გააგიყა. რა ვქნა, მათეს რა ვუთხრა! — სიმურია ხელებს იმტკრევდა ხიმური.

— არაა! — ახლა ისე დაიყვირა ავადმყოფმა, რომ კარავი შეზანზარდა — მაშ, გვატყუებდი ხიმური მიყვარსო, თვალს გვიხვევ-დი მეც და დედასაც არა? არ დაგინდობ, დილამდე როგორმე გავ-ძლებ და მაშინ ნახე შურისძიება!

თავისი სახელის ხსენებაზე ხიმურმა უკან დაიხია.

— ღმერთო ჩემო, ეს რა გავიგონე! ეს რა წამოროშა ასთამურმა. აქ რაღაც სხვა ამბავია! — გონის მოსაქრებად კედელს მიეყრდნო, ლოყები გაუყვითლდა, ათროთოლდა.

— არა, მათე ჩემ სიყვარულს არ უმტკუნებს! — გულდაჯერებით თქვა და გარეთ გავარდა, უცებ კარს უკან მიყუდებულ ურდულს წამოედო და მუხლზე კაბა ვალინია. ხიმურს ეს არც გაუგია, ხმაურით გამოაღო კარი და მთებს გახედა. მწვერვალებსა და საძოვრებს შუა მზის სხივები თვალისმომჭრელად იბნეოდნენ. თეთრი მწვერ-ვალები პირქუშად აზიდულიყვნენ.

— სად წავიდე, როგორ მივაკვლიო? — თრთოლვით ჩაილაპარია ქალმა.

— ხა, ხა, ხა! მოკვდი, უბედურო! — ისევ დაიღრიალი ასთამურმა.

ხიმური შემობრუნდა.

“უნდა გავალეიძო, გამოვკითხო!” — გაიფიქრა და კარავში შევიდა.

ასთამურს ცალი ხელი საბნიდან გამოეყო, შებლზე ოფლრა წევ
თები დაპყრობა.

— ასთამურ! ასთამურ! — ჩასძახა ქალმა ავადმყოფს. ეკანკალები
პული ასთამური წამოვდა და უაზრო თვალებით მიაჩერდა.

— მითხარი, რა დაემართა მათეს? — შეევედრა ხიმური.

ასთამურმა ხმა არ ამოიღო. ისევ გარინდებით მისჩერებოდა ქალი-
შვილს.

— ჰა, შენ ხარ, უბედურო?

— უბედურს რატომ მეძახი, ასთამურ?

— განა შენ არ გიყვარდა ის დაუნდობელი კაცი?

— ვინ არის დაუნდობელი?

— ვინ და ჩემი ძმა, მათე.

ქალი მივარდა და ხელებზე მოეჭიდა.

— გარევევით მითხარი, გული ნუ დამილიე.

— რა გითხრა, ჩემთ დაო. ორივეს გვიღილატა, ორივე დაგვლუპა.
შეუქარისა შეუვარებია.

— ტყუილია! — ამოსკდა ქალს გულიდან. — სიცხე გაქცეს და
ბოლავ.

— თვითონ თქვა, თარკილის ქალო, ჩემი ყურით გავიგონე.

— ტყუი, საზიზღარო! — ხიმურის თვალები ახლა მრისხანედ
კიაფობდნენ.

— ნეტავი მართლაც გავგიებულიყავ, ბეღნიერ კაცად ჩავთვლი-
დი თავს. — ასთამურს ცრემლები წასკდა.

— გიუმა კაცმა ცრემლი არ იცის, — გაახსენდა მამის ნათქვამი
ქალს.

— სად არის მათე ახლა? — ამოიკვენესა.

— განდაბას, მეწყვერს მისი თავი. ნურაფერს მკითხავ. ის უკვე
ჩემი ძმა აღარ არის.

გაღებულ კართან ნიავმა დაჭეროლა და ქალს მუხლისთავზე
გახეული კაბა აუფრიალა.

— ნუ მომკალ, გარკვევით მითხარი სათქმელი.

ასთამურმა ტირილი შეწყვიტა. თვალები ნაკვერცხლებივით
უელავდა. ხიმურს დაუინებით მისჩერებოდა. თარკილის ქალს არ
მოეწონა მისი ასე უცებ შეცვლა. ვაჟის მზერას თვალი გააღვენა და
მუხლზე დაიხედა, შიშველი მუხლისთავი თეორად უელვარებდა.
სახეოლეწილი, გველნაკბენივით წამოვარდა.

— ფუი, შენ ქმობას! თვითონ ვერაგი და უნდო კოჭილიარ. განა
მე არ ვარ შენი სარძლო? მათე კი, ჩემი მათე საძმოდაც კაცია და
საქმროდაც შეუცვლელია, იცოდე!

იგი გარეთ გამოვარდა. კარვის სვეტზე დაკიდებულ ნახადა და
ყაბალას ერთად წაატანა ხელი, მერე შეჩერდა, გარემოს თვალი
მოავლო და ბალახზე მიშვებული ცხენისაკენ გაიქცა. ენა-
ჩავარდნილი ასთამური ერთ ადგილზე გაშეშდა. თვალთა ელვარება
ჩაუქრა, სხეული მოუდუნდა, ნერწყვი გაუშრა, ხმა ვერ ამოიღო,
რაცრაცით მიაღდა კარს. ხიმური ცხენზე ჭდებოდა.

— არ წახვიდე, ხიმურ, ვფიცავარ, შენთვის უნამუსო თვალით არ
შემიხედავს, გოგო!

*

* * *

ცასა და მაღალ მწვერვალებს შორის ბაღრი მთვარე ისე მიცუ-
რავდა, თითქოს უნდოდა ეთქვა, — აბა, შემომხედვეთ და დატებით,
განა ქვეყნად ჩემზე ლამაზი, ჩემზე მშვენიერი რაიმე ვინახავთო?
ლამის სიწყნარეში მის სხივებს მოევერცხლათ ცის თაღში შეტყორ-
ცნილი მყინვარწვერი, მთები, ზღვები და მინდორ-ველები, მხოლოდ
დაჯილის ფაცხის წინ, ცაცხვის დიდ ტოტებქვეშ ვერ ჩაეღწიათ.

ჩაბნელებულ ხის ძირას ორი ლანდი ჩურჩულებდა.

— მამიდაჩემო, თუ გიყვარვარ, დრომდე არაფერი მეითხო, მათე
ამაღამვე უნდა წავიყვანო სვანეთში, საქმე მაქვს.

— ხომ ცოცხალია, ბიჭო!

— ცოცხალიც არის და განზედაც.

— ასთამური სად არის?

— თარკილებთან დარჩა, საძოვრებზე.

— ხომ არაფერი უჭირს?

— არა, ისიც კარგად არის.

— დედას არაფერი დაემალება, ივაკი!

— ხომ გითხარი, მამიდა, მათე აუცილებლად ჩემსას უნდა
წავიყვანო-მეთქი.

— შენ რა გაგიჭირდა, რატომ მიმალავ?!

— მალე გაგაგებინებ, ახლა ჩემს თავს გაფიცებ, არაფერ
მკითხო.

— ცოტა ჩემსკენ მოიწი, — დაჯილმა ძმისწულს ოგალებზე
მოუსვა ხელი.

— ცრემლი არა გაქვს, მაგრამ გეტყობა თვალები გიხურს, ბიჭო!

— მამიდა, შენთვის ოდესმე ტყუილი მიკადრებია?

— არა, მაგრამ ცუდი სიზმარი ვნახე ბიჭებზე.

— ხომ დავიციცე, ორივენი ჯანზე არიან-მეთქი.

— კარგი, წაიყვანე, დამილოცნიხართ. იცოდე კი, სანამ თქვენ
ამბავი არ გავიგებ, დავილევი.

— თუ იდარდებ, ამაღამვე ჩამოვიყვან ორივეს.

— არა, თუ გჭირდება, შენი ძმები არიან და წაიყვანე, ოლონდ
სახითათო არაფერი ჩაიდოთ გულში.

ივაკიმ ფრთხილად გადმოიყვანა ცხენი, ჭიშკართან მამიდას გადა-
ეხვია და ისევ მთებისაჟენ გასწია.

— რახან კარგად არიან, ალარაფერს დავეძებ. — ჩაიჩურჩულა-
დაჯილმა და ჭიშკარი მიხურა.

*
* *

მათე მომჯობინდა, სვანეთის ჰერმა, ივაკის მზრუნველობამ და
ახალგაზრდულმა ჯან-ლონემ თავისი გაიტანა. მხოლოდ ის აფიქ-
რებდა, რომ ხიმურის არაფერი ისმოდა. აგერ ორი კვირა გავიდა და
აფხაზეთიდან ამბავი არ მოსდიოდა.

— თუ ჩვენი ამბავი გაიგო, დავილუპე, — ეტყოდა ბიძაშვილს.

— არ ვიცი, — დაიბუნებდა ივაკი, — ნეტავი მეც არ გამეგო
და მოგმვდარიყვავი.

— თუ შეიტყო, რა მომელის, ივაკი?

— არც ეს ვიცი, ვერაფერს გეტყვი.

— უიმისოდ ვერ ვიცოცხლებ, იცოდე.

ივაკი შუბლს შეიკრავდა, ხანჯალზე ვეება ხელებს დაიწყობდა
და მხრებს აიჩეჩდა.

სვანეთში რამდენი კოშკია, იმდენი გზაა. ყოველი გზა კოშკის
ძირას თავდება. ერთ დილას ივაკიმ ორი ცხენოსანი შენიშვნა. ისინი
ბოგირზე გამოვიდნენ და ჭენებით წამოვიდნენ ზევით.

„ვინ უნდა იყვნენ ნეტავი?“ — გაიფიქრა და მათეს უხმო.

- ხიმური და დედაჩემია! — გაიოცა მათემ და ფერი ეცავლა.
ცოტა ხნის შემდეგ ცხენოსნები კოშკის ზღუდეს მოადგინ.
- კარი გაულეს. დაჯილს მათესთვის არც კი შეუხედავს. ბირთამას
ივაკის ეცა პირში:
- ჩემი ოჯახის მტერი ხომ არ იყავი, ამხელა უბედურება რომ
დამიმალე?
- ივაკი შექრთა, მაგრამ არ დაიბნა.
- ჭირს დრო აქარვებს, მამიდაჩემო, მეც ასე მინდოდა მისი
განელება.
- ტყუილია! — დასჭირა დაჯილმა, — ასეთ ჭირს დრო უფრო
აღრმავებს და საქვეყნო ჭირად ხდის.
- ქვეყანა რა შუაშია, დედაჩემო! — ბორძიკით წაილულლუღ
მათემ.
- გონება დაგბნელებია, შვილო? განა ოჯახის შერცხვენა ქვეყ-
ნის ჭირი არ არის?
- ასთამური იღუპებოდა, დედი!
- გაჩუმდი, შერცხვენას სიკვდილი არ სჯობიან?
- ხიმური ჭერ გარინდებული უგდებდა ყურს დედა-შვილის საუ-
ბარს. დარაიას თეთრი ყაბალახიდან დალალები გადმოსცვენოდა, ნა-
ბადიც დარღიმანდულად მოესხა.
- მე რას მეტყვი, მათე? — იყითხა შემდეგ და დალალები ხელ-
ში ისე აკრიფა, თითქოს ამით აპირებდა წაქცევისაგან თავის შემაგ-
რებას.
- შენ? — დააბნია მათე თავზარდამცემმა კითხვამ.
- ჰო, მე, მე, რას მეტყვი?
- რა უნდა გითხრა, თუ არ გამწირავ, დლესვე ჭვარს დავიწერ.
დაჯილმა ამინიჭნეშა. ხიმურს თითქოს არც გაუგონია.
- მერე გულს რას ეუბნები?
- რა თქვი?! — გაიკვირვა მათემ.
- გულს რას ეუბნები-მეთქი?!
- მე ისევ მიყვარხარ, მე ისევ შენ...
- ტყუი! — გააწყვეტინა სიტყვა ხიმურმა. — თუ ერთი უ-
ვარს, განა პატიოსანი კაცი მეორე აღამიანს ეტყვის ამ სიტყვას?!
- არავისთვის მითქვამს მიყვარხარ-მეთქი.
- ხომ თქვი, შუქზარა მიყვარსო?!

ქალიშვილი მოულოდნელად ცხენს მოახტა, კაბის კალთა
ისევ აფრიალდა და ქათქათა მუხლმა ელვასავით მიანათა
მათეს.

სიმურმა უნებლიერ დაიფარა ხელი შიშველ სხეულზე დაცული გარემონტის
დან მათეს ჩამოახდა.

ვაჟი მისკენ არ იმზირებოდა, იგი ახლა დამბლადაცემულივით
იდგა, თვალებში სიცოცხლის ნიშანწყალი არ უკიაფებდა.

„არ გადარჩება!“ — გაიფიქრა სიმურმა, ცხენს ქუსლი ჰყრა და
წავიდა. — „ღმერთო შენით და, მის ფიქრს სინათლე აკლია, ნის-
ლიანი კაცი ყოფილა. ასეთები ძმასაც გულს მოუკლავენ და თავსაც
დაიღუპავენ“. სიმურის ცხენმა ბოგარი გაირჩინა და კლდეზე გაჭ-
რილ გზას დაადგა.

ზემოთ ჩამიჩუმი არ ისმოდა.

არც კოშკიდან გადმოუხედავთ და აღარც მას გაუხედია იქით.



ამირანის ძობილი


ქარიშხალი ცასა და მიწას აზანზარებდა; კავკასიონის მწვერებულები ამ ორომტრიალში თითქოს იზნიქებოდნენ. ჩაბნელებული ხევები გულნებდნენ. ხანდიხან გაიელვებდა და მაშინ ერთი წუთით განათებული ქვეყანა დაღუპვის პირზე მისულსა ჰგავდა. ელვის სანათლეზე მოჩანდნენ მწვერვალთა ვეება შავი ჩრდილები, ჩაღამებული უფსკრულები, აღელვებული მდინარეები. მლვრიე ღრუბლება ერთმანეთს აბობოქრებული ზღვის ტალღებივით ეჯახებოდნენ და ისევ იმალებოდნენ. მათ შუა მომწყვდეული მთათა წვერები განწირული გემებივით გამოჩნდებოდნენ ხანდახან.

პიტალო კლდის კალთაზე, გამოქვაბულის პირას ბრგე ჭაბუკი იდგა. მისი ნახევრად შიშველი ტანი მხრებიდან მუხლებამდე ნაღრის ტყავით იყო დაფარული, ცერის სიმსხო წვიმის წვეთები შხაბუნით სცემდა ბეჭებსა და თავ-პირზე.

— შემოდი, ბიჭო, — ეხვეწებოდა ნაბადში გახვეული დედაკაცი, — ხომ ხედავ, თავსხმაა, ავად გახდები.

— მაცალე ჟედი, ცოტა კიდევ მინდა ვუყურო ქვეყნის ბუბურაზობას. აი, შეხედე, როგორ გაიელვა, — შეიძლება მეხმა იმ მაღალი მთის წვერს დაპკრას.

მართლაც, ცა ისევ გაიხსნა, უზარმაზარ მწვერვალს ვეება ირბოძალა შუბივით ჩაუქროლა ელვამ, დიდი სიძლიერით დაიჭახუნა და სანამ სინათლე კვლავ ქვეყნის თავზე გადაივლიდა, დედა-შვილმა



თავისი თვალით დაინახა ოოგორი ხრიალით და ზათქით შთანთქმული უფსერულში ნამებარი კლდე. ზვავად წამოსული ნამსხვრევი ჩდეგია თუ ნარესავით დაეშვა დაბლა.

— შინ შემოდი, ბიჭი! — ახლა ბრძანებით უთხრა დედამ შვილს და ძალით შეიცვანა გამოქვაბულში. ავთო-ბიჭი გამოქვაბულის კედელს მიეყრდნო, თვალი კი მაინც გარეთ დარჩა, მერე კედლიდან მშვილდ-ისარი ჩამოიღო და ლრუბლებისაკენ მიმართა. ისევ გაიელვა. ჭაბუკის ვეება სხეული ქანდაკებასაგით გამოიკვეთა. სანამ ელვის შუქი ჩაქრებოდა, ისარმა მიმართულება შეიცვალა და ხევისაკენ ჩაქანა. ავთო-ბიჭს არ მოეწონა თავისი სულელური ქცევა და მწარედ გაიღიმა.

— ნეტავი მას, ვინც ამ ელვა-მეხს დაიმორჩილებს, — ფიქრობ-და თავისთვის, — აი, კაციც ის იქნება. ჩემი ძმობილი ჯან-ლონით სავსე კაცია, მაგრამ რა მერე?! მეხი რომ წამოეწიოს და დაპკრას, მასაც იმ კლდესავით დაფშვნის და ხევში ჩახვეტავს. თუმცა, ამბობენ, ნათლია არ გაიმეტებსო! ნეტავი, ნათლიამისი მართლაც ქვეყნის მპყრობელია, ყველაფერი მას ემორჩილება? ერთი თვალით მაინც დამანახვა?


— დედი, — მიუბრუნდა დედას, — ამირანი დღეს აქეთ არ ყოფილა?

— არა, შვილო, არ ყოფილა. მის გზა-კვალს ვინ გაიგებს. დღეს რომ აქ არის, ხვალ ქვეყნის მეორე კიდეზე გადაინაცვლებს. რაც ის ყურშა ძალლი ჰყავს. სხვა კაცად იქცა, გაუჩინარდა, უხილავი გახდა. ავთო-ბიჭმა ამოიხვენეშა.

— კარგი კაცია ჩემი დიდი ძმობილი. ქვეყნის ჭირ-ვარამს ეძებს. ხალხის ტკივილებს აყუჩებს, ჩვენ წუხილს თავისად გრძნობს.

— რა მერე! — გაგულისდა დედა. — რაში გვშველის მისი გულეკეთოლობა. ჩვენ მაინც გვიჭირს, სიცივით გვაკანკალებს. რაც ჩრდილოეთისაკენ წამოვედით, სხეული ვერ გაგვითბია.

ისევ გაიელვა, ამღვრეულ ლრუბელში კვლავ გაფართქალდა ცეცხლის ვეება შუბი, ისევ შეზანზარდა ქვეყანა და გამოქვაბულის წინ მდგარ დიდ მუხას რისხვით დაეგახა. ერთ წუთს დაბნელდა, სამყარო გაირინდა და მერე, დედა-შვილის გასაკვირად, მუხას უცებ ცეცხლი მოედო. ჭერ გარშემო ჩველაფერი განათდა, შემდეგ გამო-



ქვაბულში სითბო შემოვიდა და უამინდობით გაუქმდებოდა და შვილი თავისკენ მიიზიდა.

აბრიალებული მუხა ხევისპირს გადასცემოდა. ალი მაღლა მიიწევდა და მის სინათლეზე გაღმა გამოქვაბულებიც გამოჩნდა. გაო... ცებული, ნახევრად შიშველი ადამიანები ხევგალმიდან შიშით შეკურებდნენ ალადქცეულ მუხას. ხანძრის ახლოს სიცხემ იძატა კლდის ნაპირებს მიაფიცხა და პიტალო ნაპრალების გარშემო ორთქლი დააყენა.

— ჰაუუ, — მოისმა ქალიშვილის ხმა გაღმიდან, — ავთო-ბიჭო, ცოცხალი ხარ?!

ჰაბუკი ამ ხმამ გამოაფხიზლა. სიამე იგრძნო.

— ცოცხალი ვარ, ცოცხალი, აქეთ მოდი, მზეონა! შეხედე, ჩეენ ბებერ მუხას ცეცხლი მოეკიდა, მოდი, გოგო, გაგათბო!

— მოვდივარ, მოვდივარ.

ავთო-ბიჭმა ცეცხლის შუქზე კარგად დაინახა, როგორ დაეშეა მზეონას ლანდი ზემოდან, როგორ გადმოირბინა ხევზე გადებულ წაბლის გატოტებული ხე და ხტუნგა-ხტუნვით წამოვიდა გამოქვაბულისაკენ.

— ნამეხარმა ხემ მეხის ხელმეორედ მიზიდვა იცის, ახლოს ათ მიხვიდეთ! — გააფრთხილა დედამ და ხელი რომ არ შეეშალა ქალვაჟისათვის, გამოქვაბულში მოეგებულ ხმელ თივაზე მიწვა.

— მოდი, მზეონა! — შეეგება ჭაბუკი.

ქალიშვილი, რომელსაც დაუკარცხნელი ნაწნავები წელს დაბლა ჩამოშლოდა, ნდობით მოეხვია, ლოყა ლოყაზე მიადო და ჩაუჩურჩულა:


— გამათბე, ავთო-ბიჭო, გამათბე, შენს ახლოს ყოველთვის თბილა, სულ კარგია, ყოველუამს სასიხარულოა. — ბიჭმა ხელში აიტაცა.

— რა ლამაზი ხარ, მზეონა, როგორი პატარა გული გაქვს და მარდი ფეხები! — მის მქერდზე ატატებულ მზეონას თმები გადმოეშალა და ავთო-ბიჭს წვივ-მუხლი დაუფარა.

— რა რბილი თმები გაქვს, — რა კარგი ტანი გაქვს; აბა, მომეხვიე, ცეცხლს მიგაფიცხებ, კარგად უნდა გაგათბო.

— ძალიან ახლოს არ მიმიყვანო, დავიწვები, — სიცილით ამბობდა ჭაბუკის მელავებზე გადაწოლილი ქალიშვილი.

გადაიკარა. ცეცხლი ისევ ბრიალებდა, გამოქვაბულის პირი ნელ-



ნელა გაცხელდა, კლდის გავარვარებული ფლატე ალაგ-ალაგ დაა-შალა. ხევში ცხელმა ნამსხვრევებმა დაიწყო ცვენა.

დედამ თივის ბულულები ქვაბის პირას მიაჩინა, მშრალ და დღიურის ზე დააგო და ქალ-ვაჟს დაყვავებით მიმართა:

— წამოწექით, თივაც გაგათბობთ და ცეცხლიც.

ავთომ დედას მადლობის თვალით გადახედა, მზეონა თივაში ჩასვა და თვითონაც გვერდით მიუწვა.

— ოჯ, ასე რა კარგია! — გაუცინა ქალიშვილმა.

ქარმა ისევ დაუბერა, ჭერ დანაკვერცხლებულმა ტოტებმა დაიწყეს ცვენა, მერმე ალმოდებული მუხაც გადატყდა და თავისივე ფესვებთან ლაწანი მოადინა. ხმელმა დერებმა ტეატრული ააყენეს; ჩინჩხლი ცაში ავარდა, ალმა იმატა და ახლა უფრო ბრიალა ცეცხლი გაჩნდა.

თივაზე გაწოლილი ქალ-ვაჟი გაკვირვებული მისჩერებოდა აბრძლვაალებულ ხეს.

— თივის ბულულში ნაკვერცხალი არ ჩაგივარდეს, — ისევ მოისმა დედის გამაფრთხილებელი ხმა.

არც ერთმა არ გასცა პასუხი. ჭაბუებმა წელზე ლვედით ჩამოკიდებული კაჟის სატევარი მოიხსნა და წინ დაიდო.

— ჩვენი სატევარი! — მოეფერა იარალს მზეონა.

— ამან გადაგვარჩინა იმ დღეს.

— ამიტომ მიყვარს იგი.

— მაგარი ეშვები ჰქონდა; ზურგზე შეკდომა რომ არ მომესწრო, გამათავებდა.

— მე ხეზე ვიყავი, მაგრამ მაინც დავინახე, როგორ უფატრავდი კისერს ამ სატევრით.

— სქელი ქონი ჰქონდა. ძლივძლივობით გადაგჟერი ყელი. ბარძაყზე მაინც გამკრა ეშვები.

ჭაბუქს წელს ქვემოთ, სწორედ იქ, სადაც ტყავის საფარი თავდებოდა, ცეცხლის შუქზე ნაიარევი მოუჩინდა.

— ჸო, როგორ შემეშინდა! მეგონა ვერ მოერეოდი. ისე ხროტინებდა, ტყეს ზანზარი გაპქონდა. კინაღამ გადმოვვარდი ხიდან. დიდი ტახი იყო, ჭაგარი სავარცხლებად გამოდგებოდა. ხომ გახსოვს როგორ ჩაგეფშვნა ხელში კაჟის დანა.

— სუსტი ქვა გამოლგა, ხოროში, უძარლვო.

— ეს კი მაგარია, — ისევ მოეფერა მზეონა სატევარს.
შუაღამე გადავიდა. ალმა თანდათან იყლო, მშენებელი
პეტრებლდა, ცის ტატნობზე შუქმა იმატა.

— ერთი იმას შეხედე! — გაიდვირვა ავთომ და წამოდგა. ათო-
თორმეტი წლის თვალებბრიალა ბიჭი ხევის პირას კლდეზე გადა-
მჯდარიყო და ნაკვერცხლებს მიფიცნებოდა — მთელი ღამე არ ეძი-
ნა ამ ჭინჯას, ალბათ ცეცხლი გაუტკბა.

— აქეთ მოდი, გამოქვაბულში! — დაუცაცხანა მზეონამ ბალდს.
გათამამებული ბიჭი ხტუნვა-ხტუნვით წამოვიდა მათკენ. თივაში მარ-
დად ჩახტა და ქალიშვილს მიუწვა. გაბურდგნული თმები და დახეთ-
ქილი, დამწვირული ფეხები ცეცხლისაგან ისე გაფიცხებოდა, რომ
წვივებზე მიგლესილი ტალახიდან ოშიგარი ასდიოდა.

— ავთო-ბიჭო! — დაიწყო ყმაშვილმა, — იცით, რა ვნახე? მუ-
ხის ფესვიდან ცეცხლის მდინარე გამოვარდა და ხევში ჩაიქცა. —
მერე ოდნავ ჩაფიქრდა და განაგრძო: ყველა კი არ ჩაქცეულა, ნახე-
ვარი გაშავდა და მზეონას ნაწნავივით დაეკიდა კლდის პირს. ისე
გაცივდა და გამაგრდა, ახლა კლდეზე უფრო მაგარია. შენს სატე-
ვარსაც კი დაფშვნის, რომ შემოჰკრა.

— იქ, — გაიცინა ავთომ, — ჩემმა სატევარმა ტახის კბილები
გადაამტკრია.

— მერე რა! — მე ვცადე, კაჟის დანები მოვუქნიე, ყველა და-
იფშვნა, თუ არა გჯერა, თვითონ გასინჯე.

სამივენი წამოდგნენ. დანაკვერცხლებული მუხის ძირიდან გა-
ვარებული ზოლი ქვევით მიიქლაკნებოდა. ისე ბზინავდა და ალაგ-
ალაგ ისეთ ლურჯ ალს აყენებდა, კაცს თვალს მოსჭრიდა.

ყმაშვილმა, რომელსაც ხალიბას ეძახდნენ, ჭოხს ხელი წაავლო
და გავარებულ ნაკადულს ღონისერად ჩაჰკრა. ჭოხი ისე რბილად
ჩაეფლო შიგ, როგორც ტალახში და უცებ წვერზე ცეცხლი მოედო.

— ახლა აქეთ მოდი, — ხალიბამ კლდის პირისაქენ გაიწია. რო-
გორც კი შავად მბზინავ ნაწილს დაჰკრა, ჭოხი. იმ წუთსვე გადა-
უტყდა. ნატეხები აქეთ-იქით გადაცვივდა, ავთო და მზეონა გაოცე-
ბული შესცემროდნენ უცხო ნაკადულს. ახლა ავთო-ბიჭმა წაიწია
წინ, სატევარი გავარებულ ადგილზე მოქნევით შემოჰკრა და ეს
ვიწრო ნაკვერცხლის მდინარე ფიჭვივით გადაკვეთა. ქვის სატევარს
ფხა გაუსინჯა. იგი ისევ ბასრი იყო. ავთო-ბიჭმა უთქმელიდ გასწია

კლდის პირისაკენ. ხევის გადასახელს ვაჟკაცის მკლავის სიმშხო შავი ღვლერჭებივით რაღაც გადაჰქიდებოდა. გარშემო ტალახი, რა ზოგ შორი მიწა მიეკრა და მუხის ფესვს ჰევდა.

— ახლა მაგას შემოჰკარი ავთო-ბიჭო! — შეაქეზა ხალიბამ. კა-ბუქმა მონდომებით მოიქნია კაეის სატევარი და ვაი სირცხვილო! ხელში მარტო ტარი შერჩა, — იარაღი ხმელი ტალახივით დაიფშნა. ნამსხვრევები ხრიალით ჩაცვიდა ხევში.

გაფითრებულმა მზეონამ შეჰქივლა. ავთო-ბიჭმა დანაწებით და-ხედა დამსხვრეულ სატევარს და უცნაურ ღვლერჭს დააკეირდა. სა-ტევრის დანაჯრავი ახლა სხვანაირად ელავდა. ხელი მოჰკიდა და სწრაფად უკან გამოსწია.

„ისევ ცხელია“, — გაიფიქრა და დამწვარი თითები სეელ მიწას დააღო. დანაშულმა, ხოშორმა მიწამ ტყივილი დაუამა. ქარი ისევ უბერავდა, ღრუბლები დაითანტნენ, განთიადი ახლოვდებოდა.

გამოქვაბულის პირზე დედა გამოჩნდა, ავთო-ბიჭს მწუხარე ნაო-ჭი შენიშნა შუბლზე და შეშინებულმა ჰკითხა:

— რა დაგემართა, შვილო, ხომ არაფერმა დაგაშავა?

— აი, ამან უკბინა, — უჩვენა ხალიბამ ხევის პირზე ვაზიეთ გადაცოცებული, ფერშეცვლილი, უცნაური საგანი. დედა გაოცებით დააჩერდა მას, მერე უკან შებრუნდა და ბზის ვეება კეტი გამოიტანა. ერთ ხანს კიდევ აკვირდებოდა, მერმე მოელი ძალ-ლონით ასწია და დაპკრა.

ბზის ჭონი მოხრილ ადგილს მოხვდა და დაიმსხვრა. ნამსხვრევე-ბი მძიმედ ეცემოდნენ ხევში ჩაკიდულ კლდოვან ფლატეს და უჩ-ვეულოდ ედარუნებოდნენ.

ყველამ იქით გაიხედა. ერთი ნატეხი ყრუდ დაეცა წყლის ნა-პირზე.

ავთო-ბიჭმა არაფერი თქვა. სირბილით წავიდა ქვემოთ. ყველანი გამოედევნენ.

— არ მიეკარო, ისევ დაგაშავებს, — შეჰქივლა მზეონამ.

ხევის პირზე ჩასული ავთო-ბიჭი ახლა დაუინებით დასცექეროდა უცნაურ ნატეხს. მაინც გაბედა და ხელი წაავლო. იგი მღინარის ტალღას გაეცივებინა და ახლა აღარ წვავდა ხელს. დამწვარ თითებზე სიგრილე ესიამოვნა კიდეც.

ასწია, სახე დაელრიცა, მეტად მძიმე აღმოჩნდა. ორივე ხელით
ჩაბლუჭა და წყლიდან ძლიერ ამოათრია.

— ამიმდიმე არაფერი მინახავს. — გაიკვირვა მისი შეკრიცეულ
მოითმინა და ხელი სტაცა. თითები სწორედ იქ შეახო, სადაც კავის
სატევრის კვალი ჩანდა. შეუეფილი ნაწილი ბასრი აღმოჩნდა. გადა-
სერილი თითიდან სისხლმა იფეთქა.

— ჰო, რა მახვილი პირი აქვს! — დაიკვნესა მზეონამ.

ნელი-ნელ გადაყრილი ლრუბლებიდან მზემ გადმოიხედა, ხეეში
ნისლი აბერტყა და ქვეყანას ყველა სხივი ერთბაშად მოატინა. ნაა-
ღრალმა ბუნებამ პირდაბანილი ბაშვივით ცოცხლად გამოიხედა.

ავთო-ბიჭმა მხარზე შეიგდო ნაპოვნი და მძიმედ წამოდგა. ზევით
კიდევ ღვიოდა ნაკვერცხლები. ვარევარა ნაკადულს ახლა სულ შეეცა-
ლა ფერი, — გაშავებულიყო. ჭაბუქმა მხერიდან ტვირთი გადმოაგდო.
ცივი ლითონი ცეცხლს დაეცა, გადაკვეთა და ერთი ნაწილი მოამტ-
ვრია, — ვაკ, ცივი რა მაგარი ყოფილა, ცხელი კი ფიცვივით რბა-
ლია! — ბრიალა თვალებით დააჩერდა ნატებს. ეტყობოდა, რაოც
გაიაზრა, ცხელ, ღადღადა ზოლს ხელმეორედ დაარტყა ცივი ლითო-
ნი. მოისმა რბილი და მძიმე ხმა. ყოველ დარტყმაზე ნატები სხვა
ფორმას იღებდა. როცა ხელში აიღო, ყველამ დაინახა, რა ფხიანი და-
ნის პატრონი გამხდარიყო ავთო-ბიჭი.

— ერთი მოქნევით მოვკლავ ლორს. — გახარებულმა ჭაბუქმა
ტაში შემოპერა.

ღორლი გადაღმა ხევს იქით სრიალით დაეშვა და გუგუნით ჩა-
ნარცხა. ყველამ იქით გაიხედა.

— ვაიმე, დარისპანი მოდის, — შეშფოთდა დედა.

გორაკზე თმაგაბურძგნული კაცი გადმოდგა. დაგრეხილი კუნთ-
ბი და ვეება ბეჭები მის ღონეზე მეტყველებდნენ. მხარზე გადებული
ჯოხის წვერზე მშვილდივით მოკაპული თავგაჭეჭყილი მოზრდილი
შველი ეკიდა. სიარულის ღროს თეძოს ისე იქნევდა, შორიდანაც
კოჭლი ჩანდა. ჩანთიდან დახოცილი კურდღლები მოუჩანდა. ბორ-
ძიკ-ბორძიკით წამოვიდა ცეცხლისკენ და შუბლშეჭმუხვნილი და-
აჩერდა ნაკვერცხლებს. ცალი თვალის ფოსოდან გუგის მაგირ თეთ-
რი ლიბრი უჩანდა. საღ თვალს ნაკვერცხალივით აბრიალებდა.

— საიდან გაჩნდა ეს ცეცხლი? ამირანმა მოიტანა, ალბათ, —
უსიამოვნო ხმით ჩაიბუხუნა და იქ მყოფებს დააკვირდა.

— არა, ღმერთმა გამოგვიგზავნა, — ყველას მაგივრად უპირველეს
ავთო-ბიჭის დედამ.

— ღმერთმა გამოგვიგზავნათ?! — გაიკვირვა ცალთვალაშ. ღმერთს
თქვენთან რა ესაქმება! — მწყვრალად ჩააშტერდა დედაქაც და მერ-
მე ისეთი სიცილი ატეხა, როხრონი ხევებმა გაიმეორეს.

— უყურეთ, ღმერთებმა პატივი დასადეს და დამცინარ დედა-
კაცს ცეცხლი გამოუგზავნეს, ისიამოვნეთო, — ქლოშინით ამ-
ბობდა ახლა იგი, — მოტყუებასაც რომ მიპირებენ! — უცებ გაჩუმდა,
ქალს მაჯაზე ხელი წაავლო და დაიღრიალა:

— ამირანმა მოგიტანათ, ხომ?

— არა-მეთქი! — მუხას მეხი დაეცა და ცეცხლი დაგვიტოვა.
დარისპანმა კბილები დააღრმიალა.

— მერე რატომ დაიტოვეთ, ხომ იცოდით, ცეცხლის მტერი მხო-
ლოდ წყალია; გუდებით ამოვიტანდით და დავასხამდით, ჩავერიობ-
დით. ცეცხლი ყველაფრის მომსპობია. მის ნაქვალევზე ეკალიც არ
ამოდის...

— არა ხარ მართალი, კოჭლო დარისპან! — არ აცალა სიტყვის
დასრულება ავთო-ბიჭმა. — ცეცხლი ჩვენ გვათბობს. რაც ჩრდი-
ლოეთისაკენ გამოვიწიეთ, იგი ჩვენი სანატრელი მეგობარი გახდა.
ნახე, ამ ნაქვერცხლებმა როგორი საჩუქარი მოგვიტანა. ჭაბუქმა
ამაყად ასწია ხელი და თითებში ჩაბლუჭული ლითონი მახვილი პი-
რით წაბლის ტოტს გაპერა. ტოტი ფართქალით მოწყდა ხეს და მი-
წაზე მოსხლეტით დავარდა.

— ეს რა არის?! — გაიკვირვა კოჭლმა.

— ახლა ამას დააკვირდი. დარისპან! — ავთო-ბიჭმა ისევ ამართა
მკლავი, კლდის წინ წამოწვდილ ქიმს დაპკრა და უცდად ყველას
გავირვების კვნესა აღმოხდა. ასი ნაპერწყალი გასცვივდა კაუნარევ
კლდეს, დაიფშვნა და ხევში ჩაცვიდდა.

— უიმე, — წამოიყვლა მზეონამ, — ნაპოვნისა და ქვის შებრ-
ძოლება ცეცხლის მშობელი ყოფილა!

ცალთვალს შუბლის ძარღვები აუთრთოლდა. არაცერი თქვა-
ლითონს ხელი წაავლო და დააკვირდა. ჭერ უნებლიერ ასწი-დასწია,
ხიძმიერ მოსინჯა, მერე მახვილ პირს დააჩერდა, კლდის ქიმს მიურა-
კუნა.

ლითონმა უღრიალით ამცნო ცალთვალს თავისი არსებობა; მან

ვათცებით გადახედა ყველას. უცებ წელზე ხელი მოიფათურა, ვება, სატევარი მოიხსნა და ლითონს შემოჰკრა. ქვის იარაღი იტლი ჩიტა ფშვნა, ხოლო წვრილი ნაპერწკლები გაბურძგნულ წვერ-ცლვარის რწყილებივით შეუცვივდა. კოჭლი დარისპანი მთელი ტანით შე-თრთოლდა. საღ თვალზე შიში დაეტყო.

— ია, სად ყოფილა ცეცხლის გამჩენი, — გაიფიქრა და ლითონი მოიქნია. იგი შხუილით გაიჭრა ჰერში და მძიმედ ჩაეშვა წყალში.

— რა ჰქენი, კაცო! — მივარდა ავთო-ბიჭი.

— იქით გაიწი, სულელო! — დაიბლავლა დარისპანმა, — ეხე-დავ, ქვეყნის დაღუპვის სათავისათვის მიგიგნიათ.

— შენ თვითონ გიყო და სულელო! — ვერ მოითმინა ავთო-ბიჭმა. — ქვეყნის დაღუპვის კი არა, ხსნის სათავე გამოგვიგზაუნა განგებამ. — ცეცხლისა და ნალვერდლისა მხოლოდ მხეცებს ეში-ნიათ.

ცალთვალა დარისპანს ბრაზით სახე მოელრიცა, მკლავებსა და ბეჭის ძვლებზე ამობურცული კუნთები აუთრთოლდა, თვალში გა-რეული კატის სინათლე ჩაუდგა.

— შენი ძმობილივით წუწყი ხარ, ავთო-ბიჭო! ქვეყნად არაფერი თვევნ არ გაგეხბათ; განა ცეცხლმა არ ამომთხარა მარჯვენა თვა-ლი?! ჰე, თქვენ არ იცით, რას ნიშნავს ცეცხლით მიყენებული ტკა-ვილი. ასი ლომი ვერ დამიბრმავებდა თვალს, ერთმა მუგუზალმა კი შეივილით ამომქორტნა იგი.

— თვალები შენ ქაჯებმა ამოგგლიჭეს, — შეესიტყვა ავთო-ბიჭის დედა.

— ტყუი, ალქაჯო! ამირანმა მესროლა მუგუზალი. ახლაც ვერ მივმხვდარვარ, სად იპოვა იგი. ყველათერი შენი ბრალი კი იყო, — დაუბრიალა საღი თვალი მზეონას კოჭლმა.

— ჩემი რა ბრალი იყო, რას დამედევნე, ხომ იცოდი, ავთო-ბიჭი მიყვარდა, შენი ცოლი მე არასდროს გავხდები.

— ჰა-ჰა-ჰა, — ისევ გადაიხარხარა ცალთვალამ, — გახდები, უთუოდ გახდები. ნუთუ ფიქრობ, ავთო-ბიჭს ვერ მოვუგრეს კისერს? ან იქნებ ამირანის იმედი გაქვს! ცოტა მაცალე, მასაც უყი-ლებს დარისპანი!

— თვითონ ის გიყელებს, — გაიცინა ხალიბამ, — როგორც აჭ-ბობენ, ფეხიც მან მოგამტვრია, კაცის მოკვლა არ უყვარს, თორემ...

— აი, შე ქავის ლეკვო! — სიტყვა არ დაასრულებინა ბაჟს და-
რისპანმა და ხელი წატანა.

— გამიშვი, — ტკივილისაგან დაიკლაკნა ბავშვი. ურთიერთული

— ვერ მოგართვეს! დამცინით, არა? გასწავლი ჭკუას. პირზე მოგონია

— ტყუილად მოგდის გული, ძია დარისპან! — ნაძალადევად გაი-
ღიმა ხალიბამ, — აი, შეხედე, კავის ქუსლის წვერზე კაეის მაგივ-
რად ამას თუ წამოვაცმევთ, იცი რა იქნება? იმდენ მიწას მოვხნავთ,
იმდენსა, რომ ბელლები გაიგება. — დარისპანი შეკრთა, შეფიქ-
რიანდა, გარემოს თვალი მოავლო და ისევ ჩაიხვიხვინა.

— არა, ტყუილია! ამ დაწყევლილისაგან დანებს და სატევრებს
უფრო მრავლად გააკეთებენ, ვიდრე სახნისებს. ასეც სჭობია. უფ-
რო დაჩაგრავენ ურთიერთს, ამირანი რომ სულ ადამიანის ბედნიე-
რებაზე ქადაგებს, მაშინ მიხვდება, ვინ არის მართალი.

— ფუ, — გააფურთხა აფთო-ბიჭის დედამ, — სულ ბოროტე-
ბაზე ქირქილებს ეს ივფიქრიანი კაცი.

სადღაც შორს, ათ მთას გადაღმა ისევ დაიგრუხუნა. ეტყობა, ავ-
დარმა იქით გადაინაცვლა, — ახლა იქ გაჩნდება ცეცხლი, — გაი-
ღიმა ხალიბამ და ცალთვალას ხელიდან გაუსხლტა.

— დღეს არა, ხვალ დაგიჭერ, ბრიყვო, — გაცეცხლდა დარისპა-
ნი, — სულ ერთია, ჩემი მსხვერპლი ხარ. შენ კი იცოდე, — მიუბ-
რუნდა მზეონას, — თუ სიცოცხლე გიყვარს, ხვალე ჩემს გამოქვა-
ბულში გადმოდი. — მზეონამ პასუხი არ გასცა აფთო-ბიჭისაკენ გა-
დახტა და ისე გადაიკისკისა, რომ მისი ხმა ხევებმაც გაიმეორეს.

დარისპანს ბრაზით დორბლი წამოუკიდა ჩარბებიდან. ერთი ნახ-
ტომით გაჩნდა მზეონასთან, ხელი წატანა კიდეც... მაგრამ, უცეპ
მეხდაკრულივით გაქვავდა.

— ჰეი, ჰეი, — მოისმა კლდის თავიდან ვიღაცის შეექირე ხმა და
ცოტა ხნის შემდეგ თვითონაც გამოჩნდა. შიშველ, ნაძერშ ტანზე
წელიდან მუხლამდე ირმის ტყავი ეფარა. შავი ხუჭუჭა თმა და წვერა
ერთმანეთში გაბარდნოდა, ვეება ბეჭებზე დათვის ბელი უჯდა. წინ
პატარა გოშია ძალლი მოუძლოდა.

— ამირან, ამირან! — გახარებული ხალიბა აღგილიდან მოწყდა
და კლდის თავისაკენ გაიქცა. მზე უთვალავი მცხუნვარე სხივით
აჭერდა მიწას. სინათლის ამ ნიაღვარში ამირანი ნელი, დარბაისლუ-
რი ნაბიჯით მოღიოდა გამოქვაბულისაკენ. გოშია ძალლი ხალიბას

გეთამაშა. ბიჭმა კისერზე მოპევია ხელი და მასთან ერთად მწერე
ძღელოზე გაკოტრიალდა.

— აცალე, ხალიბ, დაღლილია ჩემი გოშია, — გაიღიმა ამირანში,
შავ ულვაშებში მისი თეთრი და მაგარი კბილები გამოიჩინა.

— გამარჯობათ, — მიესალმა დამხვდურებს.

ცალთვალას ხმა არ ამოუღია, შებრუნდა და ნელა შავიდა ხევი-
საკენ.

— საით გეჩქარება, მეგობარო? — ღიმილით გახედა ამირანშა.

— სადაც შენ არ იქნები, — გამოცრა კბილებიდან ცალთვალამ.

— მე ყველგან ვარ, კოჭლო დარისპან! — შეიჭმუხნა ამირანი.

— მალე აღარ იქნები, — შემობრუნდა მისკენ ცალთვალა. —
იცოდე, მე და შენ ამქვეყანაზე ვერ დავეტევით.

— მაშინ, ჩემო დარისპან, მოუსავლეთში მოგიხდება გამვზავრე-
ბა, — ისევ გაისსნა შუბლი ამირანშა.

— ვერ შემაშინებ, ამირან, ღონიერი ხარ, მაგრამ შენ საბელ-
საც მონახავს დარისპანი.

— აბა, შენ იცი, ცალთვალავ, იცოდე კი, მუგუზალი არ დაგა-
ვიწყდეს და კოჭლ ფეხსაც დახედე, იქნებ რაიმე მოვაგონდეს!

ცალთვალამ არაფერი თქვა, ერთი წყევლისმაგვარი დაუმარცვ-
ლავი სიტყვა ჩაიბურტყუნა და გესლიანად გააფურთხა.

— თავი დანებე, ამირან ძია, — შეეხვეწა ხალიბა ავთო-ბიჭის
ძმობილს, — ხომ ხედავ, გული შხამით და ბოროტებით აქვს სავსე.

— გვერს შხამი ენის ძირში უდევს, ამას კი გულ-ძარღვში გას-
ჭდომია. ფუ, — გააფურთხა ამირანშა, — ასეთი ადამიანი ბოროტე-
ბამდე თვითონ მიგიყვანს კაცს.

უცემ ჩაფერფლილ ნაკვერცხლებს დაადგა თვალი.

— საიდან გაჩნდა ეს ნაკვერცხლები აქ?! — გაიოცა და ავთო-
ბიჭს შეხედა.

— ჩვენ მუხას მეხმა დაჰქრა და დაანაკვერცხლა, — რატომდაც
ისე დარცხვენით ჩაილაპარაკა უმცროსმა ძმობილმა, თითქოს მისი
ბრალი ყოფილიყოს მუხის დაღუპვა.

— ამირან ძია, მე კი, შეხედე რა ვიპოვე, — მოწიწებით ვაუ-
წოდა ხალიბამ გაციებული ლითონის მოზრდილი ნატეხი.

ამირანშა გაიღიმა, ნატეხს დაკვირვებით დაუწყო თვალიერება,
მისმა სიმძიმემ გააკვირვა. ხელში კარგად აწონ-დაწონა და ჩაფიქრე-
ბული მის მშზინავ კიდეს კბილით შეეხო.

— კბილებს მოგამტვრევს, — შეპქიფლა მზეონამ.

ამირანი ამ ძახილმა ცერ შეაჩერა, კბილით მოსინჯვის შემდგმენი თითებში ჩაბლუჭა, მერე მოიქნია და მთელი ძალის წეს მიახალა. ლითონი ხის ტანში ისე ჩაეფლო, როგორც ქვეშ წატები ტალაბში.

— თქვენი ჭირიმეთ, ეს რა გიპოვიათ! — ჩაილაპარაკა და ცას ჩაფიქრებით ახედა.

— მე რამ გამაცვირვა, იცით?! — წყნარად თქვა ავთო-ბიჭის დებამ, — ქვას რომ დაცარით, ცეცხლი გაჩნდა. აი, შეხედე, ამირან! — ქალმა ხელში ჩაბლუჭული ლითონის ნატეხი კაუნარევ კლდეს შეანარცხა; ჰაერში ნაპერწელები გაკიანთდა.

— ცეცხლის კოლოებია, ცეცხლის კოლოები! — წამოიძახა ხალიბამ და ამირანს მუხლებზე მოეხვია. — იცოდე, ამირან, პირველად მე შევამჩნიე იგი.

ამირანმა არაფერი თქვა. ხალიბა ხელში აიყვანა, ბეჭის შეისვადა წყნარად ჩაიბუზნა:

— შენი სახელიც დაერქმევა შენს ნაპოვნს!

* * *

ზაფხული ისე დადგა, ცალთვალას ხეირიანად არ დაძინებია. მუხის ჩანახშირებული ნაკვერცხლები და გამდნარი ლითონის ნატეხები წყალწითელაზე ჩუმად გადაზიდა, გამოქვაბულის წინ დაიწყო და მუშაობას შეუდგა. მდინარეები ამღვრნენ, აღიდდნენ და ტლაშუნით მიასკდნენ ნაპირს; მზემ ჯერ თოვლი გაალხო, მერმე ლორთქო მწვანე ბალახით ააშრიალა არემარე. წყალწითელას ყაყაჩოსფერი დაედო, მისი მეწამული ტალღები ახლა აბობოქრებული იმსხერეოდა გრანიტის ნაცრისფერ ნაპირებზე. მუხის, წიფლისა და წაბლის უზარმაზარი ხეები მწვანედ შეითოთლა.

დარისპანის სადგომი ხეთა ჩრდილებში უფრო ჩაიმალა. ცალთვალა კოჭლი დღებამ თავის გამოქვაბულს უტრიალებდა: აბრიალებული ნაშირის გროვაზე ლითონს არბილებდა და ყოველდღე ორსამ რგოლს ჭედდა. როცა უკანასკნელი, ცერის სიმსხო რკინა დაამრგვალა, პირველი რგოლი ბოლოს გადააბა და გაშალა. ჯაჭვი საკმაოდ გრძელი აღმოჩნდა. მაშინვე გადმოუშვა გამოქვაბულიდან და ფრთხილად ჩამოჰყა ძირს ამ უცნაურ თოკს.

— ამას ცერ გაწყვეტი, ამირან! — ბოროტად ჭირქილებდა და სი-
63

ხარულით ხელებს იფშვნეტლა. იმავე კიბით აფოფხდა გამოქვეყნდა.
ში და ზევიდან ვეება ლითონის ურო და თავისი ხელით გარედილი
სატევარი ჩამოიტანა.

ურავიცული

მთელი დღე გიუივით უქნევდა მუხისა და წაბლის ტაქტებისაც
ვარს. მწვანე რტოები ერთი მოქნევით ისხივებოდა. ხანაც ურს
ურტყამდა გრანიტის ნაპირებს. ისინიც მძიმედ იმსხვრეოდნენ და ნა-
ფოტებივით ცვიოდნენ ირგვლივ.

— აი, ესეც შენ, ესეც შენ! — ქლოშინებდა და ბოროტად გაჰ-
ყურებდა სოფლის გამოქვაბულებს.

— მზეონა ჩემია, — ბუყბუყებდა თავისითვის. — მას ვერავის
დავუთმობ; ამირანს ამ ჯაჭვით დავაბამ, ავთო-ბიჭს სატევრით გამოვ-
ჭრი ყელს; მაშინ, მაშინ ვინ შემეცილება?!

ხანდახან ულრანი ტყის ფერდობებზე მუხის ან წაბლის ბებერი
ხე გაადენდა ზღართანს; დარისპანს მუხლები აუკანკალდებოდა.

— ამირან ხომ არ მოდის ჩემსკენ? — ხან მოეჩევენებოდა,
თითქოს მზეონა მისი გამოქვაბულის პირზე იდგა. მაშინ გაიღიმებ-
და, ბალნიან მქლავებს გაშლიდა და იმ ადგილს ეხვეოდა, საღაც ჰისი
აზრით, მოჩევენება იდგა.

— ნუ მიდიხარ, ლამაზო, ხომ ხედავ, მე მარტო შენ მინდიხარ! —
ბუტბუტებდა იგი, — ავთო-ბიჭი სუსტია და ვერ დაგიცას ჩემსა-
ვით. მე, ცალთვალა და ფეხმტკივან კაცს, ქვეყანაზე შენს გარდა არა-
ვინ მიყვარს... — მერე მიეყრდნობოდა კლდის ქიმს; მის გარშემო
ყველაფერი აიმღვრეოდა, საღი თვალიც კი ლიბრით დაეტარებოდა.

— გაქცევა გინდა? — დაიკივლებდა საშინელი ხმით. — ეერ
მოგართვი, წყეულო, მკლავებით დაგახრჩიობ, გულ-მკერდით გაგ-
ჭყლეტ. — დაფლეთილი და გახელებული დასდევდა რაღაცს, გლეჭ-
და ლორთქო წაბლის ხეებს, ბდლვნიდა ბალახს, დაიღლებოდა, გასა-
ვათდებოდა, დაეგდებოდა მიწაზე და გონებაწარმოეული ქშინავდა.
დრო გადიოდა, თვალს გაახლდა, გარემოს შეხედავდა. აღარაცერი
ახსოვდა.

— აი, ასე უგონოდ რომ მანახა საღმე ამირანი, მაშინ კი დაექა-
ჭვავდი. — ჩაიროხროსებდა და გამოქვაბულში შევიღოდა.

წაბლის ფართოდ გაშლილ ტოტებზე ყურძნის მტევნები ეკიდა-
სურს ხშირ ფოთლებქვეშ ნაყოფი თაფლივით დაშაქრულიყო.

— ეს მზეონას, ეს ამირანს, ეს ფოთ-ბიჭეს — წყვეტდა კლინიკა
შემხმარ ყურძენს ხალიბა და ხანდახან აღმასიკით თეთრი კბილები
თაც გვეტდა გახევებული მტევნის ძარღვებს. ხის ძირას, ჭრის მცირებული
ზე მხართეძოზე შამოწოლილი მზეონა ბრიალი თვალების უცილისა და მეტი გადასახის
ცერიდა.

— ერთი მტევანი მესროლე, ძამია! — ეველიებოდა ქვემოდან.

— არაფერიც, — ჩამოვალ და ჩამოგიტან, ვერა ხედავ, მარ-
ცვლები ისედაც სცვიცა. პო, პო, შეხედე, მზეონა, თაფლზე ტკბილია
ეს დალოცილი და სანთლის სუნით გამაბრუა.

— სანთლის სუნი საიდან გაჩნდებოდა, ბიჭო, ხომ არ დაგე-
სიზმრა!

— მე დამესიზმრა? აბა, ნახე. — ხალიბამ კალათიდან ყველაზე
დიდი მტევანი ამოილო, ხილან ჩამოცოცდა და მზეონას ცხვირწინ მი-
უტანა. — აბა, ნახე, ნახე-მეთქი, სანთლის სუნი გცემს თუ არა?

მზეონამ მტევანი დაყნოსა.

— მართლაც, სანთლის სუნი აქვს, — გაიკვირვა მან.

— შენ კი, ჩემი არ დაიჭრე, ახლა გემო ხახე!

მზეონამ კისკისით გამოაჩინა თეთრი კბილები და ალისფერი ტუ-
ჩებით მოლოდნა ათითდე მარცვალი.

— რომ იცოდე, მზეონა, რა ტკბილი წყენი აქვს ყურძნის მარ-
ცვლებს? თაფლზე უფრო გემრიელია.

— წვენი სად დააგროვე, ძამია?

— ეს ხალიბამ იცის, მარცვლები თაფლის ფიჭასავით მოვჭიული-
რე და გავწურე.

— მერე!

— მერედა, ისეთი ტკბილი გამოვიდა, თითებს ჩაიკვნეტ.

— გამასინჯე, ძამია, — შეეხევეწა მზეონა.

— გაგასინჯო?! ორი ღოქი მაქვს შენახული პირამდე სავსე. ამი-
რანს და ავთო-ბიჭს ველოდები.

— პირელად მე გამასინჯე. მე ხომ შენი დაიკო ვარ?

ხალიბა ჭერ დაფიქრდა, მერე გამოქვაბულისაკენ გაქცია და
ღოქი გამოარბენინა.

— აჰა, ნახე, ოლონდ სულ არ გამოცალო.

— ღილი ხანია შენახული გაქვს?

— მას შემდეგ ათგერ შეცვალა მზემ და მთვარემ ერთმანეთი; შე
მგონია ახლა უფრო ტკბილი იქნება. — ხალიბამ ღოქის ყელს ნეშვ
ს. მ. ასათიანი

მოაძროდა და ქალიშვილს მიაწოდა. მზეონამ ეჭვით მოცულდა. დაღუ...
ნებულმა ყურძნის წვენა თავისებური ბოლოთ გაატრუა.

ორი ყლუპი მოსვა და თვალებმიბნედილმა ძირს დადგენდა — კა...
— ვაი, დედა! ეს რანაირი წვენი ყოფილა?! — კა... კა... კა...
შვილმა. მეორედაც მოიცუდა დოქი და ასლა სამჯერ მოსვა.

— ეი, თქვე ჭინკებო, მანდ ჩას ეშმაკობთ! — მოისმა ტყის პა-
რიდან ნაცნობი ბოხი ხმა.

— ვენაცვალე, ამირანი მოსულა! — დასჭყივლა ხალიბამ. შე-
ონამ ისევ წავვლო დოქს ხელი, რამდენჯერმე მოსვა და მერე დადგა
ამ ტკბილმა წვენმა სულ სხვანაირი სითბო და სასიამოვნო ერეოლ
ჩაუყენა ძარღვებში, თვალები გაუბრწყინდა.

— რა, თაფლს ხომ არ გაუბრუებიხარ, გოგო?
— არა, ამირან, მზეონამ ჩემი მოპოვებული თაფლი იგემა; ნახ
როგორია, მარტლა თაფლი კი არ არის, ყურძნის წვენია.

ამირანი ოფლად იყო გაღვრილი. მისი ფართო მკერდი ისე ადა-
ნიდიოდა, ეტყობოდა, დიდი მანძილი ჰქონდა გამოვლილი. მოწყუ-
რებულიც ჩანდა.

— აბა, მაჩვენე, გავსინჯო, ხალიბა.
ხალიბამ დოქი მიაწოდა. ამირანმა სქელი ულვაში გადაიწია დ-
წყალივით მოხვრიაბა ტკბილი წვენი. ერთი ყლუპის შემდეგ შეჩერ-
და, გემოს და სიტყბოს პატარა ხანს ჭაშნიკი აუღო, ალბათ ესია-
მოვნა, მერე კვლავ მოსვა.

— ბიჭოს! ახეთი კეთილშობილი წვენი არც კი დამილევა!
განციფრებით თქვა.

— ხომ მოგეწონა?! — დაეღრიჯა ხალიბა — თუ ნამდვილად მო-
გეწონა, წელს იმდენ ყურძენს დავჭყლეტ, ამირან, წყაროს წყლის
მაგივრად სულ ესა სვა მთელ წელიწადს. — უცებ მზეონას უცნა-
ური სიცილი აუტყდა. სულ სხვანაირად ეჩვენებოდა ავთოს ძმობი-
ლი. ამირანის მკერდი და კუნთები ყოველ ყლუპზე საბერცელივით
იბერებოდა და ეშვებოდა. თითქოს ქვეყნის სასუნთქმის მარტო ის
სუნთქმედა.

— ავთო-ბიჭი სად არის, ხალიბა?
— ფაცერს ქსოვს მდინარეში ჩასადგმელად.
— გაიქეცი, ამოიყვანე, მზეონა ავად არის, მიხედოს.
ბიჭი მერცხალივით შეტრიალდა და თავქვე დაეშვა. ამირანი

კლდის ქიმზე ჩამოჯდა. ხელში ისევ დოქის ყელი იგრძნო და წვერი მოუნდა. ისევ დაეწაფა ტქბილ შუშხუნა სითხეს და სანამ არ გაძო ცალა, არ მოეშეა. დოქი რომ დადგა, ტანში უცნაური სიხალისე და ძალა იგრძნო.

— რა მემართება, ნეტავი, — დაუყურა თავის თავს დევდაც მა. — მეც ავად ხომ არ შევიძენი?

ქვემოთ მდინარე შხუოლა. ამირანს მოეჩვენა, რომ თვითონაც სწორედ ასე უშხუოლა საფეხქლები. მხოლოდ ეს შხუილი ტქბილი იყო, გონებას ხალისს ჰმატებდა, თვალში ნათელ ფერს უმრავლებდა ცოტა ხნის შემდეგ თავის ტკიფილიც იგრძნო და ტანში მოთენთოლობა შეეპარა.

— ალბათ დავიღალე და ძილი მინდა?! — გაითიქრა და წამოდგა. ფეხის გადაღგმა რომ დააპირა, დაბარბაცდა.

— ბიჭის, მგონი, მოვიწამლე. არა, ეს მოწამელას არა ჰგავს. სხეულს უხარის, ღონის მომატებას ვგრძნობ. — უნებლიერ გაედომა, რატომღაც ძალიან მოუნდა მოლზე გაწოლა და ძილი. ჯერ დაიხარა და მერე ლორთქო ბალახზე გაიშხლართა. გრძნობდა, როგორ ეცლებოდა ძალ-ღონე. თვალებიც მიეღულა. ცოტა ხნის შემდეგ ისეთი ფშვინვა ამოუშვა, რომ წაბლის ხის ტოტებზე ფოთლებიც თრთოდნენ.

ავთო და მზეონა ნადირობიდან ჩუმად გაიძარნენ. ამირანის რჩევით ლითონის სატევრისა და ისრის გამოცდის პირველი დღე მალულად დანიშნეს. მზეონა უდირდელი, ლალი რხევით მიჰყვებოდა ტყის ბილის და ხანდახან ვარსკელავივით შეანათებდა საქმროს თვალებს. ნაწნავები ტევრებად დაპყრობა ხორბლისფერ ტანზე წინ მიდიოდა და დროდადრო გაჩერდებოდა, რომ იეთოს გვერდი-გვერდ ევლო. ავთოს მხარზე მშეილდ-ისარი გადაეკიდა, სატევრები ქამარში ჰქონდა გაჩრიილი. წინ დიდი გზა ედოთ. წყალწითელას შესართავთან ტაფობი უნდა გადაეჭრათ და მდინარის გაღმა იმ მუხარში შესულიყვნენ, საღაც წყაროს ფესვთან ამირანი ელოდათ სწორედ აქ უნდა გამოეცადათ ახალი იარაღი. ფაზის გაღმა, ცალურჯ გუმბათში, მაღალი, მწვანე მთები მოჩანდა.

მზეონამ კარგად იცოდა, იმ მოების კალთებიდან ყველაზე კრიალა მდინარეები მოიკვლევდნენ გზას დაბლობისაკენ. მათ თოვლი-ვით თეთრ ტალღებში კალმახები დანაერალობდნენ. ყვავილები წე-

ლამდე წვდებოდა ქალ-ვაჟს. მზეონა ნადირის ფეხით გათქმულ
ყვავილებს იცოდებოდა, თითებით ეფერებოდა, ჩაქინდა ფრენებს,
მაღლა უწევდა და ნელა განაგრძობდა გზას.

— ცოდვანი არიან, ავთო-ბიჭო, ეს ყვავილები. ტახებს თუ
შველებს ჩლიქებით გაუთელიათ!

ავთოს ღიმილი მოსდიოდა მზეონას გულჩილობაზე. გაღმა
ხარირებმა ასწია თავი, ერთი დაიფრუტუნა და ძელქვისა და მუხის
ტყეს მიაშურა.

— ესროლე, ავთო, ესროლე! — ჩაუჩურჩულა მზეონამ ავთოს.

— წყნარად იყავი, მზეონა, სანამ ამირანს არ შევხვდებით, ია-
რალის ხმარება არ შემიძლია, დათქმული მაქვს.

ხელმარცხნივ აუხვიეს და ორგორც კი ძელქვის ცადამალლებულ
ტყეს გასცდნენ, მუხნარში შევიდნენ. ქარისაგან წაქცეული ვეება
ხეები გარდიგარდმო ეყარა და ქალ-ვაჟს სიარულს უძნელებდა.

— მალე მივალთ დიდ წყაროსთან. — წყნარად თქვა ავთომ და
მხრიდან შვილდ-ისარი გაღმოილო.

— გინ იცის, ფეთიანი ტახი შემოგვხვდეს, საშიშია! — მზეონა
ავთოს მიეკრა. იგი ახლა მხარდამხარ მიჰყვებოდა საქმროს.

— შენთან არ მეშინია, — გაიცინა ქალმა, — არც ისე ლონიერი
ხარ, ავთო-ბიჭო, მაგრამ შენი იმედი მაქვს, ვიცი, არ გამწირავ!

— მიყვარხარ და იმიტომ, — ამაყად მიუგო ავთომ.

— დარისპანსაც ვუყვარვარ, — ჩაფიქრებით და ოდნავი შიშით
თქვა მზეონამ, — ვიცი, რომ ვუყვარვარ, მაგრამ მე არ მიყვარს, მე-
ზიზლება. თფუ, რანაირი თვალები აქვს?!

— თუ უყვარხარ წაპყევი, რატომ არ მიჰყვები ცოლად? — გა-
ჯიერება და მუქარა დაეტყო ხმაში ავთოს. მზეონს თვალები დაუ-
დარდიანდა.

— რას ამბობ, ავთო-ბიჭო, მის ხელში რომ ჩავვარდე, ერთი
მთვარის დალევამდე მე თვითონ დავილევი!

ქალ-ვაჟის ცხვირწინ ფრინველების მთელი ჭგუფი ფრინვდა.
ისინი ჭერ ლალანით ჩაეშვნენ მაყვლის და ასკილის მიუვალ ბარდებ-
ში. უცებ საშინელი ტკრციალით უკანვე ამოფრინდნენ და დაფეთე-
ბულები ტყის სილრმეში გაიბნენ.

— ნადირი თუ არის ახლო, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა
ავთო-ბიჭმა.

— დარისპანი არ იყოს! — ფუნქალდა მზეონა.

— დარისპანს აქ რა უნდა, მზეონა. შენ სულ ის ბრუციანი გა-
ლანდება! — ახლა ნამდვილად გაჯავრდა ავთო; სიტყვა დატრულზეც
ბული არ ჰქონდა, რომ ხეებშუა ხალიბა გამოძერა, დამტვრისლა ზიტუკე
ჭებს იფერთხავდა და სიცილით შესცეროდა მათ.

— რომელმა ეშმაკმა გადმოგაფრინა აქ? — თავისდაუნებურად
დაიყვირა ავთომ.

— შენი ჭირიმე, ხალიბა, ჩემთ ძამია. — შემოეხვია კისერზე
მზეონა.

— არ დამახრჩო, — ღიმილით მოიშორა ხალიბამ მისი ხელები.

— მითხარი, ხალიბა, როგორ გამოვეასწარი, ან ეინ მოგასწავლა
ჩვენი გზა-კვალი?

— ამირანშა მიბრძანა, ყურძენი უნდა დავკრიფო, შეხედეთ! —
ორივემ ხალიბას თითს გააყოლა თვალი. უზარმაზარი ხეების ტო-
ტებზე ყურძნის დამკრახული მტევნები ეკიდა.

— მთელი ტყე ასეა ამ ადგილებში. ამდენი ყურძენი ქვეყანაზე
არ არის. — წამოდით, რა გაჩვენოთ!

ორივენი ნელი ნაბიჭით გაპყენენ. თვალუწვდენელი ძელქვების
ძირში წნელის უკარო ქოხი იდგა. ქოხის შუაღულში ძელქვის კან-
გაუცლელი და გულამოლებული მორი ეგლო, შიგ ყურძენი ეყარა.
თეთრი და შავი მარცვლით გაჭედილი მტევნები მზის სხივებზე
თვალისმომჭრელად ციმციმებდნენ. ერთ კუთხეში მოზრდილი, ში-
შველი დოქები გამწკრივებულიყვნენ.

— უკვი დაწურე?

— დავწურე, თორმეტი დოქი ჩავასხი. ორი დღეა, აქა ვართ.

დოქებში ჩაშაქრული ყურძნის წვენი სულს ითქვამდა და
შიშინებდა.

— ამირანიც აქ არის?! — გაიკვირვა მზეონამ.

— გუშინ გავიდა ქოხიდან, დღეს უნდა გამოჩნდეს, საცაა მოვა
ალპათ.

ავთო-ბიჭი დოქებს მიშტერებოდა. უხმარ, პირველად სითხეჩა-
სმულ ჭურჭლებს გასდენოდა და მიწა დასველებულიყო. ერთ კუ-
თხეში ორი დოქის ფსკერის კვალი ჩანდა. ჭერ იფიქრა, ალბათ დო-
ქებს ადგილი გამოუცვალა ხალიბამ და მათი ნაკვალევი დარჩენი-
ლა, მაგრამ ახლოს რომ მივიდა, გულმა რეჩხი უყო. მოლამულ

მიწას კაცის ნაფეხური აჩნდა. ამირანისას არ ჰგავდა, ხალიბის ფეხი
დიღი იყო.

— ვინ იყო, ბიჭო, აქ? — იქითხა ავთომ. ურარენადი

ხალიბიმ ვერ გაიგო კითხვა და მხრები აიჩეჩა. პირულის გადასა

— მოდი და შეხედე, — თვალით ანიშნა ავთო-ბიჭმა.

ხალიბა ნაკვალევს დააკვირდა და გაფიტრდა.

— დარისპანის ფეხის კვალია, — თრთოლვით წარმოოქვა. უცებ
შემობრუნდა, დოქებს მიაჩერდა და თითებზე თვლა დაიწყო.

— ორი დოქი მოუპარავს.

დარისპანის ხენებაზე მზეონა გაფიტრდა, აკანკალდა.

— წაგიდეთ აქედან, ფათერაკს გადაგვყრის ის ბრუციან!

ქოხის უკან ისეთი გესლიანი ხარხარი გაისმა, თითქოს ცა
ელვა-მებმა გაპკრაო.

— ვერ დამემალებით, ჩიორებო, ჩემი ცალი თვალი უფრო მეტს
ხედავს, ვიდრე თქვენი ექვსი. ბრუციანიო, ხი-ხი-ხი, — ჩაინითხითა
და ზღურბლზე შემოდგა ფეხი. ბანჯგვლიან ბეჭებზე ლითონის
რგოლებად გადაბმული ჯაჭვი შემოეხვია. წელზე ვეება შეშეელი
სატევრები უპრიალებდა.

— არ მოგეწონათ ჩემი სტუმრობა?! — ჩააცქერდა ავთო-ბიჭს, —
სადაც უნდა დამემალოთ, მოგნახავთ.

— ქურდი, დოქის ქურდი! — მიახალა ხალიბამ.

— ჭიაყელები ხართ, — არ მიაცეია ყურადღება ბიჭს. — ღმერ-
თმა ნიჭი მოგცათ, ჭიუა კი — არა; ტკბილი და სასიამოენო წვენი
აღმოგიჩენიათ, მოხმარება კი არ იცით. — ზღურბლზე ხელი გადა-
შყო და დოქი გამოაჩინა.

— იი, შეხედეთ, როგორ ირაკრაკოს ჩემს ყელში თქვენმა თაფ-
ლის წვენმა. — ბრუციანმა კოჭლი ფეხი შეინაცვლა, დოქი მოიყუდა
და ერთი სუნთქვით გამოცალა. ცოტა ხანს შეჩერდა, თითქოს სით-
ხის სიტკბოს ამირანივით ჭაშნიკი გაუსინჯაო. მერმე ამოიხვეშა და
დოქი ხეს მიახალა.

ცალი თვალი კიდევ უფრო აუბრიალდა, ცხვირი და გამობერილი
ლოყები გაუწიოლდა. შუბლის ძარღვები აუთამაშდა.

— აქეთ მოიწი, მზეონა. — დაურბილდა უცებ ხმა — შენ ჩემი
ხარ, უშენოდ, ქალო, მე არ ვარგივარ, შენ უჩემოდ შავი დღე გი-

ლის. ესენი ჩიორები არიან, პატარა ჩიორები, მე კი ვეფხი ვარ,
მელა ვარ, ლომის ბწეალები მაქვს.

— მომშორდი, პირდაღრენილი ვეშაპი ხარ, გულშავი ჭარუაშვილის
ჟენ არასოდეს მოგეკრები.

ნიავდაბერილი ფოთოლიგით აფორიაქებული ჭალიშვილი ავთო-
ბიჭს მხარზე მიეყრდნო.

— ნუ ეხუტები, — დაიღრიალა ცალთვალამ, — არ მიეკარი
თორემ ორივეს ყელს გამოგლადრავთ! — ერთი ნახტომით გაჩნდა
ქალ-ვაჟთან და სატევარი იშიშვლა.

ხალიბა თვალს არ უჯერებდა. დარისპანის ხელში ლითონის სა-
ტევარი ელავდა.

— მზეონა! — მთელი ძალით დაიბლავლა ჭაბუქმა, — ჩემი ლი-
თონი მოუპარავს, ჩემი ნაპოვნი ლითონი.

მზეონას თვალები გაუფართოვდა: ნესტორი დაებერა, ლოყები
გაუწიოთლდა, ავთო-ბიჭის წინ დადგა და თვალამღვრეულ დარის-
პანს უშიშარი და აცეცხლებული თვალებით ჩახედა.

— მარტო ყურძნის წვენის პარვა არ სცოდნია ამ ლომის ბწეა-
ლიან კაცს?! — დაცინვით ჩაილაპარაკა მან, მერმე მობრიალე სატე-
ვარს ხელით შეეხო, დააკვირდა და ხალიბას მიუბრუნდა, — ცეცხლ-
შიც გამოუწვავს, გამოუწრითა. ერთი სიტყვით, ყველაფრისათვის
დაუყურადებია!

ამას არ ელოდა ცალთვალა კოჭლი. შეკრთა, უცებ სიბრაზე ჩა-
უქრა, მოითენთა კიდეც.

— ქურდი არა ვარ, მე თვითონ მივაგენი, — ჩაიბურტყუნა თა-
ვისთვის.

— თვითონ მიაგნო, — გააქილიყა ხალიბამ, — იცი, ამირანმა რა
დაარქვა ჩემს ნაპოვნ ლითონს?! ხალიბი დაარქვა, — ამბობს, ქვე-
ყანამ იცოდეს ეს სახელიო. ამან კი მომპარა, — ცრემლი მოერია
ბიჭს.

— სახელს ვინ გართმევს, რას დავეძებ, გინდ ხალიბა ერქვას,
გინდ მზეონა.

— ჩემს სახელთან რა ხელი გაქვს? — ისევ აფეთქდა მზეონა, —
სიკეთის დასანახად ცალი თვალი გაქვს, ბრუციანო! ადამიანის საკ-
ბენად კი — ოცდათორმეტი გესლიანი კბილი.

— ხი-ხი-ხი! — მოულოდნელად გაიცინა ცალთვალამ. — გეს-

ლი და შემო რომ არ იყოს ამქვეყნად, მზეონა, სიცილიაც / ვი
მიხვდებოდა კაცი.

— ღობე-ყორეს წუ ედები, ცალთვალა, ისა ფეხულიშვილის
რად მოიპარე. ქურდი ხარ, ქურდი! — ზიზლით გამოცრა კბილებში
ხალიბამ.

— ჰკუით იყავი, ეშმაკის შობილო! — აუბრიალდა საღი თვალი
დარისპანს. — ჰკუით იყავი, თორემ შენს სიყმაწვილეს არ მიეჭუ-
დავ, იცოდე!

— ვერაფერსაც ვერ იზამ, ბრუციანო! — გააღიზიანა დარისპანი
ავთო-ბიჭმა, — ხელსაც ვერ ახლებ.

— ვითომ?! — გაიოცა ცალთვალამ, — შენც ასე ფიქრობ?
დაცვას აპირებ თუ?!

— ხელსაც ვერ ახლებ-მეთქი! — ისევ გაუმეორა ავთომ.* მისა
თვალები ახლა მუხის ნაკვერცხლებივით ლაპლაპებდა.

დარისპანი ავთო-ბიჭმის ქამრებში გაჩრილ სატევრებს დააკეირდა,
ისევ დამცინავად ჩაიქირქილა და უცებ ჯაჭვი შემოიხსნა.

— მე გეფერებით, გესიყვარულებით, თქვენ კი დამცინთ და
მეჩხსუბებით, — შემპარავად დაიწყო მან, — ამას ხედავ? — ხელში
ბადის ბაწარივით აიკრიფა ჯაჭვის რგოლები.

ზველანი მიაჩერდნენ. როგორც ეტყობა, ლითონის რგოლების
უჩვეულო გრიალმა სამივე განაცვიფრა. ცალთვალამ სწორედ მით
ისარგებლა, ერთი მოქნევით შეტყორუნა ჯაჭვის მარყუფი და ავთო-
ბიჭმის თავზე გადააცვა.

ბიჭი შეტყოდა, გაიწია. ჯაჭვი ბეჭებზე დაცურდა და სხეულზე
მჭიდროდ შემოეხვია. ლითონის რგოლებმა მკლავებსა და მეერდზე
ისე წაუჭირეს, სუნთქვა შეეკრა.

— ხი-ხი-ხი! — ახითხითდა ცალთვალა, — გაწყვეტა ხომ არ გინ-
და, ავთო-ბიჭმა! ახლა, სადაც მინდა, იქ წაგიყვან. თქვენ კიდევ არ
იცნობთ დარისპანის ჰკუის ფხას. — ავთო-ბიჭმა ისევ გაიწია. ლი-
თონის რგოლები თანდათან კუნთებში ჩააჭდა და, როცა კოჭლება
დარისპანმა მარყუფი ოდნავ მოუშვა, სხეულზე რგოლების ნაკვა-
ლევი ჯერ გაუთეთრდა, მერე სისხლით აევსო და ჩაუქუთრდა.

მიხვდა ბიჭი, ჯაჭვს ვერ გაწყვეტდა.

გაფითრებული ხალიბა და მზეონა ენაჩავარდნილი უცქერდნენ
ავთო-ბიჭმის ტყვეობას. პირველად ორივე დაიბნა, მიხვდნენ, დარის-

პართან ვერაფერს გააშუობდნენ. უცებ მზეონას თვალში იმედის
სხივმა გაუეღვა.

— ამირანი ხომ აქ უნდა მოსულიყო, ხალიბა! — ჩაუჩოროვა კარის
ძმობილს.

ხალიბამ უიმედოდ გააქნია თავი.

— ამირანი დიდი ხანია აქ არის, ხუთი დოქი ყურძნის წვენი
გამოცალა და ახლა თავს ვერ წევს. ისე ხერინავს დიდი ძელჭეის
ძირში, რომ მთა და ველსაც გუგუნი გააქვს.

მზეონა მიხვდა უბედურებას. კარგად ახსოვდა, რა დღე დააყენა
თვითონ მას ხალიბას ტკბილმა წვენმა, როგორ გააბრიყვა მაშინ,
ათასი სულელური ფიქრი ჩაუდგა თავში: ისე მოითენთა, ორი დღე
გაუნდრევლად ეძინა.

— ვაიმე, რაღა ვქნათ ახლა! — ისევ გამშარებით წარჩურჩულა
ხალიბას.

ხალიბა აკანკალებული შეპყურებდა ავთო-ბიჭის წვალებას.
უცებ გამშარებული დაიხარა, მის მშვილდს ხელი დაავლო, ისარი
მომართა და დარისპანს დაუმიზნა.

— ახლავე ხელი გაუშვი, ბრუციანო, თორემ მეორე თვალსაც
ამოგთხერი, იცოდე!

დარისპანი ბიჭისკენ შემობრუნდა, მისი დანაოჭებული შუბლის
დანახვაზე მიხვდა, რომ არ დაინდობდა. იხტიბარი მაინც არ გა-
ტეხა.

— სიყვდილი მოვინდა?! — დაიხრიალა მან.

— გაუშებ თუ არა?

— ჰეჭუაზე მოდი, ბიჭო! — ისევ ბრძანების კილოთი უთხრა და-
რისპანმა.

— მაშ, ინანე, ბოროტო კაცო!

დარისპანი გუმანით მიხვდა ყველაფერს; ოდნავ შეხტა და შებ-
რუნდა. ამან გადაარჩინა კიდეც მისი ცალი თვალი. ისარი ბეჭის ქვე-
მოთ, მკლავში მოხვდა და წვერი მეორე მხარეს გამოყო. პრიალა
მახვილს სისხლის წვეთები და ხორცის ნაგლეჯი გამოჭყა. დარისპა-
ნი დაიღმიჭა, ისარს დახვდა და ახლა მიხვდა, რომ მისი წვერი ლი-
თონისა იყო.

— ხალა წამიხვალ, ძალლის ლეკვო? — დაიღრიალა ცალთვა-
ლამ. ჭაჭეს ხელი გაუშვა და ხალიბასკენ გადმოხტა.

ბიჭმა სწრაფად იბრუნა გვერდი, ლავებშუა გაუძვრა ცოლ-
თვალას და ტყეს მისცა თავი. დარისპანი დაედევნა. ბიჭი მსუბუქია
გარბოდა. კოჭლის ფეხებქვეშ კი ლაწილუწით იმტვრებოდა. შარშან-
დელი ფიჩხი და ეკალა-ბარდი.

— ნეტავი დაეწევა თუ არა?! — წამოიძახა მზეონამ. ამ თქმაში
ავთო-ბიჭმა უზრუნველი კილო დაიჭირა და გულმოსული შეეკითხა
საცოლეს:

— ვნახოთ და დაეწიოს, ხომ იცი, რომ თავს გაუჭირებულ.

— ფრინველს კუ ოდესმე დასწევია? — ჩაიკისკისა მზეონამ.
სწორედ ამ დროს ხალიბას ფეხი დაუცდა და ქარისაგან წაქცეულ
ხეს გადააწვა.

— ჰმ, ჰმ, — სიხარულით დაიზმუილა ცალთვალამ. მზეონა
შიშმა შეიძყრო. ავთო-ბიჭმა ჭაჭვი გვერდზე გაისროლა და
იქით გაიქცა.

— არ წახვიდე! — გადაუდგა წინ გაფითრებული მზეონა, —
ხომ არ გვონია, დაგინდობს, წიწილივით დაგახრჩობს.

ხალიბა კატასავით ახტა წაქცეულ ხეზე და ხიდივით გაირბინა.
ცალთვალა ახლო მისდევდა, მოულოდნელად ბიჭი დიდ ძელქვაზე
ასულ ვაზის ძირს მოებლაუჭა, აეტოტა და ზედ დაეკიდა, მერმე
ტანი მსუბუქად აიქნია და ხის გაშლილ რტოებში მოექცა.

კოჭლი დარისპანი ძირს დარჩა.

ბიჭმა სიცილი დააყარა. ცალთვალამ ბრაზით კბილები გაახრ-
ჭიალა.

— ათ ზაფხულ-ზამთარს ამ ხის ქვეშ დაგიდარაჯდები, ფეხს არ
მოვიცვლი და მაინც ჩაგიგდებ ხელში.

— ასე იყოს, — არხეინად ჩამოსახა ბიჭმა და მის გასაჯავრებ-
ლად კარგა მოზრდილ ტოტზე ისე უზრუნველად წამოწვა, თითქოს
არაფერიც არ მომხდარიყოს. ცალი თვალი მაინც დარისპანისაკენ
ეჭირა. კოჭლიც მიუხვდა ეშმაკობას. იქვე დიდ კუნძხე ჩამოჭდა და
გამურულ სახეზე მღვრიე თფლის წვეთების წმენდა დაიწყო. შორს,
ტყის სიღრმიდან ძალლის ყეფა მოისმა. ცალთვალამ ყური ცევიტა,
იცნო ამირანის ყურშას ხმა. თრთოლვით წამოდგა და ტოტზე გა-
წოლილ ბიჭს გახედა.

ხალიბას მოღიმარე სახე და ელვარე თეთრი კბილები გამო-
უჩნდა.

— მაა დარისპან, გაქუსლე, თორემ გოშია დაგვჩენს. ხომ იცი,
როგორ ეკავტები.

ცალთვალამ ხმა არ გასცა. ქარქაშიდან მარჯვენა ხელით სატევა-
რი ამოიძრო. შუბლი საშინლად დაუნაოჭდა. საღი თვალი აუტ-
რიალდა, ნიკაპი მოედრიცა. ბიჭი მიხვდა დარისპანის ბოროტ მოქ-
რაობას, თვითონაც შეტოკდა და გაყუჩდა.

ცალთვალამ უკან დაიწია და ზევით იხედა. ძელქვის დიდი, ში-
შველი ტოტი, რომელზედაც ხალიბა იყდა, მთელ სიგრძეზე მოხან-
და. ახლომახლო შეფოთლილი რტო არ იყო. იგრძნო ბიჭმა, საფა-
რი უნდა მოენახა. წამოდგა და მეორე ტოტისკენ ფრინველივით გა-
ფრინდა. სწორედ ამ შეცდომით ისარგებლა დარისპანმა, ცალი თვა-
ლით მოზომა მანძილი. სატევრის შეუილ ბავშვის შეკიცლება მოქ-
უვა. ხალიბას სხეული ტრიალით წამოვიდა. მზეონა და აეთო-ბიჭი
აცახცახდნენ.

— მიშველეთ, მიშველეთ! — გაისმა ტყეში მზეონას კიეილი. იგა
აეთო-ბიჭს ხელიდან გაუსხლტა. და ძელქვისაკენ გაიქცა, ხალიბას
უსიცოცხლო სხეული მიწაზე ევდო. სატევარი ზედ ძუძუს თავზე
მოხვედროდა და ბეჭს ქვემოთ გასულიყო. ჭრილობიდან სისხლი
მოთქრიალებდა და მიწას ატბორებდა. ცალთვალას უკვე მოესწრო
სატევრის ამოტაცება. მისი კვალიც არ ჩანდა.

მზეონამ პირამდა დაცემული ბიჭი გაღმოაბრუნა. ხალიბამ თვა-
ლები გაახილა, გაიზმორა და ისევ დაახუჭა. გრძელი წამწამები
ღაწვებამდე გადაფარებოდა. სახეზე უკვე სიკვდილის სიყვითლე შეჰ-
პარვოდა, მხოლოდ ნიკაპქვეშ უთროთოდა ერთი ვარდისფერი ძარ-
ღვი. ეტყობოდა, პატარა ადამიანის დიდი სიცოცხლე იქ შეჩერებუ-
ლიყო. მზეონამ გიყივით დაუწყო კოცნა ძმობილს. სხეული ისევ
თბილი ჰქონდა. ქალიშვილს ეგონა, ახლაცე წამოდგება და გამიღი-
მებსო. აეთო-ბიჭი აკანკალებული მივარდა. დახედა თუ არა, მიხვ-
და უბედურებას. ჭერ ტყეს მიაშურა, დააყურა, ცალთვალას ფე-
ხის ხმა არ ისმოდა, მერე შემობრუნდა, ხალიბას გვერდით მიწაზე
ჩაჯდა და ცრემლები წასკდა.

— რაღა ვქნათ, მზეონა? — ჩაილულლუდა მან. მზეონას აღარა-
ღერი ესმოდა. ბიჭს მკერდზე დამხობოდა, გაწეწილი თმებით დაე-
ფარა და ყრუდ გმინავდა.

ხალიბამ ისევ გაახილა თვალი და აეთო-ბიჭს მიაშტერდა.

— უფროსო ძმაო, — შენარად თქვა მან. აეთოს გააკრიოლა.

— ორივეს გახსოვდეთ, — ცეცხლი და ლითონი დარისპანს გულა წაართვათ, ხომ მიხვდით, ასეთი კაცი ყოველ სიქეონის მარტივას ბოროტების ნეშოში გახვევს. ამირანს შეეხვეშეაზე მეტად უკარის ყოს, თორემ მასაც დიდ სიმწარეს აჩვენებს, მე კი ყველაზე მაღალ მთაზე ჩამფალით, ერთი სახნისი ჩამატანეთ, ხომ გახსოვს, მე რომ ლითონის წვერი გავუკეთე?.. — მზეონა წამოიწია. მისი თმები სახეზე გადაეფინა ხალიბას, ბიჭს, ეტყობა, ესიამოვნა.

— ეჭ, როგორ მიყვარდი, მზეონა, ჩემო დაიკო, თქვენ შვილს, იცოდეთ, ჩემი სახელი დაარქვით.

ბუჩქებილან გოშია გამოსტა წკჟუტუნით და ბიჭს კუდის ქაცინით მიუახლოვდა.

— მოდი, გოშია, მოდი, შენც მიყვარდი, ახლა ერთად ვეღარ ვიყოტრიალებთ და ვითამაშებთ, ჩემი ბრალი არ არის, დარისპან. მა მომისპონ სიცოცხლე.

ცალთვალას ხსენებაზე ძალლი ღრენით წამოხტა და ცას ბრაზით შეუყიფა.

მომაკვდავს ლიმილი მოერია.

— შენ მაიც უკბინე ჩემს მაგივრად... — სიტყვა ვერ დაასრულა ბიჭმა. რატომდაც შეკრთა, შეჩერდა. თავისი ნათქვამი არ მოეწონა.

— მართალი არ გეგონოს, — ისევ ლიმილით, მაგრამ ჩაფიქრებით თქვა — არავის ებენა და სიგლახე არ მინდა. სხვისთვის ტევილის მიყენება მხოლოდ ავგულ ადამიანებს უყვართ, მე კი ამირანს მინდოდა დავხმარებოდი.

თითქოს სახელის ხსენებამ მოიყვანაო, ტყეში შრიალი გაისმა და ფეხის ხშისთან ერთად ამირანიც გამოიჩნდა.

ხალიბას რომ დახედა, ადგილზევე გაძვავდა დევკაცი. ჭველა ყბა აუთამაშდა. სახე ნამეხარი ღრუბელივით ჩამოუშავდა. დინგად მიავიდა, ცალ მუხლზე დაიჩიქა, მარცხენა ხელი ძელვის ტანს მიაყრდნო, მარჯვენა კი ნელა დააღმ ბიჭს შუბლზე. ბრიალა შავი თვალებით, ახლა რომ შიგ ასი ნაკვერცხალი უღვივოდა, ჭრილობას და აჩერდა.

ხალიბას თვალი არ მოუშორებია მისთვის. ამირანის შემყურება იმედი მიეცა.



— მეშველება რამე, ამირან ძია? — ნელი ხმით ჰქითხდა.

ამირანმა არაფერი უპასუხა, ფრთხილად დასწევდა ზომეტკლებსაც უკუნდა: **პირამიდული მსუბუქად აიტაცა და მზეონას და აეთო-ბიჭს მიუბრუნდა:**

— თქვენთვის ხომ არაფერი უთხოვია ხალიბა-ბიჭს?

კითხვამ გააოცა ქალ-ვაჟი. მზეონამ აეთოს შეხედა. ამირანის ძმობილი გაწითლდა და წაილულლუდა:

— თქვენ შვილს ჩემი სახელი დაარქეთო.

ამირანმა შებლი ოდნავ შეიტმუხნა, თვალი ცის გუმბათს მიაპყრო და მტკიცედ თქვა:

— კეშმარიტად, ეს ბავშვი უკვდავების ღირსია. — ახლა იგი აეთოს და მზეონას მიუბრუნდა:

— თქვენ წადით, იმ ბოროტს არ გადაეყაროთ საღმე; მე კა ჯერ ამ ბიჭს მოუკვლი, მერე ცალთვალასაც მოუნახავ თავის ადგილს.

ისევ ცას შეხედა, დინჯად გააბიჯა და ტყეში შევიდა. გოშიამ-ცერთი შეჰყეფა და პატრონს დაედევნა.

მზეონა ათრთოლებული და თვალცრემლიანი მისჩერებოდა აეთოს.

— რატომ ჩვენ არ წაგვიყვანა თან? — ბრაზით თქვა მან, — განა ხალიბა-ბიჭი შენს ძმობილს ჩემზე უფრო ცყვარს?

აეთომ ჯერ არაფერი უპასუხა, მერე მხრებზე მოხვია ხელი და ჩაუჩურჩულა:

— მზეონა, ამირანმა ხალიბა-ბიჭის სურვილის შესრულება გვთხოვა, ხომ მიხვდი, გენაცვალე, ხომ გაიგე, — ქალიშვილმა გაკვირვებით შეხედა საქმროს. ისე დაუკვირდა, თითქოს პირველად ენახოს თავისი რჩეული.

დღიდხანს მისჩერებოდა, ღაწვები ალუბლისფერი ვარებდა, თვალებში მორჩილება და უცნაური ცეცხლი ერთად აუკიაფდა.

უცებ ტყის სიღრმეში ძალლი აყმუვლდა. ორთავეს ტანში ვაცრა, თითქოს ხეებსაც გააძიგდიგათ, ისე ასტეხეს შრიალი.

გაჩუმდნენ, დააყურადეს, ადგილზე გაშეშლნენ. მიხვდნენ, ძალლი გაციებულ ცხელას შეჰყმუნდა. აეთოს ცხელი ცრემლები გაღმოსცვიდა.

— წავიდეთ, ჩემო სიცოცხლევ! — ჩასჩურჩულა საცოლეს.

ოცდაცხრამეტი დღე ესვენა ხალიბა-ბიჭის ცხედარი გავა-
სინის მარადთოვლიან მთებში. ამირანმა იგი ყინულოვან გამო-
ქვაბულში, ბუნებრივ თეთრ კვარცხლბეჭზე დასვენა. მიცვა-
ლებულს დარაჯად გოშია დაუყენა და თვითონ ხალხში გაე-
რია. ორმოცი დღე სდევდა დარისპანს და ვერსად ჩაიგდო ხელ-
ში. ელგასავით გაქრა მისი ნაკვალევი. ხალიბას გარდაცვალებაზე
ხალხში არავინ არაფერი იცოდა. პირობის თანახმად, ივთო-ბიჭი და
მზეონაც დუმდნენ. მათ ქორწილზე კი ყველა ლაპარაკობდა. ამ დღი-
სათვის მდინარისპირა გამოქვაბულებში გულდაგულ ემზადებოდ-
ნენ. — ამირანს უთქვაშს, ქორწილის დღეს ქუდზე კაცი უნდა დაეს-
ტრიოს. — მეორმოცი დღეს, დიდ წყარისთან, გაშლილ ტაფობშე,
ირგვლივ წაბლის სურნელოვანი ტყე რომ ერტყა, უთვალივი ხალხი
შეიყრიბა. მათი ნახევრალშიშველი, კუნთოვანი და ნაძერწი სხეულე-
ბი მზის მცხუნვარე ელვარებაში მომჯადობლად ინაკეთებოდნენ
აფთოს და მზეონას ყვავილების გვირგვინი ეხურათ, აქა-იქ გვირ-
გვინში ეკლის წაბლისფერი ისრებიც მოჩანდა.

— ცხოვრება ყვავილებითაც ატკბობს ადამიანს და ეკლითაც
ჩხელეტით, — ამბობდა ხალხი. ავთო-ბიჭის მშვილდ-ისარი ეჭირა
ხელში, მზეონას კი — უცხო ყვავილთა კონა. შავი თმა წელს ქვემოთ
ვაზის დაგრეხილი ლერწებივით ეყარა. ქალ-ვაჟისათვის გულისპირე-
ბი წითელი ძაფით ამოექარგათ. მოკლე, უსახელო სამოსზე, მარჯვე-
ნა ძუძუს თავზე მწიფე ანწლის წვენით ეფექტის ბოკეტები მოხე-
ტათ. მამაკაცებს წელზე შემოკრულ ხარის ტყავებზე მოკლე, ბასრი
სატევრები ეკიდათ. ქალებს თმებში სხვადასხვა ფერად მბრწყინავი
ჰევბი უვალვადათ. ქალწულებს ყვავილთა კონებისაგან შეკრულ
გვირგვინებით დაემშვენებინათ სქელი ნაწნავები.

სამხრიობამდე გგუფ-გგუფად ისხდნენ და საუბრობდნენ. როც-
მზე გადაიხეხა, მთის ფერდობზე მდგარმა დარაჯმა ნიშანი მისცა
ხალხს. ყველანი წამოდგნენ, აუჩქარებლად, დარბაისლურად შეკვე-
ფდნენ. თვალი აღმოსავლეთის მთას შეყოლებულ ბილიქს მიაპყრეს.

ნეფე-პატარძალი ხალხის წინ წარსდგა, ცოტაც და, ირმის რქას

ორმა საყეირმა დამხვდურთ სამგლოვიარო ზორი ამცნო. ხალხი
გაოცდა, ყველას შიშმა და გაკვირვებამ გადაურბინა სახეზე.

აფთოს და მზეონას ცრემლები წასკდათ.

ფერდობის თავზე, ვიწრო ბილიკზე ამირანი გამოჩნდა. წინ ისი
კაბუკი მოუძღვებოდა საყვირებით. მისი ფართო შუბლი ნაოჭებს
დაედარა, შავი წვერ-ულვაში კიდევ უფრო მოეშვა, თვალები აგზნე-
ბოდა, გაშლილ მკლავებზე ხალიბა-ბიჭის გაყინული ცხედარი ესვენა.
მიცვალებული, ერთი ადგილის გარდა, სულ შიშველი იყო; თავზე
დაფნის გვირგვინი ეხურა.

ხალხმა ზრიალით დაიხია უკან.

— ქორწილზე მოგვიწვიეს თუ გლოვის დღეზე?! — გაისმა ჩურ-
ჩული.

ამირანმა ცხედარი ზევით ასწია.

— შეხედეთ, ხალხნო! — იშექა მისმა ხმამ. — ხომ იცანით ეს
კაბუკი!

ხალხი კიდევ მეტად აზრიალდა. გაისმა ბოლმიანი გაოცების
ხმები:

— ჩვენი ხალიბა-ბიჭია!

— ვაი შენს დედას!

— ვინ მოკლა?

— ჩქარა თქვი, ამირან!

— ბოროტმა ადამიანმა გამოასალმა იგი წუთისოფელს. — განა-
გრძო ავთოს ძმობილმა. — ამ პატარა ბიჭმა ჩვენს ხალხს დიდი პა-
ტივი დასდო. აბა, შეხედეთ! — ყველამ შეხედა ამირანის ხელში გა-
მდებულ მახვილს. — ვის აქვს ყველაზე ფხიანი სატევარი?

წინ რამდენიმე თავმომწონე ვაჟაცი წამოდგა.

— ვისაც ღონე გერჩით, შემოჰყარით ამ მახვილს! — უბრძანა
ამირანმა ახალგაზრდებს.

მოუქნია პირველმა და ხელში ნაფშვენები შერჩა.

— იხლა შენი რიგია! — მიმართა მეორეს. რიგრიგობით სცემნენ
მკლავმაგარი, შავულვაშა ვაჟები თავიანთ ნაცად სატევრებს ამირა-
ნის მახვილს და სატევრებიც ხმელი ტალახივით იფშვნებოდა.

ხოლხი გაოცებისაგან ოხრავდა.

— ამირან, გვითხარი, — წამოდგა წან ერთი მოხუცი — ჯადოქ-
რობა დაიწყე თუ ნათლიაშენმა თავისი ხმლით დაგისაჩუქრა?

— არც ერთი, არც მეორე, ჩემო მოხუცო, — იგი ამ პატარა

ბიჭმა იპოვა. მისი გონება ყოველთვის ახალს ეძებდა. ხალხი სიგ-
თისათვის ზრუნავდა, დაუკევირდით, პირეელიდ რა გაცემა იმ დრო
ბუნების ბავშვმა — ამირანმა შეხვეული გახსნა.

სახნისის წვერი ხელიდან ხელში გადავიდა. ცივი ტრატა და შაგარი,
ზოგიერთმა მიწას დაჰკრა, — იგი ღრმად ჩაეფლო შიგ. ზოგმა ქვე
მიურაკუნა — ლითონმა ზრიალი დაიწყო.

— ი, ამით კი მოვხნავდით მიწას! — გაისმა ხალხში.

— კეთილი კაცის ნაპოვნი იმ ბოროტმა ადამიანმა სასიცდილოზ
გამოიყენა, — განაგრძო ამირანმა.

— თქვა, ამირან, ვინ არის მკვლელი?

— აქვე უნდა დაისაჭოს!

— უნდა ჩაიქოლოს!

ისევ აღელდა ხალხი. ამირანს არ მოეწონა სიკვდილით სიკვდი-
ლის დათრგუნვა. მისი აზრით, ეს ბოროტი კაცის ავი ფიქრი იყო.

— მკვლელი გაიქცა, — შეჭმუხვნით თქვა მან და ავთო-ბიჭი და
მზეონა ნელი ხელისკვრით წინ წამოაყენა.

— ამ ქალ-ვაჟის ქორწინება ხალიბას სურვილი იყო. ერთი მო-
კვდა, მეორე უნდა დაიბადოს. ეს ლვთიური სურვილი უნდა შეს-
რულდეს.

ხალხი ჯერ შეჩინებულდა, აზრიალდა, მერე გაყუჩდა და გაირინ-
და. წინ ავთო-ბიჭის დედა წამოდგა. ხალხს წყნარად გადააკლო
თვალი და მტკიცედ თქვა:

— მართალი დაუბარებია ხალიბა-ბიჭის, აღსრულდეს მისი კეთი-
ლი სურვილი!

— აღსრულდეს, აღსრულდეს! — ამბობდა ხალხი.

— ჰეშარიტად აღსრულდეს! — მტკიცე ხმით დააბოლოვა ამი-
რანმა და ცხედარი ორ ახალგაზრდას გადასცა.

— აბა, ხალიბა-ბიჭის სიხარულისა და მწუხარების თანაზიარ-
ნო! ყურშა წინ გაიძლოლეთ, თქვენ უკან მიჰყევით. იგი მიგიყვანთ
დანიშნულ დაგილზე. ცივ ყინულეთში, კავკასიონის ერთი მწევრეა-
ლის შეეულ ფერდობზე, გამოქვაბულია შეთხრილი. ზევიდან გრეხი-
ლი ბაწრის კიბეა გაღმოშვებული. იქ აიტანთ მის ცხედარს. მშე მის
სახეს ვერასოდეს დახედავს, იქ განისვენოს, როგორც უკვდავებამ,
როგორც ადამიანის აეთილი და გაბედული ფიქრის ძეირფასმა სა-
ბურჭლემ. ეს სახნისი მის სასთუმალთან დადეთ. მშვილდ-ისარიც

გვერდით დაუწყვეთ. ნულარ აყოვნებთ, შორი გზა გაქვთ გასავ-
ლელი.

ჭაბუკებმა ცხედარი აწიეს და ნელი ნაბიჯით გაშორდნენ უკრაინული
რობას.

თავდახრილი ხალხი თვალცრემლიანი აცილებდა მათ.

როცა პროცესია გორაკებს გასცდა, ამირანი ხალხისკენ შემო-
ბრუნდა.

— ახლა, ხალხო, ქორწილი იწყება! — დიდებით ასწია მარჯვენა
ხელი.

გაისმა საქორწინო სიმღერა. მწუხარება ანაზღად მხიარულებით
შეიცვალა. ადამიანები სრულიად გადასხვაფერდნენ, ახლა მათი თვა-
ლები ბედნიერებით ელავნდნენ, ისევ დაიშალნენ და ჭგულ-ჭგულად
დაიყვნენ. მხოლოდ მომღერლები და მოცეკვავენი დარჩნენ ქალ-
ვაჟის ახლოს.

ავთო-ბიჭმა ხელი ქალწულის მარცხენას ჩასჭიდა. თავდახრილნი
წავიდნენ მცირე გორაკისაკენ. მწვანე ფოთლებისაგან ახალდაწ-
ნული ფანქატური ყვავილებით იყო მორთული. კედლები ვაზის
ფოთლიანი ლერწებით მოელობათ, ზემოდან ვეება წაბლის ხის
რტოები ეხურა. მწიფე ნაყოფი ალაგ-ალაგ მოღიმარი ვაკეაცის
ტუჩ-კბილივით დაჰყურებდა ფანქატურს. მზის სწივები ისე ნათლად
და სასიმოვნოდ ციმციმებდნენ, თითქოს ციდან სანთელი იღვენთე-
ბაო. პარაზი მზისა და სინათლის სუნი იდგა, გარშემო ქორფი ბა-
ლანი ბიბინებდა.

მზეონამ პირველმა შედგა ფეხი ხუთსაფეხურიან, მწვანე რტოე-
ბითა და ყვავილებით მორთულ კიბეზე. ვაჟიც დინგად მიჰყვა. კი-
ბის თავზე ფანქატური იწყებოდა. როგორც კი ქალ-ვაჟი ოთახში
მიიმალა, სიმღერა საცეკვაო ჰიმნად გადაიქცა. ახალგაზრდები ლამა-
ზი ჩევვით შემოხვივნენ ფანქატურს. ცეკვავდნენ წყვილ-წყვილად,
აღტაცებით, დაუღალვად.

კიბის ძირში ამირანი გამოჩნდა. მარჯვენა ხელში წაბლის მწიფე
ნაყოფით დახუნდლული გაფოთლილი რტო ეპირა, ფანქატურის სა-
ძირქველზე დაბერტყა. მერე კიბის თავზე დადო და დაბლა ჩა-
მოვიდა.

— აბა, ფერხული! — გაისმა ისევ მისი ხმა.

ხალხმა ერთმანეთს ხელი ჩასჭიდა, წრე შეჰქრა და ფანქატურის
გარშემო სიმღერითა და ტაშით დაიწყო ტრიალი.

ზამთრის პირი იდგა. მთაში სიარული გაძნელდა. დათოვლილ წრიახებში ნამქერი მოხშირდა. სიცივემ ყინულოვანი მთებიდან თანდათან დაბლობისაკენ ჩამოინაცვლა. გადაყვითლებულ ტეგრებს თოშმა დაძერა. იდამიანები სიცივისაგან აკანკალდნენ; გამოძვაბულებს შესასვლელში ნაბდის ფარდები ჩამოაფარეს, მაგრამ ოდნავ რომ გადასწევდნენ, სიცივე შეუილით შერჩოდა შიგ. ბაჟვები აიბუზნენ, მოხუცები მოიკუნტნენ. ამირანი დაფიქრდა, ხალხს დახმარება სჭირდებოდა. ერთი კვირა გარეთ არ გამოსულ; თავჩაქინდრული იდგა თავის გამოქვაბულში და საშეელს ეძებდა. სიცივე მატულობდა, მდინარის ნაპირები თხელი ყინულით დაიფარა. ცაჟე ღრუბლები გახმირდა, მაგრამ ელვა-მეხი გაუჩინარდა.

— რატომ ქუხილი არ არის, რატომ მეხი არ ვარდება? — უკვირდა ამირანს და ცის გუმბათში მქროლივ ღრუბლებს სევდით შეპყურებდა. რამდენიც არ ეცადა, ვერც ელვის ნაპერწყალს მოჰქრა თვალი და ვერც მეხის ჭახანი გაიგონა.

— განგება გაგვიწყრა, — ამბობდა ავთო-ბიჭის დედა. — მაშინ შეუა ვერ ვიხმარეთ და ცეცხლი ვერ შევინახეთ. ახლა სად უნდა ვიშვეოთ!

ამირანს ყველაზე მეტად მაინც მზეონა ეცოდებოდა. ფეხმძიმე ქალი სიცივისაგან გალურჯებულიყო და საბრალოდ კანკალებდა. ავთო-ბიჭი თვალებში შეპყურებდა ძმობილს.

ერთ საღამოს მხარ-თეძოზე წამოშოლილი ამირანი ისე წამოი-წრა ფეხში, თითქოს მუსლებზე ქვე შემოჰკრესო.

მყის მოკლე ხმალს ეცა, ჰაერში რამდენჯერმე შეატრიალა და გამეტებით ჩამოქრა კლდის ფლატეს.

ნაპერწყლები თვალებში შეაცეიოდა. ახლა კარგად გაახსენდა რამდენი ნაპერწყალი გაყარა კაჟზე შემოკერისას ხილიბას ნაპოვნმა ლითონნმა.

— მივაგენი! — უნებლიერ წამოიძახა და ისევ ჩაფიქრდა. საწოლის ახლო, თივის ბულულების გვერდით, ხალიბას ხელით თუთის ხის სკოსაგან გამოჭრილი პატარა ბურთი ეგდო. ბავშვებს ისე დაებეგვათ, რომ ახლა საქმიოდ გრძელებეწვა ლინლი ასწეროდა. ამა-

რანს თვალებში სსივი ჩაუდგა. აბედის ბურთს ხელი მოქმიდა. შეა-
ჰე გადახლია, გადაწერა და კაენარევ კლდის წვეტს მიუახლოეს რაჭული
მარჯვენა ხელით ხმალი შემოქმია მის კიდეს. აბედს ნაპერ გადადგინდა მოედო. ცოტაც და, კვამლის წერილი ძაფი ნელა იზღაზნა.

ამირანმა აბედს ჩახედა, ნაპერწყალი შიგ ჩაბუდებულიყო და
ისე ანათებდა, თითქოს მისი დაბადება ქვეყნის თვალის გახელას
ნიშნავდა.

— ეი, ავთო-ბიჭო, აქეთ მოდი, ნაპერწყალი ისევ ჩვენი ტყვე
გახდა!

უმცროსი მმობილი აქლოშინებული შემოვარდა გამოქვაბულში.
დედა და მზეონაც შემოჰყვნენ. ცეცხლმოკიდებულ აბედს მისცვი-
დნენ. სამივე გააკვირვა თავიანთმა გულმავიწყობამ. რატომ ამდენ
ხანს არ მოგვაგონდა ცეცხლის გაჩენაო, გაოცებას ვერ მალავდნენ.
გაღვივებული აბედი კი მათ თვალწინ ღადლადებდა.

ავთოს დედამ ფრთხილად გამოართვა იგი ამირანს. მზეზე გამო-
მწვარ თიხის ჭამებ დააგდო და რომ დაიხარა, უნებლიერ დაიჩოქა.

— ახლავე, ჩინჩხვარს მოვიტან, — წამოიძახა ავთო-ბიჭმა და გა-
რეთ გაგარდა.

ცოტა ხნის შემდევ გამოქვაბულიდან კვამლმა დაიწყო დენა-
ხალხი ვერ შორიდან შესცემერთდა ამ საკვირველ სანახაობას. შე-
რე, როცა ამირანმა გამოქვაბულს ნაბდის კარი ჩამოგლიგა, ყველამ
დაინახა გიზგიზა ცეცხლი. მუხის ნაპობები მხიარულად ტკრცია-
ლებდნენ, ყველამ იქით მიაშურა.

სამი დღე-დამე არიგებდა ამირანი ხალხში ნაკვერცხელებს. ისინიც
რიგრიგობით მოწიწებით დებდნენ თიხის ჭამებზე და ზეიმით მიპ-
ქნდათ თავიანთ გამოქვაბულებში.

ერთ კვირაში გამოქვაბულმა გამოქვაბულს გადასცა სითბო და
სიყვარული. ადამიანებს ფერი დაუბრუნდათ.

მზეონა აღაუღაუებული ლოებით ტრიალებდა ეზო-გარემოში.
როცა თოვლმა გორაკები გადაათეთრა, ხალხს სიცივისა იღარ შე-
შინებია.

ავთო-ბიჭი ბედნიერების მწვერვალზე იყო. ახლა მას შეეძლო
მზეონა ცეცხლის ახლოს თბილად დაეტოვებინა და თვითონ სანადი-
როდ წასულიყო.

დარისპანი კი მაინც არსად ჩანდა. სანადიროდ გასული ავთო
ფრთხილობდა — ზურგიდან არ მომეპაროს ცალთვალი და სატევარი

არ ჩამცესო. მშვილდ-ისარი მუდამ მომართული დაჭქნდა, სატევ-რის ვადას მარჯვენას არ აშორებდა. ერთხელ ძალზე შორის მოუდა-წასვლა. დაჭრილ ხარირემს გასდია, მრავალი ტყვა და ჰელი ციფრები რა და ერთ ტაფობში უცხო ქვალს დაადგა თვალი. თოვლზე ხავა-ლევი კარგად ჩანდა. აუჩქარებლად მიჰყვა მას. ტყის ნაპირას წნე-ლით მოღობილი ქოხი დაინახა. ქოხიდან კვამლი ამოდიოდა. ხე, ამოეფარა და თვალთვალი დაუწყო. საღამო ხანს რამდენიმე ნაპ-დიანი კაცი გამოჩნდა. ავთომ შეამჩნია, ფეხზე წვრილი წნელით ნა-სოვი უცხო რამ ეცვათ. ისიც შენიშნა, რომ ფეხი თოვლში ლრმად არ ეფლობოდათ.

„რა მსუბუქად დადიან ამ ფაფუქ თოვლზე!“ — გაიფიქრა აეთო-ბიჭმა. უცებ იგი შეჩქვითდა და მერე კანკალი აუვარდა. წინა კაც კოჭლობდა.

„დარისპანია! — მყისვე გაჭერა ფიქრმა.—აი, სად ყოფილა, თუ-რმე?!" — მართლაც, ქოხში შესვლამდე დარისპანმა ტყეს მოავლი მზერა და ავთომ კარგად დაინახა გაბარდნილ, დაუვარცხნელ წვერ-ულვაშს ზემოთ ლიბრგადაკრული თეთრი თვალი.

„თუ შემამჩნია, დავიღუბე!“ — ყველანი დაიხარენ, თასმებით ამოკრული ბანდულები მოიხსნეს, გარეთ დატოვეს და ქოხში შეე-დნენ. ცოტა ხნის შემდეგ საშინელი ბურტყუნი მოისმა. ლია კარ-დან ვეება წაბლისფერი დათვი გამობაჭბაჭდა. დარისპანი ფეხდაფე გამოჟყვა. მხეცი გაურბოდა. ავთოს ეგონა, თვალმა მომატყუათ, რო-ცა დათვი ჭერ ჰაერში შეტოტდა, კაცივით იმიართა და მერე ზურგ-ზე მოსხლეტით დაეცა. წაქცეულმა ოთხივე ფეხი საცოდავად გაასავ-სავა, რომ წამოხტა, კბილებით რაღაცას ლრღნიდა და ისე იღრი-ნებოდა, ფიფქით ამოგანგლული ნესტოებიდან თოვლი ბუქ-ბუქად სცვიოდა.

ავთო დაუკვირდა და კარგად შეამჩნია მხეცის კისერზე შემოხვე-ული ჭაჭვი. მიხვდა ბიჭი, ბრუციანს დათვი დაეტყვევებინა.

„მხეცსაც ვერ გაუგლეშია! — გაიკვირვა მან — აბა, მე მაშინ რა გავაწყობდი?!"

ამასობაში ცალთვალამ ჭაჭვის ბოლო ხელის მოქნევით აწყვიტა, დათვი კაცივით აღრიალდა.

— მალე ასე ვაღრიალებ ამირანს, — მოესმა დარისპანის ხმა ავთო-ბიჭს.



ახალგაზრდა მონადირეს შეკვეთის ფერი დაედო.

„აი, თურმე, ჩისთვის სჭირდებოდა ჯაჭვის სიმაგრე ცალთვალს უწულეს აი, რატომ არ ჩანდა ამდენ ხანს! მხეცებზე ცდიდა ლითონქმა გვემოსას ლეობას, რომ ამირანი დაჯაჭვოს შემდეგ!“ ქოხის წინ გამოფენილი დარისპანის თანამგზავრები სიცილით იჭავებოდნენ. ვერც ერთი ვერ იცნო ავთობიქმა: ამქეცენიურს არ ჰყავდნენ. არც ერთს წვერ-ულვაში არ ჰქონდა. ტუჩები ფუტკრის ნაკბენივით დასიებოდათ. ყელზე მსხვილი ბაწრით ქვის სატევრები ჩამოეკონწიალებინათ აე-გაროზებივით. უწამწამო თვალის ქუთუთოები დაწითლებოდათ. ყურის ბიბილოზე ზღვის ცხოველის რგოლისებური ფარფლები ეკი-დათ. „ზღვისპირელები მოუყვანია დასახმარებლად, ამირანის დასა-ძლევად!“ — გაიფიქრა ავთომ. ღამეს დაუცადა მონადირემ და, როცა კარგად შებინდა, ქოხს მიუახლოვდა. გარეთ არავინ ჩანდა, არც შიგნიდან ისმოდა ჩამიჩუმი. ეტყობოდა, ყველას ეძინა. ფრთხილად წაიწია წინ. ახლა უკვე ხერინვა შემოესმა. თოვლზე სასიარულო ბა-ნდულები ქოხის წინ უპატრონოდ ეყარა. ერთი წყვილი ჩუმად ამოიილიავა და ტყეს მიეფარა, — ქვეყნის კიდემდე რომ მომიხდეს ძებნა ამირანი უნდა ვიპოვო, ნახული და გაგონილი ვუამბო. თი-თქოს ხეებს გაანდო საიდუმლო, ისე ხმამალლა ჩაილაპარაკა და ორივე ბანდული თასმებით გაიმაგრა.

*

* * *

— გაზაფხული მალე შემოაღებს კარს, უნდა დაეუჩქაროთ, ბი-შებო, დავუჩქაროთ! — ეუბნებოდა ამირანი თავის შეგირდებს.

ბიქებს ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ. გრდემლზე უროებით ჰიდდნენ გავარეარებულ რეინას. გრილ ქვიშაში ახალ-ახალი სა-ხნისები და დაფნის ფოთლისოდენა ისრის წვერები ეყარა. მოწიწე-ბით შეჰყურებდნენ უჩვეულო ოსტატს. რაც ისინი ამირანმა შეპქრი-ბა, მთვარე სამჯერ დაილია და გაიგსო, ბიჭები ახლა უკვე მარჯვედ სმარობდნენ უროს, რეინის საკუცებით აბრიალებდნენ გავარეარე-ბულ ნაჭრებს, წყაროს წყალში აციებდნენ და ამაგრებდნენ გამო-კვერილ რეინას.

ამირანი ვეება უროს ატრიალებდა და შეგირდებს ეუბნებოდა:

— ჩვენ კაცს, ჩემო შმობილებო, უხილავის დანახვა ეხერხება,

ბნელში სინათლის შეტანა უყვარს, უცნობს ნაცნობად გაისწის, ამ ხალიბურის საქმე მაგარია, კიდეს ვერ მოტეხ, მარტვალს ერ ჩამოფხვნი. მიწასაც აღვილად მოვხნავთ და ნადირსაც ბლობრივი სამარტვა უკავეთ, შრომა კი დიდი გვმართებს, ბიჭებო! სახნისებს და მარტო უსარება გამრავლება უნდა. იცოდეთ, ხალხი სიკეთეს არ დაგვივიშვებს.

უროს დაკვრისას ცეცხლი ბოლქვებად იფანტებოდა. დალამულ მიწის იატაქს ნაპერშეკლები აცვიოდა.

უღრანი ტყის დათოვლილი ფერდობებიდან ღროვამოშვებით ნადირის ღმუილი ისმოდა. ხანაც მტაცებლისაგან დამფრტხალა შეელ-ირემი შეეფეთებოდა მჭედლების ბინას. ბიჭები უროს ერთბაშად მიანებებდნენ თავს და მშვილდ-ისარს მოავლებდნენ დაკორილ ხელებს. გემრიელი ხორცი გამოულევდა ჰქონდათ. დოქებში ყურძნის შუშხუნა, მაგრილებელი წვენი ჩქეფდა. შეგირდება ძალზე შეეჩივნენ ყურძნის ნაწურს. ორცა პირველად დაუალეს თითო დოქი, ძარღვებში ტკბილი ბურანი ჩაუსახლდათ, ლხინის უჩვეულო გუნებაზე დადგნენ. თაფლით მთერალი დათვის ბელებივთ დაიწყეს თოვლში ბუღრაობა და ფიფქში ამოიგანგლნენ. ცეცხლისაგან გაალული, ნახშირით გამურული ბიჭები თოვლის სამყაროშ, შინქებივთ დახტოდნენ. ამირანი მაშინ დაუკვირდა ღვინის ძალას. ყველაზე მოკრძალებული, დაკვირვებული შეგირდები გათამშენენ და ისე იქცეოდნენ, სირცხვილით დაიწვებოდა კაცი. ზოგი სიგირებდე მიიყვანა ღვინომ, ზოგი კი მოადუნა და მკვდარს დაამსახვესა. მის მნახველ ამირანს კარგა ხანს ღვინის წვეთი არ ჩაუშეია პირშა. თვალწინ შეგირდების ამღვრეული თვალები და მოღრეცილი სახეება ედგა.

— ცოტა კარგია და ბევრი საწამლავი ყოფილაო, — ეუბნებოდა შემდეგ ბიჭებს.

შეგირდების სადგომი საიდუმლოებით იყო მოცული. ამირანმა იგი ადამიანთა ბინებს გააშორა. მაღალ გორაკებს შუა, ტყით შემოფარულ ტაფობზე, ცხრაწყაროს ფესვთან დადგა კარავი. მის ზემოთ ალპური მინდვრების სათავესთან მუდმივი ყინულის ზოლი იწყებოდა. ზამთარში გზა იკვრებოდა, ყველაფერი იყინებოდა. გაზაფხულზე მიწის გულიდან სითბო წამოვიდოდა. ყინულეთი შეირხეოდა. დიდი ნაპრალები გაჩნდებოდა, ლანქერი წამოვიდოდა. ზევიდან მოწვეტილი თოვლის გუნდა მთისოდენა ზვავად იქცეოდა, ყინულ

თა მსხვრევა და გუგუნი აყრუებდა სამყაროს. მალე ვალ-მინდორზე
უვავილები ამოყოფდნენ თავს, ხეთა კვირტები სკდებოდა და გაწერა-
ხულიც მთელი ძალით მოედებოდა ქვეყანას. ხარჯინების ჭრის მიზან
ირჩების ძახილი ემატებოდა, შურქთხების სტევნას ფრინველთა კარ-
ჭიკი მოჰყვებოდა. ამირანი შიშობდა, მოხეთქილ ზვავებს სამშეღლო
კლრვები არ წაელექათ. ამიტომ იყო, რომ ხანდახან, სიურთხისა-
თვის, ყინულგადაყრულ მდინარეს სუნთქვაშეკრული ცურადებდა.
წყალი ჭერ კიდევ ნელი ჩქეფით იკვლევდა გზას.

— მდინარე რომ გაზაფხულის სითბოს იგრძნობს, შხეფს გაიმ-
რავდებს, გუგუნს დაიწყებს, ხმას აუმალლებსო, — ამბობდა. კრია-
ლა ცის გუმბათზე ვაჟაცის მოხრილი მკლავივით სხესე მოვარე
ვიდოდა. კარავში დაღლილი შეგირდები ხვრინავდნენ. ქურის ფუ-
ძესთან, ყურეში, ძალით თვლემდა. იქვე შელის ნუკრი დაყუნტრუ-
შებდა. ზამთრის პირზე ერთმა შეგირდმა ხევში, თოვლის ფიფქში
ჩაფლული იპოვა და დასაკლავად ვერ გაიმეტეს. ყურეში და ნუკრი
ერთმანეთს შეეჩიინ. ერთად ეძინათ, ერთად თამაშობდნენ. ამ-
რან უნდოდა მშეონბასათვის ჩაეყანა — ხალისს მოუმატებს, ფე-
მძიმობას გაუადვილებსო, — ფიქრობდა.

როცა ორასი სახნისი გამოჭედეს, იმდენივე სატევარი და ისრის
წვერი გამოკვერეს, — პაერში სითბომ იმატა, შეყინულმა თოვლმა
სეებიდან ნელ-ნელა დაიწყო ცვენა, ტოტები ფიფქისაგან დაიცალა.

ერთ დილით კაცის ძახილი გაიგონეს. ყველანი გარეთ გამო-
ვიდნენ.

ავთო-ბიჭი მსუბუქად მოაბიჯებდა თოვლზე. ბიჭები გაოცდნენ.
ბილიკი არ ჩანდა, მიწაზე ისეთი ფაფუქი თოვლი იდო, რომ ავთო
სასწაულმოქმედად მოეჩვენათ. ქალამნის კოში ზემოთ თოვლი არ
ეკარებოდა, არ ეფლობოდა. ღიმილით მიუახლოვდა კარავს.

— რომ მშვიდობაა?

— მშვიდობაა, ამირან, მომენატრეთ და ამოვედი.

ამირანმა თვალი თვალში გაუყარა. იცოდა, ავთო-ბიჭი ახლა ამ
მიზეზით არ ამოვიდოდა. ისიც იგრძნო ავთო-ბიჭს შეგირდებთან არ
უნდოდა სათქმელის გამხელა.

საღამოს წყალზე მიმავალ ავთოს ამირანი დაეწია.

— რამ მოგიყვანა, ავთო-ბიჭო?

— დარისპანი ვნახე, შენს შესახვედრად ემზადება.



ეროვნული

სიმამკიცებულის

— შეხვედრას რითი მიპირებს?!

— ჯაჭვებით, ამირან!

— როგორ თუ ჯაჭვებით?

ავთო-ბიჭმა დაწვრილებით უამბო ნანახი და გაგონილი. თან
წრიაპების ამბავიც დააყოლა.

ამირანმა დიდხანს ატრიალა წრიაპები, თვალის დაუხამხამებ-
ლად მოისმინა ყველაფერი და ავთოს გასაკვირად, დარისპანი შეაქმ:

ბოროტია და შხამით საცხე გული აქვს, თორემ ჩემი პირველი
ძმაკაცი ის იქნებოდაო.

ავთო გაჩუმდა. ჯერ არაფერი თქვა, მერე კი ვერ მოითმინა და
ბოლმით ამოიძახა:

— საქმეც ეგაა, რომ რასაც კი მოიხელებს ეს ბოროტი კაცი,
ყველაფერი ხალხის უბედურებისათვის უნდა.

სამი დღის შემდეგ ამირანი ჯიხვებზე სანადიროდ წავიდა. უ-
ხებზე წრიაპები გაიკეთა და ამხელა კაცი თოვლზე ობობასაეთ
მსუბუქად მიცოცავდა. ყურშა ფეხდაფეხს მიპყვებოდა, წინათ ძალ-
ლი ყოველთვის წინ უსწრებდა, ახლა ოფლითა და თოვლის ფიტ-
ქებით გაწუწული, ქლოშინით ძლიგს მისღებდა. ზევით თოვლი თან-
დათან მაგრდებოდა; ყინვისაგან მოსარკული ზედაპირი აღარ ტყე-
ბოდა და ყურშას სირბილი უადვილდებოდა. სიცივისაგან ხევებში
მდინარეები გაყინულიყო, მთის ფერდობები აღარ შრიალებდნენ,
მხოლოდ წყაროები მოჩქეფდნენ ლალად მიწის გულიდან.

ამირანს ძალიან უყვარდა მდინარის სათავესთან ჩამოსვენება.
მიწიდან ამოხეთქილი წყაროს ფესვი ამ მდუმარე ყინულეთში ჩქრი-
ალით იკვლევს გზას დაბლობისაკენ. მის ზედაპირზე მუდამ ბატენის,
მატყლივით აწეწილი ფაფუქი ნისლი დაბორიალებს. კლდებიდან
უთვალავი კრიალა წვეთი ამორბის და ნაკადებად უერთდება. იგი
თანდათან მატულობს და ძირს მდინარედ ეშვება.

— რა უმტკივნეულოდ იბალება წყალი?! — ფიქრობს მშვილდზე
დაყრდნობილი ამირანი და დაეინებით დაჰყურებს ფასის მთის
ძირში მოჩუხჩუე წყაროს. რა საამო და თვინიერია მისი წვეთები?!
ცეცხლი კი ღვთისრისხვით მოდის ქვეყანაზე. მეხთან ერთად იბალება
და მისი ნათელი ნაპერწყალი ყველაფერს წვავს, ტკივილს იწევეს. ნე-
ტავი თუ დადგება დრო, რომ აღამიანმა ცეცხლის სტიქია დაიმორჩი-
ლოს? — უცებ ფიქრი გაუწყდა. განა იგი უკვე მისი ტყვე არ არის?

რატომ დაავიწყდა ლითონისა და კაცის ქვის ტერციალი? მათი ნაპერ-
წელის ძალა? განა გამოქვაბულებში ცეცხლი არ ღუღუნებს? მისი
სიცოცხლით არ თბებიან ახლა პატარა ხალიბა და დედამისი? კუკლა-
ფერი ეს მართალია, — განაგრძობს ამირანი, — მაგრამ ცეცხლი ჭირ
კიდევ საშიშია. ადამიანები დაფეხებული ჰყავს. სხეულზე იარებს
ტოვებს, რასაც კი მოიხელებს და ჩაიხვევს, ნაცარტუტად აქცევს,
ლითონისაც კი არბილებს და დაღეჭილი კევივით ალლობს.

ყურშა მის ფეხებთან გაწოლილა. გალმა მწვერვალთა კალთებზე
ჯიხვების ჭიღი მოჩანს. ძალლს თვალი იქით მიურბის. ხანდახან
პატრონს სევდით შეხედავს, თითქოს ეუბნებოდეს, — ამირან, გახე-
დე, რა ყოფა აქვთ ჯიხვებს, გამართე მშეილდ-ისარი, განა ამისა-
თვის არ მოვედით აქ?

— ცოტა მაცალე, ყურშა, — თითქოს მიუხედაო, ჩასჩურჩუ-
ლებს ამირანი. — ფიქრმა წამილო, ის ბოროტი დარისპანი ავ საქ-
მეს მიქალის. — რატომდაც ხმა ჭერ დაურბილდა, მერე თითქოს სულ
ჩაუშრა.

— ნუთუ შემაშინა იმ ბოროტმა? — ეს ჭერ არასოდეს მომსვ-
ლია; ვერ არის კარგი ნიშანი, — ყურშა მის ფეხებთან აწევურუნ-
და. — რა, შენც ხომ არ ივრძენი, ერთგულო მეგობარო, მოსალოდ-
ნელი ხიფათი? — ძალლი ახლა პატრონს არ უსმენდა. გალმა კლდის
წვერზე მამალი ჯიხვები ერთმანეთს რქებით ეკინწლავებოდნენ.

ამჟად მოდიოდა ჯიხვი, კლდის ნასხლეტზე იდგა, ოთხივე ფეხი
გაეჭვიმა, მეორე ჭერ უკან იწევდა, სამი კამარის გადავლების შემ-
დეგ კი რქებით ზედ შუბლზე ეჭახებოდა. მათი რქების მძიმე ყრუ
ხათქუნი გამოლმა გამოპქონდა ქარს.

ამირანმა მშეილდი მოზიდა. ყურშა უკანა ფეხებზე ჩაცუცედა,
წინა ფეხები გაწვდილად დააბიჯა მიწას, ნახტომისთვის ემზადე-
ბოდა.

ისარი შხუილით წავიდა, ხარჯისეს მკერდში გაუარა და იქვე ჩააჩო-
ქა. მეორე ვერ მიხვდა ხიფათის მოახლოებას. გაშტერებით დასცემ-
როდა წუთის წინ მასთან მარქენალ მოწინააღმდეგეს. მოძმის სისხლი
რომ დაინახა, აძაგძაგდა, სწრაფად უკან დაიხია, დაითრუტუნა, რქები
ისე აიქნია, თითქოს რამეს მოშორებას აპირებდა, მერე შეიმართა
და კლდის მეორე მხრიდან წამოწვერილ ფლატესკენ გადაიქროლა.

კიდევ პაერში იყო რომ ყურშამ გორაკი აირბინა და ოფალი შეაცლო. ალბათ ეგონა — საეპილო პირიდან მისხლტებათ, თვითონც ცამარა შეჰქრა და უფსკრულის თავზე გაშხვართული ჯიხეს და მისმა სიმძიმემ ნადირს წილი მოიწინებოდა. ბასრი კბილები გაავლო. მისმა სიმძიმემ ნადირს წილი მოიწინებოდა და კარგა. ორივე უფსკრულში ჩაეშვა. ამირანმა ქვესკნელში გადაიხედა. ჭერ არაფერი ჩანდა, აფორიაქებული თოვლის ფიტქი სქელი ნისლივით იმღვრეოდა. ცოტაც და, უფსკრული დაიწმინდა. ყურშამ უკვე გამოედადრა ყელი მსხვერპლისათვის და ამირანს შემოსცერდა.

— ჰამ, ჰამ! — შემოჰყეფა პატრონს.

თოვლით ამოგსებული უფსკრულიდან ეს ხმა ყრუდ ამოვარდა და მწვერვალებს მოედო.

— ჰეი, ჰეი, — მოისმა პასუხად უცხო ადამიანის ძახილი. ამირანმა იქით გაიხედა. ორი კაცი მაღალი თხემის პირზე იდგა და აქეთ იცქირებოდა. მათი უწვერულვაშო, წითური სახეები ღრეულით ჩამოტერებოდნენ გამარჯვებულ ძალსა და ყელგამოდადრულ ხარჯიხეს. ერთმა ნაბიჯიც კი გადადგა ქვევით ჩასაცლელად. ამირანმა შეამჩნია თხილამური და მაშინვე მიხვდა სტუმრების გინაობას. „ალბათ ცალთვალა კოჭილიც ახლომახლო იქნება“, — გაიფიქრა მან.

მართლაც, მწვერვალზე მესამე კაციც გადმოდგა და გარემოს ფრთხილად მოავლო თვალი. ეტყობოდა, ხმაზე იცნო ძალლი. ყურშამ იგრძნო ბოროტი კაცის სიახლოვე. ჭიხვს თავი მიანება, კბილების კაწკაწით და ყეფით შეხვდა მოსულებს.

— ამირან, იმალები განა?! — მოისმა დარისპანის ხმა.

— ვიმალებიო? — გაოცდა ამირანი და მთელი ტანით აიმართა უფსკრულის პირას.

— რა თქვი, კოჭილო-კაცო?

— ჰა-ჰა-ჰა! — გაისმა ბოროტი ხარხარი, — გამოჩნდი, განა? მთვარე თორმეტჯერ აივსო და დაილია, სანამ შენ გნახავდი, გეძედი კი, ვერსად შეგხვდი.

— აქა ვარ, ცალთვალავ, შეხვედრის ადგილი არც ისე ცუდია. აბა, აქეთ გამოიწი!

— იქ, იქ, იქ! — ისევ ჩაიქირქილა დარისპანია. — შეხვედრის ადგილი მართლაც კარგია, ჩემი მოახლოვება კი ცოტა იღრეა, — მაგის დროსაც ვნახავთ. — კოჭილმა ცოტა წინ წაიწია.

— ქორწილი გადაიხადე, არა? წამიართვი ის ქალი და უნიკორ
ბიჭს ჩააბარე, ხომ? გადაგიხდი, ამირან, გადაგიხდი, გნახავ. წერე შეულე
ადგომა გეწადოს და ვერ კი დგებოდე.

— ის ქალი შენი საქმე არ იყო, ცალთვალავ! — დინჯად მიუღო
ამირანმა. — ავთოც უნიათო ბიჭი როდია. თავი გაანებე! შენ მოხუ-
ცი ხარ, ისინი ახალგაზრდები, თავიანთი გზა და ხიდი უნდა გაიარონ
ქვეყნად; საკუთარი წილი სინათლე მოაფრქვიონ, შენ კი ხალიბას
სისხლი გმართებს. იცოდე, იალბუზის წვერზეც რომ ახვიდე, მაინც
მოგწვდება და ყელში წაგიჭერს.

ხალიბას სახელის გაგონებაზე ცალთვალა ცუდ გუნებაზე დადგა,
მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა.

— ისიც ყურშას უვით შენი ლეკვი იყო, — გესლით ჩაილაპარაკა.
საყვარელი ბიჭის აუგად ხსენება ამირანს შხამად ჩაეწვეთა გულ-
ში, უწევულოდ აჩქარდა.

— აქეთ გამოხვალ, ცალთვალავ, თუ მე გადმოვიდე შენსკენ?
დარისპანი მიხედა, ამირანი აღარ ხუმრობდა, უნებლიერ მუხლის
კვირისთავები აუთამაშდა, ბრუცანი თვალი სისხლის წერტილივით
დააჩნდა, საღ თვალში ნისლი ჩაუდგა. გაყუჩდა, მერე, აღბათ, თა-
ნამგზავრები გაახსენდა და მათ გადახედა. ზღვისპირელები ჩატომ-
ლაც ღრევითა და დაეინებით მისჩერებოლნენ ამირანს კოჭებში.
შიშნაჭამ ცალთვალას არ ესიამოვნა მათი სახეები.

„ამათი იმედით წიბლის კავალსაც ვერ გამოაგდებ მწიფე ბუჭი-
დანო“. — გაიფიქრა და ერთ მათვანს ხელი წაჰკრა. მან არც კი
მოხედა.

კოჭლს შიში შეეპარა და ბრაზით აინთო. ერთ მათვანს მხარ-
ილლიაგადაგდებული ჯაჭვის ორფა რგოლების ბოლო მოუქნია.
ზღვისპირელი წაბარბაცდა, მაგრამ სახე მაინც ამირანისკენ დარჩა.

ცალთვალამ უნებლიერ თვითონაც მიიხედა, ამირანს ფეხებზე
დაკვირდა და გაკვირვებისაგან თვალები მოიფშვნიტა.

„პო, პო, ვაი, საკვირველებავ! აი, ვის მოუპარავს ჩეენი წრია-
პები“, — გაუელვა და ღმუილით წამოიძახა, — აკი საქვეყნოდ მე
მექახდი ქურდბაცაცას, შენც გისწავლია ხელცივობა, ღმერთთა
ნათლულო!

ამირანი ამას არ ელოდა, ერთ ხანს შეჩერდა, მერე გაილიმა და
ნელა თქვა:

— საზრიანი საქმე მტრისაგანაც რომ ისწავლო, განა სათ
კილოა?

— მე კი თვითონ ვითავე რკინის გამოჭელვა და მასზეა ამიგე
დეთ.

— შენ რკინა ხალხის სავნებად გინდა, მოპოვებით კი იგი ხალიბა
ბიჭმა მოიპოვა.

— ამირან, თავს ნუ იყატუნებ! ამქვეყნად მზეც არ ანათებს ყვე-
ლას საკეთი ლდლეოდ!

— ვითომდა რატომ?

— ხი, ხი, ხი! — ჩაიხვიხვინა ცალთვალამ, — კითხულობ კი-
დეც. განა მე რომ მზე მშირდება, იმ დღეს ყველას მისი მწველი
სხივი ენატრება? სხვას შეიძლება შხაპუნა წვიმა ეგუნებება მაშინ!
მტერმოყვარეობა, ამირან, ერთი დღის შვილებია, იცოდე. უმტროდ
მოყვრობას გემო არა აქვს... — სიტყვა დასრულებული არ ჰქონდა
ცალთვალას, რომ ზღვისპირელებმა საშინელი ბრიალი ატეხეს.
ყურშა დარისპანს ეპარებოდა. ისინი თვალების გიური ბრიალით
უყურებდნენ უცხო მხეცს. ცალთვალა გაფითრდა, თვალებში სისხ-
ლი ჩაუდგა, შუბლის ძარღვები დაებერა და გაუშავდა.

— ეს არის შენი სიკეთე, რომ ძაღლიც და კაციც მოსაქლა-
ვად კვალდავალ დამდევთ?

— ყურშა მხოლოდ ნადირს და ბოროტს არ ინდობს, დარისპან!

— ძაღლი მომაშორე, ამირან! — ისევ დაიღრიალა ცალთვალამ.
— მომაშორე, თორემ არ ვიცი, რას ვიზამ.

— ყურშა, წყნარად იყავი! — ძაღლი გაყუჩდა, პატრონს გა-
კვირვებით გამოხედა და, რაკი თვალებში ბრაზნარევი ელვარება
შენიშნა, ფორთხვით წავიდა უკან, ზღვისპირელები გაფითრებული
და აკანკალებული უყურებდნენ ამ ამბავს, მათ ჯერ არ ენახათ მხე-
ცის მოშინაურება. ამირანი ქვეყნის მპყრობლად მიიჩნიეს.

— ესენი ვინ არიან, დარისპან?

— ჩემი ძმაკაცებია, სხვადასხვა საქმის ოსტატები. — განგებ
გააზვიადა სათქმელი კოჭლმა.

— კიდევ ვისი სიკვდილი განიზრახე?

ცალთვალამ თვალები აახამხამა, მიხედა, ამირანმა გუმანი იიღო.

— ჩემი სიკვდილის მოსურნეს თუ დავასწარ, არ დავინდობ,
იცოდე!

— ნუთუ ხალიბა-ბიჭეს შენი სიკვდილი უნდოდა, ბრუტიანო? —
დაგესლა ამირანმა.

— თვალი შენ ამომთხარე და ახლა დამცინი კიდეც? არა უშავს,
შენი საბელიც მზად მაქვს. სიკვდილით არ მოგვლავ, მაგრამ მოგა-
ნატრებ კი.

ამირანს გაახსენდა ავთო-ბიჭის ნაამბობი, დარისპანმა ჯაჭვით
დათვი მოთრგუნაო და რატომდაც უსიამოვნოდ გააერეოლა.

— მე კაცის სიკვდილი არ მომინდომებია, ცალთვალავ, თორემ
ყველაზე ადვილი საქმე სწორედ შენი მოკვლაა.

— ვითომ? იქნებ, გაგიჭირდეს, იქნებ, შენი გორდა ხმალი მოკ-
ლე გამოდგეს!

— ასე ფიქრობ?

— იცოდე, თვითონ შენ გიწერია ჩემი ხელით სიკვდილი.

ამირანს თვალები ნაპერწკლებით იევსო. დაიხარა და მშვილდ-
ისარს წამოავლო ხელი. ცალთვალა შექრთა, მაგრამ გვიანდა იყო.
ისარი შხუილით გაიჭრა. დარისპანი ქვესკნელში გაშვერილი ვება-
ყინულის პირზე იდგა. უჟან გადახტომა ვერ მოასწრო და ადგილზე
გაშეშდა; ისარი მის გვერდით, სწორედ ზღვისპირელების ფეხებთან
დაესო.

— შენი სიკვდილი არ მინდა, ძმაკაც უცხოელებს კი მოგაშორებ,
ბრუტიანო! — გასძახა ამირანმა.

ყინულს ისარი მოხვდა თუ არა, მყის გაიბზარა და დაიშალა.
ზღვისპირელები უფსკრულში ჩაცვიდნენ.

დარისპანი აყანკალებული ჩასცეროდა მეგობრებს. ცოტა ხანს
გარინდებული იდგა, მერე გულზე ხელები დაიბაგუნა და და-
ბლავლა.

— გადაგიხდი, ამირან, გადაგიხდი. ას კაცს შემოვიკრებ, დროს
მოგინახავ და, იცოდე, განანებ, თუ კაცი ვარ.

შემდეგ სწრაფად მიბრუნდა და ხევში გაუჩინარდა. შებლშეჭ-
მუხვნილი ამირანი დიდხანს გასცეროდა. მერე ძალს დაუსტვინა.

— აბა, მეგობარო, მომეხმარე, ადამიანები არ დამალუპვინო,
იქნებ ცოცხლები გადარჩნენ! — ყურშა მიხვდა პატრონის წუ-
ხილს. ქვევით, უფსკრულის თოვლიან ფსკერზე გონდაკარგული
ზღვისპირელები სულს ლაფავდნენ. ცოტა ხანის შემდეგ ყურშამ ორი-

ვე ზევით ამოათრია. დაბეგვილები დიდხანს აზრზე ვიწ მოსულიყვნენ. თვალები რომ გაახილეს, ამირანმა გაიღიმა.

— აბა, ახლა აქეთ გამოიხედეთ, ვაკაცებო! — ჩიტაქა წრის გუმა თვალების ფახურით მიაჩერდნენ. ამირანმა თოვლზე ისრის წვერით ნავი და ზღვის ტალღები მოხაზა და თითი დასავლეთისაკეს გაიშვირა:

— აა, იქით მოქუსლეთ, თქვენს ქვეყანაში წადით, თქვენი ფეხი არ ვნახო ჩვენს არემარეში, თორემ სანანებლად გაგიხდებათ.

ზღვისპირელები მიხვდნენ მისახველრს. ბანცალით წამოდგნენ და ნაძალადევი ღიმილით გასწიეს ნაჩვენებ გზაზე.

* * *

ათი დღე-ღამე წვიმდა. ხეები ისე დალბნენ, რომ ცულის შემოკრისას უხმოდ ეცემოდნენ მიწაზე. ცეცხლი არ ეკიდებოდათ. მწარე, მხრის არა კვამლისაგან გაწამებული ბალღები ხშირ-ხშირად გამორბოდნენ გამოქვაბულებიდან, თვალები ისრესდნენ და ცრემლ-მორეული გამყურებდნენ აღელვებულ მდინარეებს. მათი შიშველი, სიცივით მოკრუნჩხული სხეული დაუბანლობისაგან მურით და ტალახით იყო დაფარული, ზოგს ცხოველის ტყავი მოესხა, ზოგსაც ჭილოფის ნაგლეჭებით დაეფარა გამნმარი ტანი.

პატარა ხალიბი გარეთ ვერ გამოდიოდა. ექვსი წლის ბიჭი დედის კალთას არ შორდებოდა. ავთო-მამა სანაღიროდ იყო წასული. ალბათ იდიდებული მდინარე ვერ გამოცურა და გაღმა დარჩიო. — ფიქრობდნენ დედა და ცოლი.

ამ უამინდობის დროს ამირანი ყურძნის წვენით იბრუებდა თაქ. ბოლო დროს რატომლაც ბევრს სვამდა. თვალები დაუსივდა და გაუშფერულდა, თითქოს ბეჭებშიც მოიხარა. სახეზე ღიმილი გაუქრა, თვალში ნაღველი ჩაუდგა. მზეონას კითხვაზე, — რატომ იწამლავ თავსო, ამირანი პასუხობდა:

— ვდარდობ, შვილო და რძალო, კაცის მოკვლა ვერ ვისწავლე. დარისპანი გამექცა და ამდენი ზანი ვერსად მოვიხელეო.

— თვითონ ის მოგძებნის, ამირან, გახსოვდეს, არ დაგინდობს. — აფრთხილებდა ავთოს დედა.

მართლაც, ერთ დამეს მთიდან ნიაღვარმა გადმოხეთქა. აბობოქ-
რებული ტალღები გამოკვაბულებს უტლაშუნებდა. სწორეჭარფული
შუალამევს საშინელი ოხვრა მოესმათ. ყველაზი გაინაბნენ. პირული მო-
გონი

— ამირანის ხმაა, — შიშით წასჩურჩულა დედამთილს მზეონამ.

— მგონი შველას თხოულობს, დიდ გასაჭირში უნდა იყოს!

— ალბათ სიმთვრალის დროს ცალთვალა დაესხა თავს.

— მარტო ვერას გახდება, ამირანს ვერ მოერევა, — დაამმედა
რძალი დედამთილმა.

— ვაითუ, მარტო არ არის? — ამოიკვნესა მზეონამ.

— დარისპან ელახას მეგობარი ვინა ჰყავს, ვინ უნდა ახლდეს,
ქალო?

— ზლვისპირებულები. მათთან არის შეკრული. განა აეთოს ნაამზო-
ში დაგავიწყდა?

— ვაი ჩვენს უბედურებას! — ძუ ვეფხვივით წამოვარდა დედამ-
თილი.

— თუ ამირანს რაიმე დამართა, მერე ჩვენც არ დაგვინდობს!

— ის ბოროტი ჩემს გამო დასდევს ამირანს კვალში. — სიმწრით
წამოიძახა მზეონამ.

— პოდა, არ დაგვინდობს, ბიჭს მოგვიულავს.

ხალიბას ტებილად ეძინა თივით მოფენილ ხის გრძელ ტახტზე.
მისი წყნარი სუნთქვა სასიამოვნოდ ეფინებოდა გამოკვაბულს.
გვერდზე მამის ნაკეთები ისარი ედო. მარჯვენა ხელი მშვილდის
ლარისთვის მოევლო და ვაჟქაცივით ჩაებლუქა.

— ვაი, შენს ბებოს, ნუთუ, მწუხარება გველის?

ღამის სიბნელეში ისევ გაისმა ქვრ ოხვრა-კვნესა, ცოტა ხნის შემ-
დეგ კი ხარხარი.

— დარისპანი იცინის, ამირანი მოპქლეს ალბათ და ახლა ზეიმო-
ბენ. — ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. გარეთ წვეიმა ხმაურობდა.

დედამთილი რძალს მიუბრუნდა.

— ბავშვი ახლავე ნაბადში შეხვიე და მოერიდე, აეთოს მოსვ-
ლამდე გადაიმალე! — მზეონა უსიტყვოდ დაემორჩილა. მძინარე
ბავშვი იტაცა, ნაბადი მოხვია და გამოქვაბულის კარებს მიადგა.

— სატევარი წაილე, დაგჭირდება! — მიაძახა დედამ, — მე კი
აქ დაუუცდი გათვენებას.

მზეონამ ჩუმად აიღო სატევარი, გარემოს თვალი მოვლო და გავიდა. გარეთ ისევ წვიმდა. მდინარები ღმუოდნენ, ტალავეშთან დათან გამოქვაბულისაკენ იწევდნენ.

შშვილდ-ისარმომარჯვებული ავთოს დედა გამოქვაბულის კართან დადგა.

გათენდა კიდეც. ქარმა ღრუბლები მიმოფანტა. ისინი ახლა ძნძებივით ეყარნენ ცის გუმბათზე. ხანდახან მზის სხივიც გამოიხდავდა და მაშინ სამყაროს სიცოცხლის ნიშანწყალი ემატებოდა. ადამიანები შიშით იცქირებოდნენ იქით, საიდანაც წუხელ ოხრაკენესა ისმოდა.

ავთო-ბიჭის დედამ გაიხედა და შეჰკივლა.

ამირანის გამოქვაბულის წინ უწევერულვაშო, თვალებჩაწითლებული ზღვისპირელები ღრეობდნენ. ბევრნი იყვნენ. დარისპანი შეაში ჩამდგარიყო. ხელში ვეება ჯიხების რქა ეჭირა და ყურძნის წვენს დასწაფებოდა. ავთოს დედას გულს შემოეყარა. ამირანი მიწაზე უგონოდ ეგდო, მქლავის სიმსხო ჯაჭვის რგოლები მთელ ტანზე ისე ძლიერად შემოეხვით, რომ ადგილ-ადგილ სისხლი თქრიალით სდიოდა. მისი გაყვითლებული სახე და ბრიალა თვალები მეტყველებდნენ, რაოდენი ბრძოლა გადაეხადა თავდამსხმელების წინააღმდეგ.

ჯაჭვის ორივე ბოლოთი მუხაზე იყო მიკრული.

— ვაი ჩემს ბედს! — მოესმა ხალხს მისი ამოკვნესა. დარისპანმა ხმა არ გასცა, რქა დასცალა და ზღვისპირელებს შეუტია.

— აბა, იჩქარეთ, სანამ გონს მოვიდოდეს, მანამ უნდა ავიყვანოთ ზევით!

ზღვისპირელები ზლაზნით და ღრიალით წამოიშალნენ. ამირანი ხიდან მოხსნეს და წინ წასვლა უბრძანეს. ხალხი სულგანაბული უცემეროდა დევგმირის წამებას. იგი ბანცალით წავიდა წინ, თავი არ აულია, თვალი არავისოთვის გაუმართავს. ავთო-ბიჭის გამოქვაბულს რომ გაუსწორდა, მხოლოდ მაშინ აიხედა ზევით.

— მზეონას და ავთო-ბიჭს გუბარებ, — ნელა თქვა მან, — პატარა ხალიბას გაუფრთხილდნენ. თავს მოუარონ. შურისგება არ იფიქრონ. ბოროტებას დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია. ვაი, რომ ჩუმად დამესხნენ თავს, ყურშაც ავთო-ბიჭს გაჰყავა, თორემ...

სიტყვა არ დაასრულა. ხელი ისე ჩაიქნია, რომ ჯაჭვმა ძგრია-
ლით ამცნო ქვეყანას თავისი სიმძლავრე.

— ხი, ხი, ხი! — ახითხითდა ცალთვალა. — ავთო-ბიჭუაც კნა-
ხავთ, მზეონასაც მოვაშინაურებ, სულ პატარა ხალიბა-შიქს გზას
ვუპოვი!

ზღვისპირელებმა მხრებგაკრული ამირანი კავკასიონის მწვერვა-
ლებისკენ წაიყვანეს. იგი ვეება მხარ-ბეჭებს მოთენთილად მიათრევდა
ალმართებზე. გასავათებულს მუხლი ეკეცებოდა. სუნთქვა უჭირდა.


სამიოდე ღამე ატარეს, ყველაზე მაღალი მწვერვალის ყინულ-
კლდესთან მიიყვანეს, ვეება გამოქვაბული მონახეს და შიგ შეაგდეს.

ათი დღე-ღამე უზარმაზარი რკინის სარი ჭედეს, შვიდი დღე-
ღამე რკინისავე უროები ურტყეს ზემოდან და მიწის ფსკერამდე
ჩაფლეს. მერე ამირანი ცხრაფა ჯაჭვით შექრეს და ზედ მიაჭაჭვეს.

* * *

თქმულება ამბობს, დარისპანმა ყველა გამოქვაბული მოიარა,
ხალს ცეცხლი მოსტაცა და კერიაზე ღაღარიც კი წყლით გადა-
აქროო. იმასაც ამბობენ, ამირანმა ეს წინასწარ იაზრა, ერთი მუგუ-
ზალი თავის ვეება მუჭში დამალა და, როცა მხარ-ბეჭებულება
კავკასიონის ძირს გაუარა, მიწას ჭერქი ახალა და შიგ ჩიფლა, ადა-
მიანები ოდესმე მიაგნებენ და მეც გამიხსენებენო.

ვინ იცის, მართალია თუ არა ეს, მაგრამ ტყიბულელი და გელა-
თელი მენახშირები ახლაც ამირანის მუჭში გამჭრალ ნაკვერცხალს
ეძახიან ქვანახშირს.



სვანური თამაზება

კავკასიონის თითქმის ყველა მთასა და კალთას ეიცნობ, ყოველი მათგანისთვის თვალი შემივლია, ბევრზე ფეხიც დამიღვამს, მაგრამ სვანეთის მთები მაინც სულ სხვაა, ცას მიწვდენილი ყინულოვანი მწვერვალები, აბიბინებული სათიბები და ქვემოთ, გაუვალი, აშოლტილი ტყეები ლივლივა ფერებით ერთიმეორეში იღვრება და ბუნების სალებავების საოცარ სიმფონიას ქმნის. თვითეული მთა, სიცოცხლით აბიბინებული თვითეული მისი კალთა, ბუნების გაზაფხულის პირველი სუნთქვითა ფერებავს, ყველგან ქვეყნის გაჩენის პირველი დღეების სინედლე და სილამაზე მოფრქვეულა. სვანეთი ბუნების სიზეიადის და დიდებულების ჭეშმარიტად კლასიკური სამყაროა. იგი ქვეყნის დაბადების დღესავით ნედლიც არის და დიდებულიც. შეიძლება ეს იყოს მიზეზი, რომ სვანმა ძელთაგანვე თვითეულება შეინარჩუნა. სვანეთში ჩასული კაცი თვითონაც სიამაყით ივება. ბუნების ბუმბერაზობა შენშიც გადმოდის და მის თანაზიარს გხდის.

ეს ლაუგარდი ფერები კი ყველაფერს უახლოებს ადამიანის თვალს, ყოველი წერტილი მისაწვდომია და ნათელი. ამით განსხვავდება სვანეთის მთები ქვეყნის ყველა მწვერვალისაგან. შეიძლება ეს იმის ბრალიც იყოს, რომ ყოველ ორ მთას შუა, ხევებიდან გიჯმავი, ქაქეთა მდინარეები გადმორბიან. ყოველ ას ნაბიჭე მწვერვალებიდან თეთრი ცხენის ძუაფაფარივით აღელვებული ნაკადუ

ლები დაკიდებულან. კანკალებენ, ხტიან ლაშვარდში გახვეულა
პუმბერაზი მთის კალთებზე, მზის სხივებით საესენი ერთმანეთს
აწყდებიან და ისე იმსხვრევიან, თითქოს ასი ათასი კვესი მდგრადული
უკიდებდეს ნაპერწკლებს. მაგრამ სულ სხვაა ცუდი ამინდის სხვანების გადა
ში. ბუნება მჩისხანე და დაუნდობელი ხდება. ყველაფერი იცვლება.
ჩაშავებული ყრუ ღრუბლები ცასა და მიწას შუა დაქრიან და მერე
ელვამებით აზანზარებენ დედამიწას.

შორიდან, ყინულოვან მუღმივსამყოფელიდან, ზევების გრიალი
მოისმის.

აფორიაქებული მდინარეები კლდეებს დასანგრევად ეხეოშე-
ბიან. მთისოდენა ქვებს იგორებენ და ერთმანეთზე ამსხვრევენ. თა-
თო ასეთი დარტყმა მეხის გავარდნასა ჰგავს.

აი, სწორედ ახლა, სოფელ ხაიშში ვარ. ზედ ხაიშურას ნაპირას
არის ენგურის სამრეწველო სატყეო მეურნეობის დირექტორის
ოთარ გამცემლიძის ბინა.

ერთი კვირაა წვიმს და წვიმს. ხაიშურას ტალღები ცას ლოკავენ,
ცაც ისე ჩამოწოლილა, რომ ზედ მდინარის აბობოქრებულ ზედა-
პირს დასწოლია. მღვრიე ტალღები შავ ღრუბელს აქანავებენ. ღრუ-
ბლის ნაფლეთები და წყლის შხეფები თითქოს ერთად გვაბოლებს
სახეში. ჭვიბერში წინა დღით ხიდი წაიღო. ტრაქტორები, ბულდო-
ზერები და ეტომანქანები გაღმა დარჩნენ.

ოთარი ღელავს. ჭვიბერში თუ ხიდი მალე არ გაკეთდა, საქმე ცუ-
დადა. ხე-ტყის გამოზიდვის ყველა საშუალება გაღმაა.

უხიდოდ კი ვინ გავა?!.

ჭვიბერა გაგიუდა და ძალ-ღონე აჩვენა ქვეყანას.

— აი, ასეთი იღბალი მაქვს, — დარღობს ოთარი, — დამცუ-
რებლებისათვის ეს ამინდი მისწრებაა, ერთ მორსაც არ დატოვებს,
ისე წახვეტს ყველაფერს. მე კი დამზადებას მიშლის. წყალს თუ გიგ-
მა არ შევასრულე, სირცხვილით თავს სად გამოყოფ.

ასე აღიდებული დიდი ხანია ენგურიც არავის უნახავს თურმე,
ხაიშურა ნაკადულივით მოჩანს მასთან შედარებით. ხაიშურა ოთა-
რის სახლიდან ათიოდე ნაბიჯზე უერთდება ენგურს. წყალს ვეება
ქვები მოაქვს. მათი ერთიმეორესთან ჯახუნი ქვეყნის დალუპვას
ჰგავს. მიწა ზანზარებს, მთები გუგუნებენ, მდინარის კალაპოტი
კვნესის. ენგურზე უზარმაზარი ხის მორები ერთიმეორეს ასკდე-

ბიან, ყალყზე დგებიან, ქვემოთ, ჯვრის მორსაჭერისაცენ განაბრან. ხაიშიდან ჯვარამდე კლდეები ჩამოქცეულან, შიგ ეწერები ზაქეით და ხმაურით ჩამხნიბილან, გზები დაუკეტავთ.

ზემოთ თვითმფრინავები ალარ ფრენენ, ქვემოფლუჭების გულობა. წვიმა გადაულებლად, ფარდებივით ჩამოკიდულა ციდან. ოთარი დღეს მეოთხედ იცვლის ტანსაცმელს, ხან ერთ უბანზე გააფრენ მანქანას, ხან მეორეზე, შინ ამოწუწული ბრუნდება.

მისი მეულე გულმოდგინედ უვლის ყველაფერს.

როცა ოთარი სატყეო უბნებშია, მეულლის თვალები ნაღვლითაა სავსე. ხუმრობა ხომ არ არის ასეთ ამინდში მთაში მანქანით სიარული. ყოველ წამს ხიფათია მოსალოდნელი.

— გარეთ რომ გავა, ცოცხალი თუ დაბრუნდება არ მგონია — ამბობს იგი.

— ასე იციან ქალებმა, — ოთარი თვალს ეშვაკურად ჭუტავს და იღიმება, — ათი წელია აქა ვარ და წამწმიც არ ჩამომვარდნია. ესენი კი სულ საცრემლოდ ემზადებიან.

— ხან ქვა ჩამოასხლტება მთას, ხან მთელი მთა ჩამოშვაედება და აბა, ამ მისახვევ-მოსახვევ გზებზე სად რა მოვივა, ვინ იცის, — ისევ ხმამალლა ფიქრობს თავის საფიქრალს ოთარის მეულლე.

ბავშვებმა ამღვრეულ ხაიშურაში კალმახი ვერ მიიტყუეს აწესთან, გაწბილებულნი ამოვიდნენ. მათი ნაღვლიანი თვალები არ ეჭაშნიკა ოთარს.

— მოდი, ზევით ავუყვეთ წყალს. ისეთი ადგილები ვიცი. ერთ საათში სადილისათვის კალმახებს ჩამოვიყვანთ.

— ამ წვიმაში კალმახობა ვინ თქვა, კაცო?! — შეუტია მეულლე. — სწორედ ახლაა დრო, შენ ერთხელ კიდევ გამომიცვლი დღეს ველ ტანსაცმელს და სხვა ჩემზე იყოს, — ისევ იღიმება ოთარი. ბაზე ხელდახელ გამოიტანა, გამალა, გახედა, გახეული არ იყოს. ერთ ადგილას ამოკემსა კიდეც. ბავშვები სიხარულით ერთმანეთს ეხვევიან. მხოლოდ უფროსი გოგონაა სერიოზულად. ეტყობა, დედის აზრს იზიარებს. ამ წვიმაში ჩვენს სახლიდან გასვლას ისიც წუხს.

ათ წუთში მზად ვართ. მანქანაში ვსხდებით და ხაიშურას ამღვრეულ ნაპირებს მივყვებით ზემოთ.

— ახლა აქ სულ ახალი გზა გავიყვანეთ, — მიყვება ოთარი.

კარგი უბანია, ბიჭები ვეფხვებივით ბუღრაობენ, გეგმას მუდამ გა-
დამეტებით ასრულებენ.—მართლაც, ცოტა გავიარეთ თუ არა ფართო
თო შარამ შემოგვანათა. ვეება კლდეები მოურღვევიათ, კენჭებად
დაუფშვნიათ და კლდისავე ნიადაგზე დაუყრიათ. ამაზე გამძლე სა-
მანქანო გზას ვერ შეხვდებით. წვიმებით სველი ცადაშვილი კლდე-
ები იცრემლებიან. ყოველ მოსახვევში თეთრი კვიცივით გადმო-
გვიჩტება ნაკადული. ჩვენი მანქანა ქაფქაფა ლელებზე მიგრიალებს.
ეტყობა, წვიმებს ტალახი გაუტანია და ახლა ისევ კამკამა წყალი
გადმოჩქეოს ზემოდან. წიფლის ტევრებში შევჩერდით.

მდინარს პირას მორების ბაქანია. ბიჭები ხრიალით უშვებენ
მორებს ხაიშურაში. გათლილ ხეებს ხრეში და კლდის ნაფლეთები
მიჰყვება და უჩვეულო ხმაურით ეცემა მდინარის ზედაპირს.

ზემო გზიდან ცხენოსანი შემოგვეხდა. გვერდით ქალი მოჰყვება,
წკეპლაზე აცმული კალმახები მოაქვს. ოთარს თვალები აუბრიალდა.

— ხომ არ მოგვყიდით?!

— როგორ გვეადრებათ, ბატონო, თქვენი „ფეშქაში“ იყოს, —
შემოგვაგება ქალმა სიტყვა და ლიმილით მოგახეჩა ჯერ კიდევ
ცოცხალი, მაგრამ სასიკვდილოდ მითვლემილი კალმახები.

— თუ ვერაფერი დავუმატეთ, ამას მაინც მივიტანთ სახლში. ვი-
თომ ჩვენ ვინადირეთ, ამით ვიმართლებთ თავს მეუღლესთან, თქვენ
კი არ გაგვამხილოთ, — მიუბრუნდა ოთარი ბავშვებს.

— დედას ტყუილი ვუთხრათ? — გაიოცა ბიჭმა.

მამას სახე აუწიოთლდა.

— არა, შვილო, გეხუმრები, — ისევ ჩამიკრა თვალი.

ფეხზე არ გაუძრია, პირდაპირ, ჯიქურ შევიდა წყალში. მაღალ-
ყელიანი ჩექმების იმედი ჰქონდა.

ორიოდე დაშინუქლული კალმახი რომ ამოხსნა ბადიდან, ყველა-
ფერი გადაავიწყდა და წელამდე შეტოპა.

ჩვენ მანქანით მივყვებით ნაპირს. კოკისპირულად ასხამს. წვიმს
და წვიმს. ოთარი მთლად სველია, ბეჭებზე ოხშივარი ასდის, ბადის
ყოველ გაშლაზე ორი-სამი კალმახი ამობჲავს. თანდათან შედის
ეშხში. ბავშვებმა ვეღარ მოითმინეს, მისკენ გაიქცნენ. ნახევარ საათ-
ში სადილის სამყოფი კი არა, სავახშმო თევზიც დავიჭირეთ.

აიგანი სველმა ტანსაცმელმა და გალუმშულმა ფეხსაცმლებმა
დასველეს. ბაეშვები კისკისით იცვლიან.



მეუღლემ ამბავი დაახვედრა:

— ჭვიბერიდან დარეკეს, მდინარეს ყვილაფე შემოტკიცის არ წუთში ოთარი ისევ მზად იყო წასასვლელად.

— უნდა გავიქცე, ცუდი არაფერი მოხდეს, — გვითხრა და მანქანაში ჩაფრინდა. მეც უსიტყვოდ მიეუჯერი გვერდით. ერთი გადვირვებით შემომხედა და მძლოლს ანიშნა წასულიყო. ხაიშის ხილთან მეურნეობის მთავარი ინჟინერი ლევან ჩანტლაძე შემოგვხდა. ზემო უბნიდან მოდიოდა. ეს ჩაფასვნილი ვაჟკაცი შემკრთალი ჩანდა.

— საშველი არ არის, არ იქნა და აღარ გადაიკარა, ზაფხული დღეები აკლდება, ხეები კი ბევრი გვაქვს მოსაჭრელი, არ ვიცი რა გვიშველება.

— ივანე ლიბრა ხომ არ შეგხვედრია? — პეითხა ოთარმა.

— სწორედ მასთან ვიყავი. გეგმის შესრულების იმედი იქნა, მაგრამ თუ კა ჩამოიქცა, რას იზამს, თავს ზევით ძალა არ არის.

გვარი მეუცხოვა, ვინ არის ივანე ლიბრა-მეტე, ვიყოთხე. ბასუნი მომცეს და ნათქვამმა გამაოცა.

იმიერკარპატელი ხისჭრელების მეთაური ყოფილა. წლების მანძილზე ჩამოდიან თურმე და სვანეთის მთების კალთებზე ზაფხულობით ხეს ჭრიან.

— საზრიანი და ვაჟკაცი ხალხია, — მითხრა ლევანთა. — საჭმის დიდი მცოდნენიც არიან. თითო სამას-ოთხას მანეთს მაინც იღებს ხელფასს, ზოგიერთი კი თვიურად პროფესორის ხელფასზე მეტს გამოიმუშავებს.

— თვითონ ჩამოვიდნენ თუ მოიწვიეთ?

— ხელშეკრულების საფუძველზე მოგვეშველნენ. ჩვენც ისეთი პირობები შევუქმენით, სტუმრებს რომ შეეღერება. თვითონაც მაღლიერნი არიან და აბა, ჩვენ რა გვაქვს სამდურავი, — მომხმარე ძმა ყველაზე საყვარელი ძმაა, უთქვამს ხალხს.

მანქანა ჭვიბერისაკენ შემოვაბრუნეთ და ენგურის ხილის გაფლით მის ნაპირებს ავყევით, ხილს გავცდით თუ არა, ოთარმა შეიშნა:

— დაუკვირდით, აქეთ უფრო მსხვილ-მსხვილი და გაუშემეტებითი წვეთი მოცვივა ლრუბლებიდან. — მართლაც, რომ დავუკვირდით, გარშემო სქელი ნისლი გვერტყა. ორ ნაბიჭი გვიჭირდა გა-

ხედვა. მიწიდან ცამდე წყლის ერთიანი, მღელვარე ფარდა ბობო-
ქრობდა.

წვიმის განუწყვეტელი წვეთები ცამდე ამართულ ლტრების მიზან
ჩებივით მოჩანდნენ მანქანის სარკმლიდან. მთის კალთებიდან ლრი-
ალით გაღმოქვებდა მღელვარე ნაკადულები. კლდოვანი გზები მდი-
ნარის კალაპოტს ჰვავდა, ჭვიბერში ხიდის ერთი უზრე წყალს წაე-
ღო. გაღმიდან ხალხი იყო მომდგარი. ცოტა მოშორებით ტრაქტო-
რები და ბულდოზერის ვეება რეინის ცხვირი მოჩანდა. დირექტორის
თვალი მოპკრეს თუ არა, მუშები ნაპირისკენ წამოვიდნენ.

ხალხო, რას გაჩერებულხართ, ხიდი თავისთავად ხომ არ შე-
კეთდება! — გასძახა ოთარმა.

— ასეთ ამინდში საშიშია მუშაობა. — ჩაილაპარაკა ჩვენს
გვერდით რომელიღაცამ.

— ჰი, — გაიღიმა ოთარმა, — უშიშრად ბებიაჩემი ლუკმას ვერ
გადაყლაპავდა, ყოველი ჭამის დროს პირვერს იწერდა, ყელზე არ
დამადგეს და არ დამახრჩოს.

მისი ღიმილი ყველას გადაედო. ორ წუთში ხალხი დატრიალდა,
ზოგმა ცული მოიტანა, ზოგმა მორები მოაგორა, ზოგმა ჩამონვრე-
ულ ხიდის თავს დაუწყო სინჯვა, რომ გაეზომათ, სად ჩაეკერებინათ
სარტყელი. ცოტა ხნის შემდეგ ყველამ თავისი საქმე მონახა. სამუ-
შაო მეტად სახიფათო და ძნელი იყო.

მაჯის სიმსხო რეინის ბაგირებზე დაბმულ მორებს წყალი აქეთ-
იქით ნაფოტივით ახეთქებდა, უმისოდ კი ერთმორსაც ვერ დააკავებ-
დნენ ამ აღელვებულ ტალღებზე. ბაგირების ბოლოები ტრაქტორზე
იყო გამობმული. ბიჭები ზედ ჯამბაზებივით კონჭიალობდნენ. სარ-
ტყელი ჭერ კიდევ არ იყო დამაგრებული, რომ ოთარი გაღმა გავიდა.
ახლად გათლილი ხიდის დირე კინაღამ ფეხებეშ გადაუბრუნდა, ასე
რომ მომხდარიყო, ჭვიბერის ტალღებიდან ეშმაკი ვერ ამოიყეანდა,
მაგრამ დროზე იჩქარა, ქარივით გაფრინდა მეორე მხარეზე.

ხის მორები წყალში ბოძებად ჩაუშვეს. რეინის სალტეები
შეკრეს და ხიდის სარტყელის თავები ხის მუთაქებზე დაკვერეს.

ახლა ჩვენც გადავედით გაღმა ნაპირზე.

გავიწუწეთ, საწვიმრებში გაატანა იმ დალოცვილმა ცერის სიმ-
სხო სვანური წვიმის კუმპალმა. მანც კარგ ხასიათზე ვართ. სხეულ-
ში სიხარულსა და ჭანსა ვგრძნობთ.

უკან რომ დავბრუნდით, თითქმის საღამო იყო.
გზაზე მესტიის სატყეო მეურნეობის დირექტორი გერონტი ჭავჭა
რიძე შემოგვეყარა.

ზორბა, ბეჭედინიერმა ვაუკაცმა, მანქანიდანვე შემოგვძახა:

— სახლში წასვლა არ ითქმიროთ, ზედა დევრას ტყის საჭრელში
მივდივარ, ოქვენც უნდა წამოხვიდეთ.

გერონტი ტყეს იცავს, უვლის, მისი მეურნეობის ტერიტორია
სვანეთს სცილდება, წალენჯიხაშიც გადადის.

— რა ეშმაკი გინდა ზედა დევრაში, ამ თავსხმაში. სხვა დრო
ვერ გამონახე? — გაიკვირვა ოდნავ შეცბუნებულმა ოთარმა.

— სწორედ ასეთ ამინდში იციან შენმა ბრიგადირებმა დაუდა-
ლავი ხეების მოჭრა. ტყეს ისე გამოქნიან, ბიძია, რომ ხის ფესვის
კვალსაც ვერ მიაგნებ.

ოთარს სიწითლემ გადაკრა.

— ასე ლაპარაკი არ ვარგა, მე ისეთი მუშები არ მყავს, უკანო-
ნოდ რამე გაკეთონ.

— ჰოდა, მეც სწორედ ასეთ ამინდს შევურჩევ, შევხედავ, გულს
დავიგერებ. ისინი ახლა არ მელიან, იქაურობას თვალს გადავავლებ
და მოვრჩები.

— ეპვიანი კაცი ხარ, გერონტი, — ისევ გაეცინა ოთარს, — წა-
მოსვლით მეც წამოვალ, მაგრამ უნაძლეოდ კი არა, თუ შენი ეჭვი
არ გამართლდა, იცოდე, დაგსისხლავთ.

გერონტი ძმა ყოფილა ჩემი მეგობრის, ბაჯუ ჭაფარიძის, რომე-
ლიც ჩემი ცხოვრების ვიწრო გადასასვლელზე შემხვდა. ისიც სვა-
ნეთში, მესტიაში მუშაობს თურმე. გამიხარდა. ეტყობა, არც მას
ეწყინა ღვიძლი ძმის მეგობრის გაცნობა.

უნდა შევნიშნო, ნათესაობა და მეგობრობა სვანეთში ყველაზე
წმიდათა-წმიდად არის მიჩნეული.

— კაცი დავაწინაურე, ჩემს ადგილზე დავტოვე, ახლა კი მე და-
მიწყო კონტროლის გაწევა, — ხუმრობს ოთარი.

მართლაც, ოთარი სატყეო-სამრეწველო კომბინატში გაღმოსვლა-
მდე დირექტორად იქ ყოფილა. გერონტიც მასთან მუშაობდა ინჟინ-
რად მაშინ.

— შენგან ვისწავლე ყველა ზრდილობა, ბატონო ითარ, — შე-
მოუბრუნა ხუმრობა გერონტიმ, — მართლა, ოქვენებთან გამოვიარე.

თქვენი მეუღლე: უფრუნა, ჩვეულებრივ ლელავს — ცუდი არათერი შეემთხვეთო, მე დავუბარე, შეგვაგვიანდება, ზედა დევრაში აუალო, არ შეშინდეთ-მეთქი, — ახლა სერიოზულად თქვა.

მერე ჩვენს მანქანაში გადმოკდა, თავისი კი უკან გააბრუნა. და-კიდებულ გზაზე მივქრით. გზა მტკიცეა, კლდოვანი, ახალგაყვანილი, მხოლოდ ზევიდან გადმოხედვაა საშიში, აბობოქრებული ჭვეს-კნელებიდან ათი ათასი ხრამი და უფსერული შემოგცერის.

ახსად მანქანის მძღოლებს ისეთი თვალი და გულისყური არ სჭირდებათ, როგორც სვანეთის გზაზე. ისინიც ჯადოქრებივით დაქ-რიან უფსერულების პირზე. გამოცდილი შოთერი ეშმაკის ბეწვზე გაიყვანს მანქანას. ზუგდიდიდან რომ მესტიისკენ წავედით, ჩვენი მძღოლი, ზუგდიდელი ლევან ჭითანავა, შესანიშნავი ვაჟკაცი და თავისი საქმის კარგი მცოდნე, გვეუბნებოდა:

— ჩვენი ხელობის კაცს აქ ყოველ მოსახვევში ფათერაჟი ელის, მხოლოდ სიცხიზლე და ნათელი გონებაა ჩვენი სიცოცხლის გამ-გრძელებელი.

ღმერთო, შენით და, ისინიც ვალში არ რჩებიან.

ახლაც, როცა მანქანა ზედა დევრს კლდის კალთებზე გაკიდე-ბულ ვიწრო გზებზე გარბის, არ შეიძლება საღლაც, გონების შო-რეულ კუნძულში არ შეშფოთდე, შიში არ შეგეპაროს.

ბრიგადირი გრიგოლ ნარსავიძე და მისი მოადგილე, დავით ჩხვიმიანი, მანქანის ახლოს იდგნენ. გრძელი საწვიმრები შინ ნაქსო-ვი შალის პატიკებს უფარავდათ. გამიხარდა, ყურანი წულები რომ დავუნახე. ვნახე და გავოცდი. ახლა მენიშნა, როგორ ჰგავს მოღურ „მოკასინებს“ ეს ჩვენი ბევრად უფრო ლამაზი და მოსახმარი ყუ-რიანი წულა. მახსოვს, ასეთ წულებს მხოლოდ სააღდგომოდ გვი-ყიდნენ ბავშვებს. ენა და ტყავისავე მარყუჟად გამოსკვნილი ღი-ლი სხვადასხვა ფერის ჰქონდა, როგორც იტყოდნენ, ფეხებზე „ამოსხმული იყო“.

რამდენი სიხარული განგვიცდია?!

გრიგოლსა და მისი ბრიგადის წევრებს ფართოფარფლიანი სქე-ლი ტილოს ქუდები ეხურათ. ეს მეტად დარბაისლურ იერს აძლევდა ვაჟკაცებს. ბაქანზე ვეება მორები ჩამოეტანათ. შავ-შავი კამეჩები ტბორში იწვენენ და იცონებოდნენ. იქვე სამი ტრაქტორი და ერთი ბულდოზერი იდგა. მუშებს სამხარი ახლახან მოეთავებინათ და თაშ-

ბაქოს ეწეოდნენ. ბრიგადაში ჩვიდმეტი კაცია. ზოგი მათგანი ზე-
მოთ, აქედან ორი კილომეტრის მანძილზე, მთაში ყრის მორებს.
ნახევარი ბრიგადა კი აქ მუშაობდა. გრიგოლმა ორმოცდაზე წელ
გიღააბიგა. ხმელ-ხმელი, ცალფა ძაფით ნაკერი კაცია. წვრილი, მაგ-
რამ ლამაზი, მაღალკანჭიანი ფეხებით ახალგაზრდულად იბიჯებს. მ
ვეება მორებსშუა შველივით მსუბუქად მიდის და მოდის. ტყის
საიდუმლოების ყველა გასაღები მის ხელთაა. ერთს კი გახელავს ხეს
თვალდათვალ, ოდნავ შეფიქრდება, თაფლისფერ თვალებს მოჟუ-
ტავს და სანამ წამწამებს გახსნიდეს. გეტყვის: რამდენი მასალა გა-
მოვა მისგან, რისთვის ივარებს, ელექტრომავთულის ბოძად თუ ია-
ტაკის საფიცრედ, ხიდის სარტყლად თუ ყავრის სახდელ ფრთად.

— ზოგიერთი ხე ავადდება — წყნარად გვიყვება გრიგოლი, —
ძალზე ბევრი ავადმყოფობა აქვს ხეს. უნდა იცოდე და მიხვდე, თო-
რებ შეიძლება ხიფათს გადაეკიდო. ხემ ერთნაირი სოკო იცის, ის
იმ წუთშივე უნდა დაიწვას, სოკოიანი მასალა თუ შენობაში მოხედა
საღმე, სხვა მასალასაც დაავადებს და გააფუჭებს. ერთ ავადმყოფ
ფიცარს შეუძლია მთელი შენობა დაშალოს და დაარღვიოს. ხის
მოჭრას თავის ასყიცა აქვს, უასაკოდ მოჭრილი ნააღრევად გახედ-
ნილი კვიცივით აღრე ფუჭდება.

ხანდახან, ლაპარაკის ღროს, გრიგოლი ისე გადახედავს თავის
მოადგილეს, დავით ჩეხიმიანს, თითქოს დასტურს სთხოვდეს. ისიც
დარბასლურად შესცერის და ილიმება.

— ხელფასს რამდენს იღებთ თვიურად? — ჯიქურ ვეკითხები
გრიგოლს. იგი ოდნავ შეფიქრდა, დირექტორს და ინჟინერებს გახედა.

— უფრო ნაკლებს, ვინემ ბევრი ჩენი მუშა ხისმჭრელი.

— გერცხვინება, თუ რატომ არ ამბობ მართალს? — ახლა დი-
რექტორი ესხმის თავს.

— სასირცხო რა გამიერებია, თვეში ორას მანეთზე ნაკლებს
არ მივიტან სახლში. აი, სამსონ ჯაჭვლიანი კი ყველაზე მცირე შე-
მოსავლიან თვეს 230 მანეთს მაინც ჩაითვლის სათვალავში.

— შე კაცო, ის ტრაქტორისტია, მექანიზატორი, იმას მე და შენ
სად დავეწევით. — ისევ გაეღიმა დავითს. იქვე გამოირკვა, რომ და-
ვითი თვიურად ათი მანეთით ნაკლებს ღებულობს თავის ბრიგადირ-
თან შედარებით, ზოგიერთი ხისმჭრელი კი ორივეს სჯობნის.



— თუ კარგი ამინდი გვიდგას, ყველანი ქმაყოფილნუ პურუშულები
დაასკვნა დინგად გრიგოლმა.

წამოვედით.

წელს ასი ათასი კუბმეტრი ხე-ტყე უნდა მოეჭრათ და ჩაეგამა-
როთ. ამას გარდა, ათასი კუბმეტრი ფიცარი მარელისის ქარხანას
უნდა დაეცუმზადოთ, ეპ, ეს ცუდი ამინდი რომ არა...
აღარ დაასრულა სათქმელი ოთარმა.

თავულების შესახლი

ხაიშიდან ათი-თორმეტი კილომეტრის დაშორებით, მესტიისაკენ,
ენგურის პირას, ერთი ნაბიჯისხელა მინდორს სახელად „ჭორკვალი“
ჰქვიან. კიდევ ზემოთ აივლი და „თამარშენი“ შეგხვდებათ. ხოლო
ცოტა ქვემოთ, ერთი ადგილისათვის „ჩუმად“ დაურქმევიათ. სამიცე
ეს სახელი თამართან არის დაკავშირებული.

ორიოდე მხლებლით და თეთრი ჭორით გაღმოსულა სკანერში
თამარი. გერ ლენტები მოუნახულებია, მერმე უშეგულში ასულა და
იქიდან კალას გავლით კვირიკეზე შეუსვენებია. ამბობენ, ხალდეშიც
ასულა მეფექალიო. როგორც თქმულებაა, ხალხის შეწუხება არ
სდომებია, არც სამეფო კარისთვის გაუმსელია განზრახება და
ამიტომ ეს მგზავრობა მალულად ჩაუტარებია. სასახლიდან თამა-
რის უგზო-უკვლოდ დაკარგვას მისი ტრუიალი ბრძენი პოეტი გაუ-
ხელებია. უძებნია მაგრამ კვალი გერ აღმოუჩენია. ღიღა შვალების
შემდეგ, გუმანით დაულანდავს ნაკვალევი და ბედაურით მარტოდ-
მარტო დასდევნებია.

თავულება

გეგუთის სასახლე ქელქვის ტყეში იყო ჩაფლული. ტიტველი,
უბუსუსო და უხორკლო ტყეისფერი ხეები ცის გუმბათს მიბჭე-
ნოდნენ. ტყის ბოლო ქუთაისის ციხე-გალავანი გარს უვლიდა და
ლეჩხუმის მისასვლელებთან იყარებოდა. უსასრულო ხეთა ტევრში
სიჩუმე სუფევდა. მხოლოდ რიონის ტალღების ტლაშუნი ისმიოდა
შორიდან.

ტყის ერთი ფრთა მდინარეს მიჰყვებოდა. სწორედ აქეთ მოდი-
ოდა ჭორის კვალი. შოთამ დახედა თუ არა ტყის სიგრილით დალა-

მებულ მიწაზე დაჩნდეულ ნატერფალს, მაშინვე მიხვდა, თამარს აქ გაევლო. ნალშე ამოტვიფრული ძელქვის ტოტი შლამს დაჩნდოდა სხვა არაფერი ჩანდა.

— ნუთუ მარტოდმარტო წავიდა პირიმზე?! — გაიოცა პირეულად.

— არა, ალბათ მხლებლები მთის ბაჩა ცხენებზე სხედან, მათი კვალი კი ამ მიწას არ დაემჩნევა, — დაასკვნა შემდეგ და ბედაურს ლეჩხუმისაკენ დაჯერებით მისცა სადავე.

— რატომ გაიცა და არ გაამხილა თავისი ზრახვანი?! — მეათა-სედ ეკითხებოდა რუსთაველი თავისთავს.

მზე აჭერდა ხეთა წვრილი ფოთლებით დაძანძულ წვერებს. აქა-იქ ჩამოპარული სხივები ვეება სვეტებად ციმციმებდნენ გრილსა და ჩრდილოვან ტყეში. დაურაბტავი ბედაური ბილიკზე მიქროდა. ხანდახან მისი სამკერდე ტყავი გაიტლაშუნებდა და ხმა ტყის კი-დემდე გავარდებოდა.

— საიმ აპირებს გაფრენას ნეტავ? — ისევ მოვარდებოდა გზა-დაგზა ფიქრი, — ნუთუ რაიმე ვაწყენინე, ნუთუ გამიგულისდა ჩემი მზემთვარე! ვაათუ ახალგაზრდა ოვსთა მთავრისკენ მოისურვა გა-სეირნება? ვაათუ... აბორგდა გულისმლარავი ეჭვი. კი, ესეც შეიძლება მოხდეს ჯიმაშტარის თავზე ფონში გაცურავს და მუხურაზე გავლით საჩერებეზე გადავა, იქიდან კი ერთი მქლავის გაწვდენაზე ოვსთ მთავარი სოსლანი!

ბედაურს არ ესმის პატრონის დარღი. იგი ლალად მიქრის ხეებს შეუა და ალლოთი უქცევს მათ კორძიან ტანცესეს. უცებ გათაედა ტყე და რიონის სარკესავით ზედაპირმა შემოანათა. გაოცდა შოთა.

ახალი სანაო შენიშნა.

იგი, ეტყობა, სულ ახლახანს გააბეს გალმა-გამოლმა. ზედ პურის ძნებით დატვირთული ურმები იდგნენ. სანაოს ბორბალი ისე აჭრიალდა, ეტყობა, ქონწასმული იყო. გალმა ნაპირზე კალლ გაემართათ, გოგო-ბიჭების ურიამული იდგა. რიონის ნაპირზე შლამს დაუკვირდა.

ცხენთა და ხარ-კამეჩთა ნაკვალევი ერთმანეთში ასვრილიყო. ჯორის ნატერფალი კი არ ჩანდა.

„სვანეთისკენ წასულა?“ — გაუელვა ფიქრმა.

— ვაი, შენს შოთას, განა ამ ერთი კვირის წინ ზაქარიას ცა
კითხავდა პირიმზე სვანეთზე?! ნამდვილად იქთ წავიდა, — ლააცვენა
გულდაჭერებით და ბედაურს უნებლიერ გადახედა.

ალბათ ჯორიც იმიტომ აირჩია სამოგზაუროდ. ჩემი ქულანი კა
იმ ციცაბოებზე ვერ გადავა.

ცხენს სადავე მოსწია და შეყოყმანდა.

— არა, ახლა უკან დაბრუნება არ შემიძლია, უნდა დავიწიო,
უნდა გავაოცო. დე, მიხვდეს, როგორ ვუფრთხილდები მის ნატერ-
ფალს.

აღმართზე წაბლის ტყე გახშირდა. ძელქვა აქა-იქ თუ გამოერეო-
და. შარშანდელი ნაყოფი ახლაც ეყარა ხის ძირებში. ვეება ტახები
დაშლიგინბლნენ ფერდობებზე. რიონის ხევი თანდათან ვიწროვდე-
ბოდა. ახლა გზა ზედ მდინარის კლდოვან ნაპირს მიჰყვებოდა.
ქვევით, ღრმა ქვესქნელში ღრუბლისფერი მდინარე ასკდებო-
და კლდებს. გაღმიდან ტყის ქათმების გნიასი ისმოდა. მზე კარგა
მაღალზე იყო, როცა ორბელს გადაუარა. უცებ, ზედ მის თავს ზე-
მოთ შრიალით გადმოეშვა შავი მიმინო, ლამაზად გადატრიალდა
ჰაერში, ირაო შეცკრა და გაღმა ნადავლს დააცხრა.

— კაპუეტია, ვიღაცას გამოქცევია, — გაითიქრა შოთამ.

სწორედ ამ ღროს, გამოღმა ბილიკიდან, მთის წვერს რომ მიჰ-
ყვებოდა, სტვენა გაისმა.

მონადირენი ყოფილან, მიხვდა მხედარი.

ახლა ეყვნების უღარუნი და მიმინოს კიჟყიპი გაიგონა.

— იქ ვინ გააწევს, ქალბატონო! — დაიბუხუნა ვიღაცამ ტყეში.

— უნდა გაცურო, ბიჭო! აბა, ახლა მიმინოს დავკარგავ თუ?! —
ეს ქალის ხმა იყო.

შოთა უნებლიერ შემობრუნდა. ვეება ვაჟკაცი გვერდი-გვერდ
მოჰყვებოდა ბილიკს. მარჯვენა ხელი ვიღაცისთვის ჩაეკიდა და
მოუძღვებოდა.

— ხელი გამიშვი, — ისევ მოისმა ქალის ხმა.

— არ გაგიშვებ, ქალბატონო, ფეხი დაგიცდება და ზედ რიონ-
ში მოადენ ყვრიალს. მერე რა პასუხი მივუტანო მამაშენს?!

— რომ გიბრძანებ, ხელი გამიშვი, შე გამოყრუებულო! — გა-
კაპასდა ქალი.

— ვერ მოგართვეს! — გაჭიუტდა დევკაცი. ახლა ორივენი შა-

რაზე გამოვიდნენ. კაცმა ფეხები ისე გალავა, მთელი შარავჭა
დაიკავა.

ქალს თეთრი ყაბალახი და თეთრივე ნაბადი ეხურავით უძვის
თავადის ქალი თუა.

— არ გამიშვებ ხომ?! არ გამიშვებ ხომ?! ესეც შენ, ესეც
შენ! — ქალიშვილმა მთელი ძალით უბიძგა დევკაცს, უცებ ხელი-
დან დაუსხლტა და შოთასკენ გამოექანა. დევკაცი წაბარბაცდა.

ძლიერ დაიოკა სადავე მხედარმა. ქალი ზედ ცხენის მკერდს
მიასკდა.

— გიგოია, მიშველე, გიგოია, მიშველე! — შეპკივლა შეშინე-
ბულმა. ამ ხმამ გიგოიაზე მეხივით იმოქმედა. ეს მთისტოლა კაცი
ჯამბაზივით გადმოხტა და ქალის ხმით დამფრთხალ, ყალყზე შემდ-
გარ ბედაურს დროზე მოუსწრო. თუმცა, შოთამ უკვე დაუჭირა
მარჯვნით სადავე. ცხენი უკანა ფეხებზე შემოტრიალდა და წინა
ფეხებით ფერდობს ჩამოეკიდა.

— ხომ გაგათავებდი, ბოგშს რომ რაიმე მოსწეოდა... — სიტყვა
პირზე შეაშრა გიგოიას. მან მხოლოდ ახლა შეხედა მხედარს და
შედრება.

მიხვდა ყმა გლეხი, მის წინ უცნობი დიდი ბატონი იდგა. მხე-
დარი კი თვითონ გაშტერებულიყო. სახე გაყვითლებოდა, თვა-
ლებში ნაპერწერები უკვესავდა. ერთ ადგილს მისჩერებოდა.

ქალიშვილს ჩაეჩიქა. ჩანთიდან ირმის ტყავის ოქროთი მო-
ოჭვილი რაღაც წიგნი გადმოვარდნოდა და ახლა შიგ დებდა. გი-
გოიამაც იქით გაიხედა.

— ვაი, ჩემს დღეს უბედურს, დედამ დაგიშალა მაგის კითხეა,
შენ კი მოგიბარავს და თან წამოგილია. — ქალიშვილი ნელა წამო-
მართა და გიგოიას შეაქვესა თვალები.

— დედაჩემთან არ დამასმინო, თორემ იცოდე, ისეთ საქმეს
დაგმართებ, წვერს შენი ხელით იგლეჭდე.

მხედრისკენ ჯერ არც კი გაეხედა. წიგნს მალავდა ხელჩანთაში
და გიგოიას შესჩერებოდა.

— ვინ მოგცათ, ქალწულო, ეს წიგნი თქვენ. — მოესმა მხედ-
რის ხმა. საოცარი ხმა იყო, ტკბილი და ბოხი, ძლიერი და ურუან-
ტელმომგვრელი. ანაზღად შეაცქერდა მოსულს.

— უიმე, ვინაა, ნეტავ, ეს კაცი, გიგოია! — გულწრფელად გა-

ოცა. შოთას უნებლიერ გაელიმა. ასეთი სილამაზის ქალწული კერა
არ ენახა, თხუთმეტი წლის თუ იქნებოდა, დაქალებაში შესული მისი
ტანი შოლტივით ირხეოდა თივთიყის ოქრომცედიან კაბაში, მსხვილი
ლი ნაწნავები წინ გადმოეყარა, შვლის ნუკრის თვალები ნიკლ
დაკრული ცისკარივით შეფერებოდა პოეტს.

— თამარის თვალები, ღმერთო ჩემო, ნამდვილად თამარის თვა-
ლები! — ამ ფიქრმა თვითონ შეაკრთო.

— ეს წიგნი ვინ მოგცა, ღმამაზო ქალწულო! — ისევ წყნარად
ჰკითხა.

— მე სადა მაქვს წიგნი?! — თითქოს გაიკვირვა მან და ღაშვებ-
ზე ცეცხლი მოედო...

— პირველად მმბობს ტყუილს, — მიხვდა მოსული.

— წავიკითხე, ქალწულო. მაოცებს, ძალიან მაოცებს. ეს წიგნი
სასახლეშიც ორად ორია. თქვენთან საიდან გაჩნდა? ვინ მოასწრო
გადაწერა ასე ანაზღად.

ქალიშვილს თვალებში ეშმაკური ღიმილი ჩაუდგა.

— თქვენ სასახლიდან ბრძანდებით?

— სწორედ გეგუთიდან მოვდივარ ახლა, — მიამიტად უპასუხა
შოთამ.

— პოლა, იცოდე, პირველად მე მომიძლვნა ეს წიგნი დიდმა
შოთამ, სახელად თამარი მქვია.

შოთა ჯერ გაოცდა, მერე თავშეუკავებელი ხარხარი აუტყდა.

— აი, კოპტია ქალწულო, თურმე ვისთვის ღაუშერია ეს წიგნი
ავბედ კაცს, თამარიც რომ ჰქვია სახელად?

პატარა თამარს თვალში ელვამ დაკრა, მრისხანებამ სახე აუფო-
რიაქა. იგი ახლა იმ მიმინოს ჰგავდა, რომელიც მოფრენილიყო და
დევგაცის ტყავგადაკრულ მაჯაზე ველურად აბრიალებდა თვალებს.

— გიგოია, ამ ბატონს ჰქონია, მე ვიგონებ ხომ?! — შეუტია და
ფეხები დაუბაკუნა. გიგოიას ფერმა გადაუარა. ეტყობა, პატარა
ქალბატონის რისხვამ და ნათქვამა მართლაც შეაშინა.

— რატომ კადრულობ, თამარ ჩემო! შენს ნათქვამს ყველა დარ-
ბაისელი კაცი დაიჭერებს. დიღო ბატონო, იცით ვინ ბრძანდება
თქვენს წინ?!.

— აი, ეს კი მართლაც საინტერესოა, მხოლოდ ისიც უნდა

მითხრათ, წიგნი მართლა თუ შოთამ უძღვნა პატარა კიკლუ თამარს.

— ჩევნი თამარის ნათლია დიდბატონი დემნა ბრძანდებოდა — დაიწყო გიგოიამ როყიო ხმით, — ჰოდა, შოთა და ფუმნა ქმარის ცები ყოფილან, ერთად სწავლობდნენ თურმე. სწორედ მაშინ მონათლა დემნამ თამარი და...

— ღმერთო ჩემთ! — ალარ დააცალა სათქმელი გაფიტრებულმა შოთამ, თან შუბლზე იტკიცა ხელი. — მართლაც დემნამ მთხოვა, ეს წიგნი ჩემს ნათლულს აჩუქეო, ვაი, მე ბეჩავს, როგორ ვერ ვიცან ჩემივე ნიშანი ყდაზე. ჭუგუ ახვლედიანის ქალი იქნებით, ალბათ.

თამარი უყურებდა და კანკალებდა.

— ნუთუ, თქვენ დიდი შოთა ბრძანდებით?

— ვაი, რომ შოთა ვარ, ჩემი მეგობრის ქალო, შენ კი ვერ გაცან!

— თქვენი მუხლის და გონების ჭირიმე. — უცებ დაემხო გაგოია მხედრის წინ, — მე თვითონ ვარ მოსაკლავი, რომ ვერ ვიცან, სულმნათო! განა გელათში მე არ მოგართვი ბატონის წერილი?

— თან თვალსა და ხელშუა გამეპარე!

— ასე მქონდა ნაბრძანები, იმ ღამესვე ჩემს ბატონთან უნდა გავჩენილიყავი, დიდო ბატონო...

შოთა შემოდგომის ვერხეის ფოთოლივით კანკალებდა. ახლა მას ყველაფერი გაახსენდა. დემნას ძმობაც, გუჭუს ერთგულებაც და წიგნზე მოხატული ნიშანიც. უცებ გადმოხტა ცხენიდან და თამარს ხელზე ემთხვია.

— გამახარე, ჩემო კეკლუცო, შენი სილამაზით და ქცევით.

— ღმერთო დიდებულო! — დაიბნა პატარა თამარი, — ამას რა მოვესწარი, დედაჩემი არ დამიჯერებს და მომკლავს კიდეც. გოგოია! — შეპყვირა ისევ მხლებელს, — სახლისკენ გაფრინდი, დედა უთხარი, ღვთისსაღარი სტუმარი მომყავს-თქო.

— არა, ჩემო თამარ! მე გზას ვერ გადავუხვევ, საჩქარო საქმეზე მივდივარ, მამას და დედას ჩემი მოკითხვა გადაეცი, ვწუხვარ, რომ სტუმარ ვერ გაგცვები!

— რას ამბობ, ბატონო, აბა, თქვენ რომ გნახეთ, ვინ დამიჯერებს! — შეწუხდა პატარა თამარი.

— ჩასვლისთანავე ბარათს მოგწერთ გეგუთიდან, — გაეღიძა
ისევ შოთას.

— გეგუთიდან?! არა, გეგუთიდან არ მინდა, — გაჭირებული
რი, — რადგან ასეა, მითხარით, საით მიდიხართ. ჩემს მიმინოს დაკა-
ლევნებთ. გზიდან მომწერეთ.

შოთა გაკვირვებით დააჩერდა ბინდბუნდისფერ ნაკვერჩხალ-
თვალება კაბუეტს.

— ჩემი გზა მეც არ ვიცი. ალბათ სვანეთს გადავალ.

— მოგაგნებს ჩემი მიმინო, გიგოია, ხორცის ნაჭერი მიართვი
დიდბატონს, — მიუბრუნდა იგი მხლებლებს, თავის ხელით დაპუ-
როს ჩემი აღზრდილი.

გიგოიამ ელვის სისწრაფით ჩაყო ხელი ტყავის ჩანთაში და
თითის ხელა ხორცის ნაჭერი მიაწოდა შოთას.

პოეტმა უნებლიერთ გამოართვა.

მიმინო ნიავივით დააფრინდა შოთას მაჯაზე. აღარც თვალები
უელავდა ბოროტად. კიპკიპებდა.

— ჩემი მიმინო ცხრა მთას გადაღმა მოგნახავთ აწი. იცოდეთ,
წერილით დამიდასტურეთ, რომ ამ მიდამოებში შეგხვდით, დედა-
ჩემი მაშინ დამიჯერებს.

— უსათუოდ მოგწერთ, თუმცა მეეჭვება, კაპუეტმა გეგუთამდე
მომნახოს.

— მოგაგნებს, უცილოდ მოგაგნებს: — ახლა მასაც გადაედო
შოთას ღიმილი.

მიმინომ ხორცის ნაჭერი დაძიძგნა და ახლა ნისკარტს იწმენდდა,
მერე ფრთები შეაფათქუნა და კვლავ გიგოიას დააჭდა მარჯვენაზე.

— აბა, მშვიდობით, პატარა თამარი, მშვიდობით. იცოდე, თუ
შენი აღზრდილი არ დამეწია, გეგუთიდან უსათუოდ მტრედს გამო-
ვატან ბარათს დედაშენის დასაჭერებლად, — დაასრულა შოთამ და
ქურანს მოახტა. სანამ ქალწული რამეს მოიფიქრებდა, უკვე ცა-
გერის მინდვრებზე მიქროდა.

— ვაი, ჩემს დღეს, — ოხრავდა გზადაგზა — რას არ მოვესწა-
რი, რა არ ვნახე, რა არ შემემთხვა ამ ცრუ წუთისოფელში?!

ყაჭის თეთრი გორგალივით იშლებოდა წარსული. დემნა და მი-
სი ძუძუმტე, გუჭუ ახვლედიანი... დემნას და თამარის განუყრელი
ნათესაური მეგობრობა. დიდი თამარი, მისი პირველი შეხვედრა,

ახლაც ახსოვს და სანამ ცოცხალია, რა დავიწყებს იმ უძმეულს, როცა დემნა და გუჯუ მის პირველ სტროფებს უსმენდნენ. როგორ მოეხვია დემნა მაშინ შოთას და კაცთა შორის პირველმა უთხრა: — ჩვენ წავალთ ამქვეყნილან მოკვდავნი, შენ და საქართველო კი უკვდავებაში გადადით ამ წიგნითო.

იტირა კიდეც, ხარისოდენა თვალებიდან მდუღარე ცრემლი ლაპალუპით გადმოსდიოდა. მერმე გუჯუს ქორწილი... წიგნის მეორე ცალად გადაწერა და ყდაზე საძმო ტვიფრი, შემდეგში დემნამ გიორგი მეფის წინააღმდეგ შეთქმულთა ნიშნად რომ აქცია. ი, სად აღმოჩნდა ახლა იგი, ცხენმა ნელ-ნელა გაივაკა და ხიდზე გრიგალივით გადაირბინა.

— ვინ იცის, იქნებ დემნა ბატონიშვილის ტახტი უფრო გამოსდეომოდა საქართველოს, ვინემ... — უცებ სადღაც გულის სილრმეში სინაული იგრძნო. ასეთი ფიქრი მკრეხელობად მოეჩენა. — განათამარმა არ განამტკიცა მამულის ბალვერი და ოღამაღლა მისი თავანი? არა, ამაზე უკეთ ვის შეეძლო ხელმწიფეთა ფათერაკიან გზაზე ქვეყნის გაძლოლა. თუმცა, დემნა თვითონ იქნებოდა ბრძენი ხელმწიფეც და დიდი მხედართმთავარიც. ისევ დაეუფლა ეჭვი პოეტს. სათავადო სვანეთისაკენ მიმავალი გზა თანდათან მაღლდებოდა და ზევით იწევდა. შეე ჩავიდა. მისი სხივები მხოლოდ მწერვალთა გაყინულ თავებს ანათებდა. ხევებში უკვე ბნელოდა. ბედაურის ლაგებშუა ცხენისწყლის თეთრი ქაფივით პეჟო გაისაპნა.

— უნდა გადავიღამო. — ხმამაღლა თქვა შოთამ და სოფელი გამოჩნდა თუ არა, პირველივე სახლს მიაშურა.

*

* *

მეორე დილითაც ვერ მონახა მზეთამშის გზა-კვალი მდევარმა.

გუმანით აჰყაც ცხენისწყლის ნაპირებს, უშგულში რომ ააღწია იქ უთხრეს: ნაბდებშემოხვეული სამი მგზავრი იღუმალი სიჩქარით მიაქროლებდა ცხენებს, მათ შუა თეთრი ჭორი მითოხარიკობდათ.

კალამდე, ვიწრო და კლდოვან გზაზე ბედაურს გაუჭირდა. აღგილ-აღგილ, ხანჯალივით ამოწვერილ ბასრ კლდეებზე, ერთი ბეწო ხის ბოგირები იდო. უჩვევი ქურანი ჭერ ფრუტუნით გადაფრინდებოდა, მერე მთელი სხეულით კანკალებდა.

მხოლოდ კვირიკესთან ამოისუნთქა ბედაურმა. აქეე გაიგო მდე-
ვარმა, თეთო ჯორიან მგზავრს კვირიკეზე ღამე გაეთია. მათი გეზი
კი მაინც ბინდით იყო მოცული. ახლა ენგურის ქაუქაფა ტალღაში
გაჟყვა გუმანით. სათავიდო სვანეთი უშეულთან გათავდა და ლატ-
ფარის ულელტებილი ხელმარცხნივ დარჩა. გამოჩნდა უბატონი
სვანეთის ცადაზიდული კოშკები. ბედაური გრიალით მიარღვევდა
იისფრად შენისლულ პარს. კლდეს შემსხვრეული ენგურის შე-
ფეხი ხანდახან ნაპერწკლებივით კვესავდნენ და მაშინ შოთას ეჩვე-
ნებოდა, რომ კალმახები ელავდნენ მდინარეში. შეიძლება ასეც
იყო. ლიფარიდან ულელტეხილისკენ აიწია და მულახის მისასვლე-
ლებს გადაადგა. გააოცა სოფლის სიდიდემ და სილამაზემ. მისმა
ყანებმა და ბალახთა მრავალ ფერად ლივლივმა. ცა სუფთა იყო.
ყოველ მოსახვევში სასიამოვნო სიგრილე მოქმუოდა.

— ბერძნებს რომ სვანეთი სცოდნოდათ, ალბათ თავიანთი
ღმერთების სამყოფელად მას აირჩევდნენ. მართლაც არ არის ქვეყ-
ნად უკეთესი ღმერთსამყოფელი. — დაასკვნა შოთამ.

ლიფარში დაშორდა ენგურს და ახლა მესტიაში შეეფეთა მას,
კლდის სასთუმალზე დაკირული გაურანდავი მორების ხიდი ჩელ-
ტით და მიწით დაებეჭნათ. თოხარიკით განვლო ბედაურმა და თავ-
ქვე დაჟყვა. ისევ გაახსენდა გუჭუ ახვლედიანის პატარა ქალის
ეული წიგნის ტიფრი.

— დემნას ეშინოდა ჩემი შეთხულის ფათერაკისა, ის სულმ-
ნათი ფიქრობდა, დიდი თავადნი წინაღუდგებოდნენ ჩემს მკრხე-
ლურ აზრებს. გუჭუსაც მიტომ მისცა შთამომავალთა სასიღუმ-
ლოდ და სახეპიროდ. თუმცა დავალება რა საკაფრისია, თვითონ
წამყითველსა და გამგონეს ერთნაირად ამახსოვრდებოდა პოემის
სტროფები. თამარმა სახელმწიფო წიგნად განამტკიცა იგი. ეჭ,
ხელმწიფეთა ფიქრს ვინ მიხვდება, მაგრამ გუმანით მაინც ვიცი,
ერის გულში და გონებაში ამით გზა მისცა ჩემს ნაფიქრალს და
ნააზრებს. პოო, როგორც ჩანს, მასაც ეშინია უგუნურმა და უნია-
თო ადამიანებმა არ ავნონ ჩემს წიგნს.

მდინარის პირას საკირეები გამოჩნდა. კვამლი ცის გუმბათისკენ
ვება სვეტად აღმართულიყო. იქაც ვერ ნახა თავისი გულისდარდის
ავალი.

ქრიჭა შეეკრა მხედარს. ავ გუნებაზე დადგა.

— ნუთუ, ტბუილად ვიარე ამ ფრიალოებზე ასე ხიჩქარითი? —
შეეკითხა იგი თავისთავს. საღლაც შორს, იმედის ნაფორი მაინც
ამოცურდა და ხასიათიც შემოუბრუნდა.

ისევ დეზი ჰერა ბედაურს და თავქვე დაეშვა. პირველი გადასაცავის
— არ შეიძლება ოდიშის ჭალებამდე არ მივეწიო.

უცებ მოსახვევში ჩვილი კვიცი შეეფეთა. იგი ქაფქაფა, მკლავის
სიმსხო ნაკადულს დასჩერებოდა. ბედაურის მისვლა არ იუცხვოა,
ალბათ დედა ეგონა, შესჭიხვინა კიდეც. ადგილიდან კი მაინც არ
იძროდა. უნებლიერ შოთაც დააჩერდა იმ ადგილს. საოცარი რამ
ნახა:

მოზრდილი კალმახი შეფებისგან აბოლებულ გუბეში მომწყვე-
დეულიყო და ფართქალებდა. მისი ბროწეულის მარცვლებით და-
წინწერლული სხარტი ტანი ნაკვერცხლებივით კვესავდა ყინულივით
წყალში. კვიცი ხანგამოშვებით დაყნოსავდა. მერე უკან შიშით და
გაოცებით დაიხევდა, მაინც არ შორდებოდა.

პოეტმა ფრთხილად აიყვანა კალმახი და ვერცხლის სვეტივით
დაკიდულ ნაკადულში ჩაუშვა. ერთი გაიელვა კალმახმა და უსა-
ხოდ გაქრა. კვიცმა ახლა შენიშნა უცხო ბედაური, კანკალით დაი-
ჭიხვინა, შებრუნდა და კისრისტებით თავქვე დაეშვა. მხედარმა
შორს, მოსახვევში, ცხენოსანი დალანდა. თვითონაც იქით მიუშვა
ქურანი. რატომლაც სიმღერა მოუნდა ბრძენ პოეტს. ნელა გაისმა
მისი ხმა, ენგურის ტალღების დგაფუნში, ფერდობზე აშოლტილ
ვეება ხეთა ტევრების შრიალში. კარგა ხანს იმღერა გულითა და
სულით და მერე შენიშნა, რომ სვანურ ლილეს მღეროდა.

— პირველად ვმღერი ლილეს — გაოცდა მხედარი, — ალბათ
ამ ღმერთსამყოფელს სხვა სიმღერა არც კი შეშვენის.

უცებ შრიალი გაისმა და შემკრთალ პოეტს ბეჭებზე მიმინ
დააჭდა.

— პატარა თამარის კაპუეტი! — ამოსკდა ძახილი, — მტრედი-
ვით გაუწვრთნია, — მიმინო კი, ვითომ არაფერი მომხდარიყოს, ისე
იწმენდდა დაღლილ ფრთხებზე ოქროსფერ, მოკაუჭებულ ნისკარტს.
ყელზე პატარა ტყავის ნაკერი შენიშნა. ფრთხილად მოხსნა ყაითა-
ნი და წერილი გაშალა. პატარა პერგამენტის ნახევზე ფერაფერას
მელნით ნაწერი ასოები მოჩანდა.



ახლედიანის ქალი ვარ, ალპანას ვიღებ სამინდეს,
ორბელის თავზე შემომხვდი, მზევ, დამანათე, დამზნიდე, ერთი პატარა გული მაქვს, შენ თვალთა შექით დაუტარდეს კორისტეს
სამოთხეს ვინდა მაღირსებს, ჯოჯოხეს რისოცის წავიდე?²¹

ღიმილით კითხულობდა შოთა. „ჩვენში ცველა ლექსად ამბობს თავის სათქმელს“, გაიფიქრა და დასკვნა: პეშმარიტად ძნელია ჩვენს მამულში მელექსეობა.

ქურანი კი ისევ მიქროდა. ხელმარჯვნივ უშბის ქათქათა, თვალისმომშერელი მწვერვალი გამოჩნდა. ერთი მხრიდან ჩაბალახივით ეხვია ნისლი. ცხენს უნებლივთ სადაცე მოსწია და შეჩერდა. ყიულწვერი თითქოს ლავარდში კანკალებდა.

— ღმერთთან მისასვლელ კიბეებსა ჰგავს ჩვენი მთები.

თვალებში თითქოს მეტი სინათლე ჩაუდგა, ელვარება მოემატა. ცხენს ისევ სადაცე მისცა, უშბის თავს ერთი კიდევ გახედა და თავდაღმართს ჩაუყავა. კაპუეტი წყნარად გადაინაცვლებდა გზაზაგზა შოთას მხრებიდან მახლობელ ხეზე ირაოთი და ისევ უკან ბრუნდებოდა. გზატკეცილი ენგურის ვიწრო ხევს მიჰყვებოდა. უფსერულიდან მდინარის ღმუილს ისეთი ქარი ამოქვნდა, რომ მუხლებზე კაბის კალთები ვერ დაიმაგრა მხედარმა. ღამდებოდა. უცებ კლდეთა ქარი გაიხსნა და შოთას გაშლილი ჭალაჟი შემოეფეთა. ჭალის ბოლოზე კარვები შენიშნა. გულმა რეჩხი უყო. შუა მინდორზე ბედაურმა უცებ მეხივით დააყარა ჭიხვინი.

— ჩუმად, ჩუმად, თორემ გვიცნობენ, ჩემო ქურანავ.

მხედარი მიხვდა, რომ მისმა ბედაურმა ნაცნობი ცხენები დალანდა.

— ჩუმად, ჩუმად, — ისევ ჩაუჩურჩულა ყურთან.

— ჩუმად, ჩუმად. — ღაიბუსუნა ვეება სვანმა და მხედარს გადაეღობა. ცხენი ოდნავ დაფრთხა და გვერდზე გაიწია.

— შენ ხარ, მურზაყან ჩემო?

— ვაი, ჩემს თავს, თქვენ აქ საიდან გაჩნდით? — გაიოცა სვანმა.

მისი ფართო ბეჭები მთებივით მოჩანდა ღამის ჩრდილებში. მხოლოდ ვეება სატევრის ტარი ელავდა ისლისფრად.

— ვაითუ პირიმზე გაჯავრდეს! — ისევ ღაიბუსუნა მურზაყანმა და მერე ისე გაიკინა, ჭალამ გრგეინვით მოსცა ბანი.

— მის ახლოს სიკვდილი მირჩევნია, ჩემთ მურზაყან. მისგან შორით სიცოცხლეს. — ისევ წყნარად თქვა მოსულმყრელების გადმოფრინდა. ეტყობა, სვანმა ვერ გაუძლო ცლუნიზეს შესჭრადა რი მუხის ტოტებივით მაგარ მკლავებში მოიქცია.

— მარტო მოვდივართ, სად არ ვიარეთ. ევირიკებზე ღამე ვათიერ, პადიშში საყდარში აველით, მულაბში კოშების წვერები ვთვალეთ. თქმით კი არავის ვუთხარით ჩვენი ვინაობა. ახლა კარგები გავშალეთ, ამ ადგილსაც თამარშენი დავარქვით. — ყვებოდა მურზაყანი.

— ვერ დავიჯერებ, მურზაყან, ძმაო, სვანეთში შენს ბეჭებს და ხანჯლის ტარს ვერავის გამოაპარებდი!

— ბეჭებ ნაბადი მეხურა, შოთა-ბატონო, ხანჯლის ტარზე კი წინდა ჩამოვაცვი, უცხოდ რომ მევლო. აქამდე ვერვინ მიცნო და აწი რა ვიცი.

შოთამ გაიღიმა, მურზაყანის სატევრისკენ გააპარა ხელი და მართლაც წინდა მოხვდა.

— ნუთუ სვანეთში ვერ გიცნეს, დაუჭერებელია!

— რომ ვეცნეთ, პირიმზესაც ხომ იცნობდნენ, ქვეყანას შეგვიყრიდნენ.

ახლა გაახსენდა შოთას, რომ მურზაყანი თამარის ძიძიშვილი და განუყრელი მცველ-მეგობარი იყო. მისი გამოჩენა თამარის გამოჩენას ნიშნავდა.

უცებ მურზაყანის ბეჭების გარშემო კაპუეტმა შემოავლო ირაო და დააჭდა კიდევ.

— ღმერთო, მიშველე, ამას აქ რა უნდა, — თითქმის დაიყვირა გაოცებულმა მურზაყანმა.

— საოცარია, ალბათ შევეშალე, მაგრამ ნუთუ ამა დევეკაცში ვერ გამარჩია მიმინოს თვალმა.

მურზაყანმა შენიშნა შოთას გაოგნება და ხმა მიაშველა.

— ეს კაპუეტი თამარის გაზრდილია, ახვლედიანის ქალს აჩუქა, ხომ გახსოვს უბედური დემნის ნათლული რომ არის.

— მე ვიცი, მაგრამ შენ თუ იცოდი, ეს კი არ მეგონა, — შეცბუნდა შოთა და კინაღამ ხმამაღლა წამოსცდა სათქმელი. მერე ენა მოიკვნიტა.

მურზაყან ხომ თამართან და დემნასთან ერთად იზრდებოდა.

მათთან ლალობდა, მათთან სწავლობდა, გუჯუ ახვლედიანიც იქ არ
იყო მაშინ? ეჭ, შოთას ახლა გააჩსენდა ესეც და გაოგნებულები შემსული
ნოს მოეფერა.

— აბა, წავიდეთ კარვებში, მხოლოდ, პირიმზეს უკვე ძინავს
და ნუ გავაღიძებთ, ახლა დაწვა, ცოდვაა, დილით ცისქარს ასწრებს
ადგომას. — წყნარად წარმოთქვა მურზაყანმა.

უცებ მიმინომ დაიყიძება და კაბის შრიალიც მოისმა.

— ღმერთო ჩემო, ნუ გამირისხდებით! — მუხლებზე დაეცა
შოთა. მურზაყანმა უკან დაიხია. ისიც ახლა მიხვდა, რომ მათ ჭინ
თამარი იდგა. თეთრ ნაბაღზე მოქმბილი ოქროს ფართო ყაითანი
ღამეში ნათელივით ელვარებდა. სახეზე თეთრივე თივთიქის ჩაბა-
ლაში წამოეხურა.

— ცხენის ჭიხვინი ვიცანი, გამეღვიძა, სიზმარი მეგონა პირე-
ლად, ახლა ვხედავ, ვით საწუთროს, ვერსად დაგემალები. გეტყობა,
დიდო პიიტკოსო, ახვლედიანის ქალიც გაგიცვნია გზაში, ჩემს
გაზრდილ მიმინოსაც მოსწონებიხარ.

შოთას ტანში გასცრა.

— გულთამხილველია თამარი! — მოვარდა უცებ ფიქრი, ხმა-
მალლა კი დაუმატა, — თქვენს ნაკვალევზე ყოველთვის სინათლეს
იპოვის კაცი, ჩვენო დედოფალ!

— დედოფალს ნუ მიწოდებ, ჩემო კეთილო. მე ახლა უბრალო
შეგზური ვარ, უჩინმაჩინად მოებში მოხეტიალე. წამოღექი.

— აკრძალული გვაქვს „დედოფლის“ წოდება. — უჩვეულოდ
დაბალი ხმით ჩაუჩრდებულა მურზაყანმა შოთას.

შოთამ ახლა შენიშნა, რომ კაპუეტი თამარის მხარზე დაფრენა-
ლიყო. ნისქარტით წიწქნიდა ჩაბალაშის ოქრომქედით ნაქსოვ სირ-
მას, თან მხიარულად კიძებიძებდა. მერე, თითქოს ქარმა წამოუფ-
რინაო, შოთას მხარზე გადმოინაცვლა.

თამარმა გაოცებით გააყოლა თვალი. თითქოს ორი ვარსკვლავი
დადევნებოდეს კაპუეტს შოთას მხრებამდე, ისე კამკამებდა ახლა
შისი თვალები. მურზაყანმა შოთას უჩურჩულა:

— ამ დილით ჭიხვი მოვკალ, ნაკვერცხალზე წვალები ავაშიშხი-
ნით, სვანური არყით ძარღვებსაც გაგითბობ, ლექსის დიდო
მოძღვარო!

— მიმინოსაც მიჭმიეთ ხორცი, — წყნარად თქვა პირმებზე და დაამატა, — ღილით საღალიანოსკენ უნდა გადავიდეთ, აფეში დარინეთ. კაბა ისევ აშრიალდა და მზეთამზის ლანდო ლამის საზრულოში გაუჩინარდა.

გათენების უამს ძილგატეხილმა შოთამ ენგურისპირას ხალვათი კლდის ცხვირთან ჩამოისვენა. აფორიაქებული დაპყურებდა ნისლ-დაყრილ და მღელვარე მდინარეს. სიგრილე სასიამოვნოდ ატანდა ძვალ-რბილში. ნიავი უფრო აფხიზლებდა.

ჭალაკზე თამარის კარვის ტილოები ირხეოდნენ. შოთას მოეჩვენა, იქიდან თეთრნაბდიანი გამოვიდა. ისიც დალანდა, როგორ წამოვიდა ჩრდილი მდინარის პირისკენ.

— არც თამარს დასძინებია, — გაიფიქრა მან.

— აღრე ამდგარხარ, შოთა ჩემო, — ახლა აშკარად მოესმა მზეთამზის წყნარი, იადონივით ხმა.

— ნალველმა დამრია, მეფეო, დავიბენი, ვერ მიემხვდარვარ, რად დასჭირდა ქვეყნის მფლობელს უჩინმაჩინად სიარული, ხალხის თვალთაგან განრიდება, თავის სამწყსოში მალულად მგზავრობა.

თამარი წყნარად მიუახლოვდა შოთას. როცა შენიშნა, იგი ფეხზე ადგა, გააფრთხილა.

— დაჯექი, ბრძენს ჩემგან არ გესწავლება, მეგონა, შენ მაინც გამიგებდი ზრახვას.

— ჩემი სიბრძნე ვინა თქვა, მზეთამზევ, ვით შევადარო ღამე დილის მზეს.

— არა, შოთა ჩემო, ამ ქვეყნად ბრძენთა ნააზრევი რჩება, მეფეთა კი — ნამოქმედარი. ჩვენ სიჩუმე გვმართებს და ხალხის სიკეთისთვის დაუღალვად შრომა, თქვენ კი აზრი და სიბრძნე გივალავთ ხალხის გულში გზას.

— მალვა მხოლოდ ტრაფობას შვენის, მზეთამზევ.

— ხალხისთვის შრომას და სიყვარულსაც არ უყვარს ქვეყნის პატრონისგან ტრაბახი, ღილო პოეტო. სვანეთს მოსვლა უჩინმაჩინად რომ არ განმეზრახა, ხალხი შეიყრებოდა, ზეიმებს გამართავდა. მეც ადამიანი ვარ, ზეიმში ჩამითრევდნენ და განზრახულის კალაპოტიდან სულ სხვა სვრელში გადამისროდნენ. ახლა კი...

— ახლა კი... — შეაწყვეტინა სიტყვა შოთაშ, — განზრახულსა და წინასწარ ნაფიქრალს პირდაპირ მიჰყებით ხომ, მზექმიშეცვალის შემთხვევაში და გულით და გულით გაკვირდები ჩემი სამწყსოს ერთ ულამაზეს და უპარიოსნეს თვალს. სვანეთი ჩვენი ქვეყნის ცადაზიდული გვირგვინის ჯილაა, მისი ელვარე სილამაზეა. ჩვენი მამულის ხერხემლის მტკიცე ნაწილია. უნდა მენახა, უნდა გამეგო მისი ჭირვარაში, მისი სიხარული თუ სიმწარე.

განთიაღის იისფერი ნისლით ჩაბურულ გზაზე მოულოდნელად ცხენის ფეხის ხმა გაისმა. ცოტა ხნის შემდეგ ცხენოსანიც გამოჩნდა. ეტყობა, ამ რიბრაბოში შეამჩნია კარვებიც და დამხვდურნიც. ახლო მოდგა და შეჩერდა.

— მგზავრები თუ ყოფილხართ?! — იყითხა. თავზე თეთრი ნაბლისგან მოთელილი ფარფლიანი ქუდი ეხურა, წელზე ვეება ხანჭალი და ზურგზე თხის ტომარა ეკიდა.

მზეთამზე და შოთა ხმაზე მიხვდნენ, მხედარი ჭაბუკი იყო.

— მგზავრები ვართ, — წყნარად შეეპასუხა შოთა, — თქვენც აღრე გიმზავრიათ.

— მწყემსი გახლავართ, ხალდეშურას სათავეებთან ბალახობენ ჩვენი ჯოგები. თქვენ მწყემსებს არ ჰვავხართ, კარვები კი დაგიდგამთ?

შოთას და მზეთამზეს დაბნეულობა დაეტყოთ. ისევ თამარმა დაასწრო სათქმელი.

— კვირიკეზე ვიყავით სალოცავად.

— არც მლოცველებს გავხართ, — თავი გააქნია ბიჭმა.

— ჰალიშიც მოვიარეთ, იქაც მუხლი მოვიყარეთ, — ისევ წყნარად თქვა თამარმა.

— თვად იქიდან გახლავართ, — თვალი გაუბრწყინდა ჭაბუკს.

— რა გვარისა ხარ, ან სახელად რა გქვია?

— ავალიანი ვარ, სახელად ბათალბის მეძახიან.

— ჰალიშიდან ხარ?! — გაუხარდა თამარს. — ერთი სათხოვარი შაქვს, უნდა შემისრულო!

— ბრძანეთ, ბატონო.

— ერთ წუთს მომიცადე. შესაწირი უნდა გაგატანო ჰალიშის საყდრისათვის. — თამარი კარვისაყენ წავიდა და როცა ისევ გამობ-

რუნდა, დილამ უკვე გაღმოიხედა მწვერვალებიდან. ხევებშიც ნელა
ჩადიოდა დილის შუქი.

— ძვირფას რასმეს გატან, შვილო ჩემო. წინამძღვანელი უჭიშეს
თვალისჩინივით გაუფრთხილდეს. — გაუწოდა ბათალბის უცხოდ
ნაქარგ შალში შეხვეული წიგნი. ბიჭმა ფრთხილად გამოართვა და
შალი მოხსნა.

— ღმერთო ჩემო, — დაიბლავლა ბათალბიმ, — ეს ხომ მეფე-
რი საჩუქარია. — მერე ცოტა უკან დაიხია, თამარს შეხედა, დაუ-
კვირდა და მუხლებზე დაეცა.

— ახლა გიცან, ღმერთთა სწორო მეფეო, თქვენი შუქით თვა-
ლები თუ დამიბნელდა მე საწყალს.

— კითხვა იცი?! — გაუკვირდა შოთას. თამარს სახე შეუვარ-
დისფრდა.

— მამას ათონის წმინდა მთაზე ვყავდი წარგზავნილი, ბერძ-
ნულსაც გმარცვლავ.

— დაილოცოს ქართველი კაცის თვალის სინათლის მანძილი, —
ლოცვასავით ჩაიჩურჩულა შოთამ.

— მამაშენი ვინ არის? — იყითხა მზეთამზემ.

— ვისთანაც ამ წიგნის მიტანა გიბრძანებია.

— ადექი, შვილო, პადიშამდე არავის უამბო ჩვენი შეხვედრა.
გულმა მითხრა, ქვეყნის გონების ეს განძი პალიშის საყდარში უკეთ
შეენახება ერს. ახლა კი წადი, არ დაგაუვიანდეს.

ბათალბი ჯერ კიდევ დაჩოქილი იყო.


— დამლოცე, მზეთამზევ, დე, შუქმა შენმა გაუნათოს ჩვენს
ხალხს გზა-კვალი.

— დამილოცნიხარ, შვილო!

ბიჭი ნელა ადგა, კალთა არ გაუბერტყავს, ისე მოახტა ცხენს
და სიტყვის უთქმელად გაშორდა დამხვდლებს. შოთამ კარგად
გაარჩია, ორგორი სიფრთხილით ჩააცურა უძვირფასესი ძღვენი
აბგაში ბათალბიმ და რა მადლიერი თვალით გამოიხედა წასკლის
წინ მათკენ.

— მაინც მიხვდნენ თქვენს ვინაობას, მეფეთმეფეო. მზეს შუ-
ქით იცნობენ. ეტყობა, ხალხს უჩინმაჩინის ქულით ვერ დაუხუჭავ
თვალს.

სწორედ ამ დროს ბათალბი წყალვარდნილს გასცდა და



აღმართზე ცხვირწაწვდილ გორასთან გამოჩენდა. ცხენი თოხანიშვილი
მიყავდა გახარებულ მხედარს.

უცებ მის ზემოთ ზრიალი და გრუხუნი მოისვა. უცებ მის რეალი და თითქოს მიწის რეალი მოჰყვა.

— დავიღუპეთ, ზეავი ჩაიტანს იმ უბეღურს! — დაიბლავლა
მურზაყანმა. მართლაც ზედ იმ ცხვირწაწვეტილი მთის თავიდან
ზეავი მოწყვეტილიყო და ქვემოთ მსხვრევით და მტვრევით მო-
დიოდა.

ვება ხელი და კლდენი ილეწებოდნენ და ერთად, ჯგუფად, შეკ-
რული მოქანებოდნენ.

ეტყობა მხედარმა იგრძნო დალუპვის მოახლოება. ცხენი უცებ
მოწყვიტა ადგილს და ოთხით გააქროლა აღმართზე.

მერმე ყველაფერი დაიბურა.

მათ თვალწინ ჩაიქროლა თოვლის ვება ზვინებმა, დალეწილმა
ხეებმა, კლდეთა ვეებერთელა ნამსხვრევებმა, ჩაიქროლეს და გარ-
შემო ყრუ ნისლი და სიცივე დააყენეს.

თამარმა შეპყივლა, თვალებზე ხელები აიფარა. შოთა და მურ-
ზაყანი სულმოუთქმელად გაჰყურებდნენ ხევგალმა დაკიდებულ
გზას. თოვლის მტვერი და ნისლი იქაც შეტბორდა.

აღარაფერი ჩანდა.

უცებ ყველამ ისე ამოიკვნესა, თითქოს მზის შუქი გამოვარდნი-
ლიყოს ჯოჯოხეთიდან. გაღმა ისევ გამოჩენდა მხედარი.

— გადარჩა, მეფეო. — ჩაიჩურჩულა შოთამ.

— ღმერთმა გვიშველა. — დაიბუხუნა მურზაყანმა. თამარმა
თვალი გაახილა. კარგა ხანს მიჩერებოდა ხევგალმა მიმავალს და
შვებით სუნთქვადა.

— გადარჩა, — წყნარად ჩაიჩურჩულა მანაც.

— ქვეყნის განძიც გადაარჩინა თავგანწირვით.

— გარნა გელათში არ დაისვენებდა დიდი ოთხთავი, მეფეთ-
მეფეო? — თითქოს უსაყვედურა შოთამ.

— ეჭ, შოთა ჩემო, განგების თვალს დიდი სინათლე აქვს.
გულმა ასე მითხრა და მეც მას მიყევი.

შოთამ თავი ჩაღუნა.

— მაპატიე, დედოფალო!

— საპატიებელი არა გითქვამს რა, ახლა კი ცხენები შეკაზმონ, დაღამებამდე ოდიში უნდა განველოთ უჩინმაჩინად.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა ცხენოსნებმა ეს ადგილი და ტროქეს, ერთმა მათგანმა უკან მოიხედა და თითქოს მთა-ბარს გასძახა.

— ჩუმად, ჩუმად!

— ვის ეძახი?! — ცხენი შეაჩერა თამარმა.

— ამ ადგილს უნდა დაერქვას სახელი „ჩუმად“, დე ამ მთა-ბარმა მაინც შეინახოს თქვენი ნაკვალევი.

— ხალხს არაფერი დაემალება, ბრძენო პოეტო, საჭიროს გაიხსენებს და არც დაყარგავს.

*

* * *

მესტიაში მშვენიერი ამინდი და დიდი ფათერაკი ერთად დაგვხვდა. ზედ რაიკომის შენობის გვერდით ხანძარმა ორსართულიანი სახლი დაფერფლა. რაიკომის მუშაკები დაკარწახებული მუშაობდნენ და ცეცხლს აქრობდნენ.

სოსო ჭყალუასაც იქ შევხვდი.

— ამ სახლის პატრონები ობლები არინ, მამა ომში დაელუპათ, ახლა კი, თითქოს დარღი არ ენახოთ, ეს უბედურებაც დაემატათ, — გვიყვებოდა და ცრემლს ძლიერ იყავებდა. გაალული ნივთების თრევით მასაც სახე გაშავებოდა, ხანძრის შავი ტალი დასდებოდა.

სოსო ჭყალუას დიდი ხანია ვიცნობ. სვანეთში პირველად რომ ჩავედი, იგი აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა. მშინ ჩვენ იქ ჩასვლას ერთი ამბავი დაემთხვა.

1956 წლის იყლისი იყო, სასტუმროში რაიკომის მაშინდელი პირველი მდივნის ნიკოლოზ ბიბილეიშვილის ბინაზე ვცხოვრობდა. ერთ დილით კარზე მოაკაკუნეს. ნიკოლოზის ვაჟმა გაუღო.

— მამა, უცხო სტუმრებია!

წამოვდექით. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამოსულიყო სვანეთში.

ორი დღე დარჩა მესტიაში. აქტივი მოიწვიეს. ხე-ტყის წარმოების, მეცხოველეობის, გზებისა და ტრანსპორტის, მშენებლობის, განათლებისა და კულტურის საკითხებზე იმსჯელეს.

აბა, ვისაც რა აწუხებს, ყველაფერი ვთქვათო, — განაცხადა
ცენტრალური კომიტეტის მდივანმა.

მართლაც, მთელი აქტივი ჩაება მუშაობაში. კაცი არ დამზადებია
დაშმულ საკითხებზე აზრი არ გამოეთქვა.

— მართლი გითხრათ, ჯერ მესტიაში ცეკას არც ერთი მდივანი
ამდენი ხნით არ ამოსულა, სვანებთან ამდენი არ უსაუბრია, —
მითხრა სოსომ, — ამან კი თავისი ნაყოფი გამოილო. სწორედ შას
შემდეგ დაიწყო აღმავლობა ხე-ტყის წარმოების საქმეში. მანამდე
გეგმა თითქმის არასდროს შეგვისრულებია, ახლა ყოველწლიურად
ვიზრდებით.

მეორე დღეს ცეკას მდივანი სოფელ მულახისაკენ წავიდა. იქ
სიყრმის მეგობრის, იოსელიანის ოჯახი მოინახულა, მის მოხუც და
ბრძა მამას ესტუმრა, სხვა კოლმეურნეთა ოჯახებს დახედა.

საქართველოში ყველგან პატივს სცემენ ნათესავსა და მეგობარს.
სვანეთში კი ეს გრძნობა მეტად მაღლად ეხატებათ.

— მთელი სვანეთი გაახარა მისმა მოსვლამ და მეგობრისადმი
ასეთმა ვაჟკაცურმა ქცევამ. — მითხრა გულახდილმა სვანმა, ტიტიკ
მარგიანმა. კარგი კაცი, ყოველთვის ნათელ საქმეს მიაგნებს და გა-
აყეთებს. თავისი ოჯახის და სოფლის მოხმარება ბუნების წესია. მაშინ საქართველოს ცეკას მდივანს სხვა სოფლებიც მოუვლია. ლა-
ხამულაში ასულა, ლენჯერი, ეცერი და ბეჩო მოუნახულებია, ხაი-
შის აქტივთან უსაუბრია. წელს კი კალასა, უშგულსა და ქვემო სვა-
ნეთში უმოგზაურია. ყველაფერი თავისი თვალით უნახავს, ყველა
საქმის ტკივილი უგრძენია და ღონისძიებაც დაუსახავს.

*
* *

მეშენუ ავალიანი — ჰადიშის კოლმეურნეობის თავმჯდომარე —
სოფლის ბოლოს შემოგვხდა.

რაიკომის ახალგაზრდა მუშაკი ბექსატონ ქალდანი და რაიკავში-
რის თავმჯდომარე, ჭარმაგი სეფე ხაფთანი აგვუვნენ ჰადიშში.

პატარა მდინარე მოჩქრიალებს, სახელად „წყურგვილს“ ეძახიან.
მისი წყალი შედარებით თბილია და სასმელად კარგია. სხვა მდინა-
რის წყალი გულ-მუცელს ყინავს, აღამიანსა და ოთხფეხს აავადებს.

ფერმის ზემოთ, სამი-ოთხი კილომეტრის დაშორებით, წმინდა გორგის ეკლესია. გარშემო ბევრი ნასახლარია. ეტყობა, ოდესაც აქ მოზრდილი დაბა ყოფილა. ვინ იცის, იქნებ ცნობილი ქართველი უკავები. იგი ალპურ ზონაშია უკვე, ქვემოთ კი ტყეებია, კაშუკალი. ტყეები.

მიწიდან მეავე წყლები ამოქუხან. სვით რამდენიც გინდათ, წყენა მათგან არ შეიძლება, სიამოვნებას კი ბევრს ნახავთ.

როცა ამ წყალს სვამ, ასი ათასი გარსკვლავი სკდება და სასიამოვნოდ გილიტინებს ენაზე.

მარგოს თორმეტი მეწველი ძროხა ჰყავს მოსავლელად მიჩენილი. ქალიშვილის წვრილი და თაფლისფერი თვალები დაკვირვებით გიცერიან.

— დღეს სამოცდაათი ლიტრა მოვწველე! — მოკრძალებით გვეუბნება.

იქვე დგას ქეთო ავალიანი, უფრო მაღალი ტანისაა, წყლისფერი თვალები იქვე ჩამომდინარე ჰადიშურადან ახალამოლებულ კენჭებს უგავს. ქეთო ყოველდღე 80-90 ლიტრა რძეს წველის. ჰადიშურა უსწრაფესი მდინარეა სვანეთში (აბა, რომელ მდინარეს ნახავთ იქ დატბორილსა და მდორეს, მაგრამ ჰადიშურა მაინც სხვა). კეთის ხიდთან მდინარის კალაპოტი ისე ვიწროა და კლდოვანი, რომ მისი ტალღები, ერთიმეორებზე მძლავრი ჯახუნით მეხივით სკდება და ბოლივით ამოქშუის.

— აქ კალმახი ვეღარ ამოდის, იღუპება. — გვითხრა ფერმის გამგემ ალექსანდრე ავალიანშა.

მართლაც, შეხედვის შეგეშინდებათ. აქ უკვე სილამაზე ტკივილა და შიშს იწვევს.

ვეება კლდის ნაგლევები გახორგილან და ჰადიშურას ტალღები მათ თავზე აბოლებული გადაიფრენენ ხოლმე. მდინარეს კი არა, ქარიშხალს უფრო ჰგავს.

სალამოს მწველავები ბინაში იქრიბებიან, სუფთა ლოგინი, მაგიდა და სკამები მათ კარგ დიასახლისობაზე მეტყველებს. განჯინები კრიალებენ, ქვაბ-ქოთნები ქათქათებენ. თუ გასულ წელს თითო მეწველ ძროხაზე ათას სამი ლიტრა რძე მიიღეს ჰადიშელმა მწველავებმა, წელს უგი ათას ხუთას და ათას ექვსას ლიტრზე აიყვანეს.

ჰადიშში, უმრავლესად, ავალიანები სახლობენ.

მელანო ორმოცდათი წლისაა, ილია ავალიანი კი — ორმოცდა-ორის. ფიჩი და თინა — თვრამეტ-თვრამეტის. ხოლო ტბას ავალიანი ანს ასლახან შეუსრულდა თექვსმეტი წელი. ვახშმის წინ ჩორგულები ააწერიალეს ქალიშვილებმა. მელანომ და ილიამაც აუბეს მხარი.

— პოი დედე შუ, პოი დია შუა. — დაიწყო ერთმა და მომეჩენა, რომ ეს ძევლი სვანური სიმღერა აღნობდა ჰადიშურას გალიგვებულ, კლდოვან ნაპირებს, ტყესა და თეთრ მწვერვალებს, რომელთაც, ალბათ ასეთი მხიარული სიმღერები თუ ათბობენ მხოლოდ.

*

* *

გოგი მშედლიანმა ისევ ხაიშში ჩამოგვიყვანა რაიკომის მანქანით. იგი კარგა ხანია მუშაობს მძლოლად.

— დიდი ხანია არ შეკეთებულა გზები, — მეუბნება სევდიანად. — ახლა ზუგდიდიდან ხაიშამდე ენგურჭესის მშენებლობა გვიშველის. იმბობენ, იქამდე ფართო, საიმელო გზას. გაჭრიანო. მგონა ჟკვე დაწყეს კიდეც. ჰე, მაშინ უყურე შენ ჩვენს ტურისტებს!

მანქანა ჰაერში ნასროლ ტყეიას ჰგავს სვანეთის გზებზე, სად გაციცდება და ჩამოვარდება არავინ იცის.

გოგი კი საოცარი ხელოვნებით მიაჭროლებს მანქანას. ქვემოთ ენგური ბობოქრობს და ლელავს, გარშემო თვალწარმტაცი მთის კალთები ესალბუნება თვალს. ენგურჭესი უდიდესი ელსადგური იქნება კავკასიაში. ორ მალალ მთას შუა ჩაჭედილი ენგური სოფელ ჯვართან შეგუბდება. მისი კაშხალის სიმაღლე გაუგონარი იქნება.

— სამასი მეტრის სიმაღლე ექნება კაშხალს, — გვითხრა სოსო ჭკადუამ. — წარმოიდგინეთ, სამასი მეტრის სიმაღლის თვალუწვდენელი რკინა-ბეტონის ჯებირი?!

— მგონი ქვეყნად მსგავსი არაფერი უნდა იყოს! — იმაყად ამბობს გოგი.

ხანდახან მანქანა ნაკადულებზე გადაიქროლებს. წყლის შხეფები გოგის სახეში სცემს. ის კი მაინც მიაჭროლებს მანქანას და ვინ იცის მერამდენედ, სახეს სველი ცხვირსახოცით იწმენდს.

— ჯიხებზე თუ ნადირობენ? — ვეკითხები. ჩვენი მძლოლი უცებ იღრუბლება.

— ნადირობენ, — მოკლედ მეუბნება და მერმე ნაღვლინად უმატებს. — მამაჩემი სწორედ ჯიხვზე ნადირობამ დაჭრა შეუძლია.

შევკრთი, თან ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო. შევატაცერე ფრეჭა ცის თვალებში დიდი სევდა ჩამდგარიყო. მეც ჩუმად ვიჯექი და ისიც ეტყობა, მოგონებებმა გაიტაცეს. ასეთ დროს ლაპარაკს არაფერი სჯობია, საუბარი ნაღველს უქარვებს ადამიანს.

მეც ვთხოვე ეამბა მამის შესახებ.

— მამაჩემი სეით მჭედლიანი, ორმოციან წლებში ქლუხორშა გადასახლდა. სამი შვილი ვყავდით დედ-მამას. მთელი ოჯახის შაყვანა ვერ გაებედნა. ალბათ შეეშინდა, ვაითუ, უცხო ადგილს ოჯახს გაუჭირდესო. დედა და ორი უმცროსი ვაჟი სვანეთში დაგვტოვა, ქალიშვილი თან წაიყვანა.

ზაფხულობით გადმოდიოდა, წლის ნაშრომს ფულად გადმოგვიტანდა და ასე ვიყავით იმ უბედურ დღემდე. ქლუხორში მაშინ ბევრი იყვნენ ჩვენები.

ერთ დღეს, სწორედ ახალი წლის წინა ღამით, დაიყინა თურმე, ჯიხვებზე წავალ სანადიროდ.

იალბუზი, კავკასიონის კალთის მაღალმთიანი სოფელია. მის თავზე მთა-მეფე, იალბუზია.

ჰოდა, ღამე იქ უთევია. დილით ჯიხვზე წისულა, ჭიუხებზე ჯიხების ჯოგი დაულანდავს და გამოკიდებია. ორი მოუკლავს, მესამის დევნაში ყინულზე ფეხი დასხლტომია და ქარაფებში გადაჩეხილა.

სვანები მიცვალებულს უცხო მხარეში არ ტოვებენ. ეს დიდ ცოდვად ითვლება, სვანისთვის სამშობლო ყველაზე ძვირფასია. მამა იტყოდა — სიცოცხლის მიზანი შენს მიწა-წყალზე ცხოვრება და სიკვდილიაო. იანვარში, აბა, როგორ უნდა ჩამოესვენებინათ ცხედარი მიუვალი ქარაფებიდან.

რომ არ გახრწილიყო, იქ მოსახლე სვანებს შიცვალებული ყინულებში შეუნახავთ. ჩვენ კი დეპეშით გვაცნობეს უბედურება. ათი დღე მოვუნდით ყინულთა სამყაროდან ბილიკებით მის ჩამოტანას. თორმეტი ვაჟკაცი სვანი ება მარხილში. თვითეულის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, მაინც არ მიატოვეს მამაჩემი ყინულებიში. არც ქლუხორში დაასაფლავეს, თავის მიწა-წყალზე უნდა მივასვენოთ.

მთელი სვანეთი შეხვდა მის ცხედარს ხაიშში. დასაფლავებას მგონი, კაციშვილი არ დაკლებია.

ხალხი დაგვეხმარა, ობლობა არ გვიგრძვნია. რაიკომი თუ კოლ-
მეურნეობა ყველა ჩვენ გვეხმარებოდა, აქამდე მოვაღწიეთ, — წალე-
ლიანად დააბოლოვა გოგიმ.

თვალებში სისველე ჩადგომოდა. კარგია, საამაყოა, მაშის სიყვა-
რული ყოველთვის გზას უნათებს შვილებს. ამიტომ არის გოგის
თვალი ისე გამჭვალავი და მახვილი, მის ხელში მანქანის საჭე წალმა
ბრუნავს, შეუცდომლად მოძრაობს, გზაზე კინჭიც არ გამოეპარება,
ისე აუქცევს გვერდს.

სალამოს უკვე ხაიშში ვიყავი.

ოთარი ღიმილით შემოგვხვდა.

საქმე კარგად მიდისო, მითხრა. კარგი დარი იდგა. ხაიშურა აღაო
ბობოქრობდა, დაწმენდილიყო. მისი ლურჯი ტალღები ქვებზე ვერ-
ცხლისწყალივით სკდებოდა და შხეფებად იფშენებოდა.

ორი თვის შემდეგ ოთარი თბილისში შემხვდა. სწორედ იმ
დღეებში მოსკოვში პარტიის ოცდამეორე ყრილობა მიმდინარე-
ობდა.

— უკვე ვუპატაკე ყრილობას გეგმის შესრულება! — მომახარა.

მის სახეზე დიღი, ბეღნიერი სინათლე კრთოდა. მეც გამიხარდა.
მომეჩვენა, თითქოს ამ დიდ საქმეში ჩემი წვლილივ იყო.



მიაჩენის ციფვარული

უშიშარი და გამჭრიახი კაცი იყო მონადირე ბექნუ პირველი
მისი მუხლი ყველაზე მაღალ საჯიხვევებს სწვდებოდა. ქარაფების
შინაგარ ნადირს მისი ნახროლი ტყვია არ ასცდებოდა. სახლში გა-
მოულევლად პქონდა მარილი და ქერის ფქვილი, არჩვისა და ჯიხ-
ვის ხორცი. ხევში მობალახე მისი ხარების რქები მთის წვერებზე
შემორჩენილ ნისლს არხევდათ, ამბობს თქმულება. ადრე დაქვრი-
ვებულ ბექნუს ერთი ქალიშვილი ჰყავდა, სახელად მიაგული. მისი
თვალები სვანეთის კამიამა ცის ფერი ყოფილა; წამწამები — ჩამოლ-
რუბლულ ენგურის ხევზე უფრო შავი. მიაგულის სილამაზეზე სვა-
ნი ვაჟკაცები ლექსებს მღეროდნენ.

სიმღერას დიდი ძალა აქვს და ამიტომ მთელ ზემო სვანეთში გა-
სულიყო ქალის ქება.

ლამაზი და ბრუე ვაჟკაცებია სვანეთში. მაგრამ მიაგულს გულის
ტოლი ვერ მოენახა.

ოტიას კვირიკე დღეს უნახაეს მიაგული. თეთნულდის თოვლზე
თეთრი კანი პქონდა და ნაძვის ხესავით აშოლტილი ტანი. დევის-
ბეჭებიანი ოტია თოფის ლულაზე დაყრდნობილი იდგა. ანთე-
ბული თვალებით მისჩერებოდა ბექნუ პირველის ასულს. ნანადირე-
ვი მოეტანა ვაჟკაცს. ვეება ხარჯისვი გაუტყავებლად ეგდო მის ფე-
ხებთან. სამ-სამი წყრთა დაგრეხილი რქები მეხისაგან დალეწილი მუ-

ხის ტოტებივით ეყარა მიწაზე. მონადირეები გაოცებით თვეალი-
რებდნენ.

— პაუ, — გაიკვირვა მიაგულმაც ჭიხვის სიღიღე. მისი თაროვანი
ისე შეეხო ჭიხვის რქებს, რომ პატრიანისათვის არც შეუსულია. როცა
წამოდგა და ზემოთ აიხედა, გააურუოლა.

სიტყვა არ უთქვას მიაგულს, თრთოლვით გამობრუნდა და
ნისლში აზიდულ ყინულოვან მთებს დაუწყო ცეერა. ამ ცეერამ
მონადირეს ადულებული ტყვია ჩაასხა გულში. არც ნანადირევის
ქებას უგდებდა ყურს და არც მისი სილამაზით გაოცებული ქალე-
ბის ჩურჩულს.

ხანგამოშევებით მიაგულის მზერას გრძნობდა და ბაჟშევივით
წითლდებოდა.

გათენებისას ფერხული ჩააბეს, მერე სავაუკაცო ქვები ასწიეს.
შეუბლგახურებული ოტია მარგველანი ვეებერთელა მრგვალ ქვებს
ბურათივით ათამაშებდა.

ხალხში აღტაცების ხმები ისმოდა. „ლილე“ რომ დააგუგუნეს,
ოტიას ბანი ხალდეშურას სათავემდე მიღიოდა.

გულდაკოდილი დაბრუნდა სოფელში მიაგულ. ხალისი დაეკარ-
გა, სახეზე ღიმილი გაუქრა.

მშობელს უკვირდა აქამდე დაუდეგარი ქალიშვილის თვინიერე-
ბა. ჭიხვივით ლალი მიაგულ საბელჩაბმულ ცხვარივით მიპყვებოდა
ახლა მამას. გუმანი იილო ბექნუ პირველმა: მისი ქალიშვილის გუ-
ლი სხვა ბუდეში გადაფრენილიყო.

— რა მოგივიდა, გოგო? — ყრუდ ჰეთხა. ბექნუს ეეონა. მია-
გულ მოკრძალების გამო მაინც დაუმალავდა მამას მეხზე უფრო
საშიშ სიტყვას. შვილმა პირდაპირ შეხედა:

— მამას ვერ მოატყუებს მიაგულ. ოტიას თვალებმა და ვჟ-
კაცობამ მომსიბლა.

ბექნუ პირველს თავზარი დაეცა.

ნაღლიანად მიაჩერდა მიაგულს, სიტყვა კი მაინც არ უთხრა და
სატკივარი გულში ჩაიხვია. მამა-შვილი უბრად ჩავიდა სოფელში.
ძეელმა მონადირემ ქალიშვილი შინ დატოვა. თვითონ საქმე მოი-
მიზეზა და ისევ უკან გაბრუნდა.

გულბოლმიანი მიღიოდა ხალდესაქენ, დარღისაგან სატევარი
კბილს არ უხსნიდა. იცოდა იფარელმა მონადირემ, ოტია მარგვე-

ლანი ცოლშვილიანი იყო. ცოლის მოღალატე კი მისი სისქე ვიზ განდებოდა. ისიც სწამდა, ვაუკაცის თვალი ჯიხვსა და ქალის გულს ერთნაირად ჭრიდა და ნუსხავდა.

— მოვკლავ, როგორ გაბედა და მიაგულ მომინჯაჭურულშედან ლიანმა კაცმა? — ფიქრობდა გზადაგზა.

შხარას და აილამას წვერებზე სინათლე ჯერ კიდევ არ ჩანდა. ხავერდოვან ცაზე ვარსკვლავები კამკამებდნენ. სიბნელეში ხევები უფრო ცივად და პირქუშად გამოიყურებოდნენ. ცაში აზიდული ყინულის მწვერვალები თეთრნაბადწამოხურული დევებივით იდგნენ. ხანდახან ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი გაიღვებდა და ბეჭნუს ეჩვენებოდა, რომ იგი მწვერვალებს ეცემოდა.

სოფელ ხალდეს მისასვლელებთან მინდორზე მიშვებული შეკაზმული ცხენი დაინახა. ახლოს მივიდა. ოტია მარგველანი მიწას დამხობოდა და რხრავდა. დამხედურმა მისული ვერ შენიშნა. სხვა საშველი არ იყო. ბეჭნუს გამარჯობა უნდა ეთქვა.

ძველ მონადირეს თავის სიცოცხლეში პირველად გაუძნელდა გამარჯობის თქმა: რამდენჯერაც დაპირა, იმდენჯერ ენა დაება. იგრძნო, თუ იტყოდა, ნათქვამს გულმოსულობაც გადაჰყვებოდა, გაცხელებული გული გაცივდებოდა, ბოლმა გაუქრებოდა.

რა უნდა ექნა?! მწოლარე კაცს ქურდულად თოვს ხომ ვერ დაახლიდა?!

მართალი რომ თქვას კაცმა, რა დამნაშავე იყო ოტია მარგველანი?! სიტყვაც არ უთქვამს მიაგულისათვის. ლამაზი ვაუკაცი იყო და ქალიშვილს მოეწონა. რა მოხდა ასეთი?! დღეობაზე მისმა ნანალირევმა მთელი სვანეთი გააკვირვა, მისმა ძალ-ღონემ ქვეყანა მოხიბლა, ვითომ მიაგულ მოუნუსხავს?! მიაგულ კი არა, ბეჭნუც გააოცა ოტიას ვაუკაცურმა სილამაზებ.

ამ ფიქრში იყო ძველი მონადირე, რომ ოტიამ ისე ამოიხვნება, ხევმა ხმიანად გაიმეორა მისი ოხვრა. ბეჭნუ გამოფხიზლდა, გულში ისევ შხამი ჩაუდგა. მწოლარეს ფეხი წაპკრა.

ოტია გადმობრუნდა, მთასავით წამოიმართა. გაოცდა, როცა მოსული იცნო. უნებლიერ გარემოს დაუწყო თვალიერება.

— მიაგულს ეძებსო! — მიუხვდა ბეჭნუ.

— აქ სხვას ნუ ეძებ, მარგველანო, მართალი მითხარი, ოჯახი რად დამიქციო, ქალიშვილი რატომ მომიჯადოვე?

ოტია ისე შეინძრა, თითქოს მკერდში ხანჯალი ეტაქებინოთ.

— რა თქვი, ბეჭნუ ბატონო?

— მიაგულ რატომ მომინუსხე-მეთქი!

ოტიამ წინ ორი ნაბიჯი წამოდგა, ბეჭნუს სახეზე დაკვირდა, მერე სივრცეს გახედა და წყნარად თქვა:

— მყითხავი და კუდიანი კი არა ვარ! მონუსხვით თვითონ მომნუსხა მიაგულმა. ხომ ხედავ, ეზოში მოსული კაცი შინ ვერ შევსულვარ. მისმა თვალებმა საყვარელი ცოლის სახე გადამავიწყა. ვერ მომიფიქრებია, საით წავიდე, ბეჭნუ! ჭკვიან კაცს გეძახიან და რამე მიშველე, რამე მასწავლე, რა ვუთხრა ცოლ-შვილს, არ ვიცი!

ძველი მონადირე მოალბო ოტიას გულწრფელმა ჩივილმა, მაგრამ არ დაიმჩნია და ყრუდ წაილაპარაკა:

— ჰოდა, ცოლშვილიან კაცს გასათხოვარი ქალისთვის ავალ არ უნდა შეგეხედა. ხომ იცი, ვაუკაცის თვალზე ჭიხვიც ინუსხება და თოფის სროლის მანძილზე მოდის.

— რას ამბობ, ბეჭნუ, მიაგულის ავი თვალით შემხედავს ქარაფზე ყინული გაუცურდება და უფსკრულში ჩაიჩეხება. როგორ შემეძლო მისთვის ცუდად შემხედა?!?

ბეჭნუმ მთის წვერებს გახედა. არ იცოდა, რა ეთქვა. უკვე თენდებოდა, მზე არ ჩანდა, მაგრამ მისი სხივები ოქროსფერ მდინარე-სავით მოედინებოდა აღმოსავლეთის კიდიდან. ნისლი მთების კალთებზე დაბერტყილიყო. უკვე ისმოდა შურთხების შორეული სტენა და ჭიხვების ფრუტუნი. სადღაც ყინულის ზვავები სკდებოდა და გრიალით ეშვებოდა ქვესკნელში.

— იცი, რა გითხრა, მარგველანო, მიაგულ გულიდან უნდა ამოილო. ვაუკაცი ცოლ-შვილს ვერ უდალატებს. ქვეყნის ფუძე თვახია და იმას მიხედე. თუ ის შეგერყა, სიცოცხლეც ჩაგმწარდება. ხალხის ყბაში თავი არ ჩაიგდო!

ნელი და მტკიცე ხმით უთხრა ბეჭნუმ, მერე ცხენს მთახტა და ხალდეშურას ნაპირზე გაჰყევა ბილიქს.

საძოვრებზე უკვე ნახირი ბოაოდა, მწყემსები ძალლებს უსტენდნენ. ტყიდან გარეული ქათმების კაკანი ისმოდა. ოტია მარგველანი გაშტერებული უყურებდა იფარისაკენ მიმავალ ბეჭნუს.

ორი წელიწადი იტანჯებოდა ოტია მარგველანი და მიაგულის სახე მაინც ვერ მოიშორა. ოჯახი გაღარიბდა, ჭიხვის და არჩევის



ხორცი შემოაკლდა, ეზოში თივის ზეინები შემცირდა, განტქმიულ მონადირეს ნადირობაც დაავიწყდა, ხარ-ძროხის მოვლაც და გადასახლდა.

გამოშტერდა ვაჟკაცი.

სადაც უნდა გაევლო, მიაგულის ლანდი თან დასდევდა. ჭიხვი რომ თოფს დაუმიზნებდა, მისი თვალები მიაგულის თვალებივით უყურებდნენ, მკლავი უდუნდებოდა ამ დროს, ხელი უკანალებდა, თოფის სასხლეტი თითებიდან უცდებოდა.

სათიბებში გავიდოდა, ცელს მოიქნევდა და შეცბუნდებოდა, ბალახი მიაგულის ნაწინავებად ეჩვენებოდა. სახლში შევიდოდა და ცოლ-შვილის შეხედვა უძნელდებოდა.

ის კლავდა, რომ ცოლი არაფერს ეუბნებოდა. არყის ხესავით თეთრი ტანი ჰქონდა დარინეს. სანამ მიაგულს ნახავდა, ცოლის შემხედვარე ოტიას ღამეც მზე ეგულებოდა სახლში. ცოლის სიძულვილი არც ახლა შეუშვია გულში. იშვიათი რამ მოხდა, თითქოს დარინე უფრო შეუყვარდა, თითქოს მისი სახე და ტანი უფრო მიმზიდველი გახდა. ხანდახან ეჩვენებოდა, რომ მიაგულ და დარინე ერთი და იგივე ქალი იყო. ელანდებოდა კიდეც, რომ მისი შვილების დედა მიაგულ იყო და არა დარინე. ფიქრში წასულს ნამდვილად ეგონა დღეობაზე დარინე ნახა და არა მიაგული; გაორებული იყო ახალგაზრდა მონადირე. დარინეს და მიაგულს ერთმანეთისაგან ვეღარ არჩევდა. ორივე ერთ ქალად ეხატებოდა.

მოითენთებოდა ფიქრით, ხალდეშურას მინდვრებზე გაწვებოდა, რძიან სამყურა ბალახს ხელს ისე უსვამდა, თითქოს მიაგულის და დარინეს წარბ-წამწამს ეფერებოდა.

ერთი კი იძალა ვაჟკაცმა, ორი წელიწადი ითარისაკენ არ გაიხედა. არც დღეობაზე ჩავიდა კალაში. მიაგულის მეორედ ნახვას ერიდებოდა.

მიაგული კი ყოველ დღეობაზე კვირიებზე ადიოდა. ამ ხნის მანძილზე ცას იმდენი ნამი არ დასდენია, რამდენიც მას ცრემლი მოსწყდა თვალიდან. ავითოდა საყდარზე, ოტიას ნადგომ აღვილზე დადგებოდა, მის ხელმონაკიდ სავაჟკაცო ქვებს მოეფერებოდა და ხალდესკენ ცქერით თვალებს ჩაიღამებდა. წავიდოდნენ ყველანი, ის კი ისევ გასტეროდა ქედებს. იცოდა ქალიშვილმა, მისი გულის მკვლელი იქ იმყოფებოდა. გულმოშხამული მამა ბოლოს ვერ მოითმენდა და დაიბუხუნებდა:

— ადექი, გოგო, მეც ნუ მომკალ და შენი თვიც ნუ დაიტანე! სარიცხული
ლასლასით მიღიოდა მიაგულ იფარისაკენ. პირული გადიოდა დრო.

ოტია მარგველანის სოფლიდან ავი ამბები მოსდიოდა, ყველაზე
ცუდი და შხამიანი ამბავი მაინც ერთ დღეს გაიგო მიაგულმა.

სანადიროდ წასული ოტია მარგველანი ჯიხვს გამოჰკიდებია, ქა
რაფ-ყინულზე დასწევია და თვალი თოფის ნიშანზე გაუმართავს.
რქადაგრეხილი ჯიხვი ციცაბოზე მდგარა, თავი ნისლეთისაკენ მო-
ელერებინა. ქვევით თვალგაუზომავი ყინულის ზვავები ჩანდა, ქვეს-
კნელში ხალდეშურას წყაროების ბუდე-ფესვი ჩხრიალებდა.

ნისლი მთის კალთიდან კალთაზე გადაღიოდა თურმე. სიჩქარე
იყო საჭირო, მალე ჯიხვს ენგურის ქაფის ფერი ნისლი დაფარავდა.
უცებ ისევ თვალი გაშტერებია ოტიას. თოფის ნიშნის გასწრივ
ჯიხვის დაგრეხილ რქებს კანკალი დაუწყიათ. რამდენი დააკვირდა
ნიშანში ამოლებულ ნადირს, იმდენი თვითონაც ათრთოლდა, თურ-
მე. ბოლოს, როცა ჩახმახისათვის თითი ამოუდვია, გაოცებულა-
ვაჟავაცი! ჯიხვის თვალების მაგივრად მიაგულის თუ დარინეს თვალე-
ბი მოლანდებია. ვეღარ გაუძლია მონადირეს: „პაუ, ჩემს დღეს“.—აღ-
მოხეთქია გულიდან; თოფი ხელიდან გაუგდია, მკლავები გაუშლია
და მიაგულ-დარინესკენ წასულა მოსახვევად. უნდო და ბოროტია
შხარასა და აილამას კალთებზე ყინულის უფსკრულები. ისინი ცი-
ვი არიან და სიყვარული არ იციან. დაუსაბამოში დაბადებულებს
მჩისგან გული არასოდეს გალხობიათ; პოდა, მარგველანს ყინულ-
ზე ფეხი დასხლტომია და უფსკრულში გადაჩეხილა.

მონადირეებს მხოლოდ მისი უკანასკნელი ძახილი გაუგონიათ.
დარინეს და მიაგულს ეძახდა თურმე.

ქმრის სიკვდილი მალე გაუგია დარინეს, ფეხშიშველს ურბენია
ციცაბოებამდე. ფეხისგულები დაუსისხლავს ყინულის წვერებზე
და გახელებულს იმ აღგილამდე მიუღწევია, სადაც მხოლოდ თო-
ფი უნახავს.

უფსკრულში გასარკული ყინული ჩანდა, ქვევით კი ხალდეშუ-
რას ლულლული ისმოდა.

— პაუ, ოტიავ! — ეძახდა ქალი ქმარს, — რად მიმატოვე ასე
უცებ, ჩემო სიცოცხლევ! დარინე ვერ გასძლებს უშენოდ! ვაი, ჩემს
დღეს, შენს მკლავზე ლამენათევს მხოლოდ შენთან მაქვს ბინა!

ბარბაცით ჩასულა პირს. — ყინულის ზეავს ქვემოთ, იქ, სადაც
ხალდეშურა ქვესკნელიდან გამოდის და მზეს პირველად შეხედაში,
ახლაც დევს დიდი ლოდი. იქამდე ფორტხვით მისულა დარწევა, და-
ტენილი თოფის ლულა შუბლზე მიუდვია, ჩახმახი გამოუსხლეტია
და თვითონაც ხალდეშურას შეფებით აბოლებულ ტალღებში ჩა-
ვარდნილა. იმ ლოდს ქვემოთ ახლა ორი მჩქეფარე ვეძა ამოდის მი-
წის გულიდან. ქვებზე სისხლის კვალივით აჩნია წვეთების უანგი.
ამბობენ, დარინეს ცრემლებიაო.

*

* *

გულმდულარედ მოუსმენია ეს ამბავი მიაგულს, ძაბა ჩაუცემს,
თმები გაუშლია. ყოველ საღამოს იფარიდან გაიპარებოდა თურქე,
ენგურის პირს აჰყვებოდა და მის მბდღვინავ ტალღებს ცრემლებს
აფრქეევდა.

მდინარის მარჯვენა კიდეზე ჯდებოდა; სწორედ იქ, სადაც ენ-
გურში უზარმაზარი კლდეა ჩაგორებული; ეგონა მიაგულს, ოტიასა
და დარინეს ტანზე ნასხურები ხალდეშურას წვეთები აქ ჩამოი-
ლიდნენ. მისი აფორიაქებული შეფები მართლაც სწორედ ამ
კლდესთან მოედინება. მის კალთებზე შედგებოდა მიაგულ, თლილ
თითებს მდინარეში ჩაჰყოფდა და ისე ეალერსებოდა ტალღებს,
თითქოს ოტიას მკერდს ეფერებოდა.

ახლა მთელი თავისი ბუნებით შეიყვარა დარინე, ის დარინე,
რომელიც მასზე უწინ შეიყვარა ოტია მარგველანმა. დიღხანს იღვა
ენგურის პირას.

დაჭავრიანდა ბექნუ პირველი. მიხვდა ძველი მონალირე, მისი
ქალიშვილი მოურჩენელი სენით იყო შეპყრობილი.

— თავი ნუ მოიკალ, გოგო! — შეელაპარაკა ერთხელ. —
ოტია სატირალი არ არის. ფიქრგაურქვეველი კაცი იყო, ცოლ-შეი-
ლის მოღალატე. პატიოსანი ვაჟკაცის გულში ორი ქალის თვალშა
არ უნდა ჩაიხედოს, ის კი...

მიაგულმა სიტყვა არ დააკალა.

— მე მას კი არ ვგლოვობ, მამა, ჩემსავით ბედკრულ დარინეს
დავტირი.

— როგორ თუ დარინეს? — გაოცდა მონადირე.

— დიახ, დარინეს ვგლოვობ, ოტია მარგველანის ცოლს.

— მერე. შენ ხომ ოტია გიყვარდა?

— კი, ძამაჩემო, მიყვარდა. მასაც ხომ უყვარდა. მე და შეასრულები
ერთმა გრძნობამ შეგვაერთა, ერთი კაცის სიყვარულმა შეაგვის მისი გულიც მხოლოდ ერთი სიყვარულის დამტევი იყო.

— შენ საიდან იცი, ქალო, დარინე ხომ არც კი გინახავს?

მიაგულს ცრემლი მოადგა.

— არა, არ მინახავს. ნეტავი ერთხელ მაინც შემეხედა. მშობენ,
ძალიან ლამაზი იყოო. ისე კი ვიცნობ, მისმა გულმა გამაცნო,
მისმა ფიქრმა და ტანჯვამ უხილავად დამაახლოვა, ღვიძლ დად გა-
მიხადა. რა ვუყოთ, რომ მასაც უყვარდა ის კაცი, რომლის შეხვედ-
რამ მე დამღუპა. მით უკეთესი! ჩვენ ორივენი ერთი ფიქრისა და
გულისა აღმოვჩნდით, ოტიას კი ამქვეყნად არც ფეხის დასადგმელი
ადგილი ჰქონდა და არც წმინდა ცა ეხურა თავზე. ორი სატროო
ერთ გულში არ დაეტევა, არ მოთავსდება. დაიღუპა კაცი და ჩვენც
დაგვლუპა!

გარინდული უსმენდა მამა მიაგულის გულისწუხილს.

— შენ რადა ხარ, შვილო, დალუპული, შენ შენი ბედი წინ გი-
დევს.

— არა, მამა, ჩემი ბედი ოტიასთან ერთად ხალდეშურას ტალ-
ლებში დაიღუპა.

— მეც დაგიღუპივარ, შვილო, და ეს არის! ნუთუ შენი მამა არ
გებრალება?

მიაგულის თვალებიდან ცრემლებმა ღვარად გადმოხეთქა, მამას
მკერდზე მიეკრა.

— მებრალები, მამა, მებრალები. ვიცი, ჩემს გარდა არაეინ გყავს,
მარტო მე ვარ შენი იმედი. ამიტომ უნდა ვიცოცხლო, უნდა შენთან
დავრჩე. — ქალიშვილმა ცოტა უკან დაიხია, ბეჭნუს თვალებში ჩა-
ხედა და ჩურჩულით განაგრძო:

— მაგრამ ერთი სათხოვარი მაქვს, მამა, იცოდე, უარი არ
მითხრა.

— თქვი, შვილო, თუკი შევძელი...

— შეძლებ, მამა. თუ მე გიყვარვარ, ამ კლდეზე, აი, ამ ენგურ-
ში ჩამოგორებულ ლოდზე კოშკი უნდა ამიშენო. მეც მოგეხმარები;
ქვებს მოვზიდავ, კირს მოვზელ. ქვიშას მოვაგროვებ. ხომ ხედავ ამ
ძლიდის კალთას, ყოველ წუთს მათი ნაბანი წყლით ირეცხება. მეც

շուշել დილით ამ შეფეხბით დავიბან ხელ-პირს. ხალდეშურმა წევ-
თები შეგვაერთებს ორ დალუპულ და ერთ დატანჯულ გრძელმანს.
ასე სჭობს, მამა, ასე კარგი იქნება.

ბექნუ გაშტერებული უყურებდა ენგურის აქაფებულ ტალ-
ლებს. ისინი აბობოქრებული ასკდებოდნენ კლდეს და ისევ უკან
იჩქაროდნენ.

— კარგი, შეიღო, შენი ნება იყოს. — ოხერით თქეა და მია-
გულს მკლავზე ხელი მოჰკიდა. — მხოლოდ იცოდე, ჩემ სიცო-
ცხლევ, — ცრემლს მოერიდე, ხომ იცი, ცრემლი ადამიანის გულს
ჭამს.

ერთხელ კიდევ ჩამოთოვა ხევებში და ამწვანდა გორაკების
კალთები, როცა ბექნუ პირველმა მაღალქონგურებიანი კოშკი ააგო.
კლდეკალთაზე შემდგარ მის ფუძეს ბალავერი არ დასჭირებია,
ჩრდილოეთიდან სახლიც მიაშენა, ალბათ თვითონაც უნდოდა ქა-
ლიშვილის ახლო ყოფილიყო.

მშვენიერი დილა-საღამო იცის ენგურის ხევმა. დილით ნაზი და
თხელი ნისლი დაეფინება შფოთიან მღინარეს. კლდეებს შეხლილი
ტალლები ცას ლალად ესვრიან შეფეხბს. მის ცივ, გიუმაჟ ჩერებში
ტანზე ბროჭეულდაყრილი თევზები ნავარდობენ. ამწვანებული
მთები დილასა და საღამოს მზის სხივებით ივსება. ჩრდილოეთით
ცივი და მკაცრი ყინულიანი მწვერვალები დგას. გორაკებზე არყის
ხეები, წიფლები და ნაძვები ცაში შეტყორცნილან.

უოველ დილით და საღამოთი ჩამოდიოდა კოშკის კალთებთან
მიაგული. თავის თეთრ, ფაფუქ თითებს ენგურის ტალლებში ჩა-
უოფდა და ფიქრს ეძლეოდა. მდინარის სიღრმეში ხანდახან კალბა-
ხები გაიელვებდნენ. თვალი უშტერდებოდა მაშინ მიაგულს. ენგუ-
რის აქოჩრილ ტალლებზე ჯერ თითქოს ჩრდილივით გაჩნდებოდა
რაღაც, მერე შედედებოდა და ოტიად იქცეოდა. ერთი შეტრიალ-
დებოდა წყლის ზედაპირზე აჩრდილი და მერე ხელგაშვერილი მის-
ენ წამოვიდოდა, ქალიშვილი წუხდა, მაგრამ მკლავს არ მიაშველებ-
და. ვაუკაცს ნაპირზე არ ამოიყვანდა, გვერდით არ მოისვამდა.

ცოდვიანი კაცი ხარ, ორი ქალის სახე ჩაიდე გულში და ორი-
ვე დაგვლუპეო, — ჩურჩულებდა მიაგულს.

დარინე თუ მოელანდებოდა, ხელს გაუწვდიდა, თავისკენ მიი-
ზიდავდა. მაშინ კოშკის ქონგურზე მიყურადებულ ბექნუს ესმოდა,
როგორ ესაუბრებოდა უხილავ დარინეს მისი ქალიშვილი.



ოქროს და ვერცხლის მარცვლის აგავი

კავკასიონის ყინულოვან ფერდობებზე ბევრი მღინარე იბადება. ისინი კამგამით ეშვებიან დაბლა. გზადაგზა ერთმანეთს უერთდებიან, ჯანსა და ოონეს იმატებენ და კლდოვან ნაპირებს ისე მძლავრად ეხეთქებიან, ცას და მიწას გრიალი გააქვს.

თითქმის ყველა სუფთაა და კრიალა, მხოლოდ ერთი — რიონი არის მღვრიე.

მთელი წლის მანძილზე ღრუბელივით მოღელავს, ზაფქითა და ხმაურით ასკდება პიტალო კლდეებს და კოლხეთის დაბლობში ეშვება. მისი ტალღები სწრაფია და დაუდეგარი, მისი ჩქერები ბობოქარია და საშიში.

რაჭა-ლეჩხუმიდან წამოსული მეტივეები სულმოუთქმელად ებრძებიან რიონს. ვაი მას, ვისაც თვალი სუსტი აქვს. რცხილის ღვლერქები, რომლითაც ტივებია შეკრული, კლდეზე შენარცხებისას სკდება, ტივები იშლება, ხის მორები მღინარეს შავი ზღვისკენ მიაქვს. მხოლოდ გეგუთისა და ვარციხის მინდვრებიდან დინჯდება რიონი. ქვემოთ მდორედ მიიზლაზნება. აქ უკვე ალარ ეშინიათ მეტივეებს, ახლა ერთი მათგანი მხართეძოზეც წამოწვება, დანაყრდება და წაიძინებს კიდეც. გეგუთის თუ ვარციხის ჭალებიდან ფოთამდე ცალი ორთაყვირით შეიძლება ტივის დაცურება. აქ, ორივე ნაპირზე, წინათ გაუვალი ტყეები იყო. გაღმაც და გამოლმაც უხვად ხარობდა ხის სხვადასხვა ჭიში. ვარციხის, გეგუთისა და საყულის

ახლო-მახლო ძელქვის, რცხილისა და მუხის მაღალი ხეები ჭარბობდა, ორპირის, დაფნარის და ქვალონის მიდამოებში, თხმელისა და ვერხვის აშოლტილი ტევრები იყო, ტყეებში უხსოვაონ დროიდან იზრდებოდა ბლის ტკბილნაყოფიანი ხეებიც. წყნარ ღამეში მდინარის ზედაპირი უფრო მდუმარე ხდებოდა.

ეს, რა კარგია ამ დროს რიონის ყურება! გეჩვენებათ, თითქოს მის ფსკერზე უხილავი მოხუცები ისხდნენ, ჩიბუს აბოლებდნენ და კვამლის თეთრ რგოლებს მდინარეს საკმეველივით უკმევდნენ.

ხანდახან სიჩუმეს წყნარი ჩქაფანი არღვევდა. ეს ლოქოს ან ზუთხის მოქნეული ბოლო შეარხევდა წყლის დამდორებულ ზედაპირს. ასეთ ღამეში მის უტეს ჭალებს ნიჩბის ხმაური და მეთევზეთა შეძახილი თუ შეაღვიძებდა. ადიდების შემდეგ ქვიშაში კობრი იცოდა. ადამის დროიდან გაუჩეხავ ტევრებში შველი და ირემი ბუღობდა, გარეული ფრინჯელები გუნდგუნდად დაფრინავდნენ რიონის ნაპირებზე.

ბევრი სიკეთე იყო ამ მიდამოებში, მაგრამ ერთი დიდზე დიდი უბედურებაც სცირდა: პურის მოსავალი ცოტა იყო, ხალხი ფეტვით და ლომით იყვებებოდა.

შემოდგომაზე დათესილ ყანებს ადიდებული მდინარე გაზაუხულზე წალეკავდა. თუ წლის აღრიან, თბილ თვეებში ჩაგდებდნენ ხნულში მარცვალს, აპრილში ნამქერად მოვარდნილი აბობოქრებული მდინარე ისევ თავისას იზამდა: ხან კაცის სიმალლე შლამს გადააფარებდა და ხან ქვა-ღორლით აავსებდა ყანებს. წვალობდა გლეხკაცი, განა შეიძლებოდა უპურიდ ცხოვრება?

თონეში გამომცხვარი თბილი პურის სუნი სანატრელად ქცეულიყო რიონის ჭალების ბინადარი ქართველი კაცისათვის. მდინარის მარჯვენა ნაპირზე, სადაც ადამიანის თვალის სინათლის მანძილზე ფართო ჭალებია გადაშლილი, თრი-სამი საუკუნის წინათ ერთოვანი ცხოვრობდა.

ქმარს ბეგთა ერქვა, ცოლს — ვარსკვლავისა. ქმარი ღომს თესავდა, უმეტესად მაინც თევზს იჭერდა, ცოლი ბალ-ბოსტანს უვლიდა.

განთქმული მეთევზის მეუღლე ვარსკვლავისა ენით უთქმელი ღამაზი ყოფილა.

თურმე ღორთქმ ჭადარივით აშოლტილი ტანის ქალი იყო. თმები ოქროსფერი და ხშირი ჰქონდა, თვალები — ლურჯი, როგორც იმ

შორეული ზღვის ფერი, რომლის ნაპირებიდანაც მოიყვანა ბეგთამ. საოცარ ამბავს ჩურჩულებდნენ რიონჭალელები. თუმცა ჯერ თვალით არავის ენახა, მაგრამ სოფლად ნამდვილად სწამდათ, რომ მცს ერთი ძუძუსთავი ოქროსი ჰქონდა, მეორე — ვერცხლისა და არავრნი იცოდა, სად შეეყარა ბეგთა ასეთ ქალს?! ან კი საიდან გაიგებდნენ? მეთევზე კაცი იყო ბეგთა და, როგორც ამბობდნენ, მისი ნავი ქვეყნის ყველა ზღვაზე იყო ნაბორიალევი. მისი ნავის ძირზე ძველი შეთევზები უცხო ზღვების კენჭებს ნახულობდნენ.

სიჭაბუკიდანვე წლობით იყარებოდა რიონჭალელი მეთევზე.

სოფელში ხმა იყო დარხეული: დიდი ზღვების ქალაქ-ბოლაზებზე, ყველგან ძმაკაცი და მასპინძელი ჰყოლია.

იმასაც დასძენდნენ, ხონთქრისა და იმპერატორების ზღვათა უფროსები მისი ფიცნაჭამი მეგობრები არიანო... ასე იყო თუ ისე, ბეგთას სწორუპოვარი ქალი ჰყავდა ცოლად.

სხვანაირი ვარსკვლავები იცის რიონჭალების ხავერდოვანმა ცის გუმბათმა. ამ მობრდოვიალე მნათობთაგან ზოგი დიდია და ზოგი პატარა. ზოგს შვიდი მოლაპლაპე სხივი აქვს გაწვდილი სივრცეში, ზოგსაც — თერთმეტი. ბევრი უოველლამ ერთ ადგილიდან გიცქერის, ზოგი ხან მოჩანს და ხან არა. ღამით, როცა ჭალები კალიების გამაყრუებელი ხმებით იცხება, გეჩვენება, ვარსკვლავებიც ხმიანობენო.

ფიქრობდნენ, ბეგთაც სწორედ ვარსკვლავთა ამ ციალით იკვლევდა გზას უცხო ქვეყნებში.

სოფელს ყოველთვის დიდი ფიქრი და აზრი აქვს. და ამბობდნენ, ვარსკვლავისა მის მეუღლეს სწორედ ამიტომ შეარქვესო.

თუ კაცი უფრო ბეჭითად დაუგდებდა ყურს რიონჭალელებს, იმასაც გაიგებდა, თითქოს ვარსკვლავისა ციური ქვეყნებიდან მოეყვანოს ქმარს.

„ჩვეულებრივ ქალს რა უგავს? — ჩურჩულებდნენ სოფელში, — იგი იმ ვარსკვლავის ქალიშვილი ყოფილა, რომელსაც ერთი სხივი ოქროსი აქვს, მეორე — ვერცხლისა, ჰოდა, ძუძუსთავებიც ოქროსი და ვერცხლისა გამოჰყოლია.

სოფელმა კარგი ქალის სიყვარული იცის და ამიტომ რჩეულ ვაჟკაცებს საოცნებოდ გადაექციათ ვარსკვლავისას სახე და ტანი. შავწამწამას ყელზე გიშრის კრიალოსანი უყვარდა. კაბის საყელო

ოდნავ დაბლა პქონდა თურმე და მისი ყელ-კისერი ანთებული კე-
ლაპტარივით ღვრიდა სითბოსა და ელვარებას. შენიშნა ზღვისგარ-
მელმა ქალმა ახალგაზრდების ტრფიალი, მაგრამ აინუშერცატაშვილ
დო, წარბიც არ შეიხარა. თავდაჭერილი ჩანდა: ამატდა კატეპენი სკატ-
ლიმებდა. მისი თვალის შუქი ქმრის მკლავებს იქით ჩრდილით იყო
დაბურული. ბეგთას სახის იქით ღამე ეგულებოდა, თუმცადა ვაგ-
ლახად ვინ გაუბედავდა ბეგთას მეუღლეს ავი თვალით შეხედგას?

დრო გადიოდა. ცხოვრობდნენ პატიოსანი შრომით, ხვალინდე-
ლი დღის ჭირსა და სიხარულს მომზადებული ხედებოდნენ.

მალე ტყუპი ქალ-ვაჟი გაუჩნდათ.

ორი აკვანი დაირწია სახლში. ერთი ვერცხლისფერი იყო, მეო-
რე — ოქროსი. ვარსკვლავისაც პატარა სამფეხა სკამი ჩაიდ-
გამდა და ერთს ერთ ძუძუს აწოვებდა, მეორეს — მეორე ძუძუს.
ერთი ხელით ერთ აკვანს არწევდა მეორეთი — მეორეს. მეზობ-
ლებმა ახლა საკუთარი თვალით დაინახეს, ზღვისგალმელ ქალს ძუ-
ძუსთავები მართლაც ოქროსა და ვერცხლისფერი პქონდა.

ჭალებიდან ბულბულების სტვენა და კაპების კაკანი ისმოდა.
ეზოში ხოხები დაფრინავდნენ. აიგნის თავზე მერცხლები ბუღობ-
დნენ. ეზოს გადაღმა, უტეს ჭალებში ირმები და შვლები ფრუტუნებ-
დნენ.

დღითი დღე იზრდებოდნენ ბავშვები რიონის ტალღების დუ-
დუნში. ტევრების შრიალსა და ფრინველთა კლურტულში.

*

* * *

წინა ღამით რიონის ჭალებში ქარიშხალი დატრიალდა: ღომისა
და სიმინდის ყანები ისე მიაწვინა, მოსამკელად აღარ ვარგოდა. ნა-
პირზე მიბმული ნავები დაწყვიტა. გასავათებული მეთევზები დი-
ლით მდორე ადგილებში ექებდნენ წუხანდელ დანაკარგს.

ბეგთას კი მთელი ღამე ყურიც არ გაუბერტყავს. თხელ ფშანებ-
ში შეფარებული მისი ნავები მაგარ კაუჭა ბოძებზე იყო მიბმული.
იცოდა განთქმულმა მეთევზემ, როგორ მოევლო სარჩო-საბადებ-
ლისათვეის.

— აბა, თვალო, — ეტყოდა მეუღლეს, — მკლავის სიმსხო ყაჟი
დაგრიხე, არ გაწყვდეს, თორემ წყალს მინდობილი კაცი სიცოცხლე-
საც წყალს გაატანს!

ვარსკვლავისაც დაუზარებლად გრეხდა ყაჭის თეთრ შულოებს.

ბეგთა თავისი ხელით სინჯავდა აბრეშუმის ბაწრებს. ორფად ამარ-
ცუხებდა და ნავის ცევირებს გამოუსკვნიდა.

— აი, შენი ჭირიმე, ვარსკვლავისა, რიონი ამირანის შესრულებულ
სვიდან ამოჩხრიალებს თურმე, თვითონაც ამირანის ძალის მატებული
თან ხუმრობა არ გამოდება. — ვარსკვლავისას ვარდი გადაეყრე-
ბოდა სახეზე. იცოდა ცოლმა, მუდამ ჩუმი კაცი მასთან ენაწყლია-
ნობდა.

გათენებას ერთი ძილისპირი უკლდა, როცა ბეგთამ ნავები ახ-
სნა და პალიასტომისაკენ ჩაისრიალა.

წუხანდელი ღრუბლები აღარსად ჩანდა. სუფთა, ლურჯი ცა
ვარსკვლავებით იყო მოჰედილი. დილის ნიავი ქროდა და მდორე-
ებში ვარსკვლავები ისე კანკალებდნენ, თითქოს ცას ვიღაცის უხი-
ლავი ხელი არხევსო. მეორე ნავზე ბეგთას ბიჭი იჯდა.

შეიღს არ იშორებდა ბეგთა.

ჩვილმეტი წლის შალვა მამას ეჯიბრებოდა მენავეობაში. ამ დი-
ლითაც ნავის ბოლოზე მოერთხა ფეხი და ნიჩბებს გამოცდილი ვაჟ-
კაცივით უსვამდა.

— მამი, შეხედე, რამხელა ფრინველი ზის ეგერ, იმ ტირითზე!

— ტირიფი კი არა, თხმელაა, შვილო, ხომ ხედავ, ფართო ფოთ-
ლები აქვს. — ეშმაკურად იღიმებოდა ბეგთა.

— არა, ტირიფია, მამა. ახლავე დაგიმტკიცებ. — სანამ ბეგთა
რაიმეს მოიფიქრებდა, შალვას ნავი ისარივით მიცურავდა ნაპირისა-
კენ. ფრინველს ხელის აქნევით ააფრენდა, ნავიდან ჩამოამტცრევდა
ტოტს, მამას წამოეწეოდა და გადაუწყდიდა.

— აი, შეხედე, მამიკო, ხომ ტირიფია, ხომ კარგი თვალი მქონია?
მამა ეშმაკობას არ დაიმჩნევდა და თავისითვის ჩაიბუხუნებდა:

— კარგი, შვილო, კარგი, ღმერთმა მისი სინათლე გავიმახვი-
ლოს.

ასე თამაშ-თამაშით მისრიალებდნენ ნავები დანიშნულ აღგი-
ლამდე. ისევ ღამე იყო. მხოლოდ რიონის ზედაპირი ლაპლაპებდა.
ეს აღბათ დღისით ცისგან ბოძებულ სინათლეს ახლა უკან უბრუნებ-
და ქვეყანას. რამდენად უფრო ნათდებოდა ცის გუმბათი, იმდენად
ვერცხლისისუერს იდებდა წყალი. მალე ფშანებიდან ფრინველთა
ხმებმა იმატა. ტევრებში ცხოველები აფრუტუნდნენ და ცოტა ხან-
ში კავკასიონიდან მზის სხივებმაც გადმოიხდეს. ნისლში გახვეული
რიონი ვარცისიდან შავ ზღვამდე ვერცხლისწყლის მდინარეს ჰეგავ-

და. წინაღამით დაგებულ ანკესებს დილამდე ამოუარა ბეგთამ. ზოგი ცარიელი დახვდა, ზოგან ჭიშყინები ამოხსნა.

— აბა, შალვა, — დაუყვირა შვილს. — ნავით მომეშვერება?

შალვამ ნავი წისქვილის ქვასავით ადგილზე შემოსტოუნდა ზა-მისკენ წამოვიდა. შეხედა ბიჭმა: ბაწრის ქაჩვით ბეგთას შუბლის ძარღვები წურბელებივით დაბერვოდა, გაშვებოდა. თვისი ნავი სწრაფად გამოაბა მამის ნავს და თვითონაც მასთან გადაჭდა. ახლა ორივე ჩააფრინდა ბაწარს.

— დიდი ღლავია, ბინადარი ღლავი. — ჩასჩურჩულა მამამ.

— რა იცი, შეიძლება სხვა რამე მოედო ანკესს! — არ დაუჭერა შვილმა:

— არა, ასე ძლიერად მხოლოდ მან იცის ჭიდილი, ნელნელა უნდა გავიტყუოთ ნაპირისაკენ.

ბიჭს მამისაგანვე ჰქონდა გაგონილი, რომ ბინადარი ღლავი იშეი-ათად მოეკიდებოდა ანკესს და, ამიტომ, ეტყობოდა, მაინც არ დაი-ჭერა მისი ნათქვამი.

— აკი ამბობენ, ადგილის ლოქო ანკეს არ ეკიდებაო.

— თასში ერთხელ ტყუვდება, როცა ძალზე მშეირია და ან-კესს თევზი ახლოს დაუწყებს ფართხალს.

შალვამ ნელ-ნელა გააცურა ნავი ნაპირისაკენ. ბეგთა ხან მიუშ-ვებდა ანკესს და ხან შოკლედ აიკრეფავდა ხელში ბაწარს. როგორც იქნა, წალის კიდეზე გავიდნენ.

ბაწარი ნელ-ნელა დაიმოკლეს. თევზი ახლა უფრო თვითიერად მოჰყვებოდა. ცოტა ხნის შემდეგ წყლის ზედაპირზე მისი ვეება თა-ვი გამოჩნდა.

— აბა, სწრაფად, წალდი მომაწოდე! — დაუყვირა მამამ შვილს. თვითონ ბაწარი ტირიფს შემოახვია, მეორე ბოლო შვილს მიაწოდა და წყალში წელიმდე შეტოვა.

თევზის ვეება შევი თავი, ნავის გადაბრუნებულ ძირს რომ მოჰ-გავდა, ისევ ზედაპირზე ქანაობდა. ნელა მიეპარა და მთელი ძალით დაპრა გაალმასებული წალდი. შვილმა მეტი ვერაფერი დაინახა, მოულოდნელად წყლის უზარმაზარი ტალღა სვეტივით ავარდა ცა-ში. თევზმა ისე გაიწია, ტირიფმა თრთოლა დაიწყო. ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაწყნარდა რიონის ზედაპირი. ბეგთა ტალღას შორს გადაეგდო და ახლა ცურვით მოიწევდა ნაპირისაკენ. მდინარე სის-

ხლით იყო შეფერილი. მიხვდა შალვა, ეს თევზის ჭრილობიდან იყო. მალე ნახევრად მკვდარი ლლავი ნაპირზე გამოათრიეს.

შვიდი წყრთა გადაზომა ბეგთამ თევზის თავიდან ბოლომდე.

— ორ კოდ ლომს ვიყიდი ამის საფასურით და დედა-შვილს კარგ საქაბეებსაც ჩამოვუტანო! — ამაყად თქვა წყლით გალუმ-პულმა. დილით ისევ ჩაგდეს ბალები და თევზით სავსე ორი ნავი შავი ზღვისაკენ გააქროლეს.

ვერბა ლლავმა მოელი ნავსადგური გააკვირვა. ბეგთამ ახალ-გაზრდების დახმარებით თევზი მალალი ვერხვის ტოტზე ბაწრით გადმოჰქიდა. აუარებელი ხალხი მოაწყდა მეთევზეს. ევაჭრებოდნენ, ვერ რიგდებოდნენ, ქოთქოთებდნენ.

ნავსადგურში დიდი თეთრი გემი იდგა. კარგად ჩაცმული გოგონა უდარდელი კისკისით გადმოვიდა გემის ხილიდან. ხალხის ყურადღებამ მისკენ გადაინაცვლა, მამა-შვილს ეს ეწყინა და თვითონაც ქალიშვილისაკენ შებრუნდნენ.

ორივე გაშეშდა. გოგონა გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ვარსკვლავისას. არა, მარტო ვარსკვლავისას კი არა, ცაბუსაც გავდა, შალვას ტყუპს, ბეგთას ქალიშვილს.

როცა გოგონამ რაღაც ჩაიყლურტულა, შალვას ურუანტელმა დაუარა, უცხო ქალიშვილს ხმაც მისი დედისა და დისა ჰქონდა.

უნებლიერ თვალებზე მოისვა ხელი. ჯერ ეგონა, მომელანდაო, თვალი რომ გაახილა, გოგონა უკვე ვერხვის წინ იდგა და თევზს ითვალიერებდა. სქელი თაფლისფერი თმა ბეჭებზე ეყარა, წარბეჭამთა ჩეროდან დიდრონი, ლურჯი თვალები უკამკამებდა.

ჰაუ, — გაიკვირვა მან და ლლავს ბოლოზე მოუცაცუნა ხელი-შლამივით სქელმა ქონმა ლამაზი თითები შეუსველა. ეს კი არ მოეწონა. სხარტად შემობრუნდა, ცვრიან ბალახს ხელი გაუსვა, ქონი მაინც ვერ მოიშორა. შალვამ ახალუხის ქალთა გაუწოდა.

— შეიმშრალე, — წყნარად უთხრა, — სველი ბალახი თევზის ქონს ვერ მოაცილებს, — გოგომ პირდაპირ შეხედა.

— ეს თქვენ დაიჭირეთ? — ღიმილით ჰკითხა და ახალურზე თითების წმენდა დაიწყო.

— მამაჩემმა და მე ერთად დავიჭირეთ, — ამაყად მიუგო ბიჭება, — ბევრი გვეომა, მაგრამ მაინც იმოვათრიეთ.

სადღაც შორს, ზღვის ჰორიზონტზე ნავები გამოჩნდა. მეოვე-
ზების ძახილი ნაპირამდე აღწევდა. ეტყობა, გოგონას ისინი შალ-
ვას ამხანავები ეგონა.

— იმათაც ასეთი თევზები მოჰყავთ?

შალვამ ჰორიზონტისაკენ გაიხედა. კარგა ხანს უცქირა და ისევ
ქალიშვილს მიუბრუნდა.

— ვინ იცის, მაგრამ ასეთ ღლავს ისინი ვერ დაიჭირენ. ეს
მდინარის თევზია. სხვა გემო აქვს, შეუდარებლად გემრიელია.

— მდინარის თევზია? — არა, ტყუილია, მდინარეში ასეთი
თევზი სად იცხოვრებს!

შალვას სიწითლემ გადაპქრა.

— ტყუილი რა საკადრისია, ჩვენთან ტყუილს ქალებიც არ ამ-
ბობენ. — გოგონას თვალები აუბრიალდა. ეწყინა ვაჟის ნათქვამი.

— ჩვენთან კი, პირიქით, ვაჟებიც არ ამბობენ ტყუილს, — გა-
მოსცრა უცებ. ბეგთა ხმას არ იღებდა, გულდასმით უსმენდა ქალ-
ვაჟის საუბარს.

უკანასკნელმა პაექრობამ სიცილი მოჰკვდარა.

— უკვე ჩხუბი დაიწყეთ, მე მეგონა, ერთმანეთს მოეფერებო-
დით, დამეგობრდებოდით, თბილ სიტყვას ეტყოდით. — ქალიშვი-
ლი მევირცხლად შემობრუნდა მისკენ და დააცქერდა.

— თქვენ მამა ხართ? ეს თევზი მართლა მდინარისაა?

— სწორედ ისევე, როგორც ეს ბიჭი ჩემი შვილია.

გოგონა ვაჩუმდა, ტუჩები მოკუმა, დაიგერა ნათქვამი, მერე
შალვასკენ შებრუნდა და თითქოს თავისთვის თქვა:

— არ მეგონა, თუ ასე დიდი თევზი მდინარეში დაეტეოდა.
თქვენ მართალი ყოფილხართ.

გემზე ზარი ჩამოკრეს. ქალიშვილი შეკრთა და თავისი პატარა
ხელები აჩქარებით გაუწოდა ვაჟს.

— მე უნდა წავიდე, მშვიდობით.

— მიდიხართ?

— მამობილს ვაცილებ. უცხო ქვეყანაში მიდის სავაჭროდ.

— სადაური ხარ, შვილ?

— არ ვიცი, აი, იმ კაცმა გამზარდა.

გემის ცხვირზე ფართოწვერულვაშიანი კაცი გადმოდგა. — მისი

მდიდრული ტანსაცმელი მზის სხივებზე ბზინავდა და ბრკყვა-
ლებდა.

— მზია, სად დამეკარგე, გოგო? — გოგონა სირბილით გამოსაკვნა
გვმისაკვნა.

ბეგთა და შალვა შესცქეროდნენ, როგორ ეამბორა იგი მა-
მობილს და ყურში ჩაღაც ჩასჩურჩულა.

მამობილი შემოტრიალდა და დაუინებით დააცქერდა მეთევზე-
ებს, მერე ხიდზე შედგა და მათკენ წამოვიდა.

— გამარჯობათ! — დინჭად მიესალმა ბეგთას და შალვას.

ორივემ პატივისცემით დახარა თავი.

— კარგი ნადავლით ჩამოსულხართ. — თევზი კარგად შეათვა-
ლიერა. — რიონის ბინადარია?

— დიახ, ქვალონს ზემოთ მოვიხელეთ, ბატონო ჩემო, — დინ-
ჭადვე უპასუხა ბეგთამ.

— რას აფასებთ?

— რასაც ინებებთ, რასაც თქვენი სინდისი გეტუვით, — თქვა
შალვამ.

ბეგთამ არაფერი უთხრა შვილს. ვაჭარი კი ლიმმორევით დააც-
ქერდა.

— რა გქვია, ვაჟკაცო, სიტყვა-პასუხი კარგი გქონია, ვაჭრობის
ენა გცოდნია!

— ვაჭარი პირველად თქვენ გნახათ, ბატონო, — გაიცინა
ბეგთამ.

— შალვა, ბატონო ჩემო! — სხარტად მიუგო ვაჟმა. მამობილს
უკან მდგარი მზია ისევ გაოცებით უყურებდა.

— რა ლამაზი ყმაწვილი ხარ, — ამბობდნენ მისი თვალები, —
შენისთანა ჯერ არავინ მინახავს. თევზიც მიტომ ვიყიდე, შენი ნა-
ნადირევი.

— ჯაბანი ბიჭი არა ვარ, მაგრამ შენ მაინც უკეთესი ხარ, — ამ-
ბობდა შალვას სახე.

— ჰა, თიღე, — გაუწოდა ვაჭარმა ბეგთას შავი პატარა ქისა. —
შიგ საქმაო ვერცხლია. მომეწონე და, როცა დავბრუნდები, გინა-
ხულებთ. თევზი კი აი, იმ სახლში მიიტანეთ. — ზღვისპირას
მდგარ დიდ ოდაზე მიუთითა, — მზია გაგიძლვებათ. აბა, შენ იცი,
როგორ უდიასახლისებ სტუმრებს, — მიუბრუნდა იგი შვილობილს.

გემზე ისევ დარეკეს. ვაჭარმა მამა-შვილს ხელი ჩამოართვა და
კიბეზე ავიდა.

— აბა, წავიდეთ, — მიუბრუნდა გემის წასვლის შემდეგ მშია
შალვას, — ურემი მოვიყვანოთ.

ბეგთამ სიყვარულით გააყოლა თვალი ქალ-ვაჟს.

— ვარსკვლავისამ და ცაბუმ რომ ამ გოგოს შეხედონ, თავის
თავს შეიცნობენ. ნეტავი სადაურია? ვინ იცის, შეიძლება ესეც
ზღვის იმ ნაპირიდან არის მოყვანილი, საიდანაც მე ვარსკვლავისა
გამოვიტაცე. — თვითონვე უპასუხა ბეგთამ თავის ნაფიქრალს.

*

* *

ბევრჯერ ჩაიტანა თევზით სავსე ნავები ნავსაღვურში მამა-შვი-
ლმა. მზია ყოველთვის დანიშნულ ადგილზე ხვდებოდა შალვას.

— დედა და ცაბუ ხომ კარგად არიან? — შეხვედრისთანავე
ეკითხებოდა.

— კარგად არიან, მოგიყითხეს, მოსაყითხიც გამოგიგზავნეს.

სუფთად გახვეულ ტკბილისკვერს და ჩურჩხელებს გადასცემ-
და და დატანდა: — მამობილისა რა ისმის?

— ვერაფერი გავიგეთ, რაღაც უბედურება უნდა იყოს ჩემს
თავს, — ნაღვლიანად იტყოდა ქალიშვილი.

მართლაც, ერთხელ მზია შავებში გამოწყობილი დახვდათ. მისი
მამობილის გემი აღელვებულ ზღვას ჩაენთქა პატრონთან ერთად.
დარჩა მარტოდმარტო.

ბეგთამ გადაწყვიტა სარძლო სახლში წაეყვანა.

— გატყობთ, ერთმანეთი გიყვართ, — ეუბნებოდა ბეგთა დამო-
რცხვებულ ქალ-ვაჟს. — ქორწილს გადავიხდით, თქვენც გაბედნიერ-
დებით და მეც გამაბედნიერებთ.

*

* *

ცაბუს სილამაზეზე ლექსებს თხზავდნენ გამოღმა საყულელ
და ბაშელი ახალგაზრდები, წყალგაღმა ვარციხელი და საჩინოელი
ვჟეკაცები.

დედის სილამაზეს მამის ეშნი და მარილი დაემატაო, — ამ-

ბობდნენ რიონჭალელები. თვითონ ცაბუ ჯერ კიდევ გულგრილად უყურებდა ახლად წვერულვაშაშლილ ყმაწვილებს.

იმ დღეს ღომს ცეხვავდა ეზოს ბოლოში, წყლის საცენველზე დროვამოშვებით ქვის როტზე მძიმედ დაცემული ხის ბაგაზუგი მოისმოდა. ჭიშკართან ცხენოსანი გაჩერდა. სტუმარს თეთრი დარაიას ყაბალახი ისე მოეხვია, თითქოს სახეს უმალავდა ვინმეს.

— წყალი დამალევინე, ჩემო დაია! — მოესმა ხმა. ცაბუმ ჭიდან ახალი წყალი ამოილო და ნისკარტა დოქით მიართვა უცხო სტუმარს.

თეთრყაბალახიანი ჩამოქვეითებას არ აპირებდა. დოქს ხელი დავულო და პირთან რომ უნდა მიეტანა, მკლავი ისე გაუშეშდა, თითქოს ქარი გადგომოდეს,

— ვისი ხარ ასეთი ლამაზი? — უნებლიერ აღმოხდა მას. ცაბუს ლოყებს მწიფე ბროწეულისფერი დაედო.

— თუ ლამაზი ვარ, ჩემთვის ვარ, შენ რას გიშავებ.

— ვაი ჩემს თავს, კი არ მიშავებ, თვალი ამიხილე, ქალო! ცაბუს წყენა დაეტყო.

— ჭივიან კაცს ენამ წინ არ უნდა გაუსწროს!

— შენს შემხედავს ჭკუა კი არა, სულიც ამოძრება, გენაცვალე! ბეგთა და ვარსკელავისა ბოსტანში მწვანილს მარგლავდნენ. ლაპარაკი რომ შემოესმათ, ალაგეზე გადმოაბიჯეს და წინ ეზოში გამოვიდნენ.

შეხედა თუ არა ბეგთას, სტუმარს ფერი ეცვალა, სახეზე ყაბალა ხი ჩამოეშალა.

— აჟუ, — აღმოხდა გულიდან — ახლა მივხედი, ვის ეზოში ჩატლულა ჩემი ბედი. ცაბუ ყოფილხარ, ცაბუ!

ქალიშვილმა ბრიალა თვალები შეანათა და მოულოდნელად გაყუჩდა, გაირინდა. ან როგორ არ გაყუჩდებოდა! მის წინ ულამაზე-სი ვაჟკაცი იდგა. წაბლისფერი ულვაში ტუჩ-კბილამდე ჩამოშლოდა. ავარვარებული ლოყები და შუბლი იფლს დაეცვარა.

— ავად ყოფილა, საწყალი, — გაითიქრა და შეეცოდა ვაჟკაცი.

— მობრძანდით, დაისვენეთ, — ჩაიჩურჩულა ახლა.

ვაჟი მიხვდა ქალის მოთვინიერების მიზეზს.

— ავად ვარ, ცაბუ, სამი დღეა სიბრძნის კბილმა ამომჭრა და გამათავა კაცი. დალაქთან მივდიოდი ამოსალებად.

— სიცხე თუ გაქვს, დალაპი კბილს არ ამოგიღებს, — ახლა
გულშემატკივრად უთხრა ცაბუმ.

ბეგთა ცოლთან ერთად მიუახლოვდა სტუმარს. უნდა კი უკუნდეს
ვისა ენასა ალბათ ახალგაზრდას. გააოცა მისმა სილამაზემ და ქა-
ლიშვილთან საოცარმა მსგავსებამ.

— თქვენი სიცოცხლე, ბატონო ბეგთა.

— ეზოში შემოსული სტუმარი ცხენიდან როდი ამბობს, ყა-
წვილო, გამარჯობას, — უნდა ჩამოვიდე, პური გატეხო, მოიჩ-
დილო, ღვინო დალიო.

ვაჟი დაქვეითდა. მდაბლად მიესალმა მეთევზეს და მის მეულ-
ლეს. მერე თვალი გამართა და თითქოს თავისითვის ჩაილაპარაკა:

— ქალბატონო ვარსკვლავისა! გამეგონა ღვთისმშობელი ერ-
თადერთი ვაჟის დედა იყო, ქალიშვილი თუ ჰყავდა, ეს კი აღა
ვიცოდი.

ბალახებში ციცრებმა დაიჭახჭახეს და ლობეზე გადაიფრინეს.
შორს რიონი დუღუნებდა.

ბეგთა სახლში აუძღვა ახალგაზრდა სტუმარს.

— შენი სახელი გამეგონა, — ეუბნებოდა ყმაწვილკაცს. — ისე
კი არ გიცონბდი.

იქ, სადაც მდინარე სულორი რიონს შეერთვის, გრძელი და
ვიწრო ჭალებია გაშლილი. ორ წყალმუა ღომის ყანები შრიალებენ
და ნიადაგ გლეხების შეძახილები მოისმის.

სოსო ნაფეტვარიძის სახლი სწორედ ამ ჭალის ნაპირზე იდგა.
ახალგაზრდა გლეხი მთელ საჩინოში განთქმული მეურნე იყო. მისი
ღომისა და სიმინდის ყანები სხვისაზე მძიმე თავთავს იქვეთებდა. მისი
წყვილი წაბლისფერი ხარი, ორ-ორ წყრთიანი ქერასხებივით მაღ-
ლა აწეული რქებით, სოფლის სიამაყე იყო. მისი ბედაური — მა-
რულების პირველი ფალავანი. ის რომ ღომით დატეირთულ
ჩელტიან ურემს კოფოზე დაუჯდებოდა და „პიმ-მოოს“ დასძახებ-
და, სოფლის ულამაზესი ქალწულები მხოლოდ ერთს ნატრობდნენ:
ნეტავი სოსოს ცოლობის ღირსი გაგვეხდათ.

ბეგთასავით აზატი გლეხი იყო. მშობლები ადრე დაეხოცა და
ობოლმა ბიჭმა თავისი შრიმით გაიკაფა ცხოვრების გზა. მის კოხ-
ტად ამოქობილ თეთრ ღაზლის წინდებზე ამოსხმული, თეთრთასმე-
ბიანი ქალამანი მნახველს თვალს გაუშტერებდა.

ხენაშიც სხვა ეშხი ჰქონდა და მკაშიც.

ოცდაორი წლის ჭაბუქს მეზობელი გლეხები რჩება—
გებისათვის მიმართავდნენ, კავ-ურემსაც თვითონ თლიდა—
ჭიშკარსაც თავისი ხელით აკეთებდა. მუდამ სუფთა ახალუხზე
ხუთლარიანი შავქარქაშა ხანჯალი ლამაზად ეკიდა, ჭიდაობის ღრის
მისი გარეკაური მუხას მოტეხდა. ამიტომ ეამაყებოდათ სოფლის
ახალგაზრდებს მასთან მეგობრობა. არა ერთი ქალიშვილი ოხრავდა
ჩუმად მისი შემხედვარე. მართალია, თავადაც ბევრს უღიმოდა, მა-
გრამ მისი გული ჭერ მართალი და ნაძვილი გრძნობით არ შერჩე-
ულიყო. და აი, მოვიდა მოსასვლელი. რაც ცაბუს თვალი დადგა,
ძილი წაერთვა, მოსვენება დაკარგა. დილით ეზოში გამოვიდოდა
და ცაბუ ელანდებოდა. ალვის ხე ცაბუს ტანი ეგონა. ყვაველებს
დახედავდა და მისი ყელ-კისერი ეჩვენებოდა. ცას შეხედვდა —
ისევ ცაბუს ლურჯ, კაშკაშა თვალებს უყურებდა. ერთი რამ არ
შესცვლია სოსოს: საქმეს უფრო დაუდო გული. დღენიადაგ შეუ-
სვენებლივ შრომობდა და თავის გულში ყველაფერს ცაბუს სა-
ხელს არქმევდა. ერთ დღეს ვერ მოითმინა და ისევ ბეგთას ჭიშ-
კარს მიაღდა.

ამჯერად ალაყაფი თვითონ ბეგთამ გაუდო. გრძნობდა, როგორ
დაეჭაბნა ქალიშვილის თვალწარბს სოსო და გულში უხაროდა
კიდეც. ეგონა, ნაფეტვარიძე მოკრძალებით შუაკაცებს მიუგზავნი-
და, მაგრამ მოტყუვდა გამოცდილი მეთევზე.

სოსომ სასიმართლოს თვალი თვალში გაუყარა.

— ბეგთა ბატონო, ბევრის მნახველი კაცი ბრძანდები და ნუ
დამძრახავ, სათქმელი უნდა გითხრა.

ბეგთამ გამომცდელი მზერით ახედა, ოდნავ ჩაფიქრდა და წყნა-
რად უთხრა:

— სათქმელს დრო უნდა, ჩემო შვილო, დროს კი არ ეჩქარება,
სიღინჯე უყვარს.

ნაფეტვარიძე შეცბა, შეჩერდა, მაგრამ, ეტყობოდა, გადასაწყვე-
ტი გადაწყვიტა და ისევ გაუმართა თვალი.

— პირდაპირ გეტყვი, ბეგთა, ჩემი სიცოცხლის ავ-კარგი შენს
ხელთაა.

— მე რა შუაში ვარ, ბიჭო!

— შენი მოყვრობა მწადია და, ვისაც ქალი გულით უნდა, მამაც

ახლობელ კაცად უნდა მიიჩნიოს. არ მინდა შენი გარდაუვალი ვქნა.
ბეგთამ იცოდა, რას ეტყოდა სოსო, მაგრამ მაინც გაჩიუმდა. ცოდნის და ქალიშვილის გარეშე პასუხის მიცემა ეძნელა.

— იცი, რა გითხრა, ცოლ-შვილს უნდა მოველაპარაკო. ქალს თუ არ უნდიხარ, ჩემო შვილო, სიცოცხლე სულ ჩრდილში მოგექცევა. ცაბუ უჩქუო გოგო არ არის, უნდა ვკითხო.

ნაფეტვარიძე მოიღუშა, ზეწამოიჭრა, გაიარ-გამოიარა და ბეგთას წინ დაუდგა

— კარგი, ასე იყოს. თუ მას არ ვუნდივარ, ისე ცხოვრება რაღად მიღირს. მხოლოდ ახლავე დაუძახე, ჩემი თანდასწრებით ჰქითხე.

მიუხვდა ძველი მეთევზე, სასიძო არ ენდობოდა. ისიც შეატყო თავის ძალას რომ გრძნობდა ყმაწვილი და ეშმაკურად გაელიძა. მერე წამოდგა, მეუღლეს გასძახა:

— ვარსკვლავისა, ჰა ვარსკვლავისა, ცაბუს დაუძახე და ერთი წუთით ორივენი ძირს ჩამოდით!

კაკლის ხის ჩრდილში ფერდაკარგული სოსო რომ დაინახა, ცაბუს გულმა რეჩხი უყო, „კიდევ ავად თუ არისო“, გაითიქრა.

— აბა, გვერდით მომიჯექი, ჩემო შვილო, — შეელაპარაკა მამა. — შენ კი პირდაპირ დამიჯექ, ვარსკვლავისა, დიდი საქმე უნდა გადავწყვიტოთ.

ცაბუ უკვე მიმხვდარიყო სოსოს მოსვლის მიზეზს. ჯერ შეჩერდა, მერე სწრაფად მოტრიალდა და სახლისაკენ გაიქცა.

— სად გაიქცეცი, გოგო, უშენოდ ეს საქმე არ გადაწყდება, — მიაძახა მამამ.

— დედა გეტყვის, დედა, — გადმოსძახა აივნილან ცაბუმ და გაუჩინარდა.

— შენ რა იცი, ქალო?

ვარსკვლავისამ მხრები აიჩეჩა. ეტყობოდა, ვერაფერს მიმხვდარიყო.

— მაშ, კარგი, თქვენ აქ ილაპარაკეთ, შენ უთხარი, შვილო, რაზედაც მოსულხარ, მე კი იმ გოგოს მოვეთათბირები, — მიუბრუნდა ბეგთა სოსოს, და მერე მტკიცე ნაბიჯით გასწია აივნისაკენ.

რიონის გაშლილ ჭალებზე ლამის ფრინველები ყიოდნენ, როცა სოსო ნაფეტვარიძემ ვეება ჭიშკრიდან ცხენი გამოაგელვა.

ცაზე უთვალავი ვარსკვლავი კაშქაშებდა. სოსოს კი ციდან მომი-
გალი სხივები მის გულში ჩაბუდებულ ნათელთან შედარებით
ფერმქრთალი ეჩვენებოდა. ხუმრობა ხომ არ იყო: თავისუ ყურით
გაიგონა ცაბუს სიტყვები: „თუ გათხოვება მიწერია, ღმერთმა, სო-
სოს გარდა ქმრად ნურავინ მაფიქრებინოსო!“.

*

* *

ორი ქორწილი ერთად გადაიხდა ბეგთას ოჯახმა. სამი დღე-ღამე
ეჭიბრებოდნენ ერთმანეთს რიონჭალელები ღვინის სხასა და ცეკვა-
თამაშში. კავკასიონის კალთებშუა იმერელი კაცივით ტკბილი და
საამო სიმღერები გუგუნებდა. ეზოში, დანაკვერცხლებულ ცეცხლ-
ზე, გოჭები და ბატქნები იწვებოდა. კეცებში სკდებოდა მწიფე ვა-
რიების შებრაწული კანი, სუფრა ყველითა და კვერცხით გატენილი
ცხელ-ცხელი ხაჭაპურებით იყო სავსე.

მეოთხე დღეს ლხინი მეზობლებში გადავიდა. ალიონშე წამოშ-
ლილი მაყრები ქაომებს იჭერდნენ, თავს აგდებინებდნენ და ხონ-
ჩებს აკეთებინებდნენ მოფუსფუსე ქალიშვილებს.

მეხუთე დღეს მიწყნარდა ყოველივე. ბეგთას ოჯახს ორი ახალ-
გაზრდა შეემატა. ცხოვრებაც თავისი გზით წავიდა.

*

* *

ვარსკვლავისას ეგონა, ბედნიერება მხოლოდ ახლა შემოსული-
ყო ოჯახში. ორმოცი წლის ქალი კიდევ უფრო დამშვენდა და გალა-
მაზდა. რძალი ქალიშვილში ვერ გაერჩია და სიძისა და ვაჟის სი-
ყვარული მის გულში ერთმანეთს ეცილებოდა. ეზო-გარემო კიდევ
უფრო გასუფთავდა და გალამაზდა, ბოსტან-ვენახი უხევი და მოსავ-
ლიანი გახდა. ყაჭ-აბრეშუმმაც იმრავლა; ხეხილსაც მსხმოიარობა
მოემატა. „თქვენ გენაცვალეთ, დილით ადრე არ აღვეთ, კარგად
გამოშუშდითო“, დააღვებოდა თავზე მწოლარე რძალ-ქალიშვილს,
ისინი კი სიცილ-ტკრციალით დაუძვრებოდნენ საბნებიდან და ორი
წუთის შემდეგ ძროხს და თხებს წველიდნენ.

რძალ-მული ისე პგავდა ვარსკვლავისას, ორივე მისი შეილი გე-

გონებოდა. მტრედებივით დაგოგაცდნენ ეზო-გარემოში. შეია და
ცაბუ ყოველთვის ჭიშკართან შეეგებებოდნენ სამუშაფიც დაბჯენ-
ნებულ მამაკაცებს.

სანამ ისინი ეზოში ხელ-პირს იბანდნენ, ვარსკვლავისა ვაწშაშ
აწყობდა ხის პატარა სუფრაზე.

პირველად ბეგთა ჩაფლავდა ცხელ ღომში ერთ ნაჭერ ყველ,
ღვინოს დაისხამდა და დაილოცებოდა. მერმე ყველანი შეუდგე-
ბოდნენ ვაჭშმობას.

*

* *

ცუდი დღე ადგა მაშინ საქართველოს. დაუძლურებულ ქვეყანას
ყოველი მხრიდან ესხმოდა მტერი. მოულოდნელად შემოესეოდნენ
ჩვენს ჭალებსა და გორაკებს, ქალაქ-სოფლებს ააწიოკებდნენ, და-
არბევდნენ, ოთხფეხს წალალავდნენ, ხალხს ამოხოცავდნენ, შერ-
ჩეულ ქალ-ვაჟს ტყვედ გაირეკავდნენ. კოდში ღომის მარცვალს
ამოხვეტდნენ, ხალმებში წათხს ამოაშრობდნენ, ჭურ-მარანში
მთხლესაც არ ტოვებდნენ. ქვეყანა გაძარცული და დამშეული იყო.
ცოტა ხნით სულმოთქმული მამული ისევ გაპარტახებული და გავე-
რანებული რჩებოდა. მართალია, ცაზე ვარსკვლავები ისევ კიაფობ-
დნენ, რიონიც წყნარად მიღუდუნებდა, მაგრამ უკაცრიელ სოფ-
ლებში სიცოცხლის ნიშანწყალი გამქრალიყო. ხეხილი რა არის, მა-
საც კი ჩეხდნენ და იავარყოფდნენ. ხალხი შიმშილობდა, სათესლე
მარცვალიც არ იშოვებოდა.

*

* *

ერთ უბედურ დღეს ბეგთა მარტო წავიდა სათევზაოდ. ღომის
ყანას თავთავი დამძიმებოდა, კაკალი ცვიოდა და ოჯახი სამკელად
გაგზავნა.

შვიდი დღე-ღამე ითევზავა, შვიდი სავსე ნავი ჩაიტანა ნაესად-
გურში და მუშტარიც მალე იშოვა. საყიდელი იყიდა, საახალუხე და
საკაბეები, საპონი და ქალებისათვის ფერუმარილიც წამოილო. ისევ
დღისული იყო, როცა მისი ნავი რიონჭალის ნაპირებს მოადგა.

გაუკვირდა მეთევზეს, ახლომახლო რომ არავინ შეხვდა, არც
ცოლი შემოეგება და არც შვილები. ნავი მიაბა და სანაოს დაჭა-
კვირდა. ბორანის ქოხი ცეცხლს დაეფშრუკა, ნავები წყალს წაუღო
ტანში გაცრა. სოფლის გზაზე გავიდა და არც ურმები ჩანდა, ამც
საქონლის ბლავილი ისმოდა. ჭალებისკენ მიიხედა და სულ მოიშალა
კაცი: ყანები გადამწვარი იყო. აქა-იქ ისევ ბოლოვდა დანაცრებული
ი-იგის ზეინები. სოფლის მისასვლელთან ვიწრო გზა მიჰყვებოდა
აღმართს. ამ ადგილს რიონჭალელები ხორხს ეძახდნენ. სანამ ამ
გზას აივლიდა, მუხლი ეკვეთებოდა ბეგთას. ტრიალზე გავიდა და
სოფელს გადახედა. ყველაფერი გატიალებული ჩანდა. აღგილ-
ადგილ კვამლის სვეტები ცამდე აღმართულიყო. სახლები იწეოდა.
ევნახები და ბალები აეჩეხათ. ოთხფეხის ჩამიჩუმი არ ისმოდა.
ჭიშკარი შეაღო. გაოცდა: ოდა თავის ადგილზე არ იდგა. ხულა და
ბელელი გადაყირავებული დახვდა. არც ვარსკვლავისა ჩანდა, არც
ბავშვები.

— ვარსკვლავისა! — ამოიგმინა და რატომლაც თავის ხმას თვი-
თონცე მიუგდო ყური.

პასუხი არავინ გასცა.

დაცლილი და მოოხრებული ეზო უხმოდ უმშერდა პატრონის.

ვაშლისა დ ატმის ხეები ნახანძრალ თეთრ ფერფლს დაეფარა-
ახლა ამ ნელ-თბილ ფერფლს ნიავი ყვავილის მტვერივით აბრუნებ-
და ეზოში.

„სულ დაცლუპულვარ კაცი“, — გაიფიქრა და ლობისკენ მიიწია.
სოსოს ხელით ახალ გაკეთებულ ღობის ძირას რაღაცას მოჰკრა
თვალი. ახლოს მივიდა. ბალანგატრუსული ძალი ჯერ კიდევ სუნ-
თქავდა. ვიღაცას წაბლის სარი ჩაეჩარა ხახაში და შიგ ჩაეტოვებინა. შიგნეული ჩანგრეული პქონდა. აკანკალებული ხელი წავლო სარს
და მთელი ძალით გამოქაჩა. უცებ ძალლი ცოცხალივით წამოდგა.
სარს წამოჰკვა. პატრონისაჟენ წამოვიდა, ბეგთამ კიდევ უფრო
მაგრად მოუჭირა თითები სარს და მისკენ მოსწია. სარი ისე ამოვარ-
და ძალლის ხახიდან, როგორც დგუში ტუმბოდან. ძალლმა მიწა-
ზე მოადინა ზღართანი. მისი სხეული სასიკვდილოდ აძიგდიგდა. შე-
თევზეს თვალებში ელვამ გაჰკრა. მიხვდა, რამდენი ეტანჭა. უცებ
სარი ზევით ასწია, მოზომა, თვალები დახუჭა და სულომობრძავ
ცხოველს მთელი ძალით დაჰკრა თავში. მერე სარი ზიზლით მიაგდო

ლობის ძირში და სახლისკენ წავიდა. დაფერფლილი საძირკვლია
ალარ ბოლავდა. მხოლოდ დამსხვრეული, ჩაშავებული კრამიტები
ეყარა ზემოდან. ყველაფერი მიწასთან იყო გასწორებული ქვის კა-
ბელა დარჩენილიყო დაუნგრეველი.

„ბუხარი მანც რამ დაარღვია, ის რომ ყოველთვის ხელუხლე-
ბელი რჩება ამ უროს“! — გაიკირვა უნებლიერ და კიბეს გადახედა.
სახლის სახურავი კიბის საცეხურებს დასცემოდა და ზედ დამწვარი-
ყო. სიცხისაგან გაშავებული ქვები დამსკდარიყო. „ამ საფეხურე-
ბით შევდიოდი ჩემს ოჯახში, ჩემს ბეღნიერ ოჯახში, ახლა კი ყვე-
ლაფერი გათავდა“, — სასოწარკვეთით ჩაიჩურჩულა და ქვაზე
ჩამოჭდა.

ნიავს ჯერ კიდევ ვერ გადაეხვეტა ფერფლი. ბეგთა არეული და-
აკვირდა სიოშეუხებელ ნაცეცხლარს. კრამიტებშეა საძირკვლები
გარდიგარდმო ელაგა.

უცებ ბეგთას თვალი გაუშტერდა. კიბის უკან, დამწვარ საძირ-
კვლებს ზემოთ, ორი კაცის ფერფლი შეამჩნია. თავის ქალის ძვლე-
ბი თეთრად ანათებდა.

„ჩემი შალვასა და სოსოს ფერფლია!“ — გაუელვა ანაზღეულად.
შუხლის კანკალით წამოდგა. ელდანაცემი ჩაშტერდა ორ დაფერ-
ფლილ ცხედარს. „ახალუხების ამარა ყოფილან“. —

აი ფოთლები, აბრეშუმის ახალუხეზე მიხატული ფოთლები,
ახლა გაახსენდა ბეგთას: სიძემ და ცოლისძმამ ერთ დღეს იყიდეს
ეს საახალუხეები და ერთ თერძს შეაკერინეს ქუთაისში.

აგრე ქამრების დანახშირებული კვალი. იგი ნაცრისფერ ქობასა-
ვით შემოჰყოლოდათ წელზე. ისიც მოაგონდა ბეგთას: ამ ახალუ-
ხებს უქმე დღეებში იცვამდნენ ბიჭები.

„კვირადღე ყოფილა, — ისევ გაუელვა ფიქრმა. — დღეს უბე-
დურების მესამე ღლეა“, — ცოტა ხნის შემდეგ ფერშეცვლილი
ქამრის ბალთებიც შენიშნა. თავთავის ადგილს ელაგნენ, მხოლოდ
ფერფლი ჩაეზნიქა ლითონის სიმძიმეს. თითქოს უბედურება ახლა
შეიგრძნოო, უცებ ბეგთას გარშემო ყველაფერი დატრიალდა.

— ვაი ჩემს მოსწრებას! — დაიბლავლა.

ნელა დაიხარა დ ფერფლს ხელი შეახო.

რომ წამოდგა, თითები შავი ფიფქით ჰქონდა დაფარული.

ეზოსკენ რომ გადადგა ნაბიჯი, ცრემლები მაშინ წასკდა. მწუხა-

რებას უჩვევ კაცს სახე ხელებში ჩაებლუფა და ისე ტიროლა, თეთ-
ქოს რცხვენიაო. გარშემო კი სიჩუმე იყო. არავინ ჩანდა.
საიდანლაც მამალმა დაიყიდლა. ბეგთას გაატროლა. შეაშენდა
კიდეც. ამ ხმამ სიცოცხლის არსებობა გაახსენა. თვალცრემლიანშა
იქით მიიხედა.

მამალი ეზოს ბოლოზე იდგა და თვალებში შესცემოდა.

მიხვდა ბეგთა, ამ შუადღისას იგი ადამიანის დანაწევამ დაიყიდ-
ლა.

„ეჭ, ალბათ ბევრი იყიდლა, მაგრამ ადამიანის გარეშე გათენე-
ბა ვერ იგრძნო. მე რომ დამინახა, იფიქრა, ნამდვილად გათენდაო“.

* * *

ორი დღის შემდეგ ვარსკვლავისა, ცაბუ და მზია ერთად მო-
ლასლასდნენ.

ჩამოხეულნი და დაკაწრულნი, სისხლამშრალნი და დაყვითლე-
ბულნი, უცხო ადამიანებს ჰეგვდნენ. არავინ იცოდა ამ ოთხ-ხუთ
დღეში რა გადახდათ. სიცხისაგან გასავათებული ბეგთა კიბის ქვაზე
იწვა.

უაზროდ მიაშტერდა მოსულებს. ერთი გააცმაცუნა ტუჩები,
რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ კისერი მოიწყვიტა და ისევ ბურანს
მიეცა.

ცაბუ სიტყვის უთქმელად მიუწვა მამას. არც ის ამბობდა რამეს.
ბაგე გაფიცხებოდა, თმები აბურძენოდა, საკინძე ჩამოგლეჭოდა.
შიშველი სხეულიდან აღვილა-აღვილ შემხმარი სისხლი მოუჩანდა.

გაბეცებული მზია კი ხელმოხვევით მოჰყავდა ვარსკვლავისას.

„გამიშვით, შალვა იწვის, ჩემს შალვას თავი გაუტეხეს“, — ჩურ-
ჩულებდა თვალების ბრიალით მზია და საღლაც უაზროდ მიიწევდა.
სახეგამშრალი ვარსკვლავისა მკლავებში ჩაფრენოდა და ძლიერ
აკავებდა ჰეკუაზე გადასულ რძალს.

* * *

პირველი მაინც ბეგთა წამოდგა. ცოლისათვის არაფერი უკი-
თხავს. არც ვარსკვლავისა მოჰყოლია თავის უბედურების ამბავს.

ბეგთა ოლარ პგავდა წინანდელ ბეგთას, მოხრილი ბეჭები უძიგნებდა, თმა ერთბაშად გათეთრებოდა, თვალები წირბლით ამოევსო. უოველი ათი ნაბიჯის გადაღგმაზე გული უჩერდებოდა! ერთ როგორ ჭობდაბჯენილმა ძლივს მიაღწია სანაომდე, ნავები აღარ დატვირთა, დრო ეშოვათ და მოეპარათ. ერთი ნიჩაბი იპოვა ნაპირზე მიგდებული. შეატყო, გაუჭირდებოდა მისი მოსმა. დიღხანს უყურა ძველმა მეოვეზემ მდინარეს, დიღხანს, და მერე ისევ უკან გამობრუნდა.

— რაღა ვქნათ, თვალო? — შეეკითხა ვარსკვლავისა. — საჭმელი ხომ უნდათ ამ ქალებს, რა ვაჭამოთ? — ვარსკვლავისა მიხვდა, ბეგთა თევზაობაზე უარს ამბობდა. იგი წყნარად მიაჩერა ქმარს, თითქოს პირველად ხედავსო, გულის გასამაგრებელი მაინც უთხრა:

— ღომს დავთესავთ, მჭადს მოვიყვანთ, მინდვრის მხალს ხომ ვიშოვით, შე კაცო!

— სათესლეც რომ არ დაუტოვებიათ, სად გავაჩინოთ მიწაში ჩასაგდები მარცვალი?

მეთევზის ცოლი მიხვდა, ქმარი მართალს ამბობდა. თვალები უიმედოდ მიაპყრო ეზო-გარემოს.

— რაღაცა გაჩნდება, კაცო, დალუპულმა ჩემმა შეილებმა იქანონ, თორებ ჩვენ რა გვიჭირს. ცოცხლად დარჩენილი ადამიანი საშველს ყოველთვის გამონახავს.

საშველი კი არსად ჩანდა.

ვარსკვლავისა გარეული მხალით კვებავდა ავადმყოფებს. ხან კაკალს ჩამობერტყავდა ხანძრისაგან გადარჩენილ ხეებზე, ხან პანტა ვაშლს მოიტანდა კალთით. პური, ღომი და მჭადი არსად იშოვებოდა. ერთ ღლეს ბეგთამ საღლაც მიწავაშლას მიაგნო და ერთი ჩიხის კალთა მიიტანა შინ.

ვარსკვლავისას სამშობლო გაახსენდა. მოაგონდა ქალიშვილობა, მისი ქვეყანა, სადაც მიწავაშლას მსგავს ნაყოფს ხარშავდნენ. მისი გემო ახლაც ახსოვს ზღვაგალმელ ქალს.

მთელი ღამე არ დაეძინა. გათენების ჟამს წასთვლიმა. საოცარი სიზმარი ნახა. თავის ქვეყანაში იყო. მიტოვებული ყანები ტევრივით შრიალებდა. თითო ღეროზე ბეგთას მქლავის სიმსხო სამიაოთხი ტარო აწვდილიყო. ფოჩების ნაცვლად ულვაშები გაღმოპჟიდებოდათ, სწორედ ისევე დაგრეხილი, როგორც ბეგთას ჰქონდა.

ახალგაზრდობაში. მნიშვნელოდ ფერი აღარ ჰქონდა შავი, ხან მისი თმებივით ოქროსფრად ელვარებდნენ, ხან ბეგთასვე შეთეთრებული, გამოხუნებული ულვაშის ლერების ფერს დაიკრავდნენ.

ყანას ყვავილთა მტვერის ნაცვლად ვარსკვლავებივით ჩინჩელები სცვიოდა და ზევით, ცისკენ მისრიალებდა. უამრავ ვარსკვლავთა სრბოლაში შალვასა და სოსიკოს სახეები გამოჩნდნენ. ამ სხივოსან ციალში ფოთლოვანი აბრეშუმის ახალუხებში ისე დაცურავდნენ, თითქოს ფრთხები ესხათ. ტაროები შიშველი სატევრებივით ეჭირათ. ყანაში გაბნეულ მნათ ჩინჩელებს ხვეტავდნენ და აიძულებდნენ ტაროებში ჩამძვრალიყვნენ.

— მალე დამწიფდება, დედი, ყანები! — ლიმილით ამბობდა შალვა.

— სულ მალე, — აგრძელებდა სოსო ცოლისძმის ნათქვამს, — სულ მალე. ცაბუს აღარ მოშივდება მაშინ. ბეგთასაც ჭანი ჩაუდება ტანში.

— შიმშილით ვიხოცებით, — უნებლიერ აღმოხდა წუხილი ვარსკვლავისას.

— ნუ შიშობ, დედი. ეს ყანები ჩვენია, თომ ხედავ, რამდენ სხივოსან ვარსკვლავს ვიჭერთ და ტაროებში ვაბუდებთ, თითო ვარსკვლავი, თითო მარცვალია. სულ მალე დამწიფდება, თქვენც დაპურდებით და ხარ-ჯამეჩიც დასუქდება. მზია არ მომიშოთ, ჩემი მზია, — ეუბნებოდა შალვა ვარსკვლავისას.

— რამ გადაგრია, შვილო, — ეწყინა დედას, ფეხმძიმე ქალს როგორ მოვაშიებ, ოღონდ რაიმე გვეშველოს, ოღონდ ყანები დამწიფდეს.

გვლშეწუხებულს გამოეღვიძა. ბნელი ღამე იდგა, რიონი დუღუნებდა.

საწოლზე მზია ბორგავდა.

„ვაიმე, მშობიარობამ თუ მოაღწია“, — გაითიქრა და რძალს სასთუმალთან მიუჭდა.

დილით მზიამ ბორგვას უმატა, ტკივილებს ხმა ააყოლა, ჭერისევ უაზროდ მოჰყვა ბოდვას, მერე კივილი დაიწყო და მზის ამოსვლასთან ერთად ბეგთას ოჯახს შვილიშვილი შეეძინა.

პატარა ბიჭის ხმამ ბეგთაც ფეხზე წამოაყენა.

ცაბუ ცრემლმორეული დასტრიალებდა რძალს. მისი გავარვა-

რებული მქლავები ხელში ეკავა. დაბურულ თმებს თავსაცრის
უკრავდა. გატანჯულ მზიას კივილი ეზო-გარემოს ედებოდა. მშო-
ბიარობის შემდეგ გასავათებული ქალი დაწყნარდა. იმ უბრუნე-
დლის შემდეგ პირველად მოეკიდა ძილი. სახე დაუარცდა.

ბეგთამ გაოცებით გადახედა ცოლსა და ქალიშვილს.

„იქნებ გვეშველოს“, — ჩაილაპარაკა თავისთვის.

მთელი დღე იძინა მზიამ და საღამოს რომ გამოილვიძა, ძუძუ-
ებზე მოისვა ხელი. რძით სავსე მქერდი ხელში დაუმძიმდა.
ვარსკვლავისამ ბავშვი მიუწვინა.

ჩვილმა ხარბად გაიწია დედის მქერდისაკენ.

მზიამ უნებლიერ წაივლო მქერდზე ხელი და ბავშვს ძუძუსთა-
ვი პირთან მიუახლოვა.

მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა.

ბავშვი და დედა გაინაბნენ. ცოტა ხნის შემდეგ ჩვილმა ძუძუ
გადაინაცვლა, ხოლო კიდევ პატარა ხნის შემდეგ მზიას ცრემლები
წასკდა.

ეს იყო პირველი ცრემლები ოთხი თვის უაზრო ბოდვების შემ-
დეგ. მამამთილმა თვალებში ჩახედა რძალს და მიხედა, რომ მშო-
ბიარობამ ავადმყოფ, განაწამებ ქალს აზრი და გონება დაუბრუნა.

გაზაფხული მოახლოვდა. გამთბარი, გალულუნებული მიწა
თესლმარცვალს ითხოვდა.

*
* *

აჩეხილი ტევრები ჭერ სუსტად იქრებდნენ ძალას, მერმე ერთ-
ბაშად სივილით მიაფრქვიერ მწევანე რტოები ლურჯი ცის გუმბათს.
ამღვრეული რიონი კალაპოტში არ ეტეოდა, ნაპირებს ასკდებოდა
და შლამით ფარავდა საყანე მიწებს.

ბეგთა ჩაღამებული თვალებით გასცქეროდა გარემოს. ხანდახან
კობრების და ოლავების ბოლოების ტლაშუნი ეჩვენებოდა. არც ნავი
ჰქონდა ძველ მეთევზეს, არც ბადის გადასროლა შეეძლო. რა უნდა
ექნა?

მიწის მოხვნა უნდოდა. თესლმარცვალი კი არსად იყო. იჯდა

ჯოხით ხელში დილიდან საღამომდე და აფორიაქებული რიონის
ტალღებს გასცეროდა.

მერცხლები მოფრინდნენ. წერწეტა ყანჩები ტბორტებში კისერის
გაწვდილი იდგნენ. ერთ დღეს ერთი სულ ახლოს დაუჭდა მოხუცს.

იმ ადგილას წყალი შეგუბებული იყო. ყანჩა წყალში ისე ჩადგა
და გაინაბა, მოხუცს ყურადღებაც არ მიაქცია.

„იცის, ვნება არ შემიძლია და არაფრად მაგდებსო“, — გულის-
ტკივილით გაიფიქრა ბეგთამ. თვალებგაბეცებული ყანჩა ერთ ად-
გილს მისხერებოდა. უცებ ნისკარტი დაპკრა და ბეგთამ თავისი
თვალით დაინახა მოზრდილი თევზის ბოლო და ფარფლი. ერთ
წუთს გაიელვა ჰაერში თევზმა და ყანჩამ არც კი მოიხედა მისკენ,
ისე გადასანსლა ნანადირევი. „ლორმუცელ!“ — ჩაილაპარაკა ძველ-
მა მეთევზემ.

შუადღემდე უცქირა ყანჩას. დაითვალა კიდეც, თხუთმეტჭერ
დაპკრა ნისკარტი წყალს ფრინველმა და თხუთმეტჭერვე შეუცდობ-
ლად ამოიყვანა თევზი.

ვეღარ მოითმინა, ბუზღუნით წამოდგა და სახლისაკენ წავიდა.

„ეს გამოყეყეჩებულიც მე მჯობს! ლმერთიც ხელს უწყობს და
ჩემი უძლურებაც. ისე ოჩაფეხასავით მაღალ ფეხზე დგას, ბუმ-
ბულსაც არ ისველებს, პმ, იჭერს და იჭერს თევზებს. შენ კი, გან-
თქმულო მებადურო, დაჯექი, უყურე. ვაი, ჩემს ძალ-ლონეს! რაღად
ვცხოვრობ ამ ქვეყანაზე!“

ვარსკვლავისა ბავშვს აჩუმებდა.

— რა დაემართა, ქალო, მუცელი ხომ არ სტკივა?!

— დედამისი და ცაბუ ტყეში წავიდნენ. შეხედე, ბეგთა, ალბა-
სივით კბილებმა ამოსჭრა ბიჭს, — ბებიამ ბავშვს ტუჩ-ბაგე გამო-
უჩინა, ბაბუამ შვილიშვილს დახედა. ორი თეთრი კბილი მარგალი-
ტის ორი მარტვალივით ამობურცულიყო ჩვილ ნუნებზე.

— შია, ალბათ, და იმიტომ ყვირის, ქალო, ეს ბავშვი, — ვარს-
კვლავისამ არაფერი უთხრა. საკინძე გაისწნა და გამშრალი ძუძუ
მოსატყუებლად მიაწოდა ბავშვს. პატარა ქლოშინით მოეჭიდა ბე-
ბიას მკერდს და უინით დაუწყო ქაჩვა.

რე რომ ვერ დაიგულა, ეტყობა, გაბრაზდა და კბილები ისე მო-
უჭირა, ვარსკვლავისას სისხლი წასკდა ძუძუსთავიდან.

— ოკ, შე ეშმაკის დროში დაბადებულო! — აღმოხდა საყვეპი დური.

ბავშვი სულ გადაირია. ახლა მეორეს წაეპოტინა, მისაცამა და დაყენა, რაც პირველს.

— თხა მაინც დაეტოვებინათ იმ ქვეყნის დამქცევლებს, — წაიდუდუნა ბეგთამ და ბავშვის ხმა რომ ალარ გაეგონა, ლაფაროს ამო-ეფარა, შეალული საძირკვლის თავზე ჩამოჭდა.

მზიას მოსვლამდე ბავშვის ტირილი არ შეუწყვეტია. როგორც კი მინდვრის მხალი ქვაბში ჩაყარეს, რძალი დედამთილთან მივარდა, ბავშვი გამოართვა და ბიჭუნა სლოკინით მოეჭიდა დედის მკერდს.

ერთ კვირას არ დაუყუჩდა ვარსკვლავისას ტკიფილი. ძუძუ-მკერდი დაუჩირქდა და გაუმიზეზდა.

რიონის ტალღები ნელ-ნელა დაწყნარდა. მდინარემ დაიწია, თავის კალაპოტში ჩადგა. სქლად მოშლამულ ნაპირებზე ჯერ თხელის ძირებიდან ამოწვერა მწვანე ფოთლებმა, მერე გაფიცხებული მიწიდან ათასი ბარდი და ბალახი წამოვიდა. ცის გუმბათი გალურ-ჯდა, ამაღლდა და ზევით იიწია. ღრუბლები ალარ დაქროდნენ მდინარის თავზე. საყანე მიწები ისე გაღულუნდა, ფრჩხილი რომ გადაგეგდო, ისიც კი დალბებოდა და სახაყოფო გზის იშვიიდა. ბეგთა ნალვლით საგსე თვალებით უმზერდა მინდვრებს, მიწა მოხვნასა და თესლს ითხოვდა.

ერთ დილას ვარსკვლავისა ძეელ ნასახლარებში გადავიდა. დანგრეულ-დამწვარი წისქვილები თუ ბელლები გადაჩინებული და საღიყო, სად არა, ერთი ბათმანი ლომის მარცვალი მოაგროვა. ბეგთა გულში იმედი და სინათლე ჩაუდგა.

მეორე დილით ყველანი მინდვრად გავიდნენ. იმ დღეს, ამდენი შიმშილის შემდეგ, ვარსკვლავისამ ხუთი პეშვი ლომის მარცვალი ჩაყარა ქვაბში და სქელი ლომი მოხარშა. ბეგთა ლასლასით მიჰყვებოდა ხნულს. ვარსკვლავისა ხარებს უძლოდა, ცაბუ კი პეშვით თესავდა ლომის მარცვალს. მზია ალაყურტისათვის ნიგვზის ზეთს ხდიდა და თან ჩეროში ჩვილს ეფერებოდა. შუადღემდე მეოთხედი ქცევა ძლივს მოხნეს. მზე ფიცხად აჭერდა. ვარსკვლავისას დაიარებული ძუძუს თავები დაუხმა და გაუხევდა. პერანგი მკერდზე ეკვროდა, ტკივილები სულს უხუთავდა. ქმარ-შვილი რომ არ შეეწუხებინა, მოთმინებით იტანდა ყველაფერს.

— ცუდი ფერი გადევს, თვალო, — შენიშნა ბეგთამ მეუღლეს.
ვარსკელავისამ ხმა არ გასცა, მინდორს გახედა და თავის მხრით შე-
ეყითხა:

— ნახევარ ქცევას რომ ეყოფოდეს ეს თესლი, ჩვენს შედაძლება
ლი არ დაყეფს.

სიტყვა არ ჰქონდა დასრულებული, რომ მათ ზემოთ, წეროების
მთელმა წყებამ გადაიქროლა. ღალა-ღალანით მოფრინავდნენ და-
სავლეთიდან. მოულოდნელად ტევრებიდან არწივი აფრინდა, საო-
ცარი სისწრაფით ავარდა ცის გუმბათში, ირაო გააკეთა და, ისარი-
ვით წამოვიდა ბაწრად გაბმულ წეროებისაკენ. უდარდელად მოგზა-
ურმა ფრინველებმა მაშინ გაიგეს მისი სივერაგე, როცა ერთ მათ-
განს ბრჭყალები გაუყარა ონავარმა. მოისმა საშინელი წივილი. წე-
როები ერთბაშად შემობრუნდნენ და მტერს თავს დაესხნენ. იო-
წივი იქვე ახლოს დაეშვა. წეროები გააფთრებით დაედევნენ.

ცაბუს თვალები აუელვარდა, რაღაც მოისაზრა, მამას ხელიდან
გამოსტაცა ბზის ჭოხი და მათკენ გაიქცა. ფრინველების ყივილის
ხმაზე მათ საომარ ადგილს მალე მიაგნო. არწივს ნადავლი ისევ
კლანჭებში ჰყავდა გამომწყვდეული. ფრთები გაეფოფრა და თვა-
ლების ბრიალით იგერიებდა წეროებს.

ვაი მას, ვისაც სხეულში მისი რეინის ჩანგალივით მოკაუჭებუ-
ლი ბასრი ნისკარტი ჩაესობოდა. გარშემო ღინდლის კორიანტელი
იდგა.

ცაბუ ჭოხმომარჯვებული დაესხა ფრინველს, არწივი არ შეშინ-
და. ნადავლის მიტოვებას არ ფიქრობდა. ფრთებგაშლილი და ნის-
კარტმომარჯვებული ელვარე თვალებით უყურებდა ქალს.

— მე მშია, — თითქოს ამბობდა იგი. — ამასთან, მხეცი ვარ,
დაუნდობელი და სისხლისმოყვარე.

— მეც მშიერი ვარ, — პასუხობდნენ ცაბუს თვალები. — შიმ-
შილი კი ამქვეყნად ყველაზე მეტი მხეცია, ყველაზე მეტი გამბე-
დავი და დაუნდობელი. მხოლოდ შიმშილია მკვლელობათა საწყისი.
ჭოხით გაგიჭულეტ თავს, თუ ნადავლს არ დამანებებ!

არწივი შეაშინა გააფთრებული ადამიანის თვალების ბრიალშა.
ზლაზნით აფრინდა და ტევრებისაკენ გადაიქროლა. წეროებმა
იგრძნეს არწივზე უფრო საშიში მტერი. ისინი მწუხარე ყივილით
და ფრთების ფათქუნით გაშორდნენ იმ ადგილს. მიწაზე მხოლოდ

არწივის მსხვერპლი დარჩა. იგი ღინდლისაგან გაცლილი და დასტან-
ხლიანებული, მკვდარი ეგდო ბუჩქის ძირას.

ბეგთა ძალიან გაახარა ცაბუს ნანადირევმა, გუშენდეტი უკავშირის
გაახსენდა, ტბორებში თევზებს დაუნდობლად და ხუმბიდა, არა მაგრა
პავდა.

— ახლავე გაფატრეთ და ჯოხზე წამოაგეთ! — ბრძანა და სა-
შამფურე ჭოხს დაუწყო გათლა. ქალებმა წერო გამოფატრეს და ნა-
წილ-ნაწილ აქნეს. ფრინველს კუჭიდან ჩვილი ბიჭის ფრჩხილის ტო-
ლა ხუთიოდე უცხო მარცვალი გადმოუცივდა. ზოგი თეთრი იყო,
ზოგი ყვითელი. ვარსკვლავისა გაოცებით დააჩერდა. ზღვისგაღმელ
ქალს სამშობლო და სიზმარი ერთად მოაგონდა. დაიხარა, მარცვ-
ლები ამოკრიფა და ხელის გულზე დაიწყო.

— სწორედ ის მარცვლებია, — ჩურჩულით თქვა და ქმარ-
შვილს გადახედა.

ბეგთასაც არა ერთხელ უნახავს მეუღლის ქვეყანაში ეს თეთრი
და ყვითელი მარცვლები, ახლა ვარსკვლავისას ხელის გულზე რომ
ბრწყვიალებდნენ. თვალწინ დაუდგა ტევრით ჩაღრუბლული და
ფართოდ გაშლილი შრიალა ყანები. მოაგონდა მისი ფქვილის ღომი
და ნამცხვარი. ახალი, თბილი მჭადის სუნმა თითქოს ცხვირში წა-
ლიტინა, მეტი ძალ-ღონე იგრძნო, მეუღლის ხელისგულისაკენ დაი-
ხარა.

— ი, რა უნდა წამოგვეღო, თვალო, რიონჭალაში, — საყვედუ-
რით თქვა, — ხალხი. სულს მოითქვამდა, სოფელს გავამდიდრებდით,
ქვეყანას დოვლათს შევძენდით. ჰეი, როგორი მოსავალი იცის, მე-
რმე ბელლებს ავაგსებდით, ხარ-კამეჩს დავასუქებდით.

ცაბუმ და მზიამ ერთად დახედეს მარცვლებს.

— დედიკოს ძუძუს თავების ფერის არისო, — გაიღიმა ცაბუმ
და ვარსკვლავისას შეანათა თვალები.

დედას თვალებში სინათლე აერია, ალმური მოეკიდა, იქვე,
ხნულში ჩაჭდა და საკინძე გადაიღედა. სამშობლოსა და ძუძუკვირ-
ტების გახსენებამ, ეტყობოდა, მქერდი უფრო აუწვა და ატკინა.

მინდვრებს მზე აჭერდა, სიცხე თანდათან მატულობდა. ტყის
ჩრდილქვეშ შეფარებული ფრინველები ჩაჩუმებულიყვნენ, მხო-
ლოდ რიონის ღუდუნი არღვევდა ალმურმოდებული ჭალების მდუ-
მარებას. ცაბუმ დახედა დედის მქერდს და შეპკივლა. ვარსკვლავი-

სას ბავშვის კბილდანაღგამი ძუძუს თავები ჩამოსცვენოდა. ისინი წეროს მოტანილი უცხო მარცვლებივით ეყარნენ დედის უზუში. თვითეულს ჩვილი ბიჭის თეთრი, ქითქათა კბილის ნაკვალევი მსე აჩნდა, თითქოს შიგ ჩარჩენდეს.

— არაფერია, შვილო, — წყნარად თქვა დედამ. — ქალთა შო-
ლის ამქვეყნად, მგონი, ყველაზე კარგი მზითევი მე მომყოლია.

იგი კაბის შრიალით ადგა, ხელის გულზე დაბნეული და უბი-
დან ამოკრეფილი მარცვლები სათითაოდ გადათვალა.

— რას აპირებ, დედიკო?!

— ქვეყნის სიკეთეს, შვილო. ეს თესლმარცვალი მიწას უნდა
მიევაბარო, იქნებ ჩემი მკერდის მწუხარებამ და პატიოსნებამ, ჩვენი
შთამომავლობის უცოდველობამ თუ სინათლემ გაამრავლოს იგი
რიონჭალის ნოყიერ მიწაზე.

ბეგთა ჯოხდაბჯენილი უყურებდა მეუღლეს.

ვარსკვლავისამ ცალ-ცალკე ჩაფლა გაპოხიერებულ რბილ ხნულ-
ში მარცვლები. როცა წამოდგა, ქმარს პირდაპირ შეხედა და თქვა:

— არ შეიძლება, ბეგთა, ამ მარცვლებმა არ გაიხაროს.

— ჩვენმა დიდმა სიყვარულმა ძალა და ლონე უნდა მისცეს ამ
თესლს. ლომის მარცვალი ჩია და პატარაა, ეს კი ხვავრიელია და
ძლიერი. იგი ჩვენს ხალხს დოვლათს შემატებს, ძვალსა და რბილს
გაუმაგრებს, ოთხფეხს გაამრავლებს და გაასუქებს.

დასავლეთიდან ზოგაურმა დაბერა. რიონის ტალღებმა ნაპირებს
ქარვისფერი შხეფები შეაფრქვიეს და მდინარის სილრმიდან ისევ
მოისმა ლოქოების თუ ზუთხების ბოლოების ტლაშუნი, ტყეში ირ-
მებმა და შვლებმა დაიფრუტუნეს. ეზოებში ათასფერმა ფრინველმა
იწყო ფართატი.

ბეგთა ვარსკვლავისას მიუახლოვდა, ათრთოლებული ხელები
მოხვია და ისე ჩაიხუტა, როგორც ახალგაზრდობის ყამს, დიდ
ზღვებს გადაღმა, მისი ცხოვრების პირველი გაზაფხულის დილას.

* * *

დრომ თავისი ქნა. ხანძარგადავლილ ადგილებში ახალი ყლორ-
ტები ამოიწვერა, ტევრებმა ისევ დაიწყეს შრიალი. ნასახლარზე

ახალი ოდები გაიმართა, ტყეში შველ-ირემი გამრავლდა, ეროები
ხარ-კამეჩის ფრუტუნი გახშირდა.

მოხუცი ცოლ-ქმარი სასოებით შეპხაროდა შველ-შეკარის ზრდას.

სიმინდის ყანამ თანდათან დაიპყრო სათესი მიწები. წელში მოხ-
რილი ბეგთა ლიმილით გაჰყურებდა ცისკენ აზიდულ, ვაკეაცის
მკლავისოდენა ტაროებს. პატარა ბიჭი ბაბუას სულ თან დაძღვდა.
ხელიხელჩაკიდებულნი მიუყვებოდნენ მდინარის პირს.

— აი, შეხედე, ბაბუ, მარგალიტისფერ ჭავლებს რომ იყრის რიო-
ნის ზედაპირი. მის ფსკერზე ისევ სუნთქავენ მოჩუხებულ წყაროები,
ისევ სულს ითქვამენ ბინადარი ლოქოები. — პატარა ბიჭი სახეგანა-
თებული უსმენდა ბაბუას.

მერე მოხუცი ფიჩის ცეცხლს დაანთებდა, ტაროს მოტებდა,
გადაფრჩხილავდა და, სანამ ნაკვერცხლებს მიუფიცხებდა, შვილი-
შვილს ეტყოდა:

— აი, დაიხსომე, ეს ბებიაშენის რძეა, შვილო, ტკბილიც არის
და ნოყიერიც.

ჭყინტი ტაროდან მართლაც რძისფერი შეეფები გარსკავლავები-
ვით ამოცვიოდა და ბაბუას თითებს და ბიჭის სახეს თეთრად დაცვა-
რავდა. როცა ტარო კარგად შეიბრაწებოდა, ბეგთა ისევ დაჭერდა
მარცვალს ბებერა ფრჩხილს და იტყოდა:

— ეს კი შენი კბილია, როცა ჩვილი იყავი, ბებოს ძუძუზე უქბი-
ნე. არ დაივიწყო, ბაბუ, ამ მარცვალმა ჩვენ სიმღიდრე და დოვლა-
თი შეგვძინა. — სიმინდის შემწვარი მარცვლიდან მართლაც ბავშ-
ვის კბილის ტოლა თეთრი სათესლე ამოვარდებოდა, — ბიჭს ნამ-
დვილად სჯეროდა ბაბუას სიტყვებისა.

— ეს რა არის, ბაბუ? — შეეკითხებოდა და სიმინდის ფოჩებს
უჩვენებდა.

მაშინ მოხუცი მეთევზე ბლუჭად ამოგლეჭდა სიმინდის ფოჩის
შენამულ ფაფუკ გრძელ-გრძელ ლერებს, გადაგრეხდა, შვილი-
შვილს ულვაშივით მიაწებებდა და ლიმილით ეტყოდა:

— ეს კი ჩემი ულვაშია, ბიჭო, მალე შენც მოესწრები, შვილ
ამას, ვინძლო არ შეარცვინო!



ეროვნული

ეს ამბავი მე რიონისა და გუბისწყლის ნაპირებზე ტექირგანკარის სახე

— იმერელი კაცი დედის ძუძუს რომ ტუჩის მოაშორებდა, მერე სიმინდი იყო მისი საზრდო, — მითხრეს კოლმეურნე გლეხებმა.

შეშმარიტად ასეა. ვისაც კყინტი სიმინდის რძით სავსე ტაროზე კბილი დაუდგამს, დაჰკვირვებია, თითქოს ბუნებას თვალთეულ მარცვალში მართლაც ჩაუტანებია ჩვილი ბავშვის თეთრი კბილივით ნაწილი. შეიძლება ვარსკვლავისას ძუძუს თავების თეთრი და კყინტი ფერიც იმიტომ აქვს მის შებაევებულ მარცვლებს, რომ ისიც დადის მკერდივით თბილი რძით არის ყოველთვის სავსე.

ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ სიმინდის მწიფე ტაროებზე გადამოშვებული ფოჩები ბეგთას ულვაშის ეშს აგონებდეს ამ ამბის შემქმნელს.

კველაზე მართალი კი მაინც ერთია: ბეგთას და ვარსკვლავისას შთამომავლობა — კოლმეურნე გლეხები სასოებით თესენ და ზრდიან მის ხვავიან და ბუნებით მღიდარ ყანებს.



როგორ გააჩინა ჭყლის ჯვეთმა ნაპირზეალი

ზაზას ბებოს — მარიამ მიგრიაულის სოფელი თერგის ნაპირზეა გაშენებული. აქ, ციცაბო კლდეებს შორის თერგი აქაფებული ეხეთ-ქება ქვა-ლოდებს და მარგალიტისფერ შეფეხბს ცას ესვრის. ბებიას ძმისწულები ახლაც ამ სოფელში სახლობენ. გასულ ზაფხულს ზაზას დედ-მამა მიგრიაულების ოჯახს ესტუმრა. ზაზას მამა ცნობილი ინუინერია. მთავრობამ მას დარიალჰესის პროექტის შედგენა დაავალა. მთელი ზამთარი ქალაქში შეუსცენებლად მუშაობდა. შუა გაზაფხულზე კი წასასვლელად მზადება დაიწყო.

— მივლინებაში მგზავნიან თერგის მიდამოებში, — უთხრა სახლობას. — ბარემ იქ გავატაროთ ზაფხულიც, მარიამ მიგრიაულის სოფელიც ვნახოთ, — გაიხუმრა და დედას შეხედა. ბებოს ძალიან გაუხარდა.

— დიდი ხანია აღარ ვყოფილვარ, ჩემი მიწა-წყლის ჰაერი მეც მომიხდება და ბავშვებსაც ჯან-ლონეს შემატებს, — ბუტბუტებდა იგი და ბარგს ალაგებდა.

ზაზას ძალიან მოეწონა სოფელი. იგი თერგს ზემოდან გადასცემ-როდა. მამა მთელ დღეს მდინარის ნაპირზე ატარებდა, — შუშები დაჰყავდა, რაღაცას ხაზავდა, რუკებს ადგენდა. ბებო კი ზაზას არ

შორდებოდა და, ვიდრე სადილს ამ ვარში ამზადებდნენ, ათას-
ნაირ ზღაპრებს უყვებოდა შვილიშვილს.

ხანდახან თერგზე მეთევზები ამოდიოდნენ. ზაზა გულისფრა-
ცქალით დასდევდა მათ და სველ ბადეში გამოხსნილ აფაოთხალ-
პულ კალმახებს ხელით ეფერებოდა.

— ზაზა ბიჭო, დაიღლები, ბებო გენაცვალოს.
— არა, ბებო, რა დამღლის, ხედავ, როგორი წინწკლები აქვთ
კალმახებს?

— როგორი წინწკლები აქვთ, შვილო? — განზრახ გაიკვირვებ-
და ბებია მარიამი.

— აი, დაკვირდი, თითქოს ნაკვერცხლები დაპყროდეთ ტანზე.
— მერე რა, ბებო შემოგევლოს, კალმახის მოდგმას ხომ ყველას
ასე აქვს.

— მერე რატომ არის ასე, რატომ არ ქრება ნაკვერცხლები თერ-
გის ცივ წყალში?

— განა მართლა ნაკვერცხალია, შვილო?! მარტო ფერი აქვთ
ასეთი!

— ფერი თუ არის, ბებო, რატომ თერგის წყალი არ რეცხავს?
— რატომ? ჰო, მარტლა, დამავიწყდა, ერთი კარგი ამბავი უნდა
გიამბო, ბიჭო, ვიცი, მოგეწონება.

ზაზა-ბიჭმა სიხარულით ტაში შემოჰკრა.
— ახლა მიამბობ, ბებო?
— ახლა რა დროსია, შვილო? სალამოს. მამაშენმაც მინდა გაიგო-
ნოს, მასაც ეხება ეს ამბავი.

— მერედა, მამამ არ იცის? — გაოცდა ზაზა.
— იცის, როგორ არა, შენზე უწინ მისთვის მითქვამს, მავრამ
ვახშმის შემდეგ საქმე არაფერი გვაქვს და იმასაც გავახსენებ.

ზაზას მთელი დღე არ უცელებია, ჩაფიქრებული იყო და გულის-
ფართქალით ელოდა მოსალამოვებას. დაღამდა. გარეთ უკვე არც
ფრინველთა უივილ-ხივილი ისმოდა, არც ფუტკრების ბზუილი. ჰა-
ერში მხოლოდ ლორთქო მწვანე ფოთლების და ყვავილების სუნი
იდგა. სიბნელეში ბუნებაც დაყუჩებულიყო. მამამ აღრე ივაბშეა
და, სანამ ბებია და შვილიშვილი ჩაის შეექცეოდნენ, ნახაზების სწო-
რებას შეუდგა.

— მალე დაამთავრებ, შვილო? — ჰკითხა ბებომ.

— რა იყო, დედა?!

— ხომ გახსოვს, თენგო-ჭაბუკისა და ბოროტი დაზის მამაში
შინდა ზაზა-ბიჭის მოვყუვე.

მამამ ფანქარს ხელი გაუშვა. ღიღხანს ღიმმორეული შეცყრებ-
და ბებოს და თავის პატარა ბიჭიკოს, მერე კი თქვა:

— მართლაც, კარგი იქნება. მახსოვს, ან როგორ დამავიწყდება.
მაგრამ ერთი პირობით, მერე მეც ჩემსას მოგიყვებით.

— როგორ, შვილო? განა შენ სხვანაირადაც ვაიგონე ის ამბავი?

— არა, დედი. მე მისი დასასრული ვიცი. შენ დაიწყე და მე გან-
ვაგრძობ.

— დაიწყე, ბები, დაიწყე! — ვერ ითმენდა ზაზა.

ბებომ ჭურჭელი დარეცხა, თაროშე დააწყო და ტახტზე ჩამოჯდა.
მამამ კალთაშე დაისვა ზაზა. ორივე გაინაბა.

— კარგად იცით, — დაიწყო ბებომ, — როგორ ყინულივით ცა-
ვია თერგის ბობოქარი ტალღები. ოქვენ თვითონვე გინახავთ, რა
მალალი და თვალუწვდენელი გრანიტის კლდეები დაცყრებს პი-
ტალოზე შენარტებულ და კვამლით აბოლებულ მის შეფეხს. ზე-
მოთ, სულ ზემოთ, მწვერვალები თეთრი, მარად უდნობი თოვლით
დაფარულან და ამიტომ პიტალო კლდეთა ფერდებიც მუდამ ცივნი
არიან. საშიშ წრიახებში არჩვი და ჭიხვი ბუდობს, თერგის ყინუ-
ლოვან შეფეხებში კი კალმახი. ჭიხვესა და არჩვს კავკასიის კალთებ-
ზე მოჩხრიალე მუავე წყაროების სმა და ყინულის ლოკვა უყვართ.
კალმახს კი თერგის ცივ ტალღებში ნავარდი. გაზაფხულზე, როცა
მთის კალთებზე შეფენილი მდელოები მწვანედ აბიბინდებიან, შურ-
თხები ბარტყებს დასჩეკენ და ცას მიბჯენილი ხეები ფრინველთა
სტვენა-უივილით აიგსება, ეს მიღამოები მეტად საამო სანახავია.
მრავალი წლის წინათ, ყინულოვანი თერგის ნაპირზე დედა-შვილი
ცხოვრობდა თურმე. შვილს თენგო ერქვა, დედას — მაია. ადრე
დაქვრივებულ ქალს მხოლოდ ეს პატარა ბიჭი დარჩენოდა და დიღი
სიყვარულით ზრდიდა. თენგო-ბიჭი დილიდან დაღამებამდე მშვილდ-
ისრით ფრინველებს დასდევდა, ხელბადით კი — თევზებს. წყალში
კალმახს იქერდა, მწიფე ყანაში კი მწყერს. თვითონაც კალმახივით
მარდი იყო და ფრინველივით მოფრთხიალე. ცნობისმოყვარე ბიჭი
პირველ ხანებში დედას ყველაფერს უჭერებდა. ერთხელ თენგომ
შინ ფრინველის კვერცხები მიიტანა.

— ახლავე უკან წაიღე, ბიჭო! — გაუშერა დედა, — ფრინველი
დაგწყევლის, ფათერაკი შეეცმის.

— რად ჯავრობ, დედო! მე მხოლოდ შენთვის მინდობას მეტად მისუა
ბინა! — შეწუბდა თენგო, — შეხედე, დედიკო, სულ სხვადასხვა
ზომისა და ფერისანი არიან?

— ფრინველები დიდებიც არიან და პატარებიც. ფერიც ხომ
სხვადასხვანაირი აქვთ? — ახლა თვითონ შეეციხა მაია.

— ჰოდა, სად შოულობენ, დედიკო, ფრინველები ამ ფერებს?

მაია ოდნავ ჩაფიქრდა და თენგო-ბიჭის ღიმილით უთხრა: — რო-
გორ თუ სად შოულობენ, ხედავ, ჩემო ბიჭუნა, რა წარმტაცი საღ-
ბავებით შემყულა ყველაფერი ჩვენს გარშემო? წყალს სხვა ფერი
აქვს, მიწას სხვა. ახლა ყვავილებს დააკვირდი? ყველა თავისი ფე-
რით უყურებს ცასა და დედამიწას. ფრინველის საკენკიც კი სულ
სხვადასხვაფრად ლივლივებს. ხის ტოტებს თუ კლის ქიმსაც თა-
ვისი ფერი აქვთ. ჰოდა, დროთა განმავლობაში ეს საღებავები
დიდმა ბუნებამ ნელ-ნელა გადასდო ფრინველებსაც. სხვადასხვა
ფერით შემოსა და ააჭრელა.

ჩაფიქრებული თენგო-ბიჭი უკანვე გაიქცა, ისევ მოძებნა ფრინ-
ველთა ბუდეები და ნანადირევი კვერცხები თავის ადგილზე ჩაწყო.

ასე ტებილად და სიყვარულით ცხოვრობდა დედა-შვილი. დრო
გავიდა, თენგო სიჭაბუქეში შევიდა, ხასიათი შეიცვალა. თერგვალმა,
მთის მაღალ წვერზე კოშკი იდგა, იმ კოშკში ერთი ქალი ცხოვ-
რობდა, დარია ერქვა — ბოროტი ქალი იყო თურმე. თავად
უშვილოს სხვისი შვილები შესძულებოდა. წვრილი და ქო-
რივით მოკაუჭებული ცხვირი ჰქონდა, ბასრი, ჩაშავებული კბილები
ეშვებივით გადმოეყარა. გაყვითლებულ, ძვალტყავად ქცეულ თი-
თებზე ისეთი ფრჩხილები ჰქონდა თურმე, ჯიხვებს ღაღრივდა ყელს.
თმებიც გრძელი ჰქონდა. ორ ლერ ბეწვს გადაგრეხდა და მაღალი
მწვერვალიდან გადმოეკიდებოდა. ხევიდან ხევზე ბაწრებად გააბამ-
და და ზედ კატასავით გადაირბენდა. მთის ყველა ბილიკი იცოდა.
ყოველი წყაროს წყალი მისი ტუჩებით იყო გაბინძურებული. ახლო-
მახლო სოფლელები შიშით და ზიზით იხსენიებდნენ დარიას.

ცაზე ვარსკვლავების თვლა იცოდა თურმე და წყალში — თევ-
ზისა. ბოროტ დარიას გაეგო თენგო-ბიჭის სიკარგე და თვალთვალი
დაეწყო.

ერთ დღეს თენგო და მაია ეზოში იყვნენ. კარგი დარი იღვა. წრიახ მთებს შუა გადმოჭრილი მზის სხივები სვეტ-სვეტად დგომოდა თერგის ნაპირებს. აქაფებული მდინარე კლდეებს ჩამოა. დედა-შვილი ეზოს წინ ბოსტანს თოხნიდა. უცებ, ისეთი საოცარი კივილი მოისმა, თითქოს კლდე ჩამოირღვაო. შეშინებულმა მაიამ შვილს შეხედა. ჭიუტი ბიჭი იყო თენგო, წარბი არ შეუხრია. ნელა ადგა და კლდისპირს გადახედა. ქვემოთ, აქაფებულ მდინარე-ში დარია ბანაობდა. ტალღებს ქარივით თავზე ევლებოდა და მისი გამყივანი კისკის-კივილი კიდით-კიდემდე გაისმოდა.

— დარია ქაჭია, შვილო, თვალი არ შეგასწროს, დავიღუპებით.

— ბებერმა ქალმა როგორ უნდა შემაშინოს, დედი?! — გაეღიმა თენგოს.

— შენ არ იცი, შვილო, დარია ლამაზი ჭაბუქების მტერია.

— რა უნდა მიყოს, დედი!

— ვაი ჩემს მოსწრებას, შვილო, ეგ ყველა უბედურებას შეგვამთხვევს.

არ დაიჯერა შვილმა დედის რჩევა და — მანდ რომელი ხარო, — გადასძახა.

უცებ ყველაფერი დადუმდა, თერგმა თითქოს ტალღების ჩქა-ნი შეაჩერა და გაიღურსა. ფოთლებმა შრიალი შეწყვიტეს. ავის მოლოდინში ჩიტებიც კი ჩაჩუმდნენ.

შემდორებულ ტალღაზე დარია ფეხის ფრჩხილებზე შემდგარიყო, ხელი მოეჩრდილა და ისე იცქირებოდა.

— შენ თვითონ ვინა ხარ, აქეთ ჩამოდი! — თენგო გულადად წავიდა მისკენ. მივიდა და რას ხედავს: ცალ ხელზე რომ ხუთი ფრჩხილი ჰქონდა დარიას, მყინვარწვერის თეთრი ქიმისათვის ჩაევლო, ხოლო მეორე ექვსთოთა ხელს ჰაერში ფიტალივით აქნევდა. მიხვდა თენგო-ბიჭი, წყალს რომ არ გაეტაცნა, დარია მყინვარზე მოხვეული მკლავით იმაგრებდა თავს, მეორე ხელით კი საქბილოს ექებდა ყელის გამოსალადრად.

— დარია ქალო, მყინვარზე ხელი გაგიცივდება, მეცოდები, — ეშმაკურად გაესაუბრა.

— ხი-ხი-ხი! — ჩაიქირქილა დარიამ, — თუ ასე გეცოდები, აქეთ მოიწი, ტალღებმა და მყინვარმა მართლაც გამყინა, მომეხვიე და გამათბე, დაგიმაღლებ!

— არ მოეხვიო, შვილო, — მოესმა თენგოს დედის ხმა მაღლა-
დან. — ეგ შეჩევენბული ყელს გამოგლადრავს.

— ეს ვინ ოხერია?

— დედაქემია, — ამაყად მიუკო ბიჭმა, — მის დაუცურავად
ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამ; ხვალ კი მოვალ და გნახავ.

— მაშ, ხვალ გიცდი, — თვალების ბრიალით უთხრა გახარე-
ბულმა დარიამ.

მეორე დღეს თენგო-ბიჭი დედას გაეპარა. თან ჭიბის დანა წაი-
ღო. ფიქრობდა, ამით ფრჩხილებს დავაქნი, მერმე თერგში დავახრ-
ჩობ და ქვეყანას ბოროტებას მოვაშორებო.

მოტყუფდა ბიჭი. დარია ქალს ასე ვერ გააცურებდა გამოუცდე-
ლი ვაჟი. ბოროტმა ქალმა დანა შენიშნა და კიდევ უფრო მეტად
განრისხდა.

— ჩემი გათბობა ვინდა? — მაცდურად პეითხა.

— კი, დარია ქალო, შენი გათბობა მინდა, აბა, მოიწი აქეთ.

დარიამ შუათითის გრძელი ფრჩხილი მუჭში ატაკა თენგოს და
დანა გადაავდებინა. ახლა კი შეკრთა ბიჭი, უიარაღოდ რა უნდა
ექნა? გვიანდა იყო! ბოროტმა ქალმა თავისი თმებით შეუკრა ხელები-
და ტალღებში შეიტაცა.

გაისმა ქალის გესლიანი ხარხარი.

— მაია, მაია! — უძახდა ბოროტი სიხარულით თენგოს დედას, —
შეხედე შენს შვილს, თერგის ტალღები ათბობს შენი რძით გა-
ზრდილ მის სხეულს.

შეყულმა ქალმა თენგო-ბიჭი მდინარის შუაგულში ამოწვერილ
კლდის ქიმზე მიაკრა ნაწნავებით. გარშემო აქაფებული ყინულივით
მდინარე მეხის ძალით ასკდებოდა ქვასა და მიწას. ხელშეკრულ
თენგო-ბიჭს ძლიერი ტალღები ნაფოტივით ათამაშებდა. მაია სახლს
გვიდა, როცა ხარხარი გაიგონა. თითქოს ტანმა უაზრა უბედურება.
სირბილით ჩამოვარდა ხევში და შვილს თვალი შეავლო.

— შეხედე და დატები! — ხითხითებდა დარია.

— ვაი შენს დედას, შვილო! — დაიკვნესა მაიამ.

— არაფერია, დედი, — აიმედებდა ვაჟი და ტალღებს ებრძოდა.
აქაფებული მძლავრი მდინარე აქეთ-იქით ახეთქებდა ღონეგამო-
ლეულ მის სხეულს. დარია ქალის ნაწნავები სალტესავით შემოჰ-
კვროდა მაჯაზე და ხელის განძრევას უშლიდა. წვალობდა ბიჭი.

ტალღა ხან ჩაითრევდა, ხან ამოაგდებდა. დარიას უხაროდა შისა წა-
მება და გესლიანად ხითხითებდა. ცივზე ცივია თერგის ტალღები.
გაუჭირდა თენგოს, გაიყინა. სახსრები მოუდუნდა. ორი დღე-დამე
ებრძოდა ხელფეხშეკრული ტალღებს. ორი დღე-დამე დარბოლა უზე-
დური დედა შვილის გარშემო და ხელი ვერ მიაწვდინა. წყალში შე-
ცურება ცადა მაიამ, — მუხლებამდე ჩავიდოდა აბობოქრებულ ტალ-
ღებში, მქლავს გადაუწვდენდა, მძლავრი ტალღა ტყვიასავით. და-
გაახდოდა, წაპეცვდა და ისევ ნაპირზე გამოაგდებდა. არ იცოდა, რა
ექნა. ცრემლები. ლვართქაფად სდიოდა უბედურ ქალს, თერგის ცივ
ტალღებში ცვიოდა და თენგო-ბიჭისკენ მიცურავდა.

— დედი! — ამოკვნესა ბიჭმა, — სითბოსა ვგრძნობ, ნუთუ
თერგის წვეთები გათბნენ!

— ეს შენი გამწარებული დედის ცხელი ცრემლია, შვალო.

— რამ გაათბო ასე, დედიკო?

— შენმა სიყვარულმა, შვილო!

ცრემლები თენგოს მოთენილ სხეულს ეხვეოლნენ და ოდნავ
ათბობდნენ, მაგრამ სწრაფად ცივდებოდნენ. ბევრი თერგის ტალ-
ღებს ერეოდა და იკარგებოდა.

თერგში დასაბამიდან კალმახი იცოდა. მედგრად აპობდნენ ყინუ-
ლოვანი წყლის ტალღებს და ისარივით დაპქროლნენ ცივ ჩქერებში.
შეეცოდათ დედა-შვილი. თენგო-ბიჭს შემოეხვივნენ და მოფერება
დაუწეუს. დედა კი ტიროდა და ტიროდა. დაიღალა ქალი. დასუსტდა.
ლონე დაელია, გაუშრა ცრემლი. ახლა თვალთაგან თბილმა სისხლის
წვეთებმა დაუწყო ცვენა. მდუღარე წვეთები წვრილ-წვრილი ნა-
პერწკლებივით ცვიოდნენ თერგის ცივ ტალღებში და კალმახებს
წინწკლავდნენ. შენიშნეს კალმახებმა ცრემლის სითბო. შურდული-
ვით მიპქროდნენ თენგო-ბიჭისკენ და დედის სისხლნარევი ცრემლით
გამოთბარი წინწკლები მიპქონდათ. ცოტა შეუთბა სხეული ბიჭს. ოდ-
ნავ შეება იგრძნო. არ გამოეპარა დარიას კალმახების სიკეთე. ჯერ
გაოცდა, ბრიალა თვალებით დააშტერდა მათ; მოეჩვენა, თითქოს
თევზებს წვრილ-წვრილი ნაპერწკლები დაპქონდათ თენგოს სხეუ-
ლის გასათბობად. საშინლად გაბრაზდა. მყინვარწვერს ფრჩხილები
კიდევ უფრო მაგრად ჩასო, სქელი ყინულის გარსი შემოამტვრია
და თერგში ჩაყარა. კიდევ უფრო გაცივდა წყალი, კიდევ უფრო გაი-
ყინა თენგო-ბიჭი.

— ზი-ბი-ბი! — ისევ ბოროტად ახითხითდა დარია. შეხედა დედა
მაიამ ყინულის ვეება ნამსხვრევებს. მიხვდა, რომ ყვილაფერი დაი-
ღუპა.

— გაიყინე, შვილო? — ეკითხებოდა მწუხარე დედა რენტენის
ბიჭის.

— ულმერთოდ ცივი ყოფილა, დედიკო, თერგის ტალღები.

— რით გაგათბო, ჩემო ბიჭო, რა ვილონო?

— რა მეთქმის, დედა, ბოროტი დარიას მსხვერპლი ვყოფილვარ!

— პატია რომ იყავი, გაომშილ თითებს სულის შებერვით გით-
ბობდი, შვილო!

— ახლა შენი თბილი სუნთქვა ვერ მიშველის, დედი!

— პატარა რომ იყავი, შვილო, შეციებულ ჩეილ სხეულს თბილი
ნაბდით გიფარავდი!

— თერგის ჩქერები ცივია და ნაბდის ნახევი ვერ გაათბობს,
დედა.

— ცრემლი გამითხა, ჩემო ბიჭო, მდუღარედ მექცა!

— ყინულის ნატეხებმა შთანთქეს მისი სითბო, დედაჩემო.

— ვაიმე, დალუპულ შენს დედას! — ამოიკვნესა მაიამ და სიპ
კლდეზე ჩაიკეცა.

კიდევ მეტად შეეცოდათ კალმახებს დედა-შვილი.

— იქ, მყინვარწვერის სამყაროში, სადაც პირველი ყინულის
ნატეხი ღნება და წყლის პირველ წვეთად იქცევა, — თქვა ერთმა მო-
ხუცმა კალმახმა, — სამი ბრძენი მოხუცი ცხოვრობს. თუ თენგოს
დედა მათ კითხავს რჩევას, იქნებ რაიმე ეშველოს ბიჭის!

— გზას ვინ მიჩვენებს? — ჩაიჩურჩულა თვალცრუმლიანმა
დედამ.

— მე თვითონ გაგიძლვები, — უპასუხა მოხუცმა კალმახმა. გა-
უდგნენ გზას.

თევზი მდინარის ჩქერს მიჰყებოდა. ჯერ თერგის შენაკადებში
გადავიდნენ, შემდეგ კი პატარა ყინულოვან ნაკადულებში. მაია
ბილიკ-ბილიკ მისღევდა კალმახს. დედა კარგად ხედავდა თავისი
სისხლნარევი ცრემლების შეცებს მის ტანზე. ისინი ნაპერწკლები-
ვით ელავდნენ და გზას უშეუქებდნენ. იარეს, მრავალი გორჩავი გა-
დაიარეს და ყინულებს შეუდგნენ. ზემოთ და ზემოთ, თანდათან და-
პატარავდა ნაკადულები, თანდათან იკლო წყალმა. როგორც იქნა,

ნიალწიეს იმ ადგილს, სადაც ყინულის ნატეხი წყლის ნამად იქცება. გარშემო სიჩუმე სუფევდა. მთელი სამყარო თეთრად ელგარებდა. მოხუცი კალმახი ფარფლებზე შედგა და ისე დაიწივლა. ორმ ყრნულის მთამ კანკალი დაიწყო. ხმა არავინ გასცა. ისევ შედგა ფარფლებზე თევზი და ახლა უფრო ძლიერ დაიწივლა. მთას ყინულის ქერქი ჩამოსკდა და ხევებში ხრიალით წავიდა. თურმე ყინულებს სამი ბრძენი მოხუცის გრძელი წვერი ეხვია გარს. მათ თეთრ, ნათელ სახეებს მუდმივი თოვლის სამყაროში ვერ გაარჩევდით.

— რისთვის მოსულხარ? — იკითხა ერთმა მათგანმა.

— რამ შეგაწუხათ? — ჩაიბუხუნა მეორემ.

— რას მოითხოვთ ჩვენგან? — დინჯაღ თქვა მესამემ.

თვალცრემლიანმა თენგოს დედამ მოხუცებს თავისი დარღიგანდო და დახმარება სთხოვა.

— შენი ცრემლები იყო, ასე თბილად რომ ეცემოდნენ თერგის ტალღებში? — გაიკვირვა პირველმა.

— დიდ მწუხარებას გაუთბია, — თავისთვის თქვა მეორემ.

— ამიერიდან ადამიანის ცრემლში დიდი სიყვარულის ნაპერ-წყალი იყიაფებს! — ჩაილაპარაკა მესამემ.

— დედის ცრემლმა ეს სითბო და ნაპერწყალი თერგის ცივ ჩქერებს გადასცა. მისმა წვეთებმა უჩინრად უნდა შემოინახონ იგი, — ჩაფიქრებით თქვა პირველმა ბრძენმა.

— ოდესლაც ამ ნაპერწყალმა ადამიანებს სინათლე და ბედნიერება უნდა მოუტანოს, — ისევ დაიბუხუნა მეორემ.

დაღამდა. მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავები აციმციმდნენ, მათი ნათელი, ცივი შუქი თენგოს მწუხარე დედას უფრო ცივად ეჩვენებოდა. მიხვდა, მდუღარე ცრემლის ნაპერწყალი უკვდავებაში გადასულიყო.

— შენმა თვალებმა ბედნიერი ნაპერწყალი შვა, ქალო! — წყალი რად თქვა მესამე მოხუცმა, — დასაბამილან წყალი და ცეცხლი მტრები იყვნენ. წყლის წვეთი აქრობდა ნაპერწყალს, ცეცხლი აშრობდა წყალს. ოდესმე შენი ცრემლის ნაპერწყალი ბედნიერებასა და სინათლეს მოუტანს თენგო-ბიჭის შთამომავალთ.

— მე კი ეს ნაკვერცხლებივით ბრჭყვიალა სისხლნარევი წინ-

წკლები არც კი მომაშორეთ! — ნალვლიანად თქვა მეგზურმა კალ-
მახმა.

— დე, ეგ შინწკლები შენი სიკეთის მუდმივ დაღად დარჩება,
ჩაიჩურჩულეს ბრძენმა მოხუცებმა და გაუჩინარდნენ.

მართლაც, მას შემდეგ კალმახებს სისხლის წვეთებივით ნაპერ-
წკალი ყურიათ ტანზე.

— კი მაგრამ, თენგო-ბიჭს რა დაემართა, ბებო? — იკითხა ზა-
ზამ.

— ეს ამბავი, — თქვა ბებომ, — ჩემმა პაპამ მიამბო. თენერა-
ბიჭი ბოროტ დარიას თერგის ჩერებში გაუყინავს. ახლაცო, ამბობ-
და მაშინ პაპა, თერგის ტალღებიდან დედის თბილი ცრემლი რამ
ცისკენ გაიწევს, იქ ღრუბლებად დაგროვდება, ნაპერწკლები ერთმა-
ნეთს მიუახლოვდებიან, ელვა-მეხს აჩენენ და დარიას დასდევენ და-
სამეხად. მაშინ უნდა ნახოთ დარიალის ხეობა! ისიც არ დაგავიწყ-
დეს, — ჩაურთო ბებომ, — რომ დარიალი დარიას გამო ჰქვია ამ ხეო-
ბას. ბოროტებას ამ ხეობაში ცეცხლის ნაპერწკლები დასდევენ, სა-
დაც კი მოიხელებენ, დამეხავენ. დიდი ნაწილი დედის ნაპერ-
წკალჩაბუდებული ცრემლისა ისევ წყლის წვეთში არის შენახული,
თურმე. — დაასრულა ბებომ ნაამბობი.

ცაზე ვარსკვლავები ციმციმებდნენ. ლია ფანჯრიდან თერგის
გრილ ნიავს ტალღების დგაფუნი ეხმიანებოდა.

— აბა, მამიკო, შენ რას მომიყვები ახლა? — ჰკითხა ზაზამ ჩა-
ფიქრებულ მამას.

— მოგიყვები, შეილო, — თქვა მან და დედის ნაამბობი განა-
გრძო:

— დიდი ხანი გავიდა ამ ამბის შემდეგ. წყლის წვეთში შემონა-
ხული ნაპერწკლის საიდუმლოება საიდუმლოებად დარჩა. მისი გა-
გება მხოლოდ ადამიანის დიდ სიბრძნეს შეეძლო. ხომ გახსოვს სა-
მი მოხუცის ნათქვამი — ეს ნაპერწკალი ადამიანებს ბედნიერებას
და სინათლეს მოუტანსო. ბრძენის ნათქვამს მხოლოდ ბრძენი გაი-
გებს, შვილო. ადამიანებმაც ისწავლეს, და ბოლოს, ამ საიდუმლოე-
ბასაც მიაგნეს. ახლა ჩვენმა ხალხმა იცის, როგორ მიიღოს მდინარის
ტალღებიდან ნაპერწკალი.

— მაშიქო, მიეხვდი, მივტვდი, — დაიყვირა ზანა-ბიჭი, შეც
ხომ ელსადგურებს აგებ, მაშასადამე, შენც იცი ეს საიდუმლო წელი
მამას გაეღიმა, — მეც ვიცი და მთელმა საბჭოთა წალიძმულებული
აი ახლა, დარიალზე რომ ელსადგურს ავაგებთ, მაშინ ხახავ რამდე-
ნი ნაპერწერალი და სინათლე გაჩნდება ხალხის სასიკეთოდ. — ზაზა
მამას მოეხვია.

— რა კარგი მამიკო მყავს! — ნელა თქვა და ბებოს შეხედა.
ბებო მარიამიც იღიმებოდა.



ყურძნის მთვარი

აჭარაში, სოფელ ახალშენში მოგხვდი. იმ დღეს კოლმეურნები ახალი კულტურის სახლის გახსნას ზეიმობდნენ. მაყურებელთა ორსართულიანი დარბაზი შეიღია სავარძელს იტევს. ვეებერთელა სცენა და ტალანები ქართული ჩუქურთმებით არის შემკული და მოოქროვილი. მაღალ თაღზე ყურძნის მტევნები მიუხატავთ. საჭ საუკუნეზე მეტი, აქაურ ქართველებს აკრძალული ჰქონდათ ვაზის გაშენება, ახლა კი არქიტექტორმა მათი საუკუნეობით ნანატრი სურვილი გაიხსენა და სასახლის გუმბათზე გააცოცხლა იგი.

ბათუმიდან და ახლო სოფლებიდან უამრავი სტუმარი ჩამოსულიყო ზემზე. ჩემს გვერდით მოხუცი იჯდა. გამესაუბრა, ლაზი ვარო, მითხრა, სოფელ სართვიდან. მისი სწორი სახის ნაკვთები, თეთრი წვერი და მაღალი ტანი მნაბეჭდს აჯადოებდა.

— ცოცხალი მტევნებივით იყურება, ჭო, ეს ნახატი! — მითხრა და გუმბათზე მიხატულ მსხმოიარე ვაზის ბარდს შემახედა. გვგონება, კუმბალს ახლა მოწყვეტ და პირს ჩაიტკბარუნებ.

ეტყობოდა, ძალიან მოსწონდა ნახატი.

— გაგიგონია ერთი თქმულება? — რატომლაც უცებ მეითა. მე მხრები ავიჩეჩე, — არა-მეთქი, მაშინ მან სკამი ჩემსკენ მოსწია, სახეში შემომხედა და დაიწყო:

— აბა, დაიხსომე, შვილო, სიბრძნით სავსე თქმულებაა. მგონია, ლამაზიც უნდა იყოს. აღგილ-აღგილ ჩვენი ზღვის ყურესავით წყნა-

რია და ლაუგარდოვანი, ადგილ-ადგილ კი ქარიშხალდაკრული ტალ-
ლებივით ბობოქარი.

პოდა, ერთ ჩვენს პაპის-პაპას ნაღირას (ასე ეძახდებენ, თურმე
სახელად) ლამაზი მეუღლე ჰყოლია. თვითონ შორეული გზების ნირ-
გაუტეხელი მენავე ყოფილა. კუნაპეტ ლამეში, როცა ერთმანეთს შე-
ხეთქებული ტალდა და ქარი ცის კალთებს ლოკავენ, მისი თვალები
ველურ კატასავით ხედავდა ბურუსიან ნაპირებს. ვეება გემის
ფსკერს ყვინთვით ათგზად შემოუვლიდა ქარიშხლის დროს.

ტანად დიდი არ ყოფილა, მაგრამ სხეული გემის ბაწარივით
ჰქონია დაგრეხილი, ხელისგულზე წისქვილის დოლაბს მოაბრუნებ-
და თურმე, მის ბეჭებზე კი ლელო ბურთის მინდორი გაიშლებოდა.
მუხლიც მაგარი ჰქონდა, ჯეირანს დაეწეოდა სირბილით. მის მეუღ-
ლეს სახელად დინდინა რქმევია. თვალების ფერი და წარბ-წამწამი
შავი ჰქონია, სხეული თეთრი და თვალმიმტაცი. მისი ღიმილი გულ-
წასულ ვაჟკაცს მოაბრუნებდათ, ამბობს თქმულება.

მაშინ ლაზეთში ბექა ჯაყელი იყო ქვეყნის ბატონ-პატრიონად.
სწორედ ამ ბექამ გაცვალა რჯული და სამშობლო, სახელადაც საფა-
რა დაირქვა.

დინდინას ქება სასახლის ყურამდე მისულა. ამბობენ, ქალების
სიყვარულმა რჯული გამოაცვლევინა ბექა ჯაყელსო. ბეღნიირება
ცოლების სიმრავლეში კი არ არის, შვილო, ცოლქმრულ სიყვარულ-
შია — ოჯახის სიყვარულში. კეთილშობილი და ვაჟკაცი კაცი მე-
გობარს და მეზობელს არ ულალატებს, თორემ ცოლი მეგობარიც
არის და ცხოვრების მეუღლედაც გაუჩენია გამჩენს.

ბექა-საფარას კი სხვა სანთელი და ფიქრი ენთო გონებაში. ქალ-
თან სიამოვნება ქვეყნის გათენებას ერჩია.

შიკრივის პირით უხმია ნადირა.

მენავეს გუმანით უგრძვნია ხიფათი, თვალებში სისხლი ჩასდგო-
მია: ცოლისთვის პირი მოურიდებია და თან საგზლის მომზადება
უთხოვა.

საზრიან ქალს მაინც არ გამოპარვია ქმრის ფერისცვალება.

— შენი სამი შვილის დედა ვარ, ნადირა, დასაშალი რა უნდა
გქონდეს ჩემთან, მითხარი, რა უბედურება დაგვატყდა თავსო, —
უთხოვნია.

ვაჟკაცი ოჯახს თუ ატყუებს, ყველასთან პირგაცბუნებული იქნე-

ბა... არც ქვეყანას დაინდობს. ნადირა არ იყო მატყუარა კაცი, მათ უმეტეს, ცოლ-შვილს არ აკადრებდა ამას. ვერ უთქვამს სიცოცხლე-და თავისი ეჭვიც გაუმნელია.

— ბოროტება უდევს გულში, ნადირ, ბექა-საფარას, — უთქვამს ქალსაც.

— შეიძლება, ხონთქართან მგზავნის მენავეთა უფროსად, — უცდია საქმის გაადვილება ნადირას.

— არა, ნადირა ჩემო, მგელი ფარეხთან მხოლოდ ცხვრის ხორცის ექებს დასაგლეჭად.

— რა ვიღონოთ აბა?

— მეც წამოვალ.

— შენ იქ რა ვინდა, ქალო, თვითონ უახლოვდები ჩვენი ოჯახის გაბახებას!?

— შენთან აბლოს ყოფნა ძალას მომცემს, ავ ფიქრს მომაშორებს, შეიძლება ცუდ საქმესაც აგვაცდინოს. ხომ იცი, ორი ადამიანის ნაფიქრალი მაინც სხვაა. შენს ჩოხა-ახალუხს ჩავიცვამ, ვაუზრად გამოვეწყობი.

ნადირა თვალებში ჩაცქერდა, დიდხანს იფიქრა და გადაწყვიტა.

— კარგი, წავიდეთ, ბალნები შენ ძმასთან გავგზავნოთ იმერეთს.

ახლანდელ ტრაპიზონს წინათ, უხსოვარი დროიდან, ლაზები „რკინის პალოს“ ეძახდნენ თურმე. ხის ბოძზე მიმაგრებული დიდი საზღვაო გემები ქარიშხალს ვერ უძლებდა. ლაზი კაცი კი ჰქონდა იყო. ზღვის თვალუწყელებ მინდვრებზე გზებს ექებდა და კვალავდა, მიწის გულში მადანს თხრიდა. იი, ერთმა პირველმა გამოიყენა რკინა-შერეული მიწა ბოძად და უბედურების თავიდან ასაცილებლად გემის ცხვირები რკინის თოვითვე მიაბა. ეს ბოძები შეუნიშნავთ შორეული გზებიდან მოსულ ნაოსნებს და ბოლაზ-ქალაქისთვის „რკინის პალო“ დაურქმევიათ.

პოლა, სწორედ ამ ქალაქში ცხოვრობდა მაშინ ბექა-საფარა.

გათენების უამს მისულა ნადირა სასახლეში.

ჭიშქართან ხვადი ლომი და ჭიქი ება თურმე შვიდფა ჭაჭვით. გაწვრთნილი მხეცები სტუმარს სასახლეში შეუშვებდნენ, გარეთ კი პატრონის უნებართვოდ თაგვი ვერ გამოძრებოდა.

— ვინ არის ეს ყმაწვილი? — იკითხა თურმე ბექამ, როცა ნადირას გვერდით დინდინა შენიშნა.

— ჩემი ცოლისძმაა, — ნაოსნობას ვასწავლი, თან წამოვიყვანე.

— ლამაზი ბიჭი ჩანს, ალბათ დაც ლამაზი ეყოლება, უკარქერებული ქილა ბექამ და თვალიც ეშმაკურად ჩატურა.

ხერხიანი კაცი იყო ნადირა, მაგრამ ბექა ჭაყელიც ოოდი იყო მიუხედრელი. ეშმაკს ორი შავი ფრთა აქვს, ბექას კი სამი აღმოაჩნდა, არ გამოეპარა, რომ მის წინ ქალი იდგა.

— იმიტომ გიხმე, ჩემი ნადირ, — მოეფერა სტუმარს, — რომ ხონთქართან უნდა წამეყვანე, მაგრამ ახლა სხვა გავიფიქრე. დაისვენე შენს ცოლისძმასთან ერთად, ხვალ სადილად გიწვევთ.

ეშმაკი კაცი გახლდათ ბექა-საფარა, არც ნადირა დახვდა უკუოდ. მიხვდა მისახვედრს. იმ დამით ნაცნობ მეზღვაურებში მიიკითხ-მოიკითხა, ფერ-ხორცით დინდინას მსგავსი მეძავი მოანახვინა, საჩუქრებით აავსო და თან ხვალინდელი დღის საქმეზე შეიძირა.

მამაკაცის ტანსაცმელში ულაბაზო ქალიც მშვენიერი ჩანს, ოდნავ კარგი შესახედავი კი, განსაკუთრებით მიმზიდველია. ნადირას შეცირებული ქალი აფთვალი როდი იყო. ამიტომ ვაჟის ტანსაცმელი მეტად დაიმშვენა.

მეორე დღეს ნადირა მხლებლებთან ერთად ეწვია სასახლეს. ღიმილით შეხვდა ბექა მიწვეულ სტუმრებს. ორივე გვერდით მოისვა. ახალი სჯულის თანახმად, შარბათით გაუმასპინძლდა.

— ეს შენი ცოლისძმა მომეწონა, ნადირ, — თქვა ბოლოს, — დამიტოვე, ნაოსნობას მე ვასწავლი, გავზრდი და ხონთქრის სასახლის რჩეულ კაცად ვაქცევ.

ამას რომ ამბობდა, რასაკვირველია, თვალებში ცხრა ეშმაკი უცინოდა, გონებაში ასი მზაკვარი უჯდა.

— თქვენი ნება იყოს, ბატონო, — თქვა ნადირამ მის გასაკვირველად და სთხოვა, ცოტა ხნით მეც ზღვისგალმა ქვეყნებისკენ გავივლიო, დაბრუნებისას შემოგივლით, თქვენც გნახავთ და ჩემს ცოლისძმასაცაო. აღვილად მიზანმიღწეულ მთავარს გონებაზე ნისლი გადაეკრა. ოქრო-ვერცხლი აჩუქა და გზა დაულოცა. ნადირამ იმ საღამოსვე შორეულ ქვეყნებში წამსვლელი უცხო გემი მონახა, დინინაც წაიყვანა და გზას გაუდგა.

მოთვალთვალეებმა ბექას მათი გამგზავრება მოახსენეს. ნადირა კი შუა ზღვაში ნავზე გადაჭდა, ნაპირ-ნაპირ იარა და რაონის შესართავთან ხმელეთზე ამოვიდა. როცა ჭაყელმა თავისი გაბიაბრუება

შეიტყო, ნადირა და მისი მეუღლე საშიშ საზღვრებს გაცილებული იყვნენ. ბექა ცხენს მოახტა და სარფისკენ გამოსწია. — ნადირას ოჯახი რომ იძერეთს გახიზული დაუხვდა, უფრო გახელდა. უკან გაბრუნდა, ისევ „რკინის პალოში“ ჩავიდა. უბედურების დაატყდა თავს მთელ მის სახლობას. ნადირას მოყვანილი ქალიც გაპარულიყო. ვერც მეთვალყურებმა იპოვეს, ვერც გზირებმა.

წლები გავიდა. სტამბოლში, ხონთქრის სასახლესთან ბექა-საფარას მხლებლები ჩამოქვეითდნენ. ცხენისანთა ჯგუფს ერთი ჩადრიანი, მდიდრულად გამოწყობილი ქალი მიუახლოვდა და საფარა იკითხა:

— მე გახლავართ, — თქვა ბექამ, — რა გნებავთ?

— თქვენი ნახვა მინდა, ბექა ბატონ!

ბექას გაუკვირდა ქართულად ნათქვამი სიტყვები.

— ამაღამ მარტო თქვენ გელით, უმხლებლებოდ. — უთხრა ქალმა და ადგილი დაუნიშნა.

დიდი და ლამაზი ქალაქია სტამბოლი. მისი სასახლეები და ცაში ატყორცნილი სვეტები ზღვის ულამაზეს უბეს გადაპყურებს. ერთი ასეთი სასახლის წინ გაჩერდა იმ საღამოს ბექა ჭაყელის ბედაური.

უმშვენიერესი ბაღი ერტყა გარშემო სასახლეს. მარმარილოს კიბის თავზე ბექას სთხოვეს იარაღი დაეტოვებინა.

ზვიაღმა და ამაყმა კაცმა უარი ვერ თქვა. იარაღი ჩაბარა, გაოცებული აღიოდა ცაში შეტყორცნილ, ჰაეროვანი, მარმარილოს სასახლის კიბეზე. ტალანებს ჭვრეტდა და უფრო და უფრო აოცებდა თვალუნახავი სიმდიდრე. ოქრო-ვერცხლით და აბრეშუმით მორთულ დარბაზში ათასსანთლიანი ჭალი ეკიდა. შუა დარბაზში ორი სავარძელი იდგა. ერთზე პირბადიანი ქალი იჯდა. ბექას დანახვაზე წამოდგა და შეეგება. მდუმარედ მიუთითა მეორე სავარძელზე. ბექა გაოგნებული დაჭდა. ქალისთვის თვალი არ მოუშორებია.

— რას მიბრძანებ, ქალბატონ?

— არ გაგიკვირდეს, ბექა-ბატონ, — წყნარად თქვა ქალმა. — დიდი ხანია გელოდით. ვიცოდი ხონთქართან მოგიხდებოდა ჩამოსვლა. ეს სასახლე და ოქრო-ვერცხლი თქვენი და ერთი კაცის წყალობაა. მოთმინება იქონიეთ და მომისმინეთ, თან სიტყვა უნდა მომცეთ, რაც არ უნდა გაიგონოთ, არ აღელდეთ. თუ ამას დამპირდებით, მხოლოდ მაშინ გაიგებთ ყველაფერს.

ბეჭა კიდევ უფრო გაოცდა.
„ჩემი წყალობით ეს ოქრო-ვერცხლი და ქონება?! არა ეს ქალი
ნამდვილად შეირყა“, — გაუელვა უცებ.
— არ აღლდებით? — ისევ წყნარად იკითხა ქალმა.

ბეჭა შეირხა.

— გონს ვერ მოვსულვარ, ქალბატონო, არც ვიცი რა გნებავთ
ჩემგან, ან მაინცდამაინც რატომ უნდა ავლელდე?

ფართო ფანჯრები ღია იყო. ბალი ზღვისპირს გადაპყურებდა.
ერთ ხეზე ორი მიმინო-კაპუსტი კიბკიბებდა. ფეხებზე ეჟვნები ებათ
და აელარუნებდნენ.

— თქვენ მიმინოები გიყვარდათ, ბეჭა-ბატონო, — თქვა ქალმა,
თითქოს ბეჭას სიტყვები არ გაუგონია. — მეც შევიყვარე ეს
ფრინველები. ჩემი მოსამსახურენი ხანდახან მწყერზე მანადირებენ.
ესეც ხომ თქვენ შემაყვარეთ!

ბეჭას თითქოს ხანჯალი დაპკრეს ბეჭის თავზე, ვეფხვივით წა-
მოვარდა.

— ნუთუ ეს თქვენა ხართ?

— მიცანით? თუ მართლაც არ დაგავიწყდით, არ შეგძლები-
ვართ. მე კი მეგონა მომქლავდით.

— თქვენ ნადირას მოყვანილი ქალი ხართ, აი ის ქალი, დინ-
დინას მაგივრად რომ...

— სწორედ ისა ვარ, — წყნარადვე თქვა და პირბადე გადა-
იძრო, — მიცანით?

ბეჭას წინ იდგა სწორედ ის ქალი, მაგრამ საოცრად დამშვენე-
ბული და დამწიფებული. მაშინ გამხდარი გოგონა იყო. ახლა ხორც-
შებატიებული და ელვარე. მაშინ თითქოს მცირეწლოვანების ბუ-
სუსები ეყარა სახეზე, არც ისე ლამაზი ჩანდა. ახლა მისი თვალები
აი, იმ კაპუსტების თვალებივით აფრქვევდნენ სხივებს.

„პაი, ბეჭა ჭაყელო, ნუთუ ასეთი ქალი გყავდა იმ ორიოდე ლა-
მეს? არა, ეს შეუძლებელია. ბიჭის... — თავში დაპკრა სულ სხვა
ფიქრმა ახლა ბეჭას. — შეიძლება იმ ნადირამ მართლა თავისი
ცოლი დამიტოვა. მერე იმ ქალმა, ამ ქალმა, თავის თავზე ზღაპარი
შეთხზა, ამით ისარგებლა და ხელიდან დამიძვრა. კი, ნამდვილად
ასეა, გამაცურეს, ნამდვილად გამაცურეს, — დაასკვნა და ისევ

ქალს შეხედა. — სწორედ ნაღირას ცოლია, მხოლოდ ასე ლაშაზ/ ქალს გაუვარდებოდა ისეთი სახელი მთელ ლაშეთში“/ ერთობენ კარგი გადასახლების მიზანით თუ კერა? — ღიმილით შეეკითხა ისეგა მაგრა გადასახლების კარგი გადასახლების მიზანით თუ კერა? — ღიმილით შეეკითხა ისეგა მაგრა გადასახლების კარგი გადასახლების მიზანით თუ კერა? — ღიმილით შეეკითხა ისეგა მაგრა გადასახლების კარგი გადასახლების მიზანით თუ კერა?

— მიცანით თუ კერა? — ღიმილით შეეკითხა ისეგა მაგრა გადასახლების კარგი გადასახლების მიზანით თუ კერა? — ღიმილით შეეკითხა ისეგა მაგრა გადასახლების კარგი გადასახლების მიზანით თუ კერა? — ღიმილით შეეკითხა ისეგა მაგრა გადასახლების კარგი გადასახლების მიზანით თუ კერა?

ქალმა მისკენ გადმოდგა ნაბიჭი. იგი მიხვდა, რომ ბექამ მთლად ვერ იცნო, მაგრამ ქალის გუმანით ისიც იგრძნო, რომ ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია.

— დაგვიწყდით? — მე კი, სულელს, მეგონა, არ დამივიწყდით. თვითონ მე ბევრი უბედურება ვნახე. მაგრამ ვერ დაგვიწყდით, ან როგორ შემეძლო, მე ხომ თქვენი ბავშვის დედა ვარ.

ეს კი მეტისმეტი იყო. ბექა ჯაყელს ტანში ქარიშხალი ჩაუდგა.

— რა თქვი, ქალო, მე შვილი მყავს?! — მკლავები დაუჭირა და თვალებში ჩახედა.

— თქვენ თვითონ ნახეთ და მიხვდებით, ნამდვილად მიხვდებით, — წყნარად უპასუხა ქალმა.

უსაზღვრო იყო ბექას სიხარული. ბექა ჯაყელს, რომელსაც ათეულ წყვილ ქალთან ბავშვი არ ეყოლა, თურმე ღვიძლი შვილი ჰყოლია. შეუძლებელია. ეს ქალი რომაეს, ან რაღაც ქაჭურს ქსელავს. „არა, არ წამოეგო ახალ სიცრუეს. შენი სიმტკიცე და სიბრძნე არ დაპქარო, არ იცერცეტდე!“ — მოუწოდა თავის თავს.

— რატომ გაჩუმდით, — იწყინა ქალმა, — არ გაგიხარდათ ეს ამბავი? ან შეიძლება გერცხვინებათ ჩემგან შვილი. პოი, ღმერთო ჩემო, — აშკარად დაეტყო დიდი წუხილი. ბექა ისევ დუმდა.

— დაბრძანდით, მომისმინეთ, მერმე როგორც გინდათ ისე მოიქეცით, — იგი სწრაფად შებრუნდა და სავარძელში ჩაჯდა. ბექას კი ხელით მეორე სავარძელზე უჩვენა.

ბექა უნებლიერ დაემორჩილა მის ბრძანებას და გულწრფელ თხოვნას.

— მე, — დაიწყო ქალმა, — არც აი ვიცი სადაური ვარ, ოთხი წლისა მომიტაცეს. მხოლოდ ის მახსოვს, ცხენით როგორ მივყავდა პირახვეულ მამაკაცებს, ნაბადში გახვეული. შემდეგ სტამბოლში ჩამომიყვანეს და ერთ ვაჭარს მიმყიდეს. ცამეტი წლისა ვიყავი, როცა იმ ველურმა სურვილი აისრულა. შემძულდა ყველაფერი,

ქვეყანას ჩემთვის თალზი გადაეკრა. ჩემს იღბალზე ვაჭარი მაღლე ზღვაზ
შთანთქა. მეც გავიპარე, თქვენს ქალაქში მოვხვდი და სწორებული აქ
ხანებში, ნადირას გადავეყარე. მისმა პირობამ შემატებული ქამარები
ოქროებით დამაჯილდოვა. შვიდი დღე-ღამე ვიყავი შენთან ჯა
შეიდას წელსაც რომ ვიცოცხლო, არ დამავიწყდები. მეფერებოდი,
როგორც ცოლს, ყველა სურვილს მისრულებდი, ყველა ჩემს
ნაფიქრალს ხვდებოდი. შემიყვარდი პირეელი, მართალი სიყვარუ-
ლით. მაშინ შენც ახალგაზრდა იყავი. მე უბელურს მომეჩვენა, რომ
გიყვარდი. შენი მოტყუება არ ვისურვე და სიმართლეში გა-
მოვტყდი, — შენ ჯერ გაოცდი, მერე ხელი მკარი და საღლაც
გაქრი, მივხვდი, რომ შენი დაბრუნების შემდეგ იქ არ დამედგო-
მებოდა. ხომ გახსოვს, რამდენი რამით დამასაჩუქრე, ყველაფერს
ხელი მოვხვიყ, ღმით გავიპარე და ისევ სტამბოლში ჩამოვყევი
პირველსავე გემს. ერთი კაცი მომეხმარა, ვაჭრის ქონებიდან მემ-
კვიდრეობის ნაწილი მივიღე, შენი და ნადირას ნაბორები ოქროც
დავატრიალე, და აი, ხომ ხედავ, სტამბოლში ვარ. შენი ქალიშვილი
ახლა პატარა აღარ არის. მას საუკეთესო აღმზრდელები ზრდიან,
მაგრამ მამის შესახებ არაფერი იცის. ასეული ღამეები გელოდი.
ვიცოდი, უნდა ჩამოსულიყავი, გითვალთვალებდი. ოქვენ მხარეშიც
დავიქირავე მეთვალყურენი, მთელი შენი ცხოვრება ხელისგულზე
შაწერია. ყველაფერი ვიცი ბექა ჯაყელის შესახებ. აი, ახლა შევიყა-
რენით და შენ პირში წყალი დაიგუბე, გაჩუმდი, ალბათ ჩემთან
შვილის ყოლა გერცხვინება.

— არა ხართ მართალი! — ახლა კი ვეღარ მოითმინა ამდენ-
ხანს გაჩუმებულმა ბექამ. — იმიტომ კი არ დავიბენი, რომ ვერ გი-
ცანით, არა, ჩვენი შეხვედრა, დაშორება და ისევ თავის შეყრა უჩ-
ვეულო გარემოებაში მოხდა. სწორედ ამან დამაბნია, ათასი ფიქ-
რი ამეშალა. არ დაგიმალავთ და ჩემი გონების ეჭვმა დაიუფლა. ჯან-
დაბას ყველაფერი, რაღან შვილი მყოლია, ბედნიერი კაცი ვარ. ეს
ერთი სიკეთე მაკლდა ამქვეყნად და ისიც მომანიჭა გამჩენა. ამდენ
ხანს იმ ხეს ვგავდი, რომელსაც ტანიც ჯანსაღი აქვს და რტოებიც
ფართოდ აქვს გადაშლილი, ნაყოფი კი ვერ გამოუსხამს. ამიერიდან
სულ სხვა კაცი ვარ. გამიძეს და შვილი მაჩვენე. ქალო, გემუდარე-
ბი, შვილი მაჩვენე!

ქალს ფერი დაპქარებოდა. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.
ბექაც აცახცახებული შეპყურებდა.

— კარგი, შევიდეთ, ალსორულდეს! — თრთოლვით თქვა ქაუმა
და გაუძღვა.

ენით უთქმელი სილამაზის გოგონა იყო ბექას ნაშიგორი. მათ ასაცი
საოცრად გავდა. მისი ფართოდ გახელილი ნისლდაკრული შევითვა-
ლები, შოლტივით ტანი და გრძელი ნაწნავები უთუოდ ჯაყელების
გვარზე მეტყველებდა.

სიარული ქურციერით ფრთხილი და ნაზი ჰქონდა. ნაბიჭეს რომ
გადადგამდა, გეგონებოდათ, რაღაცას ეპარებაო. სწორი და ულა-
მაზესი სახის ნაკვთები მნახველებს ატყვევებდა. კერ კიდევ იწვა,
დედამისმა რომ ბექა საძინებელ დარბაზში შეიყვანა. გოგონამ გაი-
ლვიძა და უცხო კაცს გაოცებული თვალები მიაპყრო.

— აი, შევილო, მამაშენი, მოეხვივ და გაიხარე, — ჩვეული სი-
ნაზით უთხრა დედამ. ნამდინარეებმა გოგონამ უცებ ვერაფერი
გაიგო.

ბექას სუნთქვა შეეკრა.

— შენ მიშველე ქვეყნის გამჩენო! — დაიბლავლა და შვილი
გულში ჩაიკრა. გაფითრებული გოგონა წივილით გაუსხლტა ხელი-
დან და დედას მოეხვია.

— ვაი ჩემს დღეს, ერთადერთ ნაშიერსაც ვეუცხოვები. —
აღმოხდა ბექას.

ქართულმა სიტყვებმა გამოაფხიზლა გოგონა. დედა ასწავლიდა
და შხოლოდ მისგან ესმოდა ასეთი ლაპარაკი. ახლა იგი გაკვირვე-
ბით დააცქერდა მოსულს. ახსოვს, მხოლოდ ერთხელ, ზღვისპირზე
გაიგონა ასეთი ქართული. აი, იმ უცხო და ლამაზი ვაჟყაცისაგან. ის
ბიჭი მაშინ გემს გაჟვა და მერე აღარ უნახავს. მას შემდეგ ხში-
რად დალის ბოლაზზე, მაგრამ მის გზა-კვალს ვეღარ მიაგნო.

„იმ ბიჭის მამა თუ არი, — გაითიქრა, მაგრამ უცებვე გააბათი-
ლა ნაფიქრალი, — მას ხომ თან ახლდა მამამისი! აკი თვითონვე
გავიგონე, როგორ შეესიტყვა გემის ცხვირზე მდგარ ჯმუხა და ჭარ-
ბაგ მამაკაცს. მამაო, დაუძახა კიდეც. ნუთუ ეს კაცი მე მეძახის
შვილს!“ — ლოყები გაუწიოთლდა ქალიშვილს.

— თამუნია, შეილო, ეს შენი ღვიძლი მამაა, გესმის, დედიკო?

— მამაჩემია? მერე ამდენ ხანს სად იყო, რატომ ჩვენთან არ და-
დიოდა?

— ყველაფერს გატყვი, — დაიბნა დედა, — ზვალაფერს.
ბექამ გოგონას წინ დაიჩინქა.

— მოდი შვილო, შემხედე, კარგად დამაკვირდი, რომომ მიგუ
ვართ ერთმანეთს, განა შეიძლება სხვადასხვა სისხლი და ზორიცი ასე
ერთმანეთს დაემგვანოს? არა, შენ ნამდვილად ჩემი შვილი ზარ,
ნამდვილად.

გოგონას კარგად გაახსენდა დედის ნაამბობი,—მამაშენს მიმინო-
ები უყვარდაო. ზედ ფანჯრის ახლოს ჰყავდა მიბმული, ისე ჭიათ
კი არ შეეძლო, ამიტომ მიყვარს მეც ესენიო. გაახსენდა და უნებ-
ლიეთ გახედა ლია ფანჯარის.

მიმინოები ისევ კიბკიბებდნენ. გოგონას მზერას მამამაც გააყო-
ლა თვალი და მიუხვდა ფიქრს.

— კი, შვილო, ჩემი საყვარელი ფრინველებია, სახლში რომ წა-
გიყვან, შენ თვითონ ნახავ, სწორედ ასევე მყვანან ფანჯრის ახლოს
დაბუღებულნი.

— განა თქვენ სხვა სახლში ცხოვრობთ? — გაიოცა გოგონამ.

— ისიც შენია, ჩემო შვილო და ესეც.

„ალბათ ის ლამაზი ბიჭიც იქ ცხოვრობს“. — გაიფიქრა თამუ-
ნიამ.

— როდის წამიყვანთ?! — იკითხა უცებ.

— როცა შენ მოისურვებ.

— დედიქო, შენც წამოხვალ ხომ? ალბათ ის ვაჟიც იქიდან
იყო, ხომ გახსოვს, მე რომ გითხარი?

დედას მკვდრის ფერი დაედო. ბექას არ გამოპარვია ეს ფერის-
ცვალება.

— რომელ ვაჟზე ლაპარაკობს, ქალო, ჩემი გოგონა?

— ბოლაზზე შეხვედრია, ორი სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანე-
თისათვის. — ჩაფიქრებით თქვა ქალმა, — მგონია, ნაღირას ბიჭი
უნდა იყოს.

— ნაღირასი? — ენა დაება ბექას. — ნუთუ ისინი გადარჩენ?

— ფაზისის ნაპირებიდან დაპყავს მომცრო გემი. ჩემმა მეოთვალ-
ყურეებმა გაიგეს.

— დედიქო, შენ გცოდნია და მე კი არ მითხარი?! — დალონდა
თამუნია.

ბექამ დაკვირვებით შეხედა. მიხვდა, გოგონას გულში ჩავარდნოდა კაბუკი.

— სად შენ და სად ის, შვილო, შენ მეფის შვილი წერილი მონის ნაშიერია.

თამუნიამ გაოცებით შეხედა. ღიდხანს უყურა და გაჩუმდა.

წყნარად გაუშვა დედას ხელი, წყნარადვე შემობრუნდა და ნელი ნაბიჯით გავიდა.

დედ-მამა გაოგნებული მისჩერებოდა.

მესამე დღეს მეთვალყურეებმა თამუნიას დედას ამბავი მოუტანეს, ნადირა ცოლით და ვაჟით სტამბოლში ჩამოვიდათ.

ქალი ჩაფიქრდა.

— თუ ვაჟსაც გულში აქვს ჩავარდნილი თამუნიას სახე, აუცილებლად მოაკითხავს. თადარიგი მმართებს. — მართლაც, საღამოს ზღვისპირზე უცხო ვაჟი შენიშნა. ქალი ახლდა. იგი კიბეზე დაეშვა. პირბადე აიფარა და სანაპიროზე გავიდა.

— ამ სახლში უნდა იყოს, დედი, — მოესმა ვაჟის ხმა.

„ნამდვილად ეს არის ნადირას ბიჭი, ტანსაცმელიც ქართული აცვია. ეს ქალი ვინ არის? — შეტოკდა თამუნიას დედა. — ღმერთო ჩემო, რა მშვენიერია, ალბათ ეს არის დინდინა, როგორი ტანი და სახე აქვს! ბექა ჯაყელი ახლაც თავს გასწირავდა მისთვის, ჯანდაბას, მან არ უნდა გაიგოს ამათი მოსვლა. ეს ბიჭი კი თამუნია ეძებს. გულში ჩავარდნია და დედა წამოუყვანია სანახავად“.

— შვილო, იქნებ მოგელანდა, ქართველ ქალიშვილს ამ ოხერქალაქში რა უნდა?

— არა, დედი, ჩემი თვალით ვნახე, ჩემი ყურით გავიგონე ვისი სიტყვები.

— თუ ესაუბრე, შვილო, არ კი გითხრა ვისი ქალია, მშობლები ვინა ჰყავს?

— მითხრა, მამაჩემი ჩვენგან შორს არის, მე დედასთან ერთად ვცხოვრობო. მდიდარი ჩანს ძალიან.

— შვილო, გული დაიოკე. მდიდარი ქალი ჩვენს ოჯახს არ ეგების.

— ვითომდა რატომ? განა ცუდი ბიჭი ვარ! დადიანი ვერ მეტყვეს უარს. მე მხოლოდ ის მომეწონა, უმისოდ სიცოცხლე გამიმწარდება.

— შვილო, შენ ცოდნა დიდი გაქვს, ზღვისა და გემის საქმე
კარგად იცი, მაგრამ სიმდიდრეს თავისი კანონი აქვს. ჩერტვების
ლოდ დადიანის მოსამსახურენი ვართ.

— დედახემო, ხომ გითხარი, ქალიშვილმა თვითონ მიხმა
გაშინ.

— გაჩუმდი, ბიჭო, ვიღაც ჩადრიანი ქალი გვითვალთვალებს
მგონი. — დინდინა ქალს დაკვირდა.

თამუნიას დედა ისე დაიხარა, თითქოს რამეს ეძებდა.

— ჩადრიანი ქალი, დედი, ჩევნს საუბარს ვერ მიხვდება.

— რა იცი, შვილო, მამამ თქვა, ფათერაკიანი ქალაქიაო. — სწო-
რედ ამ დროს ვაუმა უცხო ქალისაკენ მიიხედა. თამუნიას დედას
კინალამ კვნესა აღმოხდა.

ასეთი სილამაზის ვაუკაცი არსად ენახა. ხორბლისფერ სახეზე
დიდრონი, წაბლისფერი თვალები ნაპერწკლებივით ანათებდა. წაბ-
ლისფერივე ახალამოსული ულვაში ოდნავ ემჩნეოდა. მაღალი, ძარ-
ღვიანი ბეჭები მის მოძრაობას ვაუკაცურ იერს აძლევდა. ისიც შე-
ნიშნა, ნაბიჯი მსუბუქი, მაგრამ მტკიცე ჰქონდა.

— რას ეძებ, ხანუმ, იქნებ მოგეხმაროთ კიდეც, — ზრდილო-
ბით და მოკრძალებით ოსმალურად ჰქონდა ვაუმა.

„ხმაც მეხივით ჰქონია, ამ დალოცვილსო, — გაიფიქრა ქალმა. —
აქაური ენაც სცოდნია.“

— ბეჭედი დავკარგე, შვილო, ალბათ ზღვისკენ გადავორდა.

— ძირთასი იყო, ხანუმ, თქვენი ბეჭედი?

— სახსოვარი იყო, შვილო ჩემო! თქვენ აქაური ირ უნდა
ბრძანდებოდეთ, — თავის მხრით შეპყითხა ქალმა.

— ჩევნ შორიდან ვართ, — უპასუხა დინდინამ შვილის მაგივ-
რად.

„კო, ამასაც სცოდნია თურქული“, — გაიფიქრა ისევ თამუ-
ნიას დედამ და ხმამალლა დაუმატა, — ქრისტიანი იქნები. ჩადრი
არა გხურავს.

— კი, ქრისტიანი ვარ.

— ქმარი უთუოდ ვაჭარი იქნება, თუმცა სახით დედოფალს
გავხართ. — ეს ქართულად უთხრა. დედა-შვილი გაოცდა. დინდინამ
საყვედურით გადახედა შვილს.

— ჩემი ქმარი უბრალო მენავე, ზღვაზე მოარული კაცია. მე, ჩემო დაია, ამ ვაჟის დედა ვარ.

— ქართველი ქალი ჩანხარ, ქალბატონო, ჩაღრი კრისტიანი რავს. სჯული ხომ არ გამოიცვალე? — შეეკითხა ვაჟი.

— სჯული არ გამომიცვლია, ხასიათი კი შემიცვალა წელთა ულმობელმა სვლამ.

— ხასიათის გამოცვლას სჯულის გამოცვლა სჯობია, დედი!

დინდინას ალმური მოეკიდა. „ამ ქალმა ჩვენი საუბარი გაიგონა, ფათერაკი გველისო“, — გაიფიქრა.

— თქვენ ჩემი შვილის საუბარს ყურს უგდებდით, ხომ?

— დიახ, ყველაფერი გავიგონე.

— იცნობთ იმ გოგონას?

— თქვენ, ქალბატონო, მართალი ბრძანდებით, იური მდიდარია. და უბედურება ის არის, რომ თქვენი ოჯახის მტრის ქალიშვილია.

— ჩემი ოჯახის მტრის ქალიშვილია? — გაოგნებით გაიმეორა დინდინამ, — მტრის ქალიშვილი, — ვინა ჰყავს ჩემს იჯახს მტერი, ქალ?

— ის, ვინც ლაზეთს დააშორა შენი იჯახი.

დინდინას ფერი წაუვიდა. შვილის მხარს დაეყრდნო.

— რა მოგდის, დედა?! — მოეხვია ვაჟი.

— სწრაფად, სწრაფად წამიყვანე აქედან, შვილო, ეს ქალი ჭადოქარია.

— არა, დინდინა, ქალო, ალქაზი კი არა, ის ვარ, ვინც შენს იჯახს ჭირი აშორა, თვითონ კი მსხვერპლი გახდა იმ საშინელი თუ ბედნიერი ღამისა.

— ვაი, ჩემს დღეს უბედურს! — წამიყვირა დინდინამ. — გემზე, დათო შვილო, გემზე წამიყვანე ახლავე. მამაშენი, მამაშენი... — რამდენწერმე განწირულივით გაიმეორა.

ბიჭი გაოგნებით შესჩერებოდა ორივეს. არაფერი ესმოდა, დედა მანც მკერდზე მიიქრა და ჩასძახა:

— კარგი, დედი, გული გაიმაგრე, წავიდეთ!

— დინდინა, ისიც უნდა იცოდე, ბექა ამჟამად აქ არის, მხლებლებიც ბლომად ახლავს.

ამ სახელის გაგონებაზე დათო ტყვიანაკრავივით შემობრუნდა.

— რა თქვით, ბექა ჭაყელი ამ ქალაქშია? თამუნია ქართველია,

ესე იგი მისი ქალიშვილი ყოფილა, ვაჰმე უბუდურს! — აღმოხდა უნებლიერ.

— არაფერია, შვილო, — აკანკალდა დინდინა, — ლმეროშვილი გვიფარავს. დრო გავა და გადაგავიწყდება იმ გოგონას სახე. ახლა კი ამ ადგილს გავშორდეთ.

— არ გადამავიწყდება, დედაჩემო, არა, — ისე გულწრფელად წამოიძახა, რომ თამუნიას დედას ცრემლები გადმოსცვივდა.

— იცოდეს ლმერთმა, შენზე უკეთეს სიძეს ვერ ისურვებდა დედის გული, დათო შვილო, მაგრამ არ ეგების. ბეჭა პირსისხლიანი კაცია. მამაშენის დაუძინებელი მტერია. არ მოხერხდება ეს ამბავი.

— თქვენ თამუნიას დედა ხართ? — უცებ შემობრუნდა დათო მისკენ, — გევედრებით, ერთხელ მანახეთ მხოლოდ. სიტყვას გაძლევთ, ამ ქალაქში ფეხს არ დავდგამ შემდეგ. ვიცი, რომ მასაც ვუყვარვარ, ვაითუ ჩემზე მეტად ის დაიტანჯოს, მაშინ რაღა მეშველება მე უბედურს.

თამუნიას დედას თითქოს რეინის კეტი დაჰკრეს მუხლებზე.

„ვაითუ მართალი ხარ, — გაითიქრა თავისთვის — შენს სახელს ახსენებს, შვილო, მაგრამ რა მეშველება.“

— მხოლოდ ერთხელ შევხედავ მას, — განაგრძობდა ვაჟი, — ნუთუ არასდროს არავინ გყვარებიათ. თამუნიას დედა არ იქნება ასე ბოროტი. მე თქვენ დედად გიგულებდით, ფიქრით გეფერებოდით, ხომ ხედავთ საიდან მივლია და სად ჩამოვსულვარ. მოხუცი დედ-მამა შემიწუხებია. მხოლოდ ერთხელ დავინახო და მერე ყველაფერს ავიტან.

— კარგი, ამობრძანდით ჩვენსას, — უცებ გადაწყვიტა თამუნიას დედამ. — მაგრამ იცოდეთ, ვაუკაცის სიტყვა სიტყვად დარჩეს. მე შენს სახეს ვენდობი. რატომღაც მწამს, შენი ნებისკოფისა. ავიდეთ, თამუნიაც იქ არის. მხოლოდ უთხარი ისევ ჩამოვალ-თქო და შემდეგ შენმა კაცურმა სიტყვამ იცოდეს.

— არა წახვიდე, შვილო! — თითქმის დაიწივლა დინდინამ. — ვგრძნობ, უბედურებას გადაეყრები.

— არა თქვა ცუდი, დინდინა, შენც დედა ხარ და მეც. ჩემს სახლში დათოს ავი არ შეემთხვევა.

— დათო, შვილო, მამაშენს მაინც ჰყითხე, აქვე გული გამისკდება, თუ უმისოდ გაბედე იმ სახლში ფეხის შედგმა.

დათო შეყოყმანდა. ჩაფიქრდა. მერე ზღვისპირისკენ შემო-
ტრიალდა და მტკიცე ხმით თქვა:

— კარგი, მე გემზე ავალ, მამას ვეტუვი და ამ წუთს დაგრძნე-
ლები. — იგი სირბილით წავიდა ნაპირისაკენ.

— უმალ თამუნიას მოხვდება ტყვია, ვინემ შეს შვილს ცუდი
შეემთხვევა ჩემს ოჯახში, — უსაყვედურა დინდინას უნდობლობა
თამუნიას დედამ.

— მამამ უნდა იცოდეს ყველაფერი, მე უმისოდ ასეთი ნაბიჯის
გადადგმას ვერ გავბედავ, — დააშოშინა ნაწყენი ქალი დინდინამ.

სასახლის ბალში ფრინველები ჭიქჭიკებდნენ, ხანდახან მიმინოე-
ბის კიპკიპიც ისმოდა. ამ ხმამ ისევ ბეჭა-საფარა გაახსენა დინდინას.

— მართალი ყოფილხარ, ბეჭაც აქვეა ალბათ, — შეესიტყვა ქა-
ლის დედას.

— ახლა ხონთქართან არის, მან თქვენი აქ ყოფნა არ იცის.
მაინც მითხარი, დინდინა, დათომ იცის იმ ღამის ამბავი?

— ჩვენს ოჯახში საიდუმლო არაფერია. მამამ ყველაფერი
უამბო შვილებს.

— შვილები კიდევ გყავთ?

— სამი ვაჟის დედა ვარ.

— მე კი მხოლოდ თამუნია მყავს, ეტყობა, შისი ბედიც ნისლია-
ნი და სევდით სავსე იქნება.

— რათა, ქალო, ალბათ ლამაზია. ბეჭას ქალიშვილს ისეთი რა
გაუკირდება.

— დათო უყვარს, მამასაც უშიშრად უთხრა თავისი გულისნა-
დები.

— ვაი ჩვენს დღეს უბედურს, ალბათ ბეჭა სიკვდილით გვემუქ-
რება.

— არ ვიცი, სიტყვა კი არ უთქვამს, ცივად მოშორდა ქალი-
შვილს და მას შემდეგ გარე-გარე დადის.

— ავი ნიშანია, ისედაც სისხლმწყურვალი კაცია.

— ამისი მეშინოდა, აი, რატომ გითვალთვალებდით.

სწორედ ამ დროს დათო გამოჩნდა, გვერდით იარაღასხმული
ნადირა მოჰყვებოდა.

— აი, მამაც აქ დაგვიცდის, ჩვენ კი ზევით ავიდეთ! — უთხრა
დედას.

— წავიდეთ, შვილო, რას იზამ, ავბედს თვითონ დაპყავს აღა-
მიანი თავის ნებაზე.

— ნუ შიშობ, დედი, მხოლოდ ერთ სიტყვას ვეტყვია უკუმეუ-
ლად წასულა არ შემიძლია.

თამუნია ჯერ კიდევ იწვა. ძილმღვიძარედ იყო. კარის ჭრიალმა
გამოაფხიზლა. ფეხის ხმას ყური მიუგდო. უცებ აილეწა და წამო-
ვარდა. დედა შემოვიდა თუ არა, გოგომ მის სახეზე ამოიკითხა და-
თოს ჩამოსვლა.

— ჩამოვიდა ხომ, იცანი?

— ჩაიცვი, შვილო და შეხვდი, — დედას ფერი სულ დაპყარგვო-
და. თამუნიას ელდა ეცა.

— შენ რატომ წვალობ, დედი, მამასთან პასუხს მე ვაგებ.

— ეჲ, ჩემო სიცოცხლევ, სამწუხაროდ, დედები ყველას წინაშე
აგებენ პასუხს.

პატარა ხნის შემდეგ თამუნია უკვე მზად იყო. სახე ეშხით ავსე-
ბოდა, ლოყები ვარდივით უღვიოდა. თვალებში ნაკვერჩხლები
ენთო.

აყანკალებულმა დედამ დარბაზში შეიყვანა, დინდინას ოხვრა
აღმოხდა.

— ქალი კი არა, ანგელოზი ყოფილაო, — ჩაიჩურჩულა ულო-
ნოდ და თან კარს შეხედა, ბექა ხომ არ შემოვიდაო.

— თამუნია, — დაიწყო დათომ, — ღმერთმა იცის, უშენოდ სი-
ცოცხლე არ მინდა, შეიძლება მოვკვდე კიდევ.

თამუნიამ სიტყვა შეაწყვეტინა.

— განა მე შემიძლია უშენობა? ახლავე წამიყვანე შენს ქვე-
ყანაში.

დ ა თ ო — სწორედ ამისათვის ჩამოვედი და მშობლებიც ჩამო-
ვიყვანე.

თ ა მ უ ნ ი ა — ნუთუ ეს დედაშენია, რა ლამაზი და კარგი ყო-
ფილა! დედაჩემსაც ჰგავს, ოჲ, რომ იცოდეთ, როგორ შეგიყვარებთ,
ქალბატონო?

დ ი ნ დ ი ნ ა — მე უკვე მიყვარხარ, შვილო, მაგრამ ბედსა
ჰკითხეთ, ამ ოხერ ბედსა.

თ ა მ უ ნ ი ა — რადა თქვი, დედა, ასეთი სიტყვა. ჩემი ბედი
დათოს გულშია.

დათო — ვაი, რომ ჩემი გული ხდება ჩემივე საფლავის
გამთხრელი.

თამუნია — რას ამბობ, დათო, აზრი შეგეცვალა?
ვარმა უბედურს.

დათო — არა, ჩემო სინათლევ, ჩემი აზრიც და გონებაც შენ
გექუთვნის.

თამუნია — მე კი შემაშინე, გული გამიხეოქე.

თამუნიას დედა — შვილო თამუ, მამაშენი და დათოს
ოჯახი დანასისხლად არიან.

თამუნია — ჰოდა, შერიგდებიან, ნუთუ მამებს შვილები არ
უყვართ!

დათო — მამაჩემი ორივეს მტლად დაგვედება.

თამუნია — განა ჩემს მამას ვძულვარ მე?

სწორედ ამ დროს კიბეებზე ბეჭას ლანდი გამოჩნდა. თამუნიას
დედამ თავისი ჩაღრი დინდინას მოახვია.

— სახე დამალე, მძახალო, ასე აჭობებს.

ბეჭა — მე შენს გარდა შვილი არა მყავს, დღეს ხონთქარსაც კი
ვახარე ჩემი სიხარული.

თამუნია — ჩემი სიხარული კი ეს არის, მამავ! შეხედე, აი,
დათო ჩამოვიდა!

ბეჭა — შენი არჩევანი, შვილო, ჩვენი ოჯახის დაღუპვაა.

თამუნია — შენი სიტყვა კი ჩემი სიკვდილია, მამაჩემო.

დათო — ბეჭა ბატონო, შეგვიბრალე, შეგვითვისე.

ბეჭა — უთვისარს ვინ შეითვისებს. მტერს ვინ შეიყვარებს.
გლახას ვინ გააკაცებს.

დათო — ვერც კაცურ კაცს დააგლახავებ, ბეჭა ბატონო, იცო-
დე, ჩვენც ადამიანები ვართ.

ბეჭა — მე ჩემი მითქვამს, კარგი ვაჟი ჩანხარ შენს ეზო-გარემო-
ში, ჩემი ეზოს ჭიშკარი კი სხვა გვარის კაცმა უჩდა შეაღლოს.

დათო — ჩვენ ერთი ხალხის შვილი ვართ.

ბეჭა — მე თავზე ჩალმა მახურავს.

დათო — მე კი ჩემი ხალხის ქუდს თავიდან ვერ მოვიშორებ.

დინდინა — უმალ ჩვენს ოჯახს მეხი დასცემია, შვილო!

ბეჭა — ჸა, ეს თქვენა ხართ, დინდინა? არ მინახიხარ და შენი
ჩხა კი მაინც ვიცანი.

თამუნიას დედა—ბექა, ჩემი ცხოვრება მღვრიე და უცა-
ტიურია, არც მამა მახსოვს და არც დედის მკერდის სითბო. მამაკაცის
თავზე მაინც ქართული ქუდი მირჩევნია.

ბექა — გაჩუმდი! მამაკაცის ქუდის გამოცვლა დუდურაცია უცა-
მე არ არის.

თამუნიას დედა — მე ჩალმიანი კაცების ღირსებაც ვაცი
და ქართულ ქუდიანებისაც.

ბექა — ქუდის გამოცვლა ტვინის გამოცვლას არ ნიშნავს. განა
მე ქართველი არა ვარ?

დინდინა — შენი ხალხი ქართველს ოლარ გეძახის, ბექა
ბატონო!

ბექა — ვითომდა რატომ? მე მწამს, ეს ახალი სჯული უფრო
იღამაღლებს ჩვენს ოჯახებს, ჩვენს ხალხს. დაუკვირდით ოსმალოთ,
ძლიერი სამეფო შექმნეს. დედამიწას შიშის ზარს სცემენ.

დინდინა — ხალხი შიშით როდი ყუჩდება, ბექა, ძალით ხალ-
ხის დარღს ვინ დააამებს? — იგი სისხლს გულში იჩვევს და დროს
უცდის.

ბექა — თითქმის ნახევარმა საქართველომ მიიღო ახალი სჯუ-
ლი. მალე თბილის-ქალაქშიც ოსმალოთა დროშა აფრიალდება.

თამუნიას დედა — ღმერთმა აშოროს ჩვენს ქვეყანას ასე-
თი ჭირი.

დათო — ბექა ბატონო, ნუთუ არ იცნობთ ქართველი კაცის
გზლისა და ფიქრს? განა არაბებმა ან მონღოლებმა შესძლეს მათი
გატეხა?

თამუნია — მამა, ამ ვეება ქალაქში მარტო მე და დედაჩემი
ვართ ქართველები. განა ჩვენ ოდესმე ასმალონი გაფხდებით?

ბექა თამუნიას შესცეკროდა. „მამაჩემის სიჯიუტე დაპყოლია.
ცოცხალი რომ იყოს, ისიც თავის ხელით ჩამცემდა სატევარს“. მე-
რე დათოს მიუბრუნდა:

— შენზე ბევრი საქებარი მითხრეს, მაგრამ თამუნია შენი ცოლი
ვერ გახდება. მძბობენ, ბევრი გიშავლია, ღლეიდან ესეც იცოდე:
ყმაკაცი შეფის ქალს მხოლოდ სიზმარში ან ზღაპარში თუ ეღირსება
მეუღლედ. მე მდაბილსთან პაექრობას არ ვარ ჩვეული, შენთან ჩემი
ერთადერთი ქალიშვილის პატივისცემა მაღაპარაკებს, ვიცი, რომ
მასაც მოსწონხარ. ვაჟკაცი ხარ და თავი ვაჟკაცურად დაიჭირე. ერ-

თიც გახსოვდეს, მამაშენი ყმა კი არა, დადიანიც რომ ყოფილია, მისი შვილი ჩემი ქალის ქმარი ვერ გახდებოდა. აწი შენ უცილესია თუ ხვალ თანმხელებლებით სტამბოლის ნაპირებზე გნახეს, უზეტესებელით შენი თავი ხოკერა კვახივით სულთანის კარიბჭეზე იქნება გამოკიდებული. მე ჩემი ვთქვი, შენ კი შენი ქენი. ეცავ, ჰქუა არ წააგო!

ბექა შებრუნდა და კარისკენ გაემართა. თითქოს არალაც გაახსნდა, უკან შემობრუნდა და თამუნიას დედას უბრძანა:

— ხონთქარს შევპირდი, ხვალ ქალიშვილთან ერთად უნდა ვეს-ტუმრო.

სიჩუმე ჩამოგარდა, ყველას თავზარი დაეცა. თვითეული გრძნობდა თამუნიას მწუხარებას, მეხის დაცემას.

დათო კანკალებდა. ხელი ძალაუნებურად ხანჯლისკენ გაურბოდა.

თამუნიამ ყველას თვალი მოავლო და მერე დედას მიუბრუნდა:

— მამა კი არა, შვილის მკვლელი მოგსვლია, დედაჩემო!

ბექას თითქოს არც გაუგონია ეს სიტყვები. კიბე ჩიარა და ბალის კარით ქალაქში გავიდა.

დათომ ფანჯრიდან დაინახა, როგორ შემოეხვივნენ მხლებლები, მათ შორის გაცხარებული საუბარი გაიმართა. ისიც დაინახა, როგორ ქურდულად უთვალთვალებდა მამამისი ბექას და მის მხლებლებს.

„რასაც მამა მირჩევს, იმ გზას დავადგებიო“, — გაიფიქრა და მისკენ გაიქცა.

— ამ წუთს დავბრუნდები, — ეს კი დაუძახა დედას.

— გვილმა შხამი შემოგანთხია? — შეეგება მამა.

შვილმა პასუხი არ გასცა, მხოლოდ შეხვედრის იმპავი უამბო.

არავინ იცის, რა ითათბირა მამა-შვილმა, მაგრამ იმ ღამით მათი გემი ყველას დასანახავად გასცილდა სტამბოლის ბოლაზს. ხოლო როცა ზღვაში შევიდნენ, ვერავინ დაინახა, როგორ მოწყდა პატარა ნავი გემის კუდს და შეუმჩნევლად ნაპირისკენ წამოვიდა. სწორედ ათი დღის შემდეგ, როცა ხონთქარმა ბექა ჭაყელი თეირანში ერთი კვირით დაასაქმა, სტამბოლიდან გაქრნენ თამუნიას დედა და მისი ქალიშვილი.

გაცოფებული ბექა მიწასა და კლდეს გლეჭდა. ქვეყნის ყველა

მხარეს დაგზავნა მსტოვრები. მათ კვალს ვერსად მიაგნო. თამუნიან
დედამ მთელი ქონება თითქმის ხელუხლებლად დატოვს.

„ცველაფერი წყალს წაუღია, — ფიქრობდა ბექა, ჭაჭაჭელი იყოს
თავიდან არ მენახა ჩემი ქალიშვილი, ვნახე, შევიყვარე, შვილად
ვიგულვე და მაშინ დავკარგე. არა, მე რა კაცი ვარ თუ მინი არ
მოვნახე.“

სამი წელი არბენინა ბექამ შიკრიკები. თვითონაც მრავალი ქვე-
ყანა მოიარა, ვერსად ვერაფერი გაიგო, ბოლოს „რენის პალოში“
ჩამობრუნდა და სახლში ჩაიქეტა.

ბექამ სამცხე-საათაბაგო თანდათან თავის რწმენაზე გადაიყვანა
და ქართველებს მამა-პაპის ძვლები გადაავიწყა. თვითონ კი მო-
ტყდა, ჭალარა შეეპარა, სახეზე ნაოჭები გაუჩნდა.

ერთ ღამეს მოახსენეს: — ვიღაც უცხო კაცი შენს ნაცვას თხო-
ულობსო. დარბაზში ჭარმაგი კაცი შემოვიდა. ბექას ცეცხლი ჩაუ-
დგა თვალებში.

შეხედვისთანავე იცნო ნადირა. ათრთოლებული წამოვარდა
ტახტიდან.

— დაწყნარდი, ბექა-ბატონო, დიდი საქმისათვის ჩოვსულვარ.

ბექამ ოდნავ წინ წადგა ნაბიჭი. შეატყო თავის თავს, რომ
ხმა საღლაც გაუქრა.

„დავბერებულვარ, მტერი სახლში თავის ფეხით შემოვიდა, მე
კი ხმაც ჩამივარდა“, — გაიფიქრა და ხმამაღლა დაუმატა:

— ჩემი მასპინძლობა ვერ გიშველის, ნადირა, ცსოვრება მომი-
წამლე, მაგრამ იცოდე, სიცოცხლეს გავიმწარებ! მერე თუ გინდა
ცოცხლად დამმარხონ.

წარბი არ შეუხრია ნადირას, მხოლოდ ერთხელ შეტოკდა. ბე-
ქას არ შეუმჩნევია ეს.

— კიდევ გიმეორებ, პირად საქმეზე არ მოვსულვარ. ხალხია
გამომზავნა. უნდა მომისმინო, მერე კი შენ იცი! — ბექას ოდნავ
დაუწყნარდა მშიერ მიმინისავით აბრიალებული თვალები, ნადირას
შეაჩერდა, მერე უკან დაიხია და სავარძელში ჩაჯდა. სტუმარს არ
უთხრა, დაბრძანდით.

— აბა, მოყევი, გისმენ!

— ქართველ ხალხს უჭირს, ოსმალები გლეჭენ და სწერენ

ნაწილ-ნაწილად. შენ გადაგვიდექი. მიწა-წყალი მტრებს მიუგდე
საჯიგნად. ვინც რჩულს არ გამოიცვლის, ყველაფერს ართმევეშე
საუკეთესო ოჯახებს სმალეთში ასახლებენ, რჩეულ დაჭმული და
ასულებს მონებად ყიდიან. ბექა-ბატონო, განა ჯაყელების გვარი
ასე იქცეოდა ოდესმე?

— მე საფარ-ბეგს მეძახიან ახლა, მონავ!

— მართალია, საფარ-ბეგს გეძახიან, მაგრამ გვარად კი ისევ
ჯაყელი ხარ!

— ბექა ჯაყელის გვარ-სახელი ჩემს სიცოცხლეშივე ჩაითვერ-
ფლა, აწი მას აღარიაის დაარქმევენ.

— ჩემმა რძალმა და შენმა ქალიშვილმა სახელად მაინც ბექა
დაარქვა შენს შვილიშვილს, — ახლა თვალი თვალში გაუყარა
ნადირამ.

— რაო?!—ვეღარ დაეტია სავარძელში ბექა-საფარა.—ვინ დაარ-
ქვა, ვის დაარქვეს?!

— შენმა ქალმა, შენს შვილიშვილს ბექა დაარქვა, ლაზთა ბა-
ტონო!

— ბექა დაარქვეს სახელად?! მაშასადამე, ვაჟი ყოფილა ჩე-
მი შვილიშვილი, — ეს ჩურჩულით თქვა, თათრული ფორთოხლის-
ფერი დაედო, კანკალი აუტყდა.

— ვაჟია, მესამე ვაჟი.

— მესამე ვაჟი?! მაშასადამე, სამივე შვილიშვილი ვაჟი ყოფილა.

— კი, სამივე ვაჟია. უმცროსი შენს გვარზე მონათლეს, ესეც
შენმა ქალიშვილმა დაიყინა, თუმცა მღვდლები წინააღმდეგი იყვნენ.

— მღვდლები წინააღმდეგი იყვნენ? — კიდევ უცრო გაოგნდა
კაცი, — მერედა, აბა ვინ ჩაწერა ჯაყელად?

— კათალიკოსმა დართო ნება. იმედი აქვს თქვენი, შეცდომას
მიხვდებაო.

— ვის პეგავს ის პატარა შვილიშვილი? — თითქოს ცკანასკნელი
სიტყვა არ გაეგონოს, ისე პკითხა ბექამ ნადირას.

— შენ გამგვანებენ, კათალიკოსმა თქვა, ნამდვილი ჯაყელიაო
და დაანათლა, განსვენებულ თქვენს მამას გავდესო.

ბექამ უნებლიერ ხმლისკენ წაილო ხელი, მაგრამ ისევ შედრეა,
ჩაფიქრდა და ნადირას გესლიანად ესროლა:

— პო, მე მოღალატედ მთვლიან ბაგრატიონები, ურჯულო კა-
ცი ვარ ხომ?

— კი, ასე გთვლის მთელი შენი ხალხი! — დინჯალ, დაუძირების
რი ნადირამ.

— კიდევ რა დაგაბარეს?

— კიდევ? აი ეს გამომატანეს, — ნადირამ ჩოხის უბეში ხელი
ჩიაყო და იქიდან მუჭისხელა გასანთლული ქაღალდის ტომსიკა
ამოილო. პარკიდან ხოჭოებივით ილანდებოდნენ ფრთიანი ჭიები.

— ეს რაღა! — გაოცდა ბეჭა-საფარა.

— ეს, ბატონო, ქართული დედათუტყარი გამომატანეს. გელა-
თის მონასტრიდან არის, ოდესალაც თქვენს პაპისპაპას შეუწირავს
ღვთისმშობლისათვის. მამლებიც გამოაყოლეს. ერთ ჯიშზე იმრავ-
ლებენო.

— მერე, მე რად მინდა ფუტყარი? თაფლი მაკლია თუ სანთლის
არაყი?

— ამის სანთლით შეევედროს ოშკის წმინდანებსო, დანაშაული
ეპატიებაო.

— ნადირა! — უკან დაიხია საფარ-ბეგმა. — ყველაფერი მიპა-
ტიებია, ახლავე გამშორდი, თავი არ შემომაკლა, არ მინდა ჩემს
შვილიშვილებს მეორე ბაბუაც მოვაშორო. წალი, ძმაო, წალი, შენი
გზა ნახე!

— ერთი შვილიშვილიც გამომატანეს შენთან. თუ მიბრძანებ,
მოვაყვანინებ!

ეს კი მეტისმეტი იყო. ბეჭას ქვედა ყბის ძვალი უკანკალებდა.

— ვინ მომიყვანე?

— უმცროსი შვილიშვილი. როგორც მოგახსენეთ, ბეჭა.

— მართლა მომიყვანე? — ვეღარ გაუძლო ბეჭამ ამ ცლუნე-
ბას, — სულ დამიტოვებ, თუ გინდათ მაჩვენოთ და სიბერე მომი-
შხამოთ.

ნადირამ არაფერი უპასუხა, მხოლოდ ისე შეხედა, ეტყობოდა,
რაღაც იდარდა. დიდხანს შეცბუნებული იდგა. ბოლოს უთხრა:

— ჩემს მუხლებზე გაზრდილია და გულითაც მე მგავს, ისე კი გა-
მოცხადებული შენი სურათია. ხალხის გულისათვის გავწირე იგი.
აქედანვე იცოდე, ოშალური ტალავარი არ მიაკარო და არც თვი-
თონ ჩაიცვამს.

— შემახედე, სად არის, მომიყვანე, — წაუყრუა საფარამ.

ნადირა გაბრუნდა. ბექა-საფარა სარკმლიდან დიდხანს ადევნებდა თვალს მიმავალს. მერე ტაში შემოჰკრა, ოთახში მსახური შემოვიდა.

— იმ კაცს უთვალთვალეთ, არსად გაგეპაროთ, თორემ...

მსახური გააკვირვა მისი სახის ფერმა და სისხლიანმა თვალებმა უხმოდ შემოვიდა და უხმოდვე გავიდა.

ბავშვი ექვსი წლის თუ იქნებოდა.

შეხედა თუ არა პატარას, ბექას თვალთ დაუბნელდა. ქვედა ყბა ისევ აუკანკალდა.

„ღმერთო შენით, ჩემი ბავშვობაა, ჩაქურაც თითქოს ჩემი იყოს, — აი, ის სირმები, მამამ რომ ჩამოატანინა თბილისიდან საალდგომო ტანსაცმლისათვის. ნამდვილად ის არის. აგრე სამხრეზე გადიას ხელით მოქარგული ფრთაგაშლილი შევარდნის ბარტყი“.

— თქვენი სიცოცხლე, ბაბუა-ბატონო! — სიზმარეულივით მოესმა ბავშვის ტკბილი ხმა.

— მოღი, შვილო თუ ქმაო, — აებლუკა ენა — მოღი.

ბიჭმა ნაბიჯს აუჩქარა, გამოწვდილი ხელებიდან მარჯვენა აირჩია და ხელი დაპკრა.

— გამარჯობა, ბაბუა! — ისევ გაისმა მისი იადონივით ხმა.

— გაგიმარჯოს, ბაბუ, გაგიმარჯოს, ერთი ეს მითხარი, საიდან მიცნობ, ბიჭო?

— სურათიდან.

— ჩემი ბიჭი ხანდახან ხატავს, თქვენი სახე გაუხსენებია და დაუხატავს. — ჩაიბუბუნა ნადირამ.

— იქ ქართული ქუდი გხურავს, ბაბუ, აქ თათარივით რატომ გაცვია? — ატიყტიყდა ბავშვი.

ბექას ხმა არ ამოულია. მხოლოდ ნადირას შეავლო ეჭვით სავსე თვალი. დიდხანს იყო ჩაფიქრებული.

ბიჭი კი მაინც არ გაუშვა ხელიდან.

„უნდათ ეს ბავშვი შემაყვარონ და ხელები მაგრად ჩამავლონ, მერე კი“...

ნადირას არ გამოეპარა ბექას თვალებში გაკრული კვესი.

— ბაბუა ნადირა, ნათლიას საჩუქარი არ აჩვენე ბექა-ბაბუა? — გაახსენდა ბავშვს.

ნადირა შეინძრა, თვალებში ნაპერშეკლებმა გაუელვა. ბექამ კი-
დავ უფრო იჭვნეულად შეხედა.

თრისტიანი

— ვინ არის ბავშვის ნათლია? — წყნარად იკითხია ბექამი.

— ხომ მოგახსენეთ, თვითონ კათალიკოსი.

— რა საჩუქარზე ამბობს ეს ბალანა?

— კაჭიჭის მტევანი გამოგიგზავნათ. ერთ დროს თქვენს პაპას,
დიდ ყვარყვარე ჭაყელს ფიცის გასახსენებლად გელათის ღვთის-
მშობლის ხატისთვის მიუტანია საჩუქრად.

ბექა-საფარას თვალები გაუფართოვდა.

— კაჭიჭის მტევანი? — ახლა მარჯვენა ბეჭიც აუკანკალდა.

— დიახ, გელათის წიგნ-ეტრატში გამომშრალი კაჭიჭის მტევა-
ნი. გელათის წიგნის — დიდი ყვარყვარე ჭაყელის
ხელით ყოფილა მოწყვეტილი და კოსტასთავში ცოტნე დადიანთან
ერთად საფიცრად ჩატანილი.

— მერჩე, ვითომ რად მინდა მე ასეული წლების წინ გამომხმა-
რი მტევანი?

— თვითონ მიხვდები, ბატონო.

ბექამ ბავშვს ხელი გაუშვა და ნოხებით მოფენილ იატაჟზე აღ-
ლებით დაიწყო სიარული.

— ისინი ფიქრობენ მონლოლების წინააღმდეგ ყვარყვარეს
შეფიცება ოსმალთა განსაღევნად მიემართო, არა?

— ორივენი ჩვენი ქვეყნის დამრბევნი არიან, ბექა ჭაყელო,
სხვა რჯულისანი.

— თქვენ დაგავიწყდათ, რომ მეც ჩალმა მახურავს?

— შეცდომა გამოსწორდება, ღალატი კი — არა.

— საქართველოც მალე მიიღებს მაპმალის რჯულს. სხვა გზა არა
გვაქვს.

— თქვენ რა მოგიტანათ მაპმალმა, ჩვენ რომ ვიწამოთ?! განა
ახალციხის ფაშის მონობა დასაკვეხია?

— ჩემმა გონიერამ ეს ირჩია, თქვენმა თქვენი თქვას.

ახლა ნადირას შეეცვალა ფერი.

— ეს არის თქვენი პასუხი ბექა-საფარო?

— ეს არის, ნადირა. მადლობა მითხარი, ჩემს თავთან ფიცი რომ
გავტეხე და ცოცხალი მიღიხარ. ბავშვიც წაიყვანეთ, მხოლოდ მალე
გამშორდი, სხვა ფიქრი არ დამედევნოს. ავი საქმე არ მაქნევინოს.

— შვილიც და ყურძნის მტევანიც, გიტუობა, ერთად შეგძუ-
ლებია, ჯაყელ!

— წალი, ძმაო, და იცოდე, აწი სამცხე-საათაბაგოში კვერცხ-
ეს ჯვრიანი ბავშვი იხეირებს და ვერც საღვინე ყურძნის მტევანი.

— გონებაძალუმი კაცი მეგონე, საფარა ჯაყელო. შევცდი, ამ
მიწაზე ის ბავშვიც გაიხარებს და ყურძენიც მტევნებს მოისხამს.

*
* *

მოხუცმა დაამთავრა თქმულება და ქისა ამოილო. გრძელ-
ბეჭვად დაჭრილი აჭარული ყვითელი თუთუნი ოქროს წვრილი
ფურცლებივით ამობრჷყვიალდა. მან ჩიბუხი გატენა და განაგრძო:

— შეცდა ჯაყელი. ახლა ხომ ხედავთ, ჩვენმა ბალნებმა საღ მია-
ხატეს ყურძნის მტევნები ამ სასახლეს. არა, ძმაო, ხალხს თავისის
ვერვინ დაავიწყებს, აჭარა თანდათან იმოსება ვაზით, ხეებზე ისევ
მრავლდება კაჭიჭის ნედლი ლერწი, ისევ გამოთალეს ჩვენმა ბალ-
ნებმა ცაცხვის საწნახლები, ისევ მონახეს ჭურის თავის გადასაგ-
ლესი აყალო მიწა, აღარ შენელდება აწი ჩვენს მარნებში მაჭრის
ჩუხჩუხი.

კულტურის სასახლის გუმბათიდან ისევ ისე მომავადოებლად
იმზირებოდნენ თაფლჩაწვეთებული, სავსე მტევნები, ზურმუხტის-
ფრად მოჩანდა კაჭიჭის ფოთლები, ისევ ლიმილით შესცემოდნენ
აღამიანები ამ დიდებულ ნახატს.

სცენის წინ არქიტექტორი ჯემალ ჭუმბურიძე ტრიალებდა.

— ამ ბიჭს მოუფიქრებია თეატრის გეგმა. შეხედე, რა ლამაზი
ვაჟკაცია. — ჩურჩულით მითხრა მოხუცმა. — ის მგონია, ნაღირას-
შვილიშვილი, საფარ ჯაყელი რომ ფიქრობდა, არ დაბრუნდებაო, —
მერმე დაფიქრდა, გუმბათზე მოხატულ ყურძნის მტევანს ისევ ახე-
და, ცოტა ხანს გაჩერდა და გასასვლელისაკენ წავიდა. კარებთან რომ
მივიდა, შემობრუნდა. არ ვიცი, მე მითხრა თუ თავისთვის ჩიილაპა-
რაკა:

— ის ბიჭიც დაგვიბრუნდა და ყურძნის მტევანიც, საკვირვე-
ლია, ორივენი დაბრუნდნენ, ორივენი.

* * *

ეზოში უამრავი ხალხი ირეოდა. მოხუცის ნაამბობით აფორია-
 ქებული ჩამოვედი სასახლის მაღალი კიბიდან. რატომდაც ნადირა
 დამიდგა თვალშინ. ნადირა კი არა, ის მოხუცი, ვინც მისი ამბავი
 მიამბო. მართალი რომ გითხრათ, ორივე ერთმანეთში ამერია.

ასეა ალბათ ცხოვრებაში, დღევანდელი ადამიანი გუშინდელი
 კაცის ამბავს გიყვება და თვითონ ჰგავს თავისი ნაამბობის გმირს.
 ეს მოხუცი, ისე ვით ნადირა, მტკიცედ უყურებს თავის სამშობლოს
 ქვაყუთხედს, მის დღესა და ხვალეს. სწორედ ამ ნათელი, წრფელი
 და სწორი გზით მავალი ადამიანების კვალს მიჰყვება ხალხი, მათი
 აზრით და საქმით მიიწევს წინ.

სხვანაირად არც შეიძლება. ასე იყო და ასე იქნება.



ხალდეს ყვავილები

ჩემს მეუღლეს სოფიო ასათიანს.

რამდენი ვარსკვლავიცაა ცაზე, იმდენივე ფერის ყვავილია დებამიწაზე. ისინი მუდამ ერთიმეორეს შესციცინებენ, ვარსკვლავები ციდან იღიმებიან, ყვავილები მიწიდან ესვრიან ცის გუმბათს ფერთა სიმშვენიერეს. სოფელ ხალდეშიც ასეა, ზევით ვარსკვლავებია, ქვემოთ, საბალახოზე — ყვავილები. ამ სოფელში ერთი გლეხი კაცი ცხოვრობდა. ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა, სახელად სირინო. ცისკრის თვალის გახელის დროს დაიბადა თურმე სირინო და ამიტომ ცისკარივით თეთრი იყო მისი სხეული. ხალდეს ხევებში მუდამ უკუნი დგას. ქვეყნად რომ გაჩნდა, სირინომ პირველად მათკენ გაიხედა და ამიტომ თვალებიც ღამესავით შავი გამოჰყვა.

ხალდეს გარშემო, მთის კალთებზე, გაუვალი ტყეებია აშოლტილი. ისინი ხშირი ფოთლითა და წიწვით არიან დაბურული. სირინოსაც ტევრივით დალალები დაჰყოლია. გათენების ეამს, მზე რომ მთის წვერზე შემოჯდება, დედამიწამ ჩაფიქრება იცის. ალბათ ფიჭრობს, ქვეყნისათვის ღამე ჯობია თუ დღის სინათლეო. სირინოც, რადგან ცისკრის გახსნისას დაიბადა, ჰკვიანი ქალიშვილი დადგა.

იზრდებოდა სირინო. დღითიდლე მშვენდებოდა. როგორც ყოველ სვანს, შრომა მასაც ძალზე უყვარდა. დილით ძროხებს მოწველიდა, ყველს ამოიყვანდა, იატაკს დაგვიდა, საქონელს საბალახოზე გადენიდა. სანაღიროდ წასულ მამას საღილ-ვაჩშამს დაუმზა-

დებდა. მერე დგიმ-სავარცხელზე თავის ხელით ნართავ შილს ქსოვდა საჩიხედ.

კავკასიონის ყინულოვანი მწვერვალების ახლოს, ყველაზე მაღალ კლდე-ფერდს არწივის ბუდესავით მიპყვრია ხალდე. არწივიც ბევრი ბუდობს მის პიტალოებზე. გაღმა-გამოლმა, ათასწლოვანი მარად მწვანე ხეები ცამდე აწვდილან. ლამაზი სოფელია ხალდე. ქვემოთ მდინარე ხალდეშურა ეხეთქება ტიტველ კლდეებს. ზემოთ საძოვრები იწყება. იქ მთის ყველა ბალახი ხარობს. ყველაზე მეტად კი სამყურა იყრის ტანს. მისი ღერო და ფოთოლი მზის შუქით და მიწის რძით არის სავსე. ამიტომ არის იქაური ოთხფეხი მსუქანი და გემრიელი. სირინოც სწორედ ამ იალაღებისაკენ მიდენიდა თავის ცხვარ-ძროხას. დილიდან დაღამებამდე უმწყემსოდ დაბალახობდნენ და საღამოს ჭიშკარს მოადგებოდნენ. ჯიქნები კოკებივით ეკიდათ, გავაზე ვეფხვი კბილს ვერ მოიკიდებდა.

ერთ დილით გაღმა საძოვარზე სირინომ სხვისი ნახირი შენიშნა. ნახირს მასავით ახალგაზრდა ბიჭი უდგა, ხელში ჭუნირი ეკავა და უკრავდა. წარმტაცად ნაზი ხმები მოღიოდა საძოვრიდან. ასეთი ხმები დღესასწაულის დროსაც არ გაეგონა სირინოს. ბიჭმაც დაინახა და მისკენ წამოვიდა.

— კარგი დაკვრა გორდნია, — შესცინა სირინომ.

— ყვავილებმა მასწავლეს ასეთი სიმღერები.

— ყვავილებმა?!?

— ჰო, ყვავილებმა. მათმა ფერმა და რხევამ, ნიავი რომ დაუბერავს.

— განა ყვავილები მღერიან?

— თუ დაუკვირდები და მოუსმენ, ამქვეყნად ყველაფერი მღერის.

— მე კი არ მესმის, — სინანულით თქვა სირინომ.

— მე მესმის, — მშვიდად მიუგო ბიჭმა.

— შენ რა გქვია?

— შერგილი.

— მე კი სირინოს მეძახიან. წეტავ რატომ არ მესმის ეს სიმღერები?!

— მე ბაბუა მყავს, ჭოკია ბაბუა.

— მერე!

- მან მითხრა, ამ სიმღერებს მხოლოდ ის გაიგებს, ვისაც მზის-
ქვეშეთი ძალიან უყვარსო. ქვეყნის დიდი სიყვარული თუ გაევს,
ყველას სიმღერა გესმის და თვითონაც გემღერებაო.
- მე კი ბაბუა არ მყავს. არც დედა მყავს, არც და-მმა!
- მაშინ რა გემღერება, ჩემო დაო!
- არც მემღერება, შერგილ, სიმღერა კი მაინც მიყვარს.
- ნათელი გული გქონია, მაშინ ყვავილებისაც უნდა გაიგონო!
- არ მესმის, ვაიმე, ნეტავ რატომ არ მესმის?
- ყოველი ფერი თავის სიმღერას ამბობს.
- ეს არ ვიცი, შერგილ, არ ვიცი.
- ჰოდა, უნდა მიხედე.
- ყვავილები სულიერია?
- ფერები უდგამენ სამყაროს სულსო, — მითხრა ჭოკია
ბაბუამ.
- ვითომე?
- ასეა, ფერები თუ აირია, დაირლვა, გაქრა, ქვეყანაც წაიშლე-
ბა, გაქრება, ერთფერი გახდება.
- უიმე!
- ასეა. ხეს თავის ფერი აქვს, ქვას — თავისი. წყლის ფერი ხომ
კლდისას არა ჰგავს, ცის ფერი მიწისას? ცის სიმღერა სხვა არის,
მიწისა კი სხვა. ყვავილებიც ასეა, კაცს იმ სიმღერის ეშხე მოი-
ყვანენ, რა ფერისაც თვითონ არიან.
- სიმღერის ეშხე?
- ჰო, ქვეყნად სიხარულს აფრქვევენ. აი, ხომ ხედავ, მეც ამ
ეშხით ვმღერი, — წყნარად თქვა შერგილ-ჭაბუქმა და ჭუნირი ააყლე-
რა. სიმღერა ხალდეს მთის კალთებზე და მინდვრებზე გაიშალა,
ხალდეშურას ნაპირებს მოედო, რძიან ბალახს და აშოტილ ფიჭ-
ვებს მოეფერა. შეაურეოლა ყვავილებს, ათრთოლდნენ ისინი.
- ეს იის სიმღერაა — მიის ფერივით ნაზია.
- სირინოს მართლა მოეჩვენა, თითქოს ხელში მთელი ბლუჭა ია
ჰქონდა და მათი სურნელება აბრუებდა კიდეც.
- აბა, გვირილების სიმღერას დაუგდე ყური!
- ჭუნირმა ახლა სულ სხვანაირი ჰანგები მოპფინა მიდამოს. სი-
რინოს თვალი უნებლიერ მინდვრისაკენ გაექცა. ბალახებში უეც-
რად თითქოს ფერებიანი გოგონები გაჩნდნენ. ნელი რხევით ცე-

ქვავდნენ. სწორედ ისე, როგორც გვირილებმა იციან ნიავზე. მერე თანდათან იმძლავრა ქარმა, თეთრ და ყვითელთავსაფრანგში გონებმა ცეკვას უმატეს, უფრო აშრიალდნენ, მთელ შეზღუდულ მოედვნენ.

შეშინებულმა გოგონამ ხელი მოჰკიდა ბიუს. შერგილმა ათრთოლებული სიმები გააჩერა. კუნირიც დადუმდა. მიდამო დაწყნარდა, ადრინდელი სახე დაუბრუნდა.

დრო გავიდა. სირინო ყოველ დილას და საღამოს ხედებოდა შერგილს. ჭაბუქმა მასაც გადასდო ყვავილთა ფერების სიყვარული. ისხდნენ და გარინდებული გასტეროდნენ მიდამოს. საქონელი დაბალახობდა, ხარბად გლეჭდა სამყურას ყვავილებს, გული სტკიოდა შერგილს.

— „ნეტავ რატომ გააჩინა ქვეყნის შემქმნელმა ასე, — ფიქრობდა, — ამ ფერთა სილამაზეს ხარ-ძროხა უნდა იწირავდეს?“

ერთ საღამოს საქონელს სულ მოეტიტვლებინა პატარა, ლამაზი მინდორი. ლერი ბალახი არ დაეტოვებინა. მხოლოდ ყვავილთა ფურცლები ეყარა აქა-იქ საცოდავად. შერგილს თვალი გაუშერდა, ერთ ადგილას ყვავილთა ფურცლები ისე მოჰფენოდა მიწას, ხარის ვეება თვალს ჰგავდა, ნამდვილ ხარის თვალს.

შერგილი დაიხარა. ფურცელთა შორის, სწორედ თვალის გუგის ადგილას, შავი კენჭი ელვარებდა.

„ — ვინ დააგდო ეს შავი კენჭი ამ ფურცლებში? ალბათ უნებლიერ მოხდა ასე. ხარის თვალი კი გამოვიდა. ეტყობა, კენჭებითაც შეიძლება ხატვა. ხალდეშურას ნაპირის ხომ ათასი სხვადასხვა ფერისა და ზომის კენჭია. რასაც მინდა, იმას დავუხატავ სირინოს.“

შერგილი თავქვე დაეშვა მდინარისაკენ.

ერთ ადგილს წყალს გვერდი ექცია და მომცრო მაღლობი დაეტოვებინა. ნაპირზე კენჭები იყო მისილული. ჭაბუქმა ამ ნაპირს მიაშურა.

დაიხარა და კენჭების ამორჩევა დაიწყო. შავი და თეთრი, წითელი და ყვითელი, წაბლისფერი და რუხი, აგურისა და წყლის ფერი. ზოგი ცისარტყელასავით მრავალფერად ელვარებდა, ზოგი სულ უფერო იყო, ზოგან თითქოს ორს ერთი ფერი დაპკრავდა და მაინც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

— ყვავილებსაც კი არ აქვთ ამდენი ფერი! — გაოცდა შეორი-
ლი.

„იქნებ სირინოს სახე დაგხატო?“ — უცებ მოუვილა რზონი ჭა-
გაუხარდა.

„ეს თვალები იყოს“, — ერთი ზომის ორი შავი კენჭი ამოარჩია
და სველ სილაზე დაწყო. „ეს წარბები, წამწამები“. მალე სახის
ნაკვთებზე გადავიდა. ეს შედარებით ეძნელა. ოფლი წურწურით
ჩამოსდიოდა. კარგად მოსალამოვდა, გაბრუებულმა ყველაფერი
რომ მოათვა. ნამუშევარს დახედა, შეკრთა, — ნამდვილი სირინო
უყურებდა! ქალიშვილს ბრიალა, შავი თვალები და გრძელი, შავი
ნაწინავები ჰქონდა.

თავი უხურდა, თვალები ბეღნიერებით უბრწყინავდა ბიჭს.
კლდის ქიმზე ჩამოჯდა და გარემოს თვალი მოავლო. მერე ისევ რა-
ლაც მოიფიქრა და წამოდგა. იქვე მდგარ თხმელას მკლავის სიმსხო
ტოტები მოამტვრია, თავის ნამუშევარს შემოარავა, დილამდე ნა-
დირს რომ არ გადაევლო და არ წაეშალა, ზევიდანაც ტოტები გა-
დაათარა და შენისკენ გაუყვა.

მზე ჭერ კიდევ არ ამოწვერილიყო, რომ შერგილი სირინოს მა-
მის კოშქს მიადგა.

სირინო ბაქში იყო, ძროხას წველიდა.

— ისე ადრე რამ მოგიყვანა, რა ამბავია?!

— ხალდეშურაზე ჩამოდი, რალაც უნდა გაჩვენო! — წყნარად
უთხრა ჭაბუქმა.

სირინომ გაყვირვებით შეხედა მის გაბრწყინებულ სახეს.

— კარგი, შენ წადი და მეც მალე ჩამოვალ!

მოვიდა თუ არა, შერგილმა თხმელის ტოტები გადამწია.
სირინომ გაოცებისაგან ერთ ხანს ხმა ვერ ამოიღო.

— ეს რა გიქნია, შერგილ?! — აღმოხდა ბოლოს.

— შენ დაგხატე, ფერად-ფერადი კენჭები მოვძებნე და იმით
დაგხატე. არ მოგწონს?

— უიმე, როგორ მგავს, ნამდვილად მე ვარ, ნამდვილად ჩემი
თვალებია, ჩემი ნაწინავები. შენი ჭირიმე, მამამ არ ნახოს, ჭადო კა-
ცი ეგონები, შერგილ!

დიდი დავით მეფე გელათის ტაძრის შენებას ჟეზრდგა! სამასა
ნაბიჯის დაშორებით ქვის სატეხით ვეება კლდეებს გლეჭდნენ და
ხის მორებზე აცურებდნენ. ქვის მთლელებს მოსვენება არ ჰქონ-
დათ. კალატოზები მიწაყრილზე იდგნენ და ისე მუშაობდნენ. უზარ-
მაზარ, გათლილ ქვებს აიტანდნენ, დაათარაზოებდნენ, გაასწორებდ-
ნენ, დაკირავდნენ და ზევით მიიწევდნენ. ტაძარი ყოველდღე მთა-
სავით მაღლდებოდა. გუმბათი დასრულდა და ახლა შიდა სამუ-
შაოები გაჩაღდა. ტაძარს გარედან მიწა შემოაცალეს. სარკმელები-
დან მზის შუქმა შეიხედა. კადლების მოხატვა დაიწყო. ფერწერის
ოსტატები ერთმანეთს ფუნქებით ეპავექტებოდნენ. საკურთხევლის
თავზე ამართულ ხარაჩოზე უწვერულვაშო ბიჭი შემდგარიყო და
საზომით ხელში გუმბათს აკვირდებოდა. უყურებდნენ და ვერ
მიმხდარიყნენ, რას აკეთებდა.

მხატვარი არ იყო ფუნჯი არ ეჭირა. მღებავი რომ ყოფილიყო,
საღებავებით ექნებოდა ხელები დასვრილი! მღესავი არ იყო, ხელ-
ში ქაფჩა არ უჩანდა! ქვის ოსტატი რომ ყოფილიყო, საჭრისი ეკა-
ვებოდა!

— ხომ არ თავშობ, ბიძია, მანდ შენ, — ვერ მოითმინა ოქრი-
ბელმა მღებავმა ლუკაია ლომთაძემ.

ბიჭმა ხმა არ გასცა. მხოლოდ ლიმილით ჩამოხედა.

ლიმილი მოეწონა ლუკაიას. თან ეს ბიჭი კიდეც შეეცოდა.

— არ ჩამოვარდე, ხომ იცი, მაგ სიმაღლიდან სული არ დაგვი-
ბა ძირს!

არც ახლა ათხოვა ყური ჭაბუქმა.

უცებ ჩოჩქოლი ატყდა. ტაძარში მეფე შემოსულიყო. ხუროთ-
მოძღვარი ახლდა. ყველამ მოკრძალებით დახარა თავი. ჩოჩქოლშა
ჭაბუქიც ჩამოახედა ძირს. მეფე რომ შეიცნო, შეიშმუშნა.

— მანდ რას აკეთებ, სვანო ჭაბუქო? — გაიკვირვა მეფემ.

— უამისოდ არ შეიძლება, მეფეო, ზომა უნდა ავიღო, ზუსტია
ზომა.

— ზომა? — ვერ მიხვდა მეფე.

— კი, მეფეო. ყოველი ფერის კენჭი თავის ადგილს უნდა
იყოს. ადამიანის სხეულიც კი სხვადასხვა ფერითაა ნაქსოვის მოვალეობა
— მერე მანდ რას ზომავ, შერგილ ჩემო!

— აქ, ბატონო, იმას ვითვალისწინებ, რომელი ფერის საროთი
რომელ ადგილზე უნდა იქნეს ჩასმული. თუ ეს დაირღვა, ყველა-
ფერი წყალში გადაიყრება.

— დიდად ნიჭიერი ჭაბუკია, — ჩაილაპარაკა სუროთმოძღვარ-
მა, — უსწავლელი და ასეთი გამჭვალავი გონება პირველად მხვდე-
ბა ჩემს ცხოვრებაში.

— მასალა თუ მოიტანეს? — ისევ ხმამაღლა იყითხა დავითმა.

— მაგის მასალა ზღვის კენჭია, მეფევ ბატონო, მთხოვა, გამი-
შვიო. მე თვითონ შევარჩევ და მოვაგროვებო.

— შენ სად ფიქრობ გაუშვა?

— საბერძნეთში მინდოდა გამეგზავნა. შერგილს დაუყინია,
გონიის კენჭს მეტი სილამაზე აქვსო. იმასაც ამბობს, ჩვენი ხატი
ჩვენი მასალისა სჯობიანო.

— მართალი უთქვამს, — ღმერთი ხომ სხვისია და სხვისი, ხა-
ტის მასალა მაინც იყოს ჩვენი.

— როგორ თუ სხვისი? — გაიოცა სუროთმოძღვარმა.

— ზიარი ღმერთია. ბერძნების ზიარი ღმერთი. ამან მისცა სა-
შუალება ბერძნებს — საუკუნეების მანძილზე ჩვენი მიწა-წყლის
მეუფენი ყოფილიყვნენ.

სუროთმოძღვარს თვალები მოეწყურა, თვითონ ათინაში აღზრ-
დილს, პალესტინაშიც ევლო და ინდოთა ქალაქებშიც. აფრიკის ნა-
პირები ფეხით მოევლო, ჩინეთის ტაძრების თვალსანახად სიცოცხ-
ლე სასწორზე დაედვა. ყველას ღმერთი და სალოცავი იცოდა.
დავითისაგან მაინც არ ელოდა ამას. გაჩუმება არჩია. ერთი კი გაი-
ფიქრა: დიდმა მეცენებმა ღმერთები თავიანთ სარდლებად გამოიყე-
ნესო. ეჭ, ასე ყოფილა და ასე იქნებაო, დაუმატა გუნებაში და
კბილს კბილი დააჭირა. დავით კი ამ დროს მინდორზე გავიდა. აკა-
დემიის საფეხურებს ჩაუყვა. დიდი და მძიმე ხის კარი შეაღო.
ოცდაათი ახალგაზრდა ბერი თავჩაქინდრული საქმიანობდა. არსენ
მოძღვარი დასავლებით ამაღლებულ ადგილის რაღაცას ჩაპეირებდა. არც ერთს მეფის მისვლა არ შეუტყვია. ძალზე გართული
ჩანდნენ თავიანთი საქმით.

დავითს თვალებში სინათლე მოემატა. სახეზე სიამოვრება და
ტყო. ბატისფრთის ყალმები ჩიტის ბარტყებივით შერტყებულებული
პერგამენტებზე.

— უკვე შედგომია ითანე ბერი თავის დიდ საქმეს, — გაიფიქა
მან და დარბაზიდან ისე გამოვიდა, იქ მსხდომთ ისევ არაფერი გაუ-
გიათ.

ამან კიდევ უფრო გაახარა მეფე-ბატონი. როცა ზემოთ, მინდორ-
ზე ამოვიდა, დაინახა, ტაძრის ეზოში ქალიშვილი შემოდიოდა.
ეუცხოვა დაუსრულებელ ტაძარში ქალის ყოფნა. როცა დაუკვირდა,
მისმა სიმშვენიერებ შეატყო.

— შენ რამ მოგიყვანა, გოგო, აქ?

ქალიშვილმა კარგახანს უყურა მეფეს, ტანსაცმელზე შეამჩნია
დიდყაცობა და წყნარად, მოქრძალებით ჩაილაპარაკა:

— ხალდედან ჩამოვედი. აქ ჩვენებურები მუშაობენ, მათი ნა-
ხვა მინდოდა.

— ხალდედან?! კარგა მანძილი გამოგივლია. ძმა ხომ არ არის
აქ შენი?

— არა, ძმა არ მყავს.

— ბიძაშვილია?

— არა, არც ბიძის შვილია.

— ჰო, მაშ საქმრო ყოფილა.

ქალიშვილს ლოკებზე აღმური მოედო, სიბრაზე დაეტყო.

— ქალის შეურაცხყოფა რა საკადრისია.

მეფე შეჩევიფდა.

— უკადრისი რა გითხარი, ქალწულო!

— თქვენ ბატონი ბრძანდებით, ხომ? — შეუტია გოგონამ.

— დიღი ბატონია, გოგო! — გაუსწორა ხუროთმოძღვარმა.

— ეტყობა რომ ბატონია, ტყუილა როდი მითხრა მამამ, ბატო-
ნები მოურიდებელნი არიანო. ჩვენ კი ბატონი არ გვყავს და არც
გვეყოლება.

მეფეს თვალებში ასი სანთელი აენთო.

— მართალი ხარ, შვილო და დაო ჩემო. ჭეშმარიტად, ბატონები
მოურიდებელნი ვართ. შენ კი ვისი ხარ ხალდედან?

— გულდედან ქალდანისა ვარ. სირინო მჯვიან.

— ეს კი მეფე-ბატონია, გოგო, — ისევ დაიბუნუნა ხუროთმო-
ძღვარმა.

— მეფე? — ქალიშვილმა თავი გააჭნია, — არა, მეფე ასე არ
აჩქარდებოდა. მამამ თქვა, ისეთი ჭკვიანი და ბრძენი დუნდაშვილი
დაბადებულაო, შერგილმაც ასე დამაჯერა.

— აი, ხომ ხელავ, მე კი მაინც პატარა მოკვდავი შეგეფეო. შა-
პატიე, შვილ! შერგილი კი იქ არის, ტაძარში. შეიარე და ნახავ.
განამუსებ, ჩვენი შეხვედრის ამბავი არავის უთხრა.

სირინო გაშტერებული გასცემეროდა მიმავალ მეფეს.

— კი, ის არის, — ჩაილაპარაკა. უცებ ჩიტივით შეფრთქიალდა
და დაედევნა.

— მეფე! მამამ სიტყვა დამაბარა!

— თქვი, სირინო ჩემო!

— ცხენი გაგიზარდე ისეთი, თქვენს გარდა სხვა ვერ შევდე-
ბაო.

— მაღლობა მოახსენე, სირინო, მამას, თან ეს საჩუქარი მიარ-
თვი! — დავითმა სავსე ქისა მიაწოდა ქალიშვილს.

— ჴა, ლმერთო მომკალი. მამამ ისიც დამაბარა, სკანმა ვაჭრობა
არ იცის, ის ყველაფერს ქვეყნისა და მეფის სიყვარულით აკე-
თებსო.

— აქაც მაჯობე, სირინო. — მწარედ გაელიმა მეფეს. — კარგი,
ასე იყოს. როდის აპირებს იმ კვიცის გახედნას გულდედანი?

— ზაფხულის ბოლოს თვითონ ჩამოგიყვანო.

— მანამ შეიძლება ჩვენ მოგვიხდეს იქეთ ამოსვლა.

— უკეთეს ამბავს მამას ვერავინ უმახარობლებს, — გულწრფე-
ლად გაუხარდა სირინოს.

შეფეს მეტად მოეწონა გოგონა, თავისთვის რალაც გაიფიქრა და
ოდნავ თვალის მოჭუტვით ჰყითხა: — სირინო, შენ მაინც არ გვი-
თხარი, შერგილთან რისთვის შეწუხებულხარ!

გოგო ეშმაკობას მიუხვდა და გაწითლდა.

— ხალდეშურას ნაპირებზე მოგროვილი კენჭი ჩამოვუტანე.

— რა ჩამოიტანე, გოგო? — ვეღარ მოითმინა ნათქვამით დაეჭ-
ვებულმა ხუროთმოძვარმა.

სირინოს ფერმა გადაპქრა. მიხვდა, რომ შერგილის საიდუმლო
გასცა და შეწუხებულმა, მეფეს შეხედა. დავითიც იმ წუთში მიხვდა
შისახვედრს.

— მეფეს, შეილო, ქართველი კაცი არაფერს დაუმალავს. საუ, თუ მენდობი, საიდუმლოს შენახვაც ვიცი.

ახლა სირინოს მამის ნათქვამიც გაახსენდა, მეფეს არატერიზარებუ
მალება, ყველაფერი გაემხილებაო.

— შერგილმა რომ გაიგოს, შეიძლება ეწყინოს. საიდუმლოდ
გეტყვი, მეფეო, მან ყვავილთა სიმღერები იცის.

ხუროთმოძღვარის თვალები აუბრიალდა. გოგო შეშლილია,
იფიქრა და მეფეს შეწუხებულმა შეხედა. დავითს თვალი არ დაუხამ-
ხამებია, დაკვირვებით უცქერდა სირინოს.

— ყვავილთა სიმღერა ვინ გაიგონა, გოგო?!

— ქვეყანაზე არავის გაუგონია, მეფევ! მარტო მას ესმის. ჭუ-
ნიჩზეც გადააქვს. ყვავილთა ფერებით ისეთ რამეებს მოქარგავს,
ყველა სულდგმული, ვინც კი შეხედავს, სიმღერის ხასიათზე მოვა.

დავითს გაელიმა. ხუროთმოძღვარი ვერ კიდევ ბურანში იყო.

— ჭუნიჩზე უკრავს თუ? — ისევ გაღიმებით შეჰქითხა დავითმა.

— ის რომ გვირილების სიმღერას დაუკრავს, გეგონება მოელი
ხალდეს გვირილები ცეკვავენო. არა, კი არ გეგონება, მართლა
დაინახავ!

— ხა, ხა, ხა, — ვეღარ მოითმინა ხუროთმოძღვარმა. — გრძნეული
ბიჭი ყოფილა.

— კი მაგრამ კენჭი რა შუაშია? — იკითხა მეფემ.

— კენჭები ხომ ფერადია. სხვადასხვა ფერის ყვავილთა ფურც-
ლებს ჰვავს. მასაც ისე დაალაგებს შერგილი, გალობას გათქმე-
ვინებს.

— ესმის, ხუროთმოძღვარო, რას გვეუბნება ჩეენი სირინო?
ეტყობა, ახლა ხუროთმოძღვარიც მიხვდა მისახვედრს.

— გვან მიგხვდი, მეფეო. ჰე, რა ბედნიერებაა, ბავშვთა ენით
სამყაროსთან საუბარი და მათი თვალით ამ ქვეყნის ყურება?!

— ხუროთმოძღვარო, ხომ გაგიგონია გლეხქაცის ნათქვამი, ადა-
მიანი ეშმაქის შექმნილიაო!

— გამიგონია, მეფეო!

— ტყუილია, ჲეშმარიტად მცდარი ნათქვამია. კაცის გონება
მხოლოდ ღმერთს შეეძლო შეექმნა. ეშმაკს რა ხელი ჰქონდა მასთან.
მიხვდი რა უნდა გითხრა ხუროთმოძღვარო?!

— ვერ მივხვდი, დიდო მეფეო.

— ადამიანის გონება სიჭაბუკიდანვე ილტვის ჩაწვდეს ცხოვრების იფუმალებას, და თუ მთლად ვერა, რაღაც ბილიქს მაინც მონახავს მის შესაცნობად. მომწიფდება და სიჭაბუკის ფაქტიც სირთბაისლები შედის, ისიც მასავით მწიფდება. ნაყოფიც საჩულდება და რთველიც იწყება.

— უცილოდ ასეა, მეფეო, სიჭაბუკები მეც მესახმრებოდა ტაძართა დიდი კედლები და ცალაზიდულ შეიდ სეტჭე ამართული მისი ლაუგარდოვანი გუმბათები. ახლა, სიჭარმაგები, თუ მეასედს მაინც შევასხი ხორცი, ბედნიერი კაცი ვიქნები.

დავითს თითქოს არაფერი ესმოდა, გარინდებული მიაბიჯებდა.

— მე კი სიჭაბუკიდან ჩვენი მამულის აღდგენა მქონდა ფიქრად და დარდად. ასი რომ ვავაკეთო, ასკერ ასი გასაკეთებელი ღამრჩება. ბედნიერია ის ბიჭი, რაც უფიქრია, ასრულებს კიდეც.

უნებლიერ უკან მოიხედა და ტაძრის კედლებს მიაჩერდა. ხარა-ხოებიდან ჩამოსული შერგილი გაბაღრული მიპყებოდა სირინოს. რომ დაინახა მეფე მისკენ იხედებოდა, სირბილით წამოვიდა.

— ხალდეშურას კენჭი ჩამომიტანეს ხალდედან. ნახეთ, მეფეო. იქნებ ფერთა ელვარება არ მოგეწონოთ.

მეფემ ხუროთმოძღვარს შეხედა.

— აკი გონიოს კენჭი მინდაო! — გაიოცა ხუროთმოძღვარმა.

— მე, ბატონო, ხალდეშურას ხვინჭკი მინდა გონიოსას შევაღარო. თუ საჭირო იქნა, შევურიო კიდეც. მთის გიუმაჟ წყალს სხვაზომისა და ფერის კენჭები აქვს, ზღვას კიდევ სხვანაირი, ჩვენ ორივე უნდა გავსინჯოთ.

— სიმონ გამდელს და თეოდორეს ჰეითხე, შერგილ. ეს საქმე მათ უკეთ იციან.

დავითმა წასელა დააპირა.

— მათ გარეშე ბიჯს როგორ გადავდგამო, — თითქოს თავისთვის, მაგრამ მტკიცედ ჩაიღურდულა შერგილმა და მეფეს გაპყვა.

— მოძღვართ-მოძღვარ იოანეს უბრძანებია, მცხეთის ჯვარიც ნახოს, წრომის ტაძარშიც ავიდეს, ბიზანტიაშიც უნდა გავგზავნოთ.

— ეს კარგი უთქვამთ. იქ ბევრ რამეს ნახავ და ისწავლი. მაგრამ იცოდე, მათი მსგავსობა არ ქნა. შენ შენებურად უნდა გააკეთო.

ხუროთმოძღვარმაც შეხედა შერგილს. ეტყობოდა, მის თვალებ-

შა უნდოდა ამოეკითხა, გაიგო თუ არა მეფის ნათქვამი ყმაწვილში.

— სიმონ გამდელზე და თეოდორეზე კარგად წერენ ხატებს ზანტიაში?! — გულუბრყვილოდ შეეკითხა ხუროთმოძღვარების შეცვერებული, თან მეფეს კითხვის თვალით შეხედა.

— იმათ რა იციან, შენი თვალით ხელავ! ახალგაზრდა ხარ და უველაფერი უნდა ნახო.

ეზოს კარში იოანე მოძღვართ-მოძღვარი გამოჩნდა. თვალი ჰყიდა თუ არა მეფეს, შეჭმუხვნილი შუბლი გაესხნა.

ბიჭი უცებ შეაჩერდა დავითს და გაოცდა. მეფეც ისე იზრდიდა წვერ-ულვაშს, როგორც მოძღვართ-მოძღვარი.

— მე მაფრთხილებს, სხვასავით არ აკეთო ხატებით, თვითონ კი გულით უნდა, იოანეს დაემგვანოს. თურმე მეფეებიც კი სხეებს შენატიან! როგორც ავალ სვანეთში, ბაბუას უნდა ვუთხრაო, — გაიფიქრა.

იოანეს მოწიწებით მიესალმნენ მეფეც და ხუროთმოძღვარიც.

— მოძღვართ-მოძღვარო, მცხეთის ჭვრის და წრომის კონქები თუ გინახავს მიკენჭილ-მიხატული?!

იოანემ შერგილს გადახედა.

— ეს არის, მეფეო, ის სვანი ბიჭი, შენ რომ მიქე?!

— კი, ეს არის, აუცილებელია ბიზანტიაში მისი გაზიარება, თუ ჩვენი ტაძრების ნახვაც საქმარისია?

იოანემ შერგილს თავზე შხვართი თითები დაადო თავისკენ მიაბრუნა და პირზე სხივები გაუმრავლდა.

— ამ ბიჭს ეტყობა, რომ გვისახელებს. ბიზანტიაში წასელა კი ერთი ზამთარი მაინც მოუხდება. წერილს მივუწერ დიდ მოძღვართან, მეც გთხოვდით, მეფეო, რომ იქ ორი ყმაწვილიც გაგეშვათ, ეტრატები უნდა გადავაწერინოთ, უამისოდ გაგვიჭირდება.

შერგილს ხმა არ ამოუღია, მხოლოდ ფიქრმა გაპქრა. მაშინ სვანეთში უნდა ივიდე, ბაბუა ვნახო, გამოვემშვიდობო, ვინ იცის, დამხვდება თუ არა ცოცხალიო.

— ორი ეითომ საქმარისი იქნება, იოანე მოძღვარო?

— გავსინჯე და ხელწერაში სხვები ჭერჭერობით მოიკოჭლებენ. მომავალში მოვამზადებთ და მეტს გავგზავნით.

შერგილს თვალები გაუბრაწყინდა.

— სირინო ისე ხაზავს, მეფეო, რომ მისი გამოყვანილი ასოები
ჩიტის ნისკარტებივით ლამაზებია.

მეფეს და ხუროთმოძღვარს გაეღიმათ.

— კი, მეფეო, — არ ცხრებოდა შერგილი, — ჩეენმა მოძღვარია
გადააწერინა საგალობლები და ოქვა, ქვეყნად ასეთი ხელწერა არ
მინახავსო.

— სირინო ვინ არის? — იკითხა იოანემ.

— ჩემი სოფლელია, ხალდედანაა, ჩემსე ორი წლით არის უმც-
როსი.

— სვანთა მზეთუნახავია, — დაუმატა დავითმა და ლომილით გა-
დახედა შერგილს. იოანე, ეტყობა, მიხვდა მისახვედრს.

— მერე შენ გინდა, ყმაწვილო, ქალწული ქალი უცხო ქვეყანაში
გადავკარგოთ, მშობლები ვითომ თანახმა იქნებიან?

— მერედა, ასეთი მშვენიერება იქ რომ მოგვტაცონ? უცხო ქვე-
ყანაში ვინ იქნება მისი მცველი?! — ისევ არ შეცვალა კილო მეფემ.

— მე იქ არ ვიქნები, მეფეო? — გაუწითლდა ლოყები შერ-
გილს. — სირინო კი უჩემოდ ფეხსაც არ გადადგაშს.

სწორედ ამ დროს სირინომ კენჭებით სავსე, შაბში გამოყვანილი
თხის თეთრი გუდა ქოშინით შემოათრია ჭიშვარში.

— ქალს ასეთ მძიმე ტვირთს ათრევინებ, ვაჟო? — კეთილი ღი-
მილით შეუტია შერგილს მეფემ.

— სირინო! — დაუძახა შერგილმა. — ხომ გითხარი, ცხენიდან
საპალნე უჩემოდ არ ჩამოილო-მეთქი?

— მინდოდა მეფეს ენახა ხალდეშურას ხეინჭების ნაირფერობა და
სილამაზე.

— მოიტანე აგერ, აბა ერთი მუჭა მოლზე გადმოყარე. — შეელა-
პარაკა ხუროთმოძღვარი.

შერგილი გაიქცა და სირინოს მიეშველა. გუდა ხუროთმოძღვრის
ფეხებთან დააგდო, ყელი შეხსნა და გასწი-გამოსწია, იქიდან წვრილ-
წვრილი ყვავილებივით ნაირფერად ამოანათა კენჭებმა. ყველანი და-
კვირვებით დააცქერდნენ. შერგილმა რამდენიმე პეშე ამოილო და
ახლად ამოწვერილ მოლზე დაყარა. სხვადასხვა ფერის კენჭებმა სიმ-
წვანეში თვალები უფრო დაჭყიტეს.

— აი, ნამდვილი მშვენიერება, არ მეგონა, ხალდეშურას ნაპირზე
ამდენი ფერის კენჭებს თუ იპოვნიდა კაცი! — გაიოცა დავითმა.

— ეს სირინოს შეურჩევია, ასე შევითქვით, — გაელიმა შერგილს
და მადლობის თვალით გაიხედა ყმაშვილი ქალისაკენ.

— „ქვეყნის-სამზომლო“ ხომ არ გისწავლია შვილო, — გა-
დაბით შეეკითხა იოანე ქალწულს.

— რა ბრძანეთ, მოძღვართ-მოძღვარო? — ვერ მიხვდა შერგილი
და მერე უდარდელად დაუმატა, — სირინოს მარტო მამამისი ასწავ-
ლიდა ანბანს.

მეფეს გაელიმა: — მოძღვართ-მოძღვარო, სირინო შერგილის თვა-
ლებით ზომავს ქვეყანას. მისი მეცნიერება ყველაზე დიდი მეცნიერე-
ბაა ამქვეყნად.

ხუროთმოძღვარი დაკვირვებით ჩასცეროდა პეშვზე დაყრილ კენ-
ჭებს.

— დიახ, საოცრებაა! — თითქოს არც გაეგონოს მეფის სიტყვა,
ისე განაგრძო მან. — დაუკვირდით, სუნიც კი თავისებური აქვთ. მთის
ყვავილის სურნელება რაღაცნაირად შემოუნახავთ. მე მეგონა, ზღვის
კენჭებს ჰქონდა მარტო სურნელება.

იოანემაც პეშვით იიღო კენჭები.

— წაბლის სურნელება აქვს, — წყნარად თქვა, მერე თვალებთან
ახლო მიიტანა და დააჩერდა. — თითქმის სუყველა ბრტყელ-ბრტყე-
ლია. მართლაც მისწრებაა მოსახატად.

— „სოფიას კენჭი“ მაინც დაგვჭირდება. გამჭვირვალეა, მინასა-
ვით შუქს ატარებს. ეტყობა, ერთმანეთში უნდა შევურიოთ.

მეფემ არაფერი თქვა, წყნარად გაემართა ჭიშკრისაკენ, როცა უკან
მოიხედა, დაინახა, იოანეს და ხუროთმოძღვარს არსენ წინამძღვარი
ესაუბრებოდა.

„ნეტავი იოანე და არსენი თუ კიდევ დაობენ ერთმანეთში, — გაი-
ფიქრა და ფიქრშივე დაუმატა: — ბრძენთა დავა ხალხისთვის სასარ-
გებლოა. მეფეთა დავაა სისხლიანი და კაცთსაძულველი, ხალხთა
დოვლათის გამჩანაგებელი, ადამიანთა გონიერების დამსუსტებელი.
თუმცა უმეფოდაც არ შეიძლება. გონიერებს უგნურები ჭარბობენ
ამ სოფელში ყოველთვის და უმეფოდ ისინი ყველაფერს წალექა-
ღნენ“.



* * *

იმ წელს ზამთარი ადრე მოვიდა. გიორგობისთვეში ჟაფარიშვილები იქცნები სამი წყრთა თოვლი იდო. მონადირეები მთაში გაიკოინები სანადიროდ. სირინო შერგილის გამოგზავნილ თბილ შალის ჩაბალას ყვავილებს აქარგავდა.

— უფრო რბილი და თხელი ლაზლის ქსოვილი რომ იყოს, დარაია ძაფი უფრო მიეფერებოდა ქსოვილს. ეს კი თბილი იქნება, მაგრამ უხეში ჩანს. — ელაპარაკებოდა თავის თავს.

ძროხა და ხარი თივას ახრამუნებდნენ.

ერაზე ცეცხლი გიზგიზებდა. კოშკის თავზე ყინვის ლოლოები ეკიდა. ძელურში კვამლი ბრუნავდა.

უცებ-ხმაური მოისმა. სირინომ ყურები ცქვიტა. მალე ზღურბლზე ვიღაცამ ფეხი შემოდგა.

— რომელი ხარ?

— კარი გააღე, შვილო, მე ვარ! — გოგონა ისე წამოფრინდა, თითქოს ფრთხები შესხმოდეს. გათოვლილ გულდედანს კისერზე ხარჯიხვი გადაეწვინა. ნელა მივიდა და ტვირთი რბილად დადო კერიასთან. ვეება ხარჯიხვი იყო. სამ-სამი წყრთა რქები მოჭრილ მუხის ტოტებივით ეყარა მიწაზე.

— ჩვენს ძროხაზე დიდია! — გაიკვირვა სირინომ.

— დალის თვალი მწყალობს, შვილო. მეორეც მოვკალი, თოვლში ჩავთალი, გოგირდი ვუკმიე, ნადირი რომ დააფრთხოს. დილით უნდა გავბრუნდე.

— ნეტავი ერთხელ დალი მაჩვენა. ამბობენ, ქალს არ დაენახვება, ეჭავრებაო. შერგილი რომ შეხვედროდა, თუ ეჩვენებოდა ნეტავი? კარგი ვაეები უყვარს თურმე.

— რას ამბობ, გოგო. დალიზე ასეთი ლაპარაკი გამიგონია? რომ გამიჯარდეს, ხომ დამლუპავს.

— შენ როგორ ფიქრობ, მამა, შერგილს ეჩვენებოდა თუ არა დალი?

— რა ამოიჩემე, გოგო, ის გადაკარგული ბიჭი!

— გადაკარგული კი არა, მეფის წარგზავნილია.

— მერე ამდენ ხანს რად არ გაგვიხსენა? შეიძლება იქ დაცოლ-შვილდა კიდევ.

სირინო ელდანაცემივით წამოვარდა.

— რას ამბობ, მაგა! შერგილს ორი გული არა აქვს, ყველა სვანი-
ვით ისიც ერთი გულის პატრონია!

— ჰე, რა ვიცი, შვილო, მაშ ამდენას სიტყვა ვერ მოვაჭიდრი
ნა? შენი შეხედვა გულს მიკლავს. ხანდახან დედაშენი მომელან-
დება, ალბათ მასაც აწუხებს შენი გულისტყივილი!

— შერგილი მალე ჩამოვა, სულ მალე, დედას კი, თუ კიდევ
დაგესიზმროს, უთხარი, სირინო ბედნიერია-თქო. მთელს სვანეთში
ვის პყავს შერგილისთანა საქმრო!

გარეთ თოვლი აჭრიალდა.

— ვიღაცაა, მამა! — გაფითრდა გოგო. მართლაც, რამდენიმე
ხნის შემდევ კოშკის ძირიდან ძახილი მოისმა.

— სირინო, სირინო, ძაძუ ვარ! სტუმრები მოგიყვანე, დიდი მე-
ფის წარმოგზავნილებია!

— საპატიო სტუმრებია. ღმერთო, შერგილის კარგი ამბავი
ათქმევინე მოსულებს. — პირჯვარი გადიწერა ძველმა მონადირემ.

— გახედე, მამა, მე კი მანამ კაბას გამოვიცვლი, ასე სიჩუპი-
ლია.

ზულდედანმა კარი გამოაღო. მეზობლის ქალს ორი ნაბაღშემო-
ხვეული ვაჟეაცი შემოჰყეა.

— მშვიდობა ოჯახს!

— გამირჯობა არ მოშლოდეს ამ კერას.

— მობრძანდით, მობრძანდით! — მეფის მოგზავნილები — ღვთის
მოგზავნილებია. რისოვის გაეგსარჯათ დიდმა მეფემ ასეთ ამინდში?

— მოგიყითხათ მეფეთ-მეფემ, საჩუქარიც მოგიძლვნათ. მათ შო-
რის ერთი შერგილს გამოუგზავნია შორეული ზღვისპირეთიდან.

— ღმერთმა თქვენს მარჯვენას უშევლოს. თუ შერგილი ავად არ
არის, ჩვენც ბედნიერები ვართ მაშინ, შვილებო!

— კარგად ყოფილა, ეს ზამთარიც და კვირიკობისთვეში მანდ
ვიქნებიო, შემოუთვლია. მეფემ თქვენი ქალიშვილისთვის, ცალკე
გამოგვატანა მოსაკითხი.

ჭაბუკებმა ხურჯინის თავი ნელ-ნელა გახსნეს.

— ამ თოვლში რომელი გზით მობრძანებულხართ, ვერ მიმიკვ-
ლევია?! — გავირებით იყითხა მასპინძელმა.

— უშგულით მოვედით. ბანდულებზე შეჩვეულნი, თვითონაც
უშგულები ვართ. ახლა მეფის კარზე ვიყავით.

— კარგი ყმები ყოფილხართ, შვილებო, ომერთმა და მეფე^მ გა-
კურთხოთ! დავით მეფე ხომ კარგად გვყავს?

— შემოგითვალით — კვიცის გამოგზავნისთვის მაღლობა მარტივია
სენებიათ.

— ომერთმა უშველოს, ჩემი კვიცი რა სახსენებელია, მაგრამ
მაინც მესურვილება გავიგონო, ხომ ქმაყოფილია დიდი მეფე?

— ასეთი მძლავრი, მოუღლელი მუხლი დუნიაზე ცხენს არ ექნე-
ბა! დავითს არაბული ცხენების რემა ჰყავს. ვერც ერთმა ფეხი ვერ
გაუსწორა შენ ნაჩუქარ კვიცს.

— მთხოვ ცხენია, შვილო, ძლიერი წვივი აქვს. მერე მე ჯიხვის
რჩით ვერდიდი სამეფო კვიცს. ნადირის რძეს კი სხვა ძარღვი აქვს,
ცხელია, ცხენს სისხლს უთბობს, უდევარს და მოუღლელს ხდის.

სირინო კოშკის კიბიდან ჩამოვიდა და მოსულებს მიესალმა. ვა-
უძს თვალებში სინათლე ჩაუდგათ.

— რად ირჩებოდა მეფე-ბატონი. განა ცოტა აქვს საზრუნავი?
თქენიც დიდი მაღლობელი ვართ, რომ შერგილის სიკეთე გვითხა-
რით.

სტუმრებმა სირინის მეფის ძლვენი მიაშოდეს. ძვირფასი ბეჭვის
ჯუბა იყო.

— უიმე, ამას ვინ ჩაიცვამს?

— ქორწინებამდე ეს იყოს და ქორწინებისთვის სხვა გვევალე-
ბოდესო, ბრძანა დავითმა.

— შერგილი კვირიკობისთვეში ჩამოვა. მწიფობისთვეში ქორწი-
ლი უნდა გადავიხადოთო, ბრძანა მბრძანებელმა. — წყნარად დაუ-
მატა მეორებმ.

— თქენ პირს შაქარი. ახლა ეს ჯიხვი გავატყაოთ და მწვალე-
ბი შევწვათ.

— შერგილის საჩუქარი არ მოგვირთმევია ჯერ.

პირველმა ვაუქა ლამაზად ნაქსოვი ბოხჩა გახსნა. აბრეშუმის
წითელ ქსოვილში რაღაც იყო შეხვეული. თვალებაბრიალებულმა
სირინომ მორცხვად ჩამოართვა და გაშალა. შიგ პატარა სახარება
აღმოჩნდა. ვერცხლის ყდაზე დავითის სახე იყო მინასავით გამჭვირ-
ვალე წვრილი კენჭებით ჩაჭედილი. მეფე საოცრად ცოცხალი თვა-
ლებით იყურებოდა.

— შერგილის ხელია! — აღმოხდა სირინის.

ფურცელი გადაშალა. ქართული ასოებით იყო ნაწერი.
— გელათშია ნათარგმანები, ყდა კი უცხო ქვეყანაზე განვიტანდა
ბია. ბარაქალა, ბიჭო! სამწუხაროა, მეფეს არ უნახაში უცხო წიგნის
— რატომ არ უნახაგს?

— შეხვეული იყო და ოოგორი იყალრებდა მის გახსნას.
სირინო ჩაფიქრდა. — მაშინ, ოოცა უკან წაბრძანდებით, თქვენ
თვითონ წაულეთ მეფე მბრძანებელს. ნახოს და გაუხარდება: ახლა
კი, მამა, ვახშამს მივხელოთ, შენც დამშეული ხარ და სტუმრებიც.

მან წიგნი ასწია სახატეზე შემოსადებად და უცებ იატაჭე
გვირილის ხმელი ფურცლები გადმოცვივდა.

— ხალდეს ყვავილებია. შერგილს შეუნახავს ფურცლებშუა! —
გაებაღრა სახე სირინოს.

* * *

სოდომ-გომორის ქალაქია ბერძენთა ეს ქალაქი. რამდენი ადა-
მიანია, იმდენი ენაა. ვის გაუგონოს სვანმა ბიჭმა! ბერძენი და
სპარსელი, ისრაელი და არაბი, პაჭანიყი და ათასი კიდევ სხვა.
ღიდმა მოძღვართ-მოძღვარმა, სანამ მთვარე ათვერ დაილეოდა და
გაიგებოდა, ორი ლერი ბერძნული ასწავლა, ეს არის და ეს. ამ
სიტყვებით პურს თუ იყიდის და წყალს დალევს. არაფერი არ მოს-
წონს ამ ქალაქში ერთის გარდა: ბაღჩები ვარდებითა და ყვავილე-
ბით არის საესე. ასეთი გარდები ხალდეს მანდვრებს არც დაესიზმ-
რება. ორი პეშვის ხელა თითო კოკორი. ახლა სურნელი?! ერთი
გარდის სურნელი მთელ ხალდეს გააბრუებდა! ნეტა ერთი სირი-
ნოსთვის გააგზავნინა ეს ყვავილები უჭირობლად! იქნებ თესლი
ჩავიგდო ხელში. იქნებ კი არა, აუცილებლად უნდა ვიშოვნო.
დავით მეფეს გაეხარდება. მერე ოოგორ დაამშვენებს უქიმერიონის
ბაღებს!

ცაშე კი ვარსკვლავები თითქმის ისეთივე ჩანდა, ოოგორც
ხალდები. ოღონდ ესაა, სხივთა ციალი იყო სხვანაირი! თითქოს
უფრო მეტად ნაზი და ხავერდოვანი. იქ კი, მის ხალდები, ვარსკვ-
ლავები მნათი და აილამას მწვერვალივით მიუკარებელნი. არიან,

ეჭ, როდის გავა დავითის დათქმული დრო! შერგილმა საკუთარი თვალით ნახა სანახავი. გასაკვირი არც არაფერია! იცის ხალდელმა ჭაბუქმა, ზღვის კენჭით როგორ მოხატოს ჩაფიქრებული სისტემა ნივთი. ამ ქალაქშიც რომ არ წამოსულიყო, ისედაც დაძლევდა განზრახულს. ღმერთო, არ შეგცოდო და სწავლით არც თუ ცოტა ისწავლა. ბევრი რამ ახალი ნახა და შეითვისა.

დიდი ოსტატები ჰყავთ ბერძნებს. ისეთი თვალი აქვთ, მზის ფერს ათასნაირად დაგიხატავენ და მზეობას კი მაინც ყველგან აგრძნობინებენ მნახველს. მალე გელათშიც ეყოლებათ ასეთი ჭაბუქები. დიდი ოთანე და მოძღვარი არსენი კავკასიის მთებს გადადგამენ, თუ კი მოინდომეს. პოი, იოანე, იოანე! მართალია, დავით მეფეს არც რაინდობა აკლია და არც სიბრძნე, მაგრამ შენი მსგავსი იღამიანები აღამაღლებენ ერის გონებას, მისი სიბრძნის სალაროს შენისთანა შეწირული აღამიანები ამდიდრებენ.

ამ ფიქრში გართული შერგილი ნელი ნაბიჯით მიღიოდა ბოლაზისენ, იქნებ ხომალდს ქართველი ვინმე ჩამოჰყვესო. იქაური ამზები აწუხებდა ძალუმად.

უზარმაზარი ბოლაზი ათასი ჯურის ხალხით იყო სავსე. ხომალდებს ნუ იქითხავთ! აფრების თვალუწვდენი ტყეები ირხეოდა ზღვაზე. ვაჭრები და მოლები, მღვდლები და ბერები ერთმანეთში ირხოდნენ. ქუჩები გლახაკებით იყო სავსე. სვანი უკისათვის მაინც ყველაზე ლამაზი და საოცარი ზღვის ულამაზესი ლურჯი უბე იყო. სანაპიროზე დიდებულთა სასახლეები იყო წამოჭიმული. ბაღებში ათასნაირი ვარდი, ფორთოხალი და მისთვის უცნობი სურნელოვანი მცენარე ჰყვაოდა.

— სვანეთის წყლები და მდინარეები მაინც სხვა არის. ხალდეს ცას შეტოტებული მწვერვალები მთელ დუნიას ურჩევნია.

უცებ ორი უცხო კაცი დალანდა. მათი მიხერა-მოხერა, სიარული და სახის ნაკვთები ეცნაურა. ტანსაცმელი კი ნამდვილად ქართული ეცვათ.

— ქართველები ბრძანდებით? — შორიდანვე შეეკითხა.

— ღიას, საქართველოდან ვართ. შენ კი ვინა ხარ, ჭაბუქო?

ახლა ვარგად შენიშნა შერგილმა, ისინი უბრალო აზნაურები არ იყვნენ. ქამარ-ხანჯალი და ხმალი სულ ოქროთი ჰქონდათ მოჭედილი.

— შენ ის სვანი ჭაბუკი ხარ, ალბათ, გელათის ტაძრის გუმბა-
თის მოსახატად რომ გელიან!

ერთონაული
პირული

— ვინ მელის?! — შეცბა შერგილი.

— თვითონ მეფე დავითი. სულ მალე ყველაფერი დასრულდება...
შენ კი გუმბათის კედლის აღმოსავლეთ მხარეს გიტოვებენ. ასე
უბრძანებია ხუროთმოძღვარს.

— თქვენ რისთვის გარჯილხართ?

— ჩვენ ბერძენთა მეფის კარზე ვართ წარმოგზავნილები მე-
ფეთ-მეფის დავითისაგან.

— როდის წაბრძანდებით? იქნებ მეც გამოგყვეთ, ჩემიანებთან
მგზავრობა გამიხარდება.

— ჯერ არ ვიცით, ჭაბუკო, თანაც მეფის დასტურის გარეშე
ვერ წაგიყვანთ. მან დაგვისაგზლა, ინახულეთ და ჩემი ბრძანება
უთხარით: ბევრი ისწავლოს, ჩვენს მიწაზე სასახლეების და ტაძრე-
ბის შენება აწი უნდა დავიწყოთო.

— ნუთუ მეფეთ-მეფეს ვახსოვარ? — გაწითლდა შერგილი.

— ახსოებარ კი არა, გვიბრძანა, მოინახულეთ და ჩემი საჩუქა-
რი გადაეცით, — უთხრეს და ხელში ოქრო-ვერცხლით სავსე აბ-
რეშუმის ყაითნით ნაქსოვი ქისა ჩაუდვეს. — არაფერი მოიკლოსო,
დაგვაბარა.

ჭაბუკი გაოგნებული დასცექეროდა ქისას.

— იცოდე, ხვალ შინ გამოგივლით, არსად წახვიდე. ნაბრძანებ.
აღგილზე უნდა მიგიყვანოთ, — უთხრა პირველმა.

შერგილი ამის მთქმელს დაკვირდა. მეტად ახალგაზრდა ჩანდა
მოსული. შავი, თხელი წვერ-ულვაში მის ნათელ სახეს ვაჟკაცურ
იერს აძლევდა. „ვინ უნდა იყოს ნეტავი“, — გაიფიქრა შერგილმა.
მერე უცებ მიხვდა, კინალამ შუბლზე იტკიცა ხელი! კი, ნამდვილად
სახლთუხუცესი იდგა მის წინ.

„ესენი დიდ საქმეზე არიან ჩამოსული. მეფე სახლთუხუცესს
აღვილად არ გამოუშვებდა“, — გაიფიქრა მან.

— თქვენს ბრძანებას ვინ გადაუვა, სახლთუხუცესო! — უცებ-
წამოცდა ეს სიტყვები.

— მიცანი! — გაოცდა სახლთუბუცესი, — იცოდე, არსად დაზ-
ცდეს! არაა საჭირო. ჩემი აქ ყოფნა სხვებმა იცოდნენ. ხვალ კი გა-
მოგივლით, ბინა ვიცით, პირველად როდი ვართ ამ ქალაქშიერაზმარ-
თუ მიხვდები, სად უნდა წაგიყვანოთ!

პირველი გვ. 1

— აზრი ვერ მიმიწვდენია, სახლთუბუცესო.

— მეორედ არ წამოგდეს ეს სიტყვა, აკი გაგაფრთხილე!

— ბოდიში, ბატონო, — შეწუხდა შერგილი.

— ხვალ მეფის სრა-სასახლე და ბალები უნდა დავათვალიეროთ.
დავითს უნდა, საკუთარი თვალით ნახო მათი სიმდიდრე და მხატ-
ვრობანი.

შერგილს სიხარულისაგან ელდა ეცა.

— ეს ჩემი ფიქრი იყო! — წაილულლუდა მან.

— ასეა, ძმაო, დავით მეფემ უველა მისი ქვეშევრდომის ფიქრი
იცის და მის აღსრულებას თვითონ ცდილობს. ამიტომაა დიდი
მეცე.

— ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე მისცეს.

— აბა, ჩეენ წავედით. მშვიდობით.

ორი ნაბიჯიც არ გადაედგათ, რომ სახლთუბუცესი ისევ შემო-
ბრუნდა.

— შერგილ! — შემოსძახა ჭაბუქა. — ჭუნირი ხომ არ წამოგყო-
ლია? დავით მეფე დაქვრას გიქებს. მისი ხმები სამშობლოს გვახსე-
ნებს.

— კი, ბატონო, ჭუნირი ჩემი ხმალიც არის და ფარიც.

— მაშ ხვალ აღრე გამოგივლით, წასვლამდე ერთ-ორ სიმღე-
რას მოგვასმენინებ.

— როგორც თქვენ ბრძანებთ, ისე იქნება, ბატონო!

*
* *

ზღვა წყნარი იყო და ლურჯი. საღამოს გრილი ნიავი ნელა არ-
ხევდა ხეების ტოტებს და ზღვაზე გაშლილ აფრებს. დიდი ხომალ-
დები თეთრი ღრუბლებივით მოჩანდნენ შორიდან.

შერგილის სენაკის წინ სამნი ისხდნენ. ჭუნირის ხმა წყნარად
დაირჩა ზღვისპირეთში. წყნარადვე დაიგალობა შერგილ-ჭაბუქა.

ნელ-ნელა გაიღო მონასტრის სხვა სენაკთა კარები და თავი გამო-
ყვეს ბერებმა და შეგირდებმა. ერთმა ვერ მოითმინა და ბერძნუ-
ლად დაიძხა:

— შერგილი უკრავს. გამოდით ბიჭებო, გამოდით!

— შენ, ჭაბუკო, ეტყობა, თავი გამოგიჩენია კიდეც! — გაეღიმა
სახლთუხუცესს. შერგილმა ხმას თანდათან აუწია.

ახალგაზრდა შეგირდები გარს შემოეხვივნენ.

— იცოდე, ტოლივით მელაპარაკე, გინდა, ნათესავად გამოქვი! —
ხმალაბლა ჩაულაპარაკა სახლთუხუცესმა.

მოსულებს ერთი ახოვანი, შავთმიანი ყმაწვილი გამოეყო.

— ლილე იმღერე, შერგილ, — შეეხვეწა სვან ჭაბუკს.

— ჩვენი სიმღერებიც ასწავლე, ბიჭო, ამათ?! — გაოცდა სახლთ-
უხუცესი.

— თვითონ ისწავლა. მეტად მოსწონს ჩვენი სიმღერები. ამ ბო-
ლო ღროს თვითონაც მეხმარება. ისეთი მოძახილი აქვს, მოგე-
წონებათ. თითელი ბერძენია, ოქროს ხელი და გონება აქვს.

— თანამემამულეები არან?! — იკითხა ისევ ბერძენმა. — დიდი
კაცები ჩანან, ის ერთი მაინც ბრძენი იქნება! — სახლთუხუცესს კინა-
ღამ სიცილი შესკდა. შეგირდმა ის კი არა, მისი მხლებელი ჩათვა-
ლა ბრძენ კაცად. თავი შეიკავა, იცოდა ბერძნულის ცოდნის გამჟ-
ღავნება საკუთარი თავის გამუღავნებას ნიშნავდა.

შერგილმა ლილე წამოიწყო. სახლთუხუცესმა და მისმა მხლე-
ბელმა ვეღარ მოითმინეს და ხმა ააყოლეს. მწყობრი სიმღერა საო-
ცარი სიძლიერით ამაღლდა. უსმენდნენ და ეგონათ კაცებისინის
მთები თანდათან გუგუნით შიშვლდებოდნენ და მაღლდებოდნენ.
კალთებს იშმუშნიდნენ, მხრებს იბერტყავდნენ და ყინული და თოვ-
ლი ხევებში სცვიოდა, ქვესკნელში მიქშუოდა. თითქოს სამი ქართ-
ველი კი არა, ასი მწვევრვალი მღეროდა. არა, პრომეთე-ამირანი გუ-
გუნებდა ადამიანთა სიმძლავრეზე, ვაჟკაცობაზე, შეუდრევლობაზე,
ეს ღმერთების სიმღერა კი არა, მათი სიძლიერის დამხობის საგა-
ლობელი, ადამიანის ნიჭისა და გონიერების, მისი უტეხი რაინდო-
ბის ამაღლებული ჰიმნი იყო, მათი თვალმიუწვდომელი სიმაღლისა
და ძლიერების სიმღერა.

უცებ მონასტრის წინამძღვარი გამოჩნდა. დინგად მოდიოდა მათ-
კენ. შერგილმა შეხედა და დაიბნა. არ იცოდა, რა ექნა. დაბნეულო-

თა ხმაზეც დაეტყო ჭაბუქს, ეტყობა, წინამძღვარმა იგრძნო ეს და
ანიშნა, ნუ გეშინია, იმღერეო!

ერთი კიდევ მძლავრად შეუგალობეს და დამთავრეს, ხმას არა-
ვინ იღებდა. მხოლოდ მომღერლებს დასტყობოდათ სიმღრის ეჭ-
ხით გამოწვეული სიწითლე.

— დიდებული სიმღრის გქონიათ, შვილებო, დაილოცა თქვენი
კუთხე.

— „სიმღრის შენ ჩვენი მეფე დავითისა უნდა მოისმინო! —
გაიფიქრა სახლთუხუცესმა.—რომ დაიბუხუნებს, მისი ხმის სიძლიე-
რე თქვენს მონასტერს ქვის გუმბათს ააგლეჭს“.

— შერგილ! — მიუბრუნდა უცებ ჭაბუქს, — მეფემ მითხრა,
ჟვავილთა სიმღრის იცისო, ვაუობას გაფიცებ, მომასმენინე.

შერგილი შეკრთა. „რა საჭიროა ახლა აქ ყვავილთა სიმღრის? —
ვაითუ ვერ გამიგონ, — სირინო და მეფე სხვაა, ამათ კი, ვინ იცის,
დამცინონ კიდეც. უარს მაინც ვერ ვეტყვი მეფის სახლთუხუცესს.
მერე სად, ამ უცხო ქვეყანაში განა ქართველი კაცი ქართველს
სიმღრის მოსმენის ეშხს გაუმტყუნებს?“

შერგილმა დაიწყო. ჭუნირის სიმებს ჯერ ის ჩურჩული აღმოხ-
და, ბერები წყნარად, ნელა დაირხნენ მონასტრის ეზოში. მერე
წყნარადვე გადაინაცვლეს ზღვის უბისაკენ, ბალებისაკენ, სასახ-
ლეებისაკენ. წინამძღვარი წინ წადგა, — თითქოს ისედაც ლურჯი
ფერები, ზღვას თხელი ნისლივით რომ გადაპყროდა, ახლა უფრო
გამრავლდა, ის ფერი დაედო. თითქოს ის სურნელი გაჩნდა კი-
დეც მონასტრის ეზოში და გარემოს მოეფინა. თვითონ შერგილის
ფიქრი კი ხალდეს მინდვრებზე დაქროდა. ახლა თვითონ მოუნდა
გვირილების სიმღრის, — ხალდელი გოგონების ცეკვა. სიმები მწყო-
ბრად ირხეოდნენ და ცის გუმბათს აკანკალებდნენ.

— საიცარია პირდაპირ! — დამთავრებისთანავე თქვა წინამძღვარ-
მა. — აქ ჩვენში იოანე ქართველის მკრეხელობა უკვირდათ, ჩვენი
ეკლესია მის ცოდვებს მისსავე მასწავლებელს იოანე იტალოს აბ-
რალებდა. ვინც თქვენ სიმღრების მოისმენს, მიხვდება, საიდან მო-
დიოდა მისი წარმართული ფიქრები. ბრძენთა-ბრძენია იოანე პეტ-
რიწონელი, მაგრამ ერთაჩება ღმერთი მას ჩვენსავით როდი სჭამს!

— იოანეს მკრეხელობა ვინ თქვა, წინამძღვარო?! — წამოდგა
შერგილი.

— დაჯექი, ბიჭო. — უბრძანა სახლთუხუცესმა, — შენ რა გვიკარდოთ. ამათ თავიანთი პატიობა და დავა აქვთ. ეს ჩვენი საქმეები არის!

— მიწის პირზე ისეთი მტერი ახლა მართლმადიდებელ ეკლესიას არა ჰყავს. გონებით ძლიერია და მით არის საშიში. გავიცა, თქვენს მეფეს ითანხმდეთ თავისთან მიუწვევია.

— არ ვიცი. წინამდღვარო, — იუარა შერგილმა, — ჩემსობას იქ ითანხმდეთ არავის ერქვა.

სახლთუხუცესს ულვაშებში ჩაეცინა. მოეწონა სვანი ჭაბუკის ტყუილი.

— ჰევიანი კაცი ყოფილხარ, — ჩუმად ჩაულაპარაკა ქართულად — ეტყობა, ამ ბერძენს ითანხმდეთ ვერ მოუნელებია. იტალოსი დალუბეს კიდეც. ახლა ითანხმდეთ ებრძვიან, რას უზამენ, შვილო. დავითის კალთის ქვეშ ახლა ვინ გაუბედავს რასმეს.

უავე დრო იყო წასვლის.

შერგილი სენაკში შევიდა თმის დასავარცხნად. შეგირდებმა და ბერძებმა თავიანთ სამყოფელს მიაშურეს. მარტო წინამდღვარი არ იძრიდა ადგილიდან.

სახლთუხუცესი და მისი მხლებელი მიხვდნენ, რომ წინამდღვარს რაღაც აწუხებდა. მან ერთხელ კიდევ მოავლო თვალი გარემოს და რაკი შენიშნა, რომ მათ გარდა არავინ იყო, მოულოდნელად ქართულად დაიღია დაიღია დაიღია.

— არ გაიკვირვოთ, მე ითანხმდეთ მოწაფე ვარ. ვიცი, იგი დავით მეფის სამსახურშია. მაპატიოს შეცდომანი ჩემი. მე რომ მის კვალს გაყვოლოდი, არ შემეძლო, დავიღუბებოდი. იტალოსი ჩვენში სატანაზე უფრო საშიშრად არის გამოცხადებული.

— ქართული ითანხმდეთ შეგასწავლათ?! — არ დაიბნა მოულოდნელობით სახლთუხუცესი.

— არა, ჩემით შევისწავლე, ვერ კიდევ ათონში. მერე პეტრი-წონში მოეხვდი გრიგოლ ბაკურიანელის სემინარიაში. იქ შევხვდი დიდ ითანხმდეთ.

— ორიოდე წუთის წინ მეგონა, ითანხმდეთ თქვენზე დიდი მტერი არ ჰყავდა. — გაეღიმა სახლთუხუცესს.

— რას იზამ, აღამიანს ხშირად უხდება თავისი ფიქრების მალვა. იქ წერან არი ბერი იყო. ვიცი, ისინი მე მითვალთვალებენ. კათალიკოსი ეჭვიანობს ჩემზე.

— წინამძღვარო, შერგილი უნდა წავიყვანოთ ცოტა ხნით, მი-
ნაური საქმეები გვაქვს მასთან. — სხვაზე გადაიტანა საუბრი
სახლთუხუცესში.

— წაიყვანეთ, ვინ უშლის, თქვენი ქვეყნის შეილია, როგორც
ენებავთ, ისე მოიქეცით, — სწორედ ამ დროს შერგილი გაფითრე-
ბული გამოვიდა თავისი სენაკიდან და პირდაპირ წინამძღვარს მოა-
შურა.

— წინამძღვარო, ჩემი სასთუმლიდან ვიღაც ხელცივს ჩემი სო-
ფლის კენჭით მოჰიქული ნახატი მოუპარავს. იგი სახეა დავით მეფე-
თა-მეფის. თუ არ დამიბრუნებენ, სისხლი დაიღვრება! ამას ვერავის
შევარჩენ!

წინამძღვარს მუხლი მოჰკვეთა.

— ეს იმ ორი ბერის ხელის საქმეა, სხვების სასთუმლებში ბუ-
ჭურობენ, გვამოწმებენ.

— ეტყობა, დავითის სახე იოანეს მიამგვანეს, — წყნარად თქვა
სახლთუხუცესში და წინამძღვარს შეხედა.

— ნუთუ ისინი ერთმანეთს გვანან? — კიდევ უფრო აკანკალდა
წინამძღვარი.

— წვერულვაშით კი გვანან. ისე, დავითის ერთი მაჯა იქნება
იოანეს ყელ-კისრის სიმსხო.

— დავლუპულვართ და ეს არის. კათალიკოსი იოანეს იცნობდა,
მკრეხელობას დაგვწამებს თქვენცა და ჩვენც.


— ნუ შეწუხდებით, წინამძღვარო, დავით მეფის სიძლიერე ახ-
ლა თქვენს კათალიკოსსაც კარგად მოეხსენება.

მონასტრის ეზოში ბერძენთა მეფის ათი ცენონსანი შემოჯი-
რითდა. წინ კარისკაცი მოუძღვნდა. ჩამოქვეითდნენ და მოკრძალე-
ბით წამოვიდნენ სახლთუხუცესისკენ.

— მეფე გთხოვთ. სასახლეში გელით მეფეთა-მეფის დავითის
წარმოგზავნილება!

სახლთუხუცესს ფერმა გადაჰქრა, „კაშუშებს დავუსმენივართ,
აწი მალვა აღარ ღირს“. — გაითიქრა და წამოდგა.

— მონასტრის სტუმრები ვართ, ერთი ჩვენი შეგირდი სწავ-
ლობს აქ და მისი წაყვანა გვიბრძანა მეფეთა-მეფემ.



— მეფემ უკვე გაიგო, თქვენს შეგირდს დავითის სახე დაუხა-
ტავს.

— საიდან მოხვდა დიდ მეფესთან ყრმის ნაცოდვილობის
თომ გაიკირვა სახლთუხუცესმა.

— კათალიკოსს უნახავს და მან უსაჩუქრა.

სახლთუხუცესმა წინამძღვარს გადახედა და ქართულად ჩაი-
ლაპარაკა:

— თუ ჩვენში წამობრძანებას ინებებთ, გამოვივლით. იცოდეთ,
მეფეთა-მეფე დავითმა იცის თქვენისთანა ბრძენი ადამიანების ფასი.

— უკვე მოხუცი ვარ. შორეულ მგზავრობას ვეღარც კი ავიტან-
დავით მეფეს კი მოკრძალებით გადაეცით ჩემი კეთილი სურვი-
ლები.

— წინამძღვარო, ნუთუ თქვენ იცნობთ კოლხთა მეფეთა-მეფეს?

— გაიოცა მეფის კარისკაცმა.

— ვიცნობ, შეილო, აი, მისი თხოვნით ეს შევავროვე.

ამის თქმასთან ერთად წინამძღვარი თავისი სენაკისაკენ წავიდა-
ცოტა ხნის შემდეგ ხბოს ტყავის მომცრო ტომარა გამოათარია და
ბალახზე პირი მოხსნა.

— მეფეს ზღვის კენჭები რად დასჭირდა? — კიდევ უფრო გაი-
ოცა კარისკაცმა.

— ხომ ნახეთ დავითის სახე იმ საღვთო წიგნზე. ის ამ ბიჭმა
მოჰქმდა. დავით მეფე დიდ ტაძარს აშენებს გელათში. იქ უნდა
ღვთისმშობლის სახე მიაკენეოს ტაძრის აღსავლის გუმბათს. წავა
თუ არა ეს ბიჭი, მეც ეს თან უნდა გავატან.

ამ სიტყვებს არავინ ელოდა. ყველა გაოგნებული იდგა.

სახლთუხუცესი კი გუნებაში იღიმებოდა.

— ბრძენთა-ბრძენია ჩვენი დავითი. ხედავთ, საიდან სად გად-
მოუწვდია ხელი?

შერგილი მაინც ვერაფერს მიმხვდარიყო. გაოცებით შეპყურებდა
ყველას, განსაკუთრებით კი წინამძღვარს.

— აი, თურმე რატომ მეფერებოდა, დროს არ იშურებდა ჩემი
გაწვრთნისათვის! ითანეს ძმობილი ყოფილა. დავით მეფის პატივის-
მცემელი. ახლა კარგად გაახსენდა, ერთხელ ღამე გააღვიძა წინა-
მძღვარმა და არსენ წინამძღვრის ბარათი იდუმალად გადასცა. ბა-
რათთან ერთად აბრეშუმის მომცრო ქისაში ხუთი ბრტყელი, ფე-
რალი კენჭი იდო.

— ეს რა არის? — გაოცდა წინამძღვარი.

ჩემი სოფლის მდინარის კენჭებია, — აუხსნა მაშინ შერგოლუა; გულში კი ფიქრობდა: სირინო ისევ გელათში იწვრთნება უცლივეს მეზე. ეტყობა, ხალდეშურას კენჭები შიკრიკს ბარათთან ერთად ნა-მალევად გამოატანა.

„ნეტავი ყვავილების სიმღერა თუ ესმის ახლა სირინოს?!“

*

* *

მრავალმა წელმა განვლო. დავითი კარგა ხანია გელათის მიწა-ში, უზარმაზარ ლოდქვეშ განისვენებდა. დემეტრეც გარდაიცვალა. არსენ წინამძღვარმა გელათიდან იყალთოში გადაინაცვლა, იქ იმო-ლგაწევა და კახეთის მიწაზევე მიიძინა. სულმნათი იოანე, მუდამ ადამიანთა სიკეთეს რომ ქადაგებდა, ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ბედ-ნიერებას ვერ ეღირსა.

შერგილს და სირინოს უკვე ათი შვილი და ოთხმოცამდე შვილ-თა შვილი ეხვიათ. სად არ იარა შერგილმა: გელათიდან ისევ სა-ბერძნეთში მოუხდა წასელა, იქიდან ახალ გაქრისტიანებულ ჩრდი-ლოეთში იმოგზაურა. იქაურ ტაძრებს თავისი ხელი დაატყო, ნახე-ტიალები და მოღლილი დაბრუნდა სამშობლოში. სირინომ იუარა სხვა ქვეყანაში ცხოვრება, უკვე მოხუცები ისევ ხალდეში დაბრუნ-დნენ. ბიჭები დააცოლშვილეს, ქალები დაათხოვეს და თვითონაც დაწყნარდნენ. შერგილმა ზედ წყაროს თვალზე კოშკი ააგო, რომ მტრის შემოსევისას უწყლობა არ ეგრძნო შთამომავლობას. ისხდნენ ახლა სვანეთის გრძელ ზამთრის ღამეებში და წარსულს იხსენებდ-ნენ. შერგილს მუხლში იმდენი ღონე კიდევ ჰქონდა, გარედან შეშა შემოტანა და ჯიხვის ხორცი შამფურზე აეგო. სირინო კი ლოგინად იყო ჩავარდნილი. ფეხზე ადგომა უჭირდა.

— მართლა ლამაზი ქალი იყო ჩვენი ბებია?! — ილიმებოდნენ შვილიშვილები. სირინოს სადღაც მაინც გაკავდა თვალებში ელვის მსგავსი პატარა ნაპერწყალი.

— ნუ ხუმრობთ, ცელქებო! ჩემი სილამაზე მხოლოდ ჩემმა შერ-გილმა იცის. ოქვენ კი თქვენ ქმრებსა და სილამაზეს მოუარეთ, ეშმაკის ფრთიანებო!

თვითონაც იღიმებოდა, აკვირდებოდა შეილებს და შვილაშვილებს. ხედავდა, ზოგი მას ჰევდა, ზოგი შერგილს, აი, ბეჩაო! მისი ნაქარგი დროშით სულცხონებულმა დავით მეფეთა-მეფეშ სად არ შეულეწა მტერს კარი, სხვა რომ არა, მარტო ის რად ღირდა, რომ მისი ნახელსაქმევი თბილისის ცაზე გადმოკიდეს გამარჯვებულმა ქართველმა მეომრებმა? ახლა ეს ცხვირმოუხოცელი გოგოები დასკრინიან სირინს?! არა, კი არ დასკრინიან, ასე ღიმილით ისსენებენ მის სიკეთეს. იციან ცელქებმა, ბებოს გულში რომ უხარია ასეთი საუბარი. აბა, როგორ ჰგონიათ. შერგილმა მოაგადოვა სირინ ქალი, თავდაპირველად საწყალ მამასაც არ მოეწონა მათი ამბავი, მაგრამ მერე ისიც სულ ლევდა შერგილის გახსენებაზე. ვაჟი არ ჰყავდა და შეილივით შეითვისა სირინის რჩეული.

ან კი ვინ იყო შერგილისთანა? რასაკვირველია, არავინ. სოფელი ვერ მიხედა პირველად შერგილის სიკეთეს. კინალამ გიყად მონათლეს.

ვინ გაიგონა ყვავილთა სიმღერა და ცეკვა-თამაშიო?! უკვირდათ. მარტო მე მივუხვდი შერგილს, მე გავუგი. მე ჩავიხედე მის გულში. სხვანაირად ცოლ-ქმრობა არ შეიძლება. საყვარელ მამაკაცს კარგი ცოლი ყოველთვის მიუხედება ფიქრს. შერგილს კი თავისი ფიქრი აწვალებდა. სირინის შემხედვარე გულში ბოლმას იხვიდა.

— ნეტავი მე დავვარდნილიყავი, ეს ქალი კი არ წაქცეულიყო. ნახევრად მევდარია და თვალები მაინც ჩემკენ აქვს. მეცოდება, მეცოდება. მთელი ცხოვრება სიხარულით ამიტო. არასდროს ბედი ჩემი არ მიწყევლია, არასდროს დარდი არ შემომპარვია გულში. ახლოს ვუყურებდი, თუ შორს ვიყავი, მაინც მისი თვალების შუქი მინათებდა გზა-კვალს. ცაზე ახედვა მიხაროდა და ქვეყნის თვალის გადავლებაც. ყველაფურია მისი სიყვარულით იყო. მეფენიც კი არ ყოფილან ჩემზე ბეღნიერნი. ღმერთო, შენით და, არც არავინ მინახას ჩევენზე უფრო სიხარულით ივსილი. აბა ვინ იყო: იოანემ ქვეყანას შესწირა თავი, ბევრი იმოგზაურია და იმოღვაწევა. უკვდავება დაიმსახურა, ბეღნიერება კი — ვერა. არსენსაც ასე მოუვიდა. ბოლოს და ბოლოს მეფეთა-მეფე იყო დიდი დავითი, თითქმის ქვეყნის მშერობელი გახდა, მერე რა?! ჩემზე ბეღნიერი მაინც არ ყოილა. საოცარია მაინც! ამდენი ომი გავიარეთ, რამდენი ავადმყო-

ფობა შენვდა ხალხს, ჩემი ახლობელი ავადაც კი არ გამხდარა. საა
 არ იბრძოლეს ჩემმა შეილებმა, ცოტა სასახელო საქმე რომელიც
 თეს სამშობლოსათვის, ტყვია კი არ გაპკარებიათ. ბეღია, მაგრა
 არის! ჩემი ოჯახის წევრს ჯერჯერობით მწუხრის ცრემლი არ გად-
 მოვარდნია თვალთაგან! მეტად გასაკვირველია; მაგრამ ასე მოხდა.
 მწამს, ყველგან სირინო-ქალის სიყვარული გვიფარვდა მეც და ჩემი
 ოჯახის წევრებსაც. მასაც და ჩენც მისი ნათელი ფიქრის შუქი
 გვინათებდა გზა-კვალს, მისი ლოცვა მიგვიძლოდა წინ. მეტად მიყ-
 ვარდა ეს ქალი, მასაც ვუყვარდი. ერთმანეთი ვაცოცხლეთ და ვაც-
 ხოვრეთ. ნეტავი ჩენი შთამომავალნიც ასევე ივლიდნენ ამ
 ბეღნიერ წუთისოფელში. ახლა კი მეტად დააჩიავდა და მო-
 ტყდა საწყალი. ჩემი რომ არ ედარდებოდეს, რამდენი ხნის წასუ-
 ლი იქნებოდა ამქვეყნიდან. ჩემი ჯავრი ამაგრებს კიდევ; ეშინა,
 უჩემოდ რა ეშველება, ვინ მოუვლის, ვინ მოეფერებაო. ძალ-ღო-
 ნემ უმტკუნა, მაგრამ მის თვალებში ისევ ის ცეცხლი ანთია, პირ-
 ველად რომ აგიზგიზდა. ღმერთო შენით და, მეც ვეღარ ვძლებ უმი-
 სოდ. წინათ წლობით ვიყავი გადახვეწილი, ოჯახს და მის სახეს
 მოშორებული. სადაც კი ვიყავი, მისი შუქი მომყვებოდა და მაძლე-
 ბინებდა, ახლა აღარ შემიძლია სირინის მოშორება, უმისოდ მგო-
 ნია უფსკრულში, სასიკვდილო წკვარამში ვარ ჩავარდნილი.
 მას რომ რაიმე დაემართოს, მე შეიძლება, უცებ არ მოვკვდე, მაგ-
 რამ ჩემი სიცოცხლის ყველა ნაპერწყალს ციიგი ფერფლი გადაეფა-
 რება. ვანგების მაღლობელი ვარ, რომ სირინ შემახვედრა ამქვეყ-
 ნის თანამგზავრად. მეც ბეღნიერი ვიყავი და ისიც”.

ეზოში ამ დროს სმაური გაისმა, უმცროს შეილიშვილებს სტუმ-
 რები მიეწვიათ, კოშეის ძირში სუთრა გაეშალათ, სულ არ დაეძებ-
 დნენ, ავად იყო თუ არა მოხუცი სირინ, თავიანთი ფიქრი აწუ-
 ხებდათ, თავიანთი საზრუნავი გასჩენდათ. ასე იყო და ასე იქნება.
 შვენოდათ ჯაჭვის პერანგები, მოქლე ხმლები და მუზარადები.
 ოდესაც შერგილიც ასე იყო, მოვა დრო და ისინიც მოხუცდებიან.

*
* *

ხალდეს მინდვრებზე მზე ყოველთვის აილამას მწვერვალიდან
 გადმოიხედავს. ამოსცდება თუ არა მის ყინულოვან, ცადაზიდულ

წვერს, ერთბაშად დაანათებს მთელ სოფელს. იმ დილასაც ასე იყო.
ოდნავ გრილოდა და სირინომ შერგილი მოიხმო.

მხრებში შემიდექი, შერგილ, კოშკის ძირას სკამლებინი გამიჩნა-
ლე, მინდა ჩვენ ეზოს და გაღმა მთის კალთებს ვუყურო.

შერგილმა ციმციმ ასწია სირინო და დაგებულ სკამლოგინზე
მიაწვინა. ხალდეშურა კლდეს ასკდებოდა, ღურღულებდა, გრია-
ლებდა, გარშემო ცასა და მიწას აზანზარებდა.

— რა პატარაა და რამდენი ძალა აქვს, შერგილ, ჩვენს ხალდე-
შურას? ყველა მდინარე რომ ასე ძლიერი იყოს, ქვეყანას წალეკავენ.

— პატარაა, მაგრამ ცეცხლია, მისი ტალღები შევარდნის ფრთა-
ზე უფრო სწრაფია. ხომ გიყვარს, სირინო, ჩვენი ხალდეშურა?

— გახსოვს, შერგილ, ჩემი სახე რომ მოხატე მის ნაპირზე?
მეუბნებოდი, ყვავილთა სიმღერა ვიციო. მე სულელმა დავიჭერე
კიდეც. — გაეღიმა სირინოს.

— ნამდვილად ვიცოდი. აკი გიმღერე, თვითონ არ მითხარი,
იები, გვირილები ცეკვავენ და იმღერიანო?! კარგად მახსოვს, ასე
მითხარი.

— გითხარი და ასეც იყო. ნამდვილად მესმოდა მათი სიმღერა,
ნამდვილად ვერდავდი მათ ცეკვას.

— ჭუნირი მინდა მომასმენინო. დაუკრავ, შერგილ?

— ხელი არ მემორიჩილება, ქალო!

— სცადე, შერგილ, მე მაინც გამიხარდება, ჭუნირი კედელზეა,
დაუძახე, მოვიტანონ.

შერგილი წამოდგა.

— არა, შენ ნუ წახვალ, ხომ გითხარი, ბავშვებს დაუძახე და ჩა-
მოგიტანენ. მინდა ახლოს იყო, მარტო ნუ დამტოვებ.

შერგილმა რძალს შეუძახა, ჭუნირი მომიტანეო.


— ნეტავე მეფეთა-მეფე დავითს თუ ესმოდა ყვავილთა სიმღე-
რა? — იყითხა სირინომ.

— არა, არ ესმოდა, სირინო, არც შეიძლებოდა გაეგონა!

— რატომ, შერგილ, ის ბრძენი კაცი იყო, ღვთის ტოლი კაცი
იყო.

— კი, ღვთის ტოლი კაცი იყო. მაინც ვერ გაიგონებდა ყვავილ-
თა სიმღერას.

— შეფე თუ ვერ გაიგონებდა, მაშინ ჩვენისთანები რას შეისმე-
ნენ, შერგილ?!?



— მეფეთა-მეფე დავითს კაცი უნდა მოექლა, მტერი გადასახადობა.

— მამულის მტერი კაცი არ არის, შერგილ!

— მე ერთხელ წმინდა გიორგის ვხატავდი, სალებავი დამექცა, ნახატი დამედლაბნა და წავშალე. როცა დავხედე და მისი სახე აღგილზე ვერ ვნახე, ენა დამება, მომეჩვენა, კაცი მოვკალი-მეთქი.

— მერე?

— სწორედ ამ დროს ტაძრის ეზოში მღეროდნენ. როგორც კი სურათი დავდლაბნე, — კაცი მოვკალი, უცებ დავყრუდი, ვეღარა-ფერი გავიგონე, გონებაზე ბინდი გადამეფარა. კაცს რომ მოკლავ, ყვავილთა სიმღერას კი არა, ადამიანის სიმღერის ეშხს დაკარგავ. გონი ავეშლება.

— მაშინ მეც მომეჩვენა ყვავილთა სიმღერა. ის კი არა, გვირ-ლების ცეკვაც დავინახე.

— მაშინ სხვა იყო.

— დაუკარი, შერგილ, დაუკარი.

შერგილმა რძალს ჭუნირი ჩამოართვა და თითები ჩამოჰკრა...

სირინოს უნებლიერ თვალები დაეხუჭა. მიხვდა შერგილი, ძე-ლებურად ვეღარ აუღერდა ჭუნირი. სირინოს ენიშნა და თვალები მიტომ დახუჭა.

— დავით მეფე დიდი მეფე იყო, ის მაინც გაგიგონებდა!

— ხომ ნახე, რამოდენა ლოდის დადება ბრძანა სიკვდილის ეაშს, ისიც დაწერინა, ზედ გადამიარეთო.

— ყვავილების ენას მაინც გაიგებდა. ჩვენ მაშინვე უთქმელად მიგვიხვდა ტრითალს.

— ღვთის ტოლი კაცი იყო. დიდი ლოდიც იმიტომ დაიდო, დიდი ცოდვა შემინდეთო.

ისევ ჩამოქრა შერგილმა, გაიხედა. რძალი ზღურბლზე იდგა და გაოცებული იყურებოდა.

— სიმები ხომ არ დალამებულა, მამამთილო?!

— არა, ჩემო რძალო. თითები მიკანკალებს, თითები!

შერგილმა ცოლს გადახედა. სირინოს თვალები ფართოდ გაელო, ოლონდ შიგ ახლა მარტო ერთი უფერო ფერი ედგა, ცეცხლგამო-ლეული, მიმქრალი, უნაპერწკლო.

— დაუკარი, შერგილ, გენაცვალე, დაუკარი. — ჩითჩიფით თქვა.

- მერე რა? კიდეც რომ დავუკრა, ყვავილთა სიმღერას ვეღარ
ვავიგონებთ! მაშინ სხვა იყო, სიჭაბუქე იყო, სიყვარული ყურადღიანობის
— მე ახლაც მიყვარხარ, შერგილ. — თითქოს მორცვად ჩაი-
ლაპარაკა მოხუცმა ქალმა.
- მაშინდელი სხვა იყო, სირინო, სხვა. ის გვამღერებდა, ის გეა-
სმენინებდა, ის გვაურიალუბდა ტანში.
- აბა, ხალდეს ყვავილები არ მღერიან?
- მღერიან, ქალო, მღერიან. შენც ხომ ნახე, როგორი სიმღერა
იციან აქაურმა გვირილებმა.
- ვნახე, მაშინ ვნახე, ახლა კი...
- ახლა, სირინო, მზეს გახელე, უკვე ჩასული დასალიერში. კრი-
ლა, შინ შევიდეთ.



სიტყვის ტაძარი

წინათ, სულ წინათ, ორი მეზობელი სოფელი მოულოდნელად სამტროდ აიშალა. მიზეზი სულ უბრალო იყო. ორივე სოფელი მთის კალთაზე იყო გაშენებული. შუაზე მდინარე ჩაუდიოდათ. მხარევარიც კი ვერ იტყოდა, რომელი რომელს სკობდა სილამაზით. მდინარეებში იმდენი თევზი იცოდა, ორივე სოფელს ჰყოფნიდა. ბალ-მინდვრები და ვენახები სავსე იყო დამკრახული ყურძნის მტევნებითა და პურის ხვავრიელი თავთავებით. ხეხილი ნაყოფის სიმძიმეს გაეზნიქა. ველზე ყვავილთა სიმრავლე იტაცებდა თვალს. ხალხი შრომისმოყვარე და მხიარული იყო. ბეღნიერად ცხოვრობდნენ. როგორც ბეღნიერ ადამიანებს ჩვევიათ, ორივე სოფელს უყვარდა მუსიკა და სიმღერა. საოცარია, თითქმის ყველა აქაურს სიმღერის ნიჭი დაჰყოლოდა. იშვიათი ხმა პქონდათ. გუნებაზე კი ყოველთვის კარგად იყვნენ და ისეთ სიმღერას იტყოდნენ, გულს გაგიხარებდნენ. „სიმღერის დღეც“ კი პქონდათ დაწესებული. პურისა და ყურძნის მოსავალს დააბინავებდნენ, ჭირნახულს მიალაგ-მოალაგებდნენ და დღესასწაულობდნენ.

მდინარის გალმა-გამოლმა მოიყრიდნენ თავს.

იწყებოდა სიმღერებით დაჭიდება.

სიმღერები მავრამ რა სიმღერები! ამ წმებისგან ცას თაფლი მო-

ჭონავდა და მიწას რძე. ყვავილებსაც კი სურნელება ემატებოდთ. ჯერ ძველებურს იტყოდნენ, მამა-პაპის შეთხზულს და ხანით დამწიფებულს, მერე ახალი სიმღერებით გაეჯიბრებოდნენ ქრისტენთა ერთი დღე და ერთი ღამე შეღალადებდნენ ცას. გულშეგაითარებდნენ, სულს მოიოხებდნენ, მერე ბედნიერებით აღსავსენი დაიშლებოდნენ.

მშვენიერი წესი ჰქონდათ. ყველაზე კარგ მომღერალს მდინარის შუა, ულამაზესი ყვავილებით დაფარულ ბორცვზე ნავით გაიყვანდნენ და იქ იმღერებდნენ. რჩეულთა შორის თითქმის მუდამ მამაკაცები ხვდებოდნენ, იმ წელს კი ერთმა სოფელმა რომ ვაჟი ამოირჩია, მეორემ ქალწული მოაცურა ყვავილებით შემკული ნავით. იმღერეს, მაგრამ რა იმღერეს! გაღმა-გამოლმა ორივე სოფელი გალურსული, გულის კანკალით უსმენდა მათ. ღმერთო შენით და, ორივენი თვალით უნახავი სილამაზისა იყვნენ, სოფლის უსაყვარლესი ახალგაზრდები. ქალმა რომ ვაჟის ხმა გაიგონა, ათრთოლდა, ვაჟმა კი თვალებში ჩახედა თუ არა, გაიფიქრა:

— თუ ვინმე ჩემი ცოლი უნდა იქნეს, მხოლოდ შენო.

სწორედ ამაზე აიშალნენ.

ქალის სოფელმა თქვა:

— კარგი სიმღერის მთქმელს შვილიც კარგი მომღერალი ეყოლება. იმიტომ ამ ქალიშვილს სხვაგან ვერ გავათხოვებთო.

ვაჟის სოფელმა იუჟადრისა.

— ასეთი ჭაბუკი ჩვენ არა გვყავს, უარი როგორ გაუბედესო.

ტრფიალ ქალ-ვაჟს სოფლის ერთდებოდა. შიშითა და მალვით ხედებოდნენ ერთმანეთს. ქალის სოფლელი ახალგაზრდები გაბრაზდნენ და ლამით მდინარეზე გადებული ერთადერთი ხიდი ჩაქციეს. ეს კი მეტისმეტი მოუვიდათ. ხალხი ჩაფიქრდა, გონს მოეგო.

დარბაისლები შეიკრიბნენ, იმსჯელეს და გადაწყვიტეს: თუ ვაჟი შეეძინოთ, უსათუოდ ქალის სოფლიდან აირჩიოს საცოლე, თუ ქალი იქნეს, აუცილებლად ვაჟის სოფელში გაათხოვონ. ამ პირობით კიდეც შეაუდლეს ქალ-ვაჟი.

მათი ცოლქმრიბა მართლაც ბედნიერება იყო. დასხდებოდნენ ყოველ საღამოს მუშაობით დაღლილნი და ისეთ სიმღერას შემოსახებდნენ, ხეს და ქვას სულს ჩაუდგამდნენ, წარბს გაუხსნიდნენ, გააღმიებდნენ. ორივე სოფელი შეჭხაროდა ნეტარებით საესე ცოლ-

ქმარს, ერდოზე შემოიკრიბებოლნენ და მათი საამური გალობრი
სმენს იტკბობლნენ.

ერთ ღამეს ცა ქალის კივილმა შეარჩია. დილით, მზეს კრისტენი
ვლასთან ერთად ორივე სოფელმა გაიგო სასიხარულო ჩრდაჭმის მუსი
ტყუპი ქალ-ვაჟის დაბადება.

მთელი წელი არ გაციებულა ლხინი. ყოველ საღამოს გაღმა და
გამოღმა ნანას იმღერობლნენ, — ბალებს ტებილად დაეძინებათ,
სიზმრებიც კარგი ჩაჰვებათო. ბავშვები დლითი დღე იჩრდებოლნენ
და ვშევნდებოლნენ. გოგოს მთვარისფერი სხეული დაჰყვა, მნათი
და ელვარე, ვაჟს ხორბლისფერი ჭარბობდა, მარილიანი ბიჭი ჩანდა.
მალე ნაბიჯი ისწავლეს, მერე სირბილიც დაიწყეს, ენა კი რატომლაც
ვერც ერთმა ვერ ამოიდგა.

პირველად დედამ შენიშნა უბედურება და ელდით კინაღამ თვი-
თონ დამუნჯდა. დიღხანს უმალავდა ქმარს ამ იქვს. ერთ ღამეს მაინც
ვერ მოითმინა და თავისი შიში გაანდო. ქმარი სიცილით მოკვდა,—
როგორ შეიძლება ჩვენი შეილები უენოდ დარჩნენო?

დრო გადიოდა. ბავშვებს მხოლოდ ხავილი ამოსდიოდათ ყელი-
დან. სიტყვას ვერ მარცვლავდნენ. არც ყურში ესმოდათ. ხალხი
გაოცდა, დაღონდა. ამ სოფელში ყრუ-მუნჯის დაბადება არავის ახ-
სოვდა. მერე ვისი შეილები იყვნენ? მათი დედ-მამა სოფლის ბულ-
ბულებად ითვლებოდა. არ იცოდნენ, რა ეღონათ, სად წასულიყვ-
ნენ, ვისთვის მიემართათ.

მამას სახეზე ღიმილი გაუქრა. ადამიანებთან შეხვედრას ერიდე-
ბოდა. გაველურდა კაცი. დედა განუწყვეტლივ ტიროდა. აკვნებს
ურწევდა და ცრემლად იღვრებოდა. ჩაქვდა სოფელი, დამუნჯდა.
არც გაღმა და არც გამოღმა ადამიანის სიმღერა აღარავის გაუგო-
ნია. დარი იყო თუ სვდარი, ორივე სოფელი უსიხარულოდ აღ-
მებდა და ათენებდა. მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა. ისევ მოი-
ყარეს თავი დარბაისელმა მოხუცებმა, იფიქრეს და იმსჯელეს, ბო-
ლოს გადაწყვიტეს ქვეყნის ყოველ კუთხეში მსტოვრები დაეგზავ-
ნათ. იქნებ ექიმი მიეკვლიათ საღმე ან მათი ჭირის წამალი ეშვოვათ.
ხუთი ჭკვიანი ვაჟკაცი შეარჩიეს, ოთხი დედამიშის თოხ კიდეზე გა-
ამგზავრეს, ერთსაც ქვეყნის შუაგულისაკენ უბრძანეს წასვლა.

— იარეთ, ქვეყანა მოფონეთ, გაიკითხეთ, გასაგები გაიგეთო.

ორი წელი იარეს მსტოვრებმა და ვერაფერს მიაკვლიეს. ჭერ

ერთი დაბრუნდა, მერე მეორე, შემდეგ შესამე და ბოლოს მეოთხედ
დაღვრემილი შემოვიდა სოფლის ბოლოზე. მეხუთე ჯერ არ ჩანდა,
დაბრუნებულნი ყვებოდნენ: ბევრი ექიმი ვნახეთ, კუტები და ცეკვები
უხსნაან, ბრძებს თვალს უხელენ, მაგრამ ყრუ-მუნჯები შეკრულ კასა
ვის შეუძლიაო.

ერთ საღამოს მეხუთემაც შემოაჭენა ცხენი. როგორც კი სახეზე
შეხედეს, მიხედნენ, მსტოვარს ცუდი ამბავი არ მოჰკონდა.

მოხუცები მის მოსასმენად შეიკრიბნენ. ვაჟმა მკერდზე ხელი
დაიწყვილა და დაიწყო:

— ქვეყნის შუაგულში ქალაქი ქალაქზეა გაშენებული. ექიმიც
ბევრი ცხოვრობს, მაგრამ ყრუსა და მუნჯს ვერავინ არჩენს, ვერა-
ვინ წამლობს. მარტო ინდოეთში ყოფილა ერთი ბრძენი კაცი. მიხ-
ვალ, გაგსინჯავს, თუ შეგატყო მოსარჩენი ხარ, გეტყვის, თუ არა,
უარით გამოგისტუმრებს. გასამრჯელოს კი მეტად ძვირს ითხოვს
თურმე.

ორივე სოფელმა არაფერი დაიშურა, თუ კი რამე ჰქონდათ,
შეაგრძოეს და მეორე დღესვე გაამზადეს ბავშვები სამგზავროდ.
მშობლებსა და მეხუთე მსტოვარს სამი რჩეული ვაჟკაციც გაყო-
ლეს.

იარეს, იარეს და დათქმულ ქალაქში ჩავიდნენ. მოიკითხეს, ვისაც
ექიმებინ და გაიგეს: ბრძენი ექიმი მეფის სასახლეში ცხოვრობდა
თურმე. იქ შესვლა არავის შეეძლო. მხოლოდ, ყოველ საღამოს თვი-
თონ მალულად გამოდიოდა ხალხში. გლახის ტანსაცმელს გადა-
იცვამდა, გლახაქებშივე გაერეოდა და ისე დადიოდა თურმე.

რა უნდა ექნათ, ისხდნენ და იცდიდნენ.

ხომ იყით, ხალხს არაფერი გამოეპარება. ამ ბავშვების შესახებ
მთელი ქალაქი ალაპარაკდა. შეეცოდათ, გული დაეწვათ, ყველამ
მოისურვა მათი ნახვა.

ერთ დღეს მშობლებმა უცნაური გლახაები შენიშნეს.

— ღმერთი გწყალობდეთ, მართლა შორიდან მოსულხართ? —
იყითხა მან. აუხსნეს, საიდანაც იყვნენ. გლახაებმა გაიკვირვა, საღამ-
დის გავარდნილა ბრძენი ექიმის სახელით. მოსულებმა თავისი სო-
ფლების შესახებ უამბეს.

— ნუთუ ყველა მლერის?! — კიდევ უფრო გაიოცა გლახაებმა.

იმ საღამოს მეფის კაცებმა ყველანი სასახლეში წაიყვანეს.

რა მარმარილოს სასახლეები არ ნახეს, რა თვალწარმტაცი ბაღები და ულამაზესი ტბები! ერთ ოქროს ბოგირზე გავიდნენ და ვინაული დისფერი მარმარილოს სასახლეში ამოყვეს თავი.

ფასდაუდებელი ნოხებით მოფენილ უზარმაზარ დარბაზში თვით მეფე და ერთი მოხუცი დახვდათ. ბავშვების დედამ იგი გუმანით მათთან დილით მისულ გლახაკს მიამსგავსა.

— ის არის, ის. — ჩურჩულებდა ქალი.

მეფემ ყველაფერი დაწვრილებით გამოიკითხა.

— ნუთუ თქვენთან ამ ორი ყრუ-მუნჯი ბავშვის გარდა ყველა მღერის?! მაშინ, იმღერეთ რამე, ჩვენ ყურს დაგიგდებთ.

— რა გვემღერება, მეფეო, — ამოილო ხმა ბედკრულმა მამამ, — რაც ეს უბედურება შევიტყვეთ, ჩვენს სოფლებში ღილინითაც კი აღარავინ ღილინებს.

— ჩვენი ხათრით იმღერეთ, მერე კი ჩვენი ექიმი ბავშვებზე იფიქრებს, — გადახედა მეფემ მოხუცს.

იგი ჩაფიქრებული ჩანდა. ჩამოსულებს მისჩერებოდა. სახეზე ჭმუნვა დასტყობოდა, თვალებში ცეცხლი უგიზგიზებდა.

— საოცარი ხალხი ყოფილა იმ სოფლებში, კარგი გულის ხალხი, — ჩაფიქრებით თქვა და სტუმრებს მიუბრუნდა — იმღერეთ, მეფე გოხოვთ და იმღერეთ!

ბავშვები აინუნშიაც არ იყვნენ, რა ხდებოდა მათ გარშემო. მეფის ძვირფასი, ბრჭყვიალა ტანსაცმელი მოეწონათ და უღიმოდნენ. მშობლებს იმედი ჩაესახათ და მხლებლებს ანიშნეს, წინ წამოწეულიყვნენ.

უცებ სასახლეში საამო ხმები დაირხა. ბევრი რამ ენახათ მეფესა და მის ბრძენ ექიმს, ბევრი კარგი სიმღერაც გაეგონათ, მაგრამ ასეთი ჯერ არაფერი სმენოდათ. დღიდი ხანია არ ემღერათ ცოლ-ქმარსა და მათ მეზობლებს. იმ დღეს თითქოს ერთად ამოთქვეს ყველა საგალობელი. მათი ხმა ქალაქსაც მოედო. მოძრაობა შეწყდა, გაოცებული ხალხი ვაირინდა, ყველა სასახლისაკენ იყურებოდა. დაამთავრეს თუ არა სიმღერა, მეფემ ბრძანა:

— მე მეფე ვარ, ეს კი ბრძენი ექიმი, ჩემი მასწავლებელია. მის ხელში გავიზარდე. უმისოდ არ ვარგივარ, ვერც ის ძლებს უჩემოდ. ერთმანეთისა გვჩერა. მხოლოდ ერთ ჩამეში ვერ შევთანხმე-

ბულგართ. ბრძენი მმბობს, რომ შეიძლება ისეთი სახელმწიფოს შეკმნა, სადაც ყველა ბედნიერი იქნება. მე კი მწამს, რომ ერთოჯახშიაც არ შეიძლება ყველა ბედნიერი იყოს. თქვენ სულ სხვას გვეუბნებით. თქვენთან უნდა წამოვიდეთ, ვნახოთ და დავრწმუნდეთ ნათქვამის სისწორეში.

— მეფეო, რაც ეს ბავშვები დაიბადნენ, ჩვენში ბედნიერად თავს აღარავინ გრძნობს, — თქვა ერთმა.

— ვიდრე უბედურება გვეწვეოდა, ბედნიერები ვიყავით და მისი ფასი კი არ ვიცოდით. ყოველი კაცი და ყოველი სოფელი ასე გვიგონა.

— სანამ ბავშვები ყრუ-მუნჯები არიან, ჩვენ სოფლებში სიხარული არ დაბრუნდება, — თქვა მესამემ. ბრძენმა ექიმმა მეფეს შეხედა.

— საოცრებაა, — თქვა მეფემ, — ადამიანებს როდი სჩვევიათ ერთმანეთის ბედი და უბედობა ასე უშუალოდ გაიზიარონ. არ მფერა!

— მე ბავშვებს ვუაქიმებ. თუ კი ბედმა გაგვილიმა და ჩვენმა წამალმა არგო, მათთან ერთად წავიდეთ, — გადაწყვიტა ბრძენმა.

ადამიანის გონება ქვეყნის კიდევანივით უსაზღვროა. მის სიღრმეს ვერ ჩასწვდები. ორმოცი დღე დატოვა თავის სასახლეში მეფემ შორეული სტუმრები, ორმოცი დღე უაქიმა ყრუ-მუნჯებს მოხუცმა. ორმოცდამერთე დღეს ტყუპები დარბაზში შეიყვანეს.

— დედა, დედიკო, — დაიყვირეს ბავშვებმა და პირველად დედას მოეხვივნენ, მერე მამას ჩამოეკიდნენ კისერზე, მეზობლებიც გაიხსენეს და გადაკოცნეს.

ერთი კვირის შემდეგ მეფისა და ბრძენი ექიმის თანხლებით სტუმრები სამშობლოში გაემგზავრნენ. გზაზე მეფემ გააფრთხილა მასპინძლები:

— იცოდეთ, ჩვენი ვინაობა არ გაამხილოთ, თორემ გულნაკლული და ნაწყენები უკან გამოვბრუნდებითო. მართლაც, ჩვეულებრივ ტანსაცმელში გამოწყობილი მეფე და ექიმი ხალხმა უბრალო სტუმრებად მიიღო. დიდი და პატარა ღიმილით გამორბოდა მათ შესახვედრად.

— ეს უცხო ხალხი გზაზ შემოგვედა, შორიდან მოგვყვებიან. რადგან სეთი ბედნიერება გვეღირსა, ცოტა ხნით სოფელში მოვიწვიეთ, რომ ჩვენი სიხარული გაიზიარონ.

ორივე სოფელი გულგაბსნით შეხვდა სტუმრებს. ყოველი ოჯახი სიამოვნებით პატიჟებდა, სუფრას უშლიდა.

— ჩვენი ერთადერთი ჭირი ამ ბავშვების ყრუ-მუნჯობა იყო, მაგრა ამბობდნენ ისინი, — აწი აღარაფერი გვიჭირსო.

გაჩაღდა სახალხო ლქინი, მხიარული სიმღერები ცის გუმბათს კიდევ უფრო მაღლა სწევდა. დიდი და პატარა გალობდა, ცეკვავდა, თამაშობდა. ერთმანეთს ულოცავდნენ დიდი სატკივარის მოშორებას, ბავშვებს და სტუმრებს ვარდ-ყვავილებით ამკობდნენ. მეფე და ბრძენი გაოცებულნი აკვირდებოდნენ ხალხის მართლაც რომ ჭეშ-მარიტ სიხარულს.

— ნუთუ ამ სოფელში ავად არავინ არის, ხომ ეყოლებათ კუტი ან უსინათლო?! მაშ რატომ მაინცდამაინც ყრუმუნჯობა მიაჩნია ხალხს ყველაზე დიდ უბედურებადო, — ფიქრობდნენ.

— როგორ არ არის, — კუტიც გვყავს და უსინათლოც. პირველა დაბადებით ძვალსუსტია, მეორე ხანძრის დროს დაგვიბრმავდა. უბედურებაა, მაგრამ ორივე ლაპარაკობს და ისეთი სიმღერები იციან, თქვენგან მოწონებულიო, — მოახსენეს სტუმრებს.

ჩაფიქრდა ბრძენი ექიმი, თავი ჩაკიდა მეფემაც. ბოლოს ბრძენა თქვა:

— ხალხი არ შეცდება, უნდა გამოვიყითხოთ, რით არის ყრუმუნჯობა სიბრმავეზე ან უფეხობაზე უარესიო?!

სთხოვეს და სოფლის დარბაისელნი შეკრიბეს.

— როგორ თუ რით?!—გაკვირდნენ მოხუცები, — ადამიანი ცოცხალ სამყაროში სხვა სულიერთაგან ენით განსხვავდება. კაცთა მოღმა სიტყვის საშუალებით ესაუბრება ერთმანეთს. ენის დაკარგვა თითქოს ადამიანობის დაკარგვაც არის. სიბრმავე სხვაა, კუტობა სხვაა. მათთან ყრუ-მუნჯის შედარება არ იქნებისო.

ბრძენი და მეფე გასუმდნენ, სიტყვა არ დაუძრავთ, კიდევ ათი დღე დარჩნენ და შემდეგ თავის ქვეყანაში გაემგზავრნენ. მთელი გზა ჩაფიქრებული იყვნენ.

— არა, — თქვა ბოლოს მეფემ, — სიბრმავე ყველაზე სავალალოა ადამიანისათვის, ის ხალხი ცდება. ყრუ-მუნჯს შეუძლია მზის ამოსვლას უყუროს, ყვავილთა ელვარება შეიტებოს, მთვარის სხივების სინაზე იგრძნოს, ბუნების ზვიად მოვლენებს თვალი გაუსწოროს და ისიამოვნოს. მას შეუძლია ცის გუმბათის სიღიადეც განი-

ცადოს და ოკეანეთა სიღრმესაც ჩახედოს, კიდევ თესოს და კიდევ აშენოს. უსინათლო კაცს აბა რა ძალა აქვს?! სამყაროს ჭილადურმულე კლებულია, ამ ქვეყნიდან მის გონებას მხოლოდ ერთი უზრუნველყოფა რი წაპყვება. სამყარო კი ბოლოს და ბოლოს ფერთა პარმონია და მეტი არაფერი! ბრმა კაცი იმთავითვე მკვდარია.

— მართალი ზარ და ტყუიხარ კიდევ. — დაიწყო ბრძენშა. — ამდენი ხანი მეც ფიქრად ვიყავი გადაქცეული. დიდი დაკვირვებისა და განსხის შემდეგ მივხედი, რომ იმ სოფლის ზალხი ცამდე მართალია. ყრუ-მუნჯს შეუძლია ქვეყნის ყველა ფერებით დატებეს, გასაოცარი ტაძარი ააგოს და ბალ-ვენახს სხვაზე უკეთ მოუაროს. მის გონებას არასდროს მოედება სიბნელის შიში, ერთი ფერის, შავი, მრუმე ფერის შიში. მაგრამ აბა, კარგად დაუკვირდი, მეფეო, ეს სამყარო უხმო, ჩუმი და მუნჯია შენი სმენისათვის. შენც უტყვი და უენო ხარ ამ მშენიერი მუსიკით საცხე ქვეყანაზე, არ გაქვს უნარი ერთი შეწყობილი ბეგრა მაინც დაუმატო მის უმდიდრეს საგალობლებს. მაშასადამე, ხარ თუ არა ადამიანი?! ახლა სიტყვა? სიტყვა მხოლოდ კაცის საკუთრებაა, ამიტომ მისი დაკარგვა ყველაზე დიდ აღამიანურ უბედურებად უნდა ჩავთვალოთ. ი, რა უშუალოდ, უბრალოდ და ბრძნულად განიცდიან ამ ამბავს იმ ორი სოფლის მცხოვრებლები. რა სიმღერები აქვთ, რა ბედნიერები არიან?! მათ თავისი შრომით სიმღერის ეშხზე მოიყვანეს შთამომავლობა. ბუნებამ უზრი დაუგდო მათ დიდ სურვილს და ყოველი კაცი სიმღერის ნიჭით დააგილდოვა. ხომ ნახე, მეფეო, როგორ იუკადრისა სოფელმა ორი ყრუ-მუნჯის დაბადება! ერთი ოჯახის უბედურება საერთო გლოვად გამოაცხადეს. ცამდე მართალნიც არიან. მუსიკით ჭიშმარიტად ტკბობის უნარი მხოლოდ ადამიანს აქვს. რომ უფრო აღამიანური ყოფილიყო, ხალხმა იყი სიტყვის დაამგვანა, თავისი ასოები გამოუგონა და ამით კიდევ უფრო მიისაკუთრა. თუ ამ სამყაროში აზროვნება აღამიანის უმაღლესობის უტყუარი ბეჭედია, სიტყვა მისი გამოხატვის და გადაცემის საშუალებაა. ხომ ხედავ, მეფეო, რით გვაჯობა იმ ხალხმა. ემღერებათ და იმღერიან. მხოლოდ მაშინ სწამთ ამ ქვეყნის არსებობა, თუ სიმღერის უნარი და უფლება აქვთ. ჭიშმარიტად, ბრძენია ხალხის გონება!

— მე მაინც სიბრძმავე მიმაჩნია მეტ უბედურებად, — ისევ წყნარად თქვა მეფეო.

— ყოველ კაცს აქვს უფლება თავისი აზრი პქონდეს და მტკა-
ციდ სწამდეს კიდეც, ხალხი კი; ეტყობა, უფრო მაღალი და ლრმა
ფიქრით ცხოვრობს. უსინათლოს შეუძლია დიდი მუსიკის გამოყენება;
ტკივილი ამ დიდი მაღამოთი მოიშუშოს, სიმღერით გარიეარებს.
ყრუ-მუნჯი ისე მოკვდება, ერთ ტკბილ ჰანგსაც ვერ გაიგონებს. —
დასრულა ბრძენა ექმმა.

იმ სოფლებში სტუმრების ვინაობა მხოლოდ მაშინ გაიგეს, როცა
ისინი უკვე თავის ქვეყანაში იყვნენ; გული დაწყდათ. ჩაფიქრებით
კი ძლიერ ჩაფიქრდნენ.

— ვაითუ მართალი არა ვართ და იმ უცხო ადამიანებმა ორივე
სოფელი უჭიუოდ მიიჩნიონ! იფიქრეს, იფიქრეს და დაასკვნეს,
მოდი, ქალ-ვაჟის ცხოვრებას დავუკვირდეთ და ერთხელ კიდევ შე-
გამოწმოთ ჩვენი აზრით. მართლაც დაუკვირდნენ და ნახეს, რომ მათ-
ზე ბედნიერი ადამიანი არ იყო ამ ცის ქვეშ. ერთმანეთს ეყდლრ-
ტულებოდნენ, სიმღერებით ანებივრებოდნენ, მათ თვალში ყვავილებ-
საც სხვა ეშხი მიეცა და მზის ნათელ შექსაც.

უხუცესთა შორის ერთმა უხუცესმა მაინც იჭვით თქვა:

— აბა ერთი, განკურნებულ კუტის პკითხეთ თავის სიხარულზე,
ან თვალახელილ ბრძანა გაუზომეთ ბედნიერებაო?

ყველანი გაჩუმდნენ. დიდხანს იყვნენ ჩაფიქრებულნი. ბოლოს
ერთმა თქვა: — ჩვენ ამას ეერ გადავწყვეტთ. ქვეყნის დასალიერში
ერთი ბრძენი მოხუცი ცხოვრობს, ის გვეტყვის სიმართლესო.

სამი მოხუცი შეარჩიეს და ბრძენთან გაუშვეს. ხანი გავიდა და
მათგან მხოლოდ ერთი დაბრუნდა. ორი გზაზე გარდაცვლილყო.
ისევ შეიკრიბნენ სოფლის თავეკაცნი.

— შვიდი მთის იქით, ქვეყნის დასასრულს ვნახეთ ის ბრძენი, —
დაიწყო მოხუცმა, — ჩვენი წუხილი რომ მოვახსენეთ, გაოცდა. დიდ-
ხანს იყო ჩაფიქრებული. ბოლოს თავი აიღო, მზეს შეხედა და
გვითხრა:

— ერთ შეკითხვაზე უნდა მიპასუხოთ.

მოხუცებმა ყური მივუგდეთ.

— თუ იკით, რომელ ახსებას აქვს ყველაზე მახვილი ყური და
ყველაზე მუსიკალური ყელიო?

ერთხმად ბულბული დავასახელეთ.

— მაშინ ისიც გეცოდინებათ, — წყნარად განაგრძო მან, —

ბულბულს ზამთარში ერთი პანგიც არ დაცდება. მხოლოდ გაზაფხულზე იწყებს იგი თავის საგალობელს, ბუნება რომ აყვავლება რა ათასი ფერით შეიმოსება. ისიც გეცოდინებათ, მისი სიმღერა მუღაშ სხვადასხვანაირია. რაც გუშინ ცას შეუგალობა, იმას დღეს არ გამეორებს. რატომ? ბუნების ეს ფერთა თამაში მას თავის საოცარ საგალობლებში გადმოაქვს. ერთი ფერი კი მეორეს არ ჰგავს. მაგრამ სიტყვის თქმა არც ბულბულს შეუძლია, ამ დიდ საოცრებას ვერც მისი გონება და ძალა სწვდება. როგორც ჩანს, ბუნების ყველაზე დიდი და რთული სიმღერა მაინც სიტყვაა. ამიტომ აღამიანისთვის ყრუმუნჯობა მართლაც დიდი უბედურებაა. თქვენი სოფელი მართალია. იმ ექიმს, ვინც ტყუპი ქალ-ვაჟი მოარჩინა, ტაძრი უნდა აუგოთ, არ დაივიწყოთ, შთამომავლობას მისი სახე და სიკეთე არ დაუკარგოთ.

ეს თქვა და დადუმდა მოხცი.

ჩაფიქრდნენ დარბაისლებიც. იფიქრეს, იფიქრეს და გადაწყვიტეს, — ბრძენი ექიმის პატივსაცემად სწორედ იმ ბორცვზე იეგოთ ტაძარი, სადაც უკეთეს მომღერლებს აჯიბრებდნენ. მის აღზრდილ მეფეს კი ხუროთმოძღვრები სთხოვეს. მეფეს ძალზე ეამა და საუკეთესო მშენებლები გამოუგზავნა სოფელს.

დიდხანს აშენეს, მაგრამ როცა დაამთავრეს, ქვეყანა კი გააევირებს. შესასვლელში ასი ბულბულის პატარა და ლამაზი ქანდაკება წარმტაცად შეჰვალობდა ზეცას. შუა ტაძარში ადამიანთა ქვაში ნათალი სახეები ციურ სიმღერებს შეპლალადებდნენ გუმბათს. როცა ისმენდით, გეჩვენებოდათ, თითქოს ეს სიმღერები გუმბათიდან მართლაც ზეცასკენ მიიკვლევდნენ გზას. მიიკვლევდნენ და მაღლდებოდნენ, რათა ქვეყნისათვის ბედნიერება გადაეფრქვიათ. საკურთხეველთან კი, ზედ ასლავლის კართან, კლდისგან ნაძერწ ტიტანებს მხრებზე შეიღ-შეიდი მტრედი ასხდათ. მტრედები აღამიანის ენით ლულუნებდნენ. „ამქვეყნად მთავარი მაინც აღამიანური სიტყვაა, ამქვეყნად მთავარი მაინც აღამიანური სიტყვაა!“

ტაძარი რომ გაიხსნა სწორედ იმ დღეს იქორშინა თურმე განკურნებულმა ქალ-ვაჟმა. სოფელის პირობა არ დაურღვევიათ, — სიძეც და რძალიც გაღმა სოფლიდან დაწინდეს და შეარჩიეს.

არ ვიცი, მართალია თუ არა ეს ლეგენდა, მაგრამ ხანისშეყლის სათავეებთან, სოფელ ხანის ახლო, ახლაც არის ნანგრევთა ნარჩე-

ნები. მოხუცები მას „სიტყვის ნატაძრალს“ უწოდებენ. ვინ იცის,
შეიძლება მართლაც იყო აქ ასეთი ტაძარი! კაცმა რომ თქვას, ულა-
მაზესი, ტანმაღალი მთები ისეა ორი მდინარის ჩანჩქერებს შემო-
ჯრილი, ერთი რომ ხმაღაბლა დაილაპარაკო, გუგუნს დარწყებენ და
თუ ხმამაღლა ამოთქვი სიტყვა, მეხივით გავარდება, მთებს შეაწყ-
დება, წყლის ტალღებს შეეხმიანება, ხეთა ტოტებს შემოაბრუნებს.
შენს ნათქვამს ყოველი მხრიდან სიტყვა სიტყვით უკანვე შემოგ-
ბლავლებს. ყოველ ბგერას უნაკლოდ შენვე დაგიბრუნებს. ჰეშმა-
რიტად, სიტყვის ტაძარია ეს ადგილი.



გეგულის ძაღლები

კიბეები რომ აათავა ივანე მხარგრძელმა, მაშინ გადმოიხედა ზე-
მოდან და გაოცებისაგან კინაღამ ძირს გადმოეარდა კაცი. ადამიან-
თაგან თვალუნახავი რამე იხილა, — რიონის პირისკენ, ცვრიან
კოინდარში დედოფალი თამარი ფეხშიშველი დაიარებოდა. თვალები
რომ მოიფშვნიტა, მხოლოდ მაშინ დაიჯერა, ნამდვილად მეფეთ-
მეუე იყო. უბრალო ჩითის კაბა ეცვა, უქამრო, წელში ფარფაშა.
გლეხის გოგოს ჰგავდა. ეშხი და სილამაზე კი უფრო მომატებოდა.
კოტებს ზევით გვირილის ორი ფურცელი მიძკვროდა, თეთრი ხალე-
ბივით მოჩანდნენ შორიდან.

„— ადამიანი მაინც ადამიანია, მეფეც ისაა, რაც გლეხი. მასაც
მონატრებია ცვრიან ბალახში ფეხშიშველა სირბილი. განსხვავება
ისაა, რომ მეფე ნამალევად ჩადის ამას. გლეხი კი ამქვეყნად არც
სიხარულს მალავს და არც დარდს“.

ერთი კიდევ გადახედა მოკრძალებით თამარს და თეატრონის
დარბაზისკენ გაუხვია. დღეს იქ სვანებს ელოდნენ. მეფემ ბრძანა,
სვანური სიმღერები მომნატრებია, მომასმენინეთო.

მომღერლები ვიწრო აივანზე, დარბაზის წინ შეჯუფულიყვნენ.

ივანე მხარგრძელი მობრძანდება, — თითქოს წყნარად თქვა ვი-
ლაცამ, სინამდვილეში კი მისი ხმა გრგვინვით წავიდა რიონის ნაპი-
რისაკენ. ივანეს ულვაშებში ჩაეღიმა. სვანები უყვარდა ნაცად სარ-
დალს. იცოდა, მათი ვეება ბეჭები უქმად როდი დაენახვებოდნენ

ბრძოლის ველზე მტერს. სადაც ისინი იყვნენ, გამარჯვებაც იქ იყო, თვითონაც მათკენ მიუწევდა ბრძოლის დროს გული. ფარბას ლურჯად მიესალმა მათ. ოჯახებით მოიკითხა, ჯანი და მარტო უსურიალუ სვანებმა პატივისცემის ნიშანად თავები მოკრძალებით დაბარეს.

— თქვენი ხმა მონატრებია ქვეყნის მანათობელს, ამიტომ გიხმეთ.

— ღმერთმა მისი ხმა ნუ მოუშალოს საქართველოს. ჩვენ სიმღერას როგორ დავამადლით?! სვანეთში ხომ თამარზე იმღერის ყველა!

უცებ იფარელი მურზაყანი წისქვილის ღოლაბივით შემოტრიალდა. ანაზდად ყველას ურუანტელმა დაუარა და მაშინვე სიცილი წასკდათ. მურზაყანსაც ღიმილი მოერია. მხარზე თვალებბრიალა კაპუეტი შემოკდომოდა და კიპკიბებდა.

— თამარის კაპუეტია, ალბათ ბაზიერებს გამოპარვია. შენი ბეჭი მუხის ტოტი თუ ეგონა, — შესცინა ივანემ. მურზაყანი ბავშვივით გაწითლდა.

— მე კი შემაშინა, მეგონა, ეშმაკი შემომაჯდა მხარზე-მეთქი! — გამოაჩინა ვეფხების კბილები, ახლა ენიშნათ მეზობლებს, ხელი ხანჭლისტარზე ჰქონდა დადებული.

— მართლაც შეშინებია ამ დევივით კაცსო, — იფიქრა მხარგრძელმა და მურზაყანს თვალი აარიდა.

ამ ხორხოცხე, კიბეზე შოთამ შემოდგა ფეხი. ყველა გაილურსა. ივანემ სვანების მოკრძალებული სუნთქვით იგრძნო მოსულის სიღარმასლე. შეხედა თუ არა, თვითონაც მიეგება.

— თქვენი სიცოცხლე, სიტყვის ჯადოქარო. დღეს ჩვენ სმენას დიდი სიამოცნება ელის.

— სვანთა სიმღერა ღვთიური სიმღერაა, აბა, ვის არ გაუხარდება ლილეს მოსმენა მხედართმთავარო!

— როცა ლილეს ვისმენ, ჩემ თავს არ ვეკუთვნი, ასე მგონია ყველა წმილანი ამდგარა, იალბუზზე ხმიადი გაუტეხიათ და ზედაშის წინ ქვეყანას ადამიანის სიცოცხლისა და ვაუკაცობის ჰიმნს უგალობენ-მეთქი.

— ჰეშმარიტად იქ, მაღალ მთებში არის დაბადებული ეს სიმღერა, — წყნარად თქვა შოთამ და სვანებს მიუბრუნდა.

— გამარჯობათ, მეგობრებო, სულს და გულს უხარის თქვენი მობრძანება.

— თქვენი დანახვა ჩვენი სახლის საძირკველს ამაგრებს და თავანს მაღლა სწევს, შოთა ბატონი! — თვითონაც წინ წამოდგა იფარელი. შოთას თვალები გაუფართოვდა. უხერხულობა რომ დაეძლია, თეატრონის დარბაზის კარისაკენ გადადგა ნაშიგრ და სელის კვრით შეალო იგი. უჩვეულო სანახავი გამოჩნდა, — ოდნავ ამაღლებულ ადგილზე, აქეთ და იქით, რკინის გალიებში დედალ-მამალი ჭიქი აბრიალებდა თვალებს. სვანები შეიშმუშნენ. შეეტყოთ, ჭიქი მათ თვალებს არ ენახათ.

— ჩვენ, ალბათ, მათ გვერდით უნდა დავდგეთ და ვიმღეროთ ხომ? — ვერ მოითმინა სათქმელი იფარელმა.

— ნუ შიშობ, რკინის გალიაში არიან, თორემ დარბაზშიც რომ იყოთ, მაინც ვერსად გაექცევით უხანჯლოდ.

— თამარის დაზრდილია, ბოკვერები მოჰვევარეს ინდოეთიდან. — თქვა შოთამ და ტკბილისკვერი გაუწოდა ჭიქს. მეორემ ბრდლვინვა დაიწყო.

— მეორესაც უნდა, — ისევ გაიღიმა შოთამ და ახლა მასაც მოუხია დათაფლული კვერი, მერე სვანებისაკენ შემობრუნდა.

— ორივე ბოკვერი ივანე მხარგრძელის საჩუქარია. მეტად გაახარა თამარი დიდმა სარდალმა.

— არ მეგონა, ასე თუ ესიამოვნებოდა, თორემ ინდოეთიდან ლომის ბოკვერებს წამოვიყენდი.

— თამარს ვეფხვი და ჭიქი უყვარს. მათი სილამაზე ხიბლავს. დრა, რომ ლამაზია ვეფხვი. უთვალავ ფერს ითვლის მისი ბეჭვი. შოთას ახლა ხმაში ნაღველი დაეტყო. მხარგრძელმა ერთი კი შეავლო თვალი, მაგრამ სიტყვა არ უთქვამს.

ცოტა ხნის შემდეგ თეატრონს ხალხი მოაწყდა. გლეხები არ იყვნენ მოპატიუებული, მხოლოდ სამეგრელოს მთავარს მოუვიდა შვიდი ძმა ბოდოებიბი. თამარის თხოვნით გეგუთში უნდა დასახლებულიყვნენ. თან პატარა და, ვარდითინა ჩამოეყვანათ. ძმებს ცალკე გამოუყვეს სამოსახლო, სახლის მასალა, წყვილი ხარი, ძროხა და ცხენიც უსაჩუქრეს. ხვალ დილითვე უნდა მიეღობათ ეზოები ბოდოკიებს.

დღეს აქ იყავით, სვანების სიმღერას უსმინეთო, — უბრძანა და-ლიანმა. ვარდიფინა დაფეხობული შველის თვალებით იყურებოდა.

ამდენი თავალი და აზნაური ჯერ არ ენახა ბავშვს. წერა-კითხვა და-ლიანის ქალიშვილმა ასწავლა. მის საწოლ ოთახშივე წაიკითხა, ორი-ვემ „ვეფხისტყაოსანი“. ახლა ერთი სული ჰქონდა, სახამ დადოუ-ფალს დაინახავდა. არა ნაკლებ კლავდა შოთას ნახვის სურვილი. მისთვის თამარი ნესტანი იყო. შოთა კი ტარიელი და ავთანდილი ერთად.

დარბაზი თანდათან შეივსო.


— დედოფალი მობრძანდებაო, — გაისმა უცებ და ხალხი ერთი კაცივით წამოდგა, ყველა აღმოსავლეთის კარებს მისჩერებოდა, ის კი ჩრდილოეთიდან, აივნიდან შემოვიდა.

ვარდიფინა თვალს არ აშორებდა დედოფალს, მისი აზრი გა-მართლდა. თამარი სწორედ ისეთი იყო, ლამაზი კი არა, თვალთ-უნახევი სილამაზის ქალი, წყნარი, დარბაისელი. არა, ის ადამიანს არ ჰვავდა, ანგელოზი იყო გვირგვინმოსილი და ერის წინამძღოლი. გვერდით დაეით სოსლანი მოპყვებოდა, უკან მთელი ამაღა. დადიანი ხელმარჯვნივ ახლდა დედოფალს. ვარდიფინას თვალები დაეწ-კურა.

— ნეტავი შოთა თუ არის საღმე? კითხულობდა თავის ფიქრში. ყველას შეავლო თვალი, მაგრამ მის ოცნებაში ხორციშემულ პოეტს ვერავინ მიამგვანა. ალბათ თბილისში დარჩაო, გაიფიქრა და თითქოს დაწყნარდა კიდეც.

სვანებმა სიმღერა წამოიწყეს. ვარდიფინას პირველად ესმოდა ასეთი მაღალი და მოუგუნე სიმღერა. ჰაი დედასა. სისატურა მაინც სხვა იყო მისთვის. ანაზდად სარკმელს გააყოლა თვალი და გაოგნდა, ეზოში ორმოცდათამდე არაბული შავი ცხენი შემორეკეს. ცხენები კი არა ყელმოლერებული ირმები იყვნენ. ახლა ფეხებს არ იყით-ხავთ? გეგონებოდათ, კოჭში გადატყდებათო, წვრილი ძარღვები ძაფებივით დასკიმვოდათ მაღალ წვივებზე. ვარდიფინამ ცუდად არ იცოდა ცხენის ფასი. თვალი მოპყრა თუ არა, სულიც იქეთ გაექცა. გულმა რეჩხი უყო, ცხენებთან დადიანის მეჯინიბე ტრიალებდა. ახ-ლა გაახსენდა დადიანის ქალწულის ნათქვამი, თამარმა ჩვენი ნაქები მეჯინიბე შორეულ არაბეთში გაგზავნა ცხენების ჩამოსაყვანადო. ერთი კი გაიხედ-გამოიხედა და კარებში გაძვრა.

სასახლეს დასავლეთით მოზრდილი ღობე მიჰყვებოდა. სწორედ იქ მირეკეს ცხენები. ეტყობოდათ, უნდოდათ თამარს საჯინიბოში შეყვანამდე ენახა სახელდახელოდ.



ვარდიფინა ჩიქოვანს მიუახლოვდა.

— შემსეი, პატენი კინწი, ასეთი ცხენები ჩემ თვალებს არ უნაყო
ხავს მის დღეში, შეეხვეწა.

ჩიქოვანს სიცილი წასკდა.

— შენ კი არა, ძღაბო, მე არ მინახავს. ვისი ხარ გოგო?! მარგა-
ლი ძღაბი ხარ ხომ?!?

— კი პატენი. ბოლოკია ვარ. დადიამ ჩამომიყვანა. თქვენ გიც-
ნობთ. პატარა ქალბატონმა მითხრა თქვენი დასაკარგავში გამგზავ-
რება.

— ბიჭის, შენ რა იცი, ძღაბო, მართლაც დასაკარგავში ვიყავი. იმ
ცხენებივით შავია იქაური აღამიანები. პირჭვარი ვიწერე პირვე-
ლად რომ ვნახე.

— „ვეუხისტყაოსანი“ არ წაგიკითხავს? იქ წერია, ზანგები შა-
ვიაო. ქაჯებიც იმ ფერისაა ალბათ. ცხენზე შემსვამ?!!

— უყურე ამას?! შენ რა იცი, ძღაბო, ზანგებისა და ქაჯების?!
ცხენზე მაინც ვერ შეგსვამ. მალე დედოფალი გამოვა, მეშინია არ
დაიწუნოს.

— ჰა, არ დაიწუნებს. ასეთი ცხენები დადიანსაც არ ჰყავს. მისანა
ცხენოსანი კი აქ არავინ იქნება.

— მისანა ცხენოსანი აქ კი არა, არაბეთშიც ნაკლებად იქნება.
ცხენზე ფოთოლივით დააკვდება. ათი დღე-ღამე რომ იჭირითოს, თუ
არ უნდა, ნაბდის ყური ბაყვებიდან არ გამოუცურდება.

— შემსეი პატენი. ორ ნაბიჯს გავარონიებ და ისევ ჩამოვხტები.

— ჰა, არ თქვა ძღაბო, მეორედ, ოდიში კი არაა, გოგო, აქ, თა-
მარის სასახლეა, მეფეთა მეფის, დედოფალთა დედოფლის!

— მეც ვიქნები დედოფალი. საქართველოში არა, თორემ, სხვა-
გან კი ვიქნები. ასე მითხრა დადიას მოურავის ბიჭმა. შენისანა ლამა-
ზი ქალიშეილი დედოფალი გახდებაო. ყველას გავაქრისტიანებ და
გავამეგრელებ.

ჩიქოვანი ისე ახორხოცდა, რომ ფეხზე ვეღარ დადგა, უნებლიერ
ჩაიმუხლა.

— ამდენი ქვეყანა მოვიარე და ასეთი გოგო არ მინახავს, — ამო-
ლერდა როგორც იქნა. — მომკალი, გოგო, სიცილით და ის არის.

— რას იცინი. ტყვილი გგონია ხომ?!! ცოტა დამაცალე, შოთას
წიგნს სულ ზეპირად ვისწავლი. ჭკუისთვის ის მეყოფა. ბერძნული

ვიცი. ხუცური ვიცი. მეგრული ხომ ვიცი და ქართულიც ჭარბად მე-
ხერხება. დედოფალს მეტი რა უნდა?! შემხედე ერთი ტახაზის მა-
ვარ თუ?!

ჩიქოვანმა უნებლიერ შეათვალიერა. თორმეტ-ცამეტი წლისა თუ
იქნებოდა, მაგრამ მის თხილის წნელივით ტანს ვერც ერთი ვაჟეცაც
ვირ აუვლიდა შეუთვალიერებლად. უმცროს ძმას დადიას ნაჩუქარი
დარაიას მოსირმული ბაშლაყი წაართვა და თავზე არ იშორებდა,
თვალწარმტაცად ლამაზი ჩანდა. დაკვირვებით აყოლა თვალი და თა-
ვისთვის ჩაილაპარაკა, — ნამდვილად არა ერთ დედოფალს სჯობია-
აი ძღაბი.

ჩიქოვანს კი დაეჭერებოდა; მიწისპირი პქონდა მოელოლი ფეხით.

— ცხენზე შემსვამ ხომ?! — ჩააცივდა ვარდიფინა და თვალი
თვალში გაუყარა.

— მომშორდი, შვილო, ხომ გითხარი, დედოფალს ველოდები.


ვარდიფინამ ერთი ისევ გახედა ჩიქოვანს. სიტყვა არ უთხრა,
ნელა წაიწია ღობისაკენ, სადაც ორი ცხენი ერთმანეთს ყელგადაბ-
მული ეთამაშებოდა, არც აცია, არც აცხდლა, უცებ მოავლო სარს
ხელი, ღობეზე შეფრინდა და სანამ ცხენი და ჩიქოვანი რასმეს მოი-
ფიქრებდნენ, უკვე არაბულის ზურგზე იყო მოქცეული. უხელნაც
ცხენს ერთი შეაკანკალა და ყალყზე შედგა. ვარდიფინამ ფაფარში
ჩაავლო ხელი. ცხენი გვერდიგვერდ წავიდა თვალების ბრიალით.
გერ იქნა ეცა, მერე იქით, ვარდიფინამ ფერდებში ამოკრა ქუსლე-
ბი. ცხენი უფრო ათროთოლდა. გაგიჟდა, დაფეთდა, ერთი შეხტა და
კიშკარს მიაშურა.

— მოკლავს ამ ოჯახდაქცეულსო! — ხმამალლა იყვირა ჩიქოვანმა.
ყვირილმა დარბაზამდე მიაღწია და იქ დატრიალდა, ყველა გარეთ
გამოვარდა.

— ვაიმეო! — ერთი კი დაიძახა უმცროსმა ძმამ და აივნიდან ის-
კუპა. ცხენმა რომ მისკენ გამოქცეული ჩაბალახიანი კაცი დაინახა,
უფრო გადაირია, ჰაერს შეეპოტინა, მერე ადგილს მოწყდა და ღო-
ბეს მწერივით გადაევლო.

თამარმა შეკივლა.

ღობის გადაღმა დიდი მინდორი იწყებოდა. სწორედ იქით მი-
უშვა ვარდიფინამ არაბული კვიცი. ყელიდან ბაშლაყი შეიხსნა, ტო-
რებმა ჰაერში გაიფრიალეს. მერე ყველამ დაინახა, როგორ მოახვია



ყელზე ერთი ბოლო და მეორე ცხვირის ნესტოებთან აღვიჩივით
შემოასალტა არაბულს.

— ძლაბი კი არა ქაფია. — ბუტბუტებდა ჩიქოვანი. უჭვის ძრო
განძრეულა. ღიმილით გასცემეროდნენ მხედარს.

— ტყეში არ შეუხვიოს იმ ოხერმა, — ჩაილაპარაკა ერთმა და
დოინჯი შემოირტყა. უმცროსმა ჭიშკარს გადააბიჯა და მინდორზე
გავიდა.

ვარდიფინა ცხენს მიაგელვებდა. ქუსლებს დეზებივით სცემდა
გვერდებზე და ისე მიერეკებოდა. თვალუწვდენი მინდორი უკვე გა-
დაიარა და თანდათან დაუახლოვდა ძელქვის ტყეს. გვერდით ჩაუ-
ქროლა ახალ აგებულ პატარა ეკლესიას და ისევ მინდვრისაკენ შე-
მოაბრუნა ცხენი. მესამედ უვლიდა წრეს. ეტყობოდა, ცხენსაც
მოეწონა მხედარი. ერთი ისე შესჭიხვინა, თითქოს ეუბნებოდა, მაგ-
რად იჯექი, არ გადმოვარდეო. უეცრად ვარდიფინამ ეკლესიასთან,
ძელქვების ძირში მდგარი ჭაბუკი შეამჩნია, იგი გაფართოებული
თვალებით მიჩერებოდა ქალიშვილს. ასეთი ლამაზი ყმაწვილი ჭერ
არ ენახა. მეტად ჭაბუკი ჩანდა, თორებ მას რომ ჰყავდა წარმოლ-
გენილი, სწორედ იმ შოთას ჰყავდა. ტანსაცმელი კი ცოტა უცნაუ-
რი ეცვა, ხალათზე სირმები ჰქონდა შემოვლებული, ბაშლაყი მასაც
მეგრულად ჰქონდა გაკრული. სამი წყრთა ბეჭები უჩანდა. მის სახეს
რომ შეხედა, ვარდიფინა სიმღერის ხასიათზე დადგა. გალობა მოუ-
და, — სისატურას თქმა მოუნდა. არა, უნდა გაიგოს, ვინ არის. მოუ-
ლოდნელად მოსწია სადავე გაქანებულ ცხენს და უცებვე წყნარი
ნაბიჯით შეიცვანა ძელქვებში. ყველა გაოცდა.

— არაბულ ცხენებს კეთილშობილი სისხლი აქვთ, კარგ ყმასა და
მხედარს მაშინვე იგრძნობენო, — გაიფიქრა ჩიქოვანმა.


— საღაური ხარ შენ? — ჰკითხა ვარდიფინამ ჭაბუკს. ეტყობა,
ახალგაზრდას გაუკვირდა გოგონას სითამამე, გაოცებით ახედა, სი-
ტყვა კი არ უთხრა.

— მუნჯი ხარ თუ რატომ არაფერს მეტყვი?!

— მუნჯი როდი ვარ, მაგრამ ჩემი ენა ჩემს გონებას ემორჩი-
ლება, ასე სკობიან.

ვარდიფინას ფერმა გადაპყრა. ეს რომ სხვას ეთქვა, არაფრად
ჩავდებდა. ამ ჭაბუკისაგან კი მეტად ეწყინა.

— კარგი ბიჭი მეგონე, შენ კი მლანძლავ, არ გრცევენია?



ჭაბუკი შექრთა. ასეთ რამეს არ ელოდა, თითქოს დაიშნავიდეს.

— რა ვთქვი გასალანდავი! ვიხუმრე.

ვარდიფინამ უცებ ისკუპა ცხენიდან და მის წინ დაესო.

— იცოდე, შეჯდომის დროს მიშველე, წელან ღობიდან შევახტი. თქმით კი მითხარი ვინ ხარ, საიდან ხარ?!

— გონიოდან ვარ, ლაზი, გვარად გოდუაძე. ხომალდების წაყვანას ვსწავლობ. სახელად ვაშლია მქვიან, ვაშლია გოდუაძე.

— გეგუთში ხომალდებს რა უნდა, ვაშლია!

— სტუმრად ჩამოვედი. ბიძის შვილი მყავს აქ. წმინდა გიორგის ხატავს ამ ეკლესიაში, დედოფალმა იხმო.

— უთხარი მეც დამხატოს!

— ის ხატებს ხატავს და წმიდანებს. დედოფლის დახატვა სურს ძალიან.

— ჰოდა, მეც მალე გავხდები დედოფალი. ასე მითხრეს მთავრის სასახლეში.

— შენ ვინა ხარ? — წინ წამოიწია ჭაბუკი.

— მე ვინ ვარ და ვარდიფინა ვარ, გვარად ბოლოკია. თამარ დედოფალმა გეგუთში გვიბრძანა დასახლება. რაც შენ გნახე აღარ მინდა გეგუთის ეზო-ჯარი. გონიოში წამოვალ, შენს ახლოს, მეც ვისწავლი ხომალდების წაყვანას.

ვაშლიამ გაოცებით შეხედა — ჭეუაზე არ უნდა იყოსო, — გაიფიქრა. ხმამალლა კი შეეპასუხა:

— ქალებს ხომალდზე ვინ აუშვებს, გოგო!

— ვითომდა რატომ! განა მე ვერ ვისწავლი ხომალდის წაყვანა?

სწორედ ამ დროს ვარდიფინას უმცროსი ძმა გამოჩნდა.

— ჩემი ძმა მოდის, იცოდე, არ წარმოადგინდებო!

— მე ჩხუბი არ მიყვარს, — გაიღიმა ვაშლიამ, — ან რას ვერჩი, რისთვის უნდა ვეჩხუბოთ ერთმანეთს?!

— სად დაიკარგე, ძლაბო, მთელი სასახლე გააგიფე. ყოველთვის შენ უნდა შეგვარცხვინო, დედოფალი გამწყრალია შენზე!

— დედოფალს მე რა დავუშავე. ცხენი გაგუხედნე. ამისთვის ჯილდო მექუთვნის. მატყვილებ, გამწყრალი ჩიქოვანი იქნება, დედოფალს გული აზადროს არ მოდის თურჩე.

— ასე გვინდა. შენს თავქარიანობას ვინ მოითმენს. ჩიქოვანი გა-
მათრახებას გპირდება.

— ენა გააჩუმე, ბიჭო! შენ ეს გაიცანი, ხომალდებომ ფაშუკანია კა-
ვაშლია გოდუაძე. ხომ კარგი ბიჭია? გონიოში მივყვები. იქაუ-
რია. როგორც კი დედოფალი გავხდები, ზღვების და ხომალდების
სარდლად დავნიშნავ.—ვაშლიამ სიცილი ვერ შეიკავა. ვარდიფინას
ქმა კი სირცევილისაგან გაშრა.

— თუ ქმა ხარ, სულელი არ გეგონოს, ასეთი უკულმართი ეძა
აქვს. ისე კი, რასაც ჩაიფიქრებს, უსათუოდ შეისრულებს.

— იღბლიანი ყოფილა, — ისევ გაიღიმა ვაშლიამ.

— იღბლიანი რომ არ ვიყო შენ შემხვდებოდი?!—გაუცინა ვარ-
დიფინამ.

— წამოდი, გოგო, მთელი სასახლე გელის.

— ვაშლია, არ დამივიწყო. მე ყოველთვის მემახსოვრები, უჩე-
მოდ არ წახედიდე.

კამუშტა არაფერი უპასუხა. მხოლოდ მის ქმას შეხედა და მხრე-
ბი აიჩინა. ბოლივიამ ერთი წუთით დას ხელი გაუშვა.

— შენ ხომ არ გვინდა, მართლა უკან გამოგეკიდება ჩემი დაი-
კო? ასეთი გოგო დუნიაზე არ არის, იცოდე!

— არ იჩხებოთ! — გაწყრა ვარდიფინა. — ვაშლიას კი, ჩემთ ქმაო,
ცერავის დავანებებ. ეს იცოდეს ყველამ. მეტი არაფერი უთქვამს,
ცხენი კუნძიან ძელქვას მიუახლოვა და თვალის დახამძამებაში ისევ
ზურგზე მოექცა.

— აბა, გავსწიოთ სასახლისაკენ, ბოდოკიას ბიჭო!

ვაშლია გაშტერებული შესცემეროდა ცხენზე ამხედრებულ ქა-
ლიშვილს.

— ასეთი გოგო მართლაც არ მინახავს ჩემს სიცოცხლეში, —
თავისთვის ჩაიჩურჩულა, — ასეთი ცოლი რომ შემხვდებოდეს, ყვე-
ლა ზღვის ქარიშხალს დავჭაბნი.

— ქაჯი ხარ თუ ძლაბი ხარ! — შემოხვდა ჩიქოვანი ჭიშკართან
და თან მალულად ცხენს დაუწყო თვალიერება.

— მეგრელი კაცი ცხენს როგორ დაუკავებს ცხენის მოყვარულ
მხედარს! — იქეთ შეედავა ვარდიფინა ჭარმაგ კაცს.

— ეს ცხენი სადედოფლოა, ძლაბო, ჩემი კი არაა.

— ჰოდა მეც დედოფალს გავუხედნე. ქალია და ქალის მხედ-
რობას მიეჩვევა.



თამარმა ყური მოკრა მის ნათქვამს და გაიღიმა.

— კარგი ქალი ყოფილხარ, — შეაგება სიტყვა. — ცხენოსნობის
ლილებული გვაჩვენე. ნამდვილი მხედარი ყოფილხარ.

ვარდიფინას სახეზე სინათლე გადაეფინა, ძმას მიუბრუნდა.

— ხომ გითხარი, ბიჭო, თამარმა გაბრაზება არ იცის-მეთქი.

— გააჩუმე ეგ ენა, — ჩაუჩურჩულა ძმა.

ივანე მხარგრძელი და შოთა ერთად ჩავიდნენ კიბეზე. ცხენე-
ბის რემას დაუწყეს თვალიერება.

— ყველა უხედარია? — იკითხა ივანემ.

— არა, ბატონო, ერთი უკვე ბოდოკიას ქალმა დაგვავალა
დღეს, — გაეღიმა ჩიქოვანს.

— ჩინებული ცხენოსანი ყოფილა, — ჩაფიქრებით თქვა შოთამ.

— შოთა ბატონო, ნამდვილი მეგრელი ძლაბია! უშიშარი და თა-
მამი. — ვარდიფინას სიყვითლემ გადაუარა სახეზე.

— ბიჭო, შოთა რუსთაველი ეს არის? — მივარდა ძმას.

— მე რა ვიცი, ძლაბო! — თავი გააქნია ბიჭმა, მაგრამ შოთას
თვალი ვერ მოაშორა.

ვარდიფინა ახლა ჩიქოვანს მივარდა.

— შენი ჭირობე, პატენი, ნამდვილად მითხარი, ეს კაცი შოთა
რუსთაველია?

— შოთაა, აბა, ვინ გეგონა.

— ღმერთო, მიშველე! — ბალახებში ჩაჯდა აკანკალებული
გოგო.

— რა იყო, ძლაბო, ფერი რამ დაგიკარგა?

— მართალი მითხარი, პატენი, ამან დაწერა „გეფეხისტყაოსანი“?

— აბა, ვინ დაწერა, ძლაბო, რას გევხარ, რამ შეგიშალა სახე?

— მე რომ მეგონა, ისეთი არ ყოფილა.

თამარს ერთი სიტყვაც არ გამოჰვარვია.

— როგორი გეგონა, ქალწულო?! — ჰერთხა ვარდიფინას.

— წმიდა გიორგივით კაცი მეგონა დედოფალო, მე უბედურს,
ის კი ჩვეულებრივი ყოფილა! — უპასუხა და თვალებიდან კურცხლე-
ბი გადმოსცვივდა.

შოთა ჭერ იღიმებოდა, მერე მოიღუში.

— უბედური რად ხარ, ქალწულო, მოდი, გემთხვეო, ... ჩემთ

დაიკო, გერ პატარა ხარ. ხანში რომ შეხვალ, უფრო ჩახვდები კოფ-
ლის იღუმალებას.

ვარდიფინამ თვალები მოიწმინდა, თამარს მოკრძალუმდა. შეხედულ
და თავისთვის წყნარად ჩაილაპარაკა, — დედოფალი კი ისეთივეა.
როგორიც სიზმარში მინახავსო.

— მართალია, — დედოფალი სულ სხვაა, — მტკიცედ თქვა შო-
თამ, — რა კარგი ხარ, რომ ქვეყნის სათქმელი თქვი. ნერავი შენ
ძმებს, ასეთი იღუმალომზედელი დაი რომ ჰყოლიხარ.

— დღეიდან სასახლეში იცხოვრებ, — ღიმილით უთხრა თამარმა.

— ღმერთო მომკალი! — წამოიკივლა ვარდიფინამ, — სასახლე-
ში მე რა მინდა?! ჩემი შემხედვარე, დიდ დედოფალს გულს შე-
მოეყრება. ჩემი უმცროსი ძმის გარდა კაცის შვილი ვერ მგუობს.

— კვეიანი ქალი ჩანხარ. შეეჩვევი და გაგიხარდება. სწავლით
კი ბევრი უნდა ისწავლო.

— ყველაფერი ვიცი, დედოფალო, ბერძნული ვიცი, ჩვენმა
მღვდელმა სუცურიც მასწავლა. მეგრული ხომ ვიცი და ვიცი. მხედ-
რული ყველას მირჩევნია. სწავლა ჩემ ძმებს უნდათ. მეგრულის
გარდა არაფერი იციან.

— ძმებიც ისწავლიან, — ისევ გაელიმა დედოფალს.

იმ დროს აიგანზე სახლთუხუცესი გამოვიდა. მოკრძალებით მიუ-
ახლოვდა თამარს და წყნარად რაღაც მოახსენა. თამარი ოდნავ გა-
ფითრდა, ცოტა ხანი ჩაფიქრებული იყო, მერე დავითს და იგანეს
მოუბრუნდა.

— დარბაზის ერნი შეყარეთ, მტერს პასუხი უნდა გავცეთ.

— უი ჩემ დღეს, კიდევ ჩხუბი იქნება?! — ცრემლნარევი ხმით
ჩაილაპარაკა ვარდიფინამ.

სხვას არავის გაულია ხმა. თავდახრილი გაჰყვნენ დედოფალს და
მის ამალის.

*
* *

გეგუთის წმიდა გიორგის ეკლესია ცამდე აწვდილ ძელქვების
ტყეში იყო ჩადგმული. პატარა ეკლესია ლამაზად მოეხატათ. ჭაბუ-
კი-მხატვარი ახლა წმიდა გიორგის ხატავდა. ვეშაპი შავი უნდა ყო-



ფილიურ და მის მოქნეულ კუდს ყალმით ჭარბად უსვამდეს შეკრიტიკებულ დღებავს.

— ვეშაპი გინახავს? — მესამედ ეკითხებოდა ვაშლია ბიძა-შვილს.

— დახატული მინახავს, ისე არა.

— მე კი მინახავს. დიდ ზღვაში ვნახე, ზურგიდან წყალი ისე ამო-ქუბს, გეგონება ცას შესწევდებათ.

— არ შემოგიტიათ? ადამიანებს ერჩისო?

— ჩვენი გემის შეეშინდა. ზღვა ააღელვა, ისე გულშოსული გაიქცა.

— შენ გული მაგარი გაქვს, მე ზღვის მეშინია.

— ზღვა არაა საშიში. ამ ვეშაპს კი რომ ვუყურებ, ტანში მბურ-დგლავს.

— კარგია გეგუთი, მაგრამ სახლში წასვლამდე ერთი სული მაქვს.

— მე კი სამიდღემჩიოდ მინდა აქ დავრჩე.

— ვითომდა რა უნდა გააკეთო, ვაშლია, აქ?

— იმ გოგონამ მომკლა. მისი ნახვის შემდეგ ძილი არ მეკარება.

— ეტყობა დამთხვეულია.

— ჰქუით დამთხვეულია, მაგრამ სახით, რომ ნახო, ანგელოზი გეგონება.

— ასეთი ანგელოზები ჯოჯოხეთში უფრო სახლობენ, ბიძა-შვილო!

— ერთი შენ გენახა, ასე არ იტყოდი.

— შეგუვარებია და ეგ არის.

— ჴო, ალბათ, შემიყვარდა. უულ მელანდება ძილშიაც და ცხად-შიც.

— ძილში რა ეშმაკად გინდა, ვაშლია, გოგო, ჴა!

— ნუ ხუმრობ, წასვლამდე თუ არ ვნახე, გული გამისკდება.

— მე კი არავინ მომივიდა თვალში. მხოლოდ ანგელოზები მიღი-მიან, როცა ვხატავ.

— ანგელოზი შეგუვარებია. ეს არის სვანები მომიყვნენ — ნადი-რობის ქალღმერთი ჰყოლიათ, ჭაბუქს შეიყვარებს და არ გამო-უშვებს თურმე ყინულეთიდან.



— პოდა მეც მიტომ ვერ ვშორდები ამ ეკლესიებს, სულ მინდა
ანგელოზები ვხატო.

— ახლა წმიდა გიორგის რომ ხატავ?

— წმიდა გიორგიც ანგელოზია. მხოლოდ მამაკაცია, ვაჟკაცი
იყო, ვეშაპი დაამარცხა, მთელი სოფლის ლამაზი ქალები დაიხსნა
დაღუპვისაგან, ამიტომ ვხატავ.

— მეც მინდა ვარდიფინა გადავარჩინო. მას უჩემოდ სიცოცხლე
არ შეუძლია, მე უნდა წავიყვანო.

— შენ სულ ზღვაზე დაცურავ და ქალი სად გინდა წაიყვანო,
ბიჭო!

— ჯერ გონიოში მივიყვან, როცა გემის უფროსი გავხდები, მა-
შინ თან წავიყვან. იცი, როგორი გულადია? არაფრის არ ეშინია.

— ზღვაზე შეეშინდება.

— არ შეეშინდება.

— გაიხედე, ვიღაც ცხენს მოაგელვებს აქეთ.

— მისი ძმაა, იცოდე არაფერი წამოგცდეს.

— მე ენა პირში მაქვს, გარეთ კი არა.

— კარგი ვაჟკაცი ჩანს, ძელქვებში გადმოუხვია.

— რატომ მოდის! ნუთუ ავადაა ვარდიფინა!

ცხენოსანმა ეკლესიის ეზოში შემოაგელვა ცხენი.

— გამარჯობათ ოქვენი, — შემოსძახა შორიდან.

— გაგიმარჯოს. — მიესალმნენ ბიძაშვილები.

— ვაშლია ვოდუაძე რომელია?

— მე ვარ, რამ შეგაწუხათ?

შეკუმ ელვასავით მიახათა თვალები. კარგა ხანს ჩუმად ათვალიე-
რა, მერე თავისითვის ჩაილაპარაკა:

— ცუდი ჭაბუკი არ ჩანხარ. მე და შენ ან მოსისხლე მტრები
ვიქწებით, ან უღალატო ძმები. შენ რომელი გირჩევნია?
ვაშლიამ ფეხი შეინაცვლა.

— ერთსაც და მეორესაც მიზეზი უნდა. შენ ჯერ არც ერთის მი-
ზეზი არ მოვიცია.

— ვარდიფინამ მითხრა, ვაშლიას უძმეო. ის ისეთი მაკვარანცხი
გოგოა, შენში სიკეთე რომ არ შეენიშნა, ამას არ მეტყოდა.

— ვაშლიამ მხრები აიჩეხა. ძუუს ფერმა გადაპკრა.

— ვარდიფინა ჯერ ბავშვია, მაგრამ ის რომ იტყვის, მოწმენდილ
ცაზე მეხი გავარდება. ტყვილი მის დღეში არ წამოცდენია.

— სხვა რა გითხრა ვარდიფინამ?
— ვაშლია გოდუაძე, ბოდოკიებთან თამაში წმიდა გიორგის აზ
გაუბედნია იცოდე.
— სათამაშო რა მაქვს. ვარდიფინა მიყვარს, თუმცა ჭურჭელი მატვე
კია.

— თქვი, შე კაი კაცო! ორ-სამ წელიწადს კი არა, ტრფიალი კაცი
ას წელს მოიცდის.

— მე კი მოვიცდი, ის თუ მომიცდის.

— აბლა ძმა ხარ ჩემი. მისი თავდები მე ვიქნები. არც მე ვიზამ
მის გარდუალს და არც ის იზამს ჩემს უკითხავად რამეს.

— ჩემი ბიძაშვილის ბედი შენს ხელში ყოფილა და ეს არის, —
წამოიძახა მხატვარმა ანაზდად.

— ჩეენ შვიდი ძმა ვართ. შვიდივეს ბედი ვაშლიას უნდა ჩავაბა-
როთ. ვარდიფინა ჩეენი მზეც არის და მთვარეც, უმისოდ ღმერთმა
ნუ გვაცოცხლოს.

— მანახეთ ერთი. — შეეხვეწა მხატვარი ძუკუს.

— ორი დღეა ივად არის. დღეს დაგვიძახა და ვაშლიას ამბავი
გვითხრა. მეც ამიტომ გამოვიქეცი აქეთ.

— ვაიმე უბედურს! — წამოიყვირა ვაშლიამ, — რაღა მეშველე-
ბა აწი?

— წამოდი, შენი თვალით ნახე, გაუხარდება!

— დედოფლის მესირცხვილება.

— დედოფალს ვინ გააგებინებს. ვიჩუმათოთ.

— შენ ხომ არ წამოხვალ? — შეეკითხა ბიძაშვილს ვაშლია.

— მე მინდა ვნახო, თორემ შენ ქე ნახე და ის არის.

*
* *

ჯვრის მონასტერში მას არავინ ელოდა. როცა გაიგეს ვინ იყო,
გაოცდნენ.

ღრმად მოხუცი შოთა რუსთაველი იერუსალიმში ჩამოსულიყო.

— პიიტიკოს კაცს ნეტავი რა ცოდვა დაედო ამსიმძიმე, ამხელა
გზა რომ გამოუვლია?! — კითხულობდნენ ბერები.

- მასზე ცოდვილი ქვეყნად ადამიანი არ დაიბადება. „ვეფხისტყაოსნის“ ყოველი პწყარი ცოდვით არ არის სავსე?
- ვითომდა რათაო?!
- მერეხელობაა, ღვთის უარყოფაა თავიდან ბოლოშდევითისაკენ.
- სიბრძნით და მუსიკობით არის სავსე, ღვთის უარყოფა მე იქვერ ვნახე!
- თვითონ ნახა ალბათ და მიტომ მოაშურა წმიდა ჯვარს. თუ აპატია უფალმა ჩვენმა, ბელიერი ყოფილა.
- ტაძრის გამშენებება განუზრახავს, მოხატვა და გამდიდრება შესამკობელით.
- კათალიკოსის ნებაცაა უთუოდ.
- დიდი თამარის სიცოცხლეში ძლიერნი ვიყავით. ახლა ურჩულობიც მოვეძალნენ და ბერძნებიც გვექიშპებიან.
- შოთას ჩამოსვლა განაახლებს ქართველთა ამ ხატსაყუდელს.
- ჰეშმარიტად დიდია მისი განზრახვა. იერუსალიმი ქრისტიანთა სასულისთქმი ადგილია.
- ღმერთმა უშველოს, ერის კაცი იყო. უკვდავება დაიმკვიდრა ერსა შინა, ძე კი, ჯვრის წმიდა ტაძარში, იმქვეყნიერ შვებას მოიპოვებს ალბათ.
- მეეჭვება, ამისათვის იყოს ჩამოსული. იქნება, ქართლის გამარება და განმტკიცება ჩვენი საყუდელიდან ისურვა დიდმა შოთამ?
- ვინ იცის, რას ფიქრობს ღვთის ტოლი ბრძენი?!
- ცას ვარსკვლავი არ დააკლდება, ასეთ ადამიანს — ფიქრი და ზრახვა კეთილი.
- ჩვენ მისი კეთილისმსურველნი ვართ. მის ახლოს ყოფნა ძალასა და ღონეს გვმატებს უბრალო მოკვდავთ.
- ვითომ მარტო მობრძანდა ქართლიდან საუნჯე კაცი?
- არა, ორი მხლებელი მოჰყოლია, მოუცილებიათ და უკან გაბრუნებულან.
- ვინ იყვნენ ნეტავ?
- ერთი ამირბარი ყოფილა, მეორე ამირბარისავე ცოლისძმა. როგორც ამბობენ, ტაძრის მომხატვი უნდა ჩამოუყვანონ საქართველოდან.
- ძალიან იჩქარის ჩუსთაველი. ეტყობა, მოახლოებული განგვის ეშინია.

— ამბობენ, შიში არ იცის. სინამდვილეს ეკრძალვის აღზრდა.

ამ საუბარში იყვნენ ჯვრის მონასტრის ბერები, როცა შოთა, თავის სენაკში ხის ტახტზე წამოწოლილი, ფიქრს მისცემოდა. მნიშვნელოდ ჭილობი ეფინა ნაგახით ბლაგვად ხათალ თხმელს უჩერას. რა არ იხილა თავისი ცხოვრების მანძილზე, სად არ იარა?! ბოლოს მაინც ბერობის გზას მიენდო ამქვეყნიდან უშფოთველად გასაშორებლად! განა არ ერჩია ვარძიის ქვაბებში დაყუდებულიყო, — მამაპაპის საფლავთა ახლოს?! არა, არ ჯობდა. იქ ისევ აუშფოთებდა სულს მამულის ბედი. ახლა ხომ აღარ იყო თამარი?! ქართლის ხმალი მოიღალა, პატრიონი დაუსუსტდა. ისე ვეღარ ელავს და ჭრის. ქვეყანას კი მხოლოდ და მხოლოდ პატრიონი აღამაღლებს და განამდიდრებს. სუსტი და ცუდი წინამდლოლი ერის დოვლათს დასცემს, დააკნინებს, ძალ-ღონეს წაართმევს, დააჩახანავებს. ასე ყოფილა და ასე იქნება. მე უბედურს რა შემეძლო, მარტო გონიერებას რა შეუძლია ამქვეყნად?! არაფერი! მონა ვიყავ და მონადვე მივდივარ ამა ქვეყნიდან. მწამდა თამარი, მისი სიტურფე და მისი მაღალი გონიერება. ის წავიდა სურვილდაუშეურებელი. ბევრი რამ შეძლო და მაინც გულნაკლული განშორდა თავის ქვეყანას. წავიდა სულნაოელი და ჩვენც დავძაბუნდით, სხვა პაერმა დაბერა, ცხოვრების სხვა ტალღები შემოახეთქა ჩვენს ხომალდს. დიდ დავითთან ერთად თამარი უდარებელი პატრიონი ჰყავდა საქართველოს. ისეთები ასში ერთი თუ გამოერევა ქვეყნის მმართველთა შორის. მან ჩაუდგა უძლეველობის ღონე ჩემ მამულს, მან გასტყორცნა მისი სახელი და დიდება ამ მიწის კიდით-კიდე. მისი სახელი შიშის ზარს სცემდა სამშობლოს მტრებს, იმედს აძლევდა მეგობარსა და მოყვარეს. ახლა აღზევებული აღმოსავლეთი წალეკვას უქადის მიწის პირს. გინ შესძლებს მის მოთრგუნვას? ძეხორციელი ვერ შეაკავებს მათ გრიგალისებურ ლტოლვას. ბნელეთი უახლოვდება ჩემს მიწა-წყალს. ახლა უნდა ძლიერი ხელმწიფე ჩემს ხალხს. გონიერი, შორსგამშევრეტი და სამხედრო საქმეში დიდად გაწვრთნილი.

ამ ფიქრში იყო შოთა, როცა სენაკის კარი მოკრძალებით შეაღო ჭაბუქმა მსახურმა.

— წინამდლვარმა შემოგითვალით, მალე გეახლებითო.

— კრძალვით დაველოდები მის მობრძანებას. შენ ვინა ხარ, შვილო ჩემო, საიდან ხარ?

— მე, დიდო ბრძენო, გონიოდან ვარ, ათაბაგის ყმა გახლავაზე.
წიგნებს ვწერ.

— განგება შეგეწიოს, დიდი საქმისთვის მოგიყიდნია ზელი, ჯერ
თუ რამე გიწერია ყრმაკაცს?

— სახარებანი დამიწერია წინამძღვრის ბრძანებით, თქვენი
თხზულებაც მინდოდა. მაგრამ... — ენა დაება ჭაბუქს. გაჩერდა,
ფერიც დაკარგა.

— შეგეშინდა თუ ნება არ მოგცეს? — თითქოს გაელიმა შოთას.
თვალებში კი უნებლიერ წყენა ჩაუდგა.

— არ შემშინებია, მაგრამ ტყავი არ მეყო. წინამძღვარს კი ვერ
გაეუბედე.

— შენ თუ წაგიცითხავს?

— ზეპირად ვიცი. გონიოში ყველამ ისწავლა, თუმცა წერა-
კითხვა ბევრმა როდი იცოდა?

— ჩემი მოსელის უამს თქვენ აქ იყავით?

— აქ ვიყავი. ორი მხლებელი მოგვათ.

— ისინი გამოჩენილი ადამიანები არიან. ერთი ამირბარია, მეო-
რე უბადლო მეომარი. ამირბარი გონიოდანაა, თქვენებურია.

— ჩემებურია? ნუთუ ვაშლია გოდუაძე გახლდათ, შოთავ ბა-
ტონო!

— სწორედ ის იყო, შვილო. დღედღეზე ისევ ველი. ტაძრის მომ-
ხატავი უნდა მომიყვანონ. ჯვარი შელანძლულა, ხელახლა უნდა გა-
ვამშვერიეროთ.

— თამარის შემდეგ ხაჩი არ მოგვსვლია საქართველოდან, აბა,
თვითონ რა უნდა იღონოს წინამძღვარმა?

— თუ არ დაიგვიანეს, სხვაც ბევრი რამ უნდა ჩამოიტანონ.

— რახან შეგპირდნენ, სიტყვას არ გატეხენ. ვაშლიას მეუღლეს
უქებენ, — ბრძენი და ლამაზი ქალიაო.

— ახლა ისიც ხანში შევიდა. თოთხმეტი შვილის დედაა, ძალზე
ლამაზი კი იყო. თამარსაც მოსწონდა.

— მამაჩემისაგან გამიგონია, თვითონაც მართავდა თურმე ხო-
მალდს.

— ეი, ნამდვილად მართავდა. ფიცხელ ომებშიაც ყოფილა. ვაჟ-
კაცებზე ნაკლებ არ უბრძოლია. ვაშლიას რომ თან მოჰყვება, ისიც
გონიოდანაა.

- მომხატველია?
- დიდი მხატვარია. თამარს უყვარდა მისი ნიჭიერებით.
- აბა, თქვენს სურათს დახატავს. „ვეფხისტყაოსანს“ შე გადაუ=
წერ, მან თქვენი სახე დახატოს.
- წიგნი თან არ მაქვს — ისე ძნელია.
- სულ ზეპირად ვიცი. თუ შემეშალა, გამისწორე, შოთა, ბა-
ტონო.
- გაიხედე, ვიღაც მოღის, შვილო.
- წინამძღვარია, თქვენთან მობრძანდება.

* * *

- მე მხოლოდ ასოებს ვხატავ, შენ კი --- ადამიანის სახეებს.
- მეტად ზუსტია შენი ხაზი, დიდი ნიჭი გაქვს.
- საღებავის კი არაფერი ვიცი. მხოლოდ ოთხ ფერს ვარჩევ:
შავს, თეთრს, წითელს და ლურჯს. მწვანე რომ მწვანეა, ისიც მერევა
ლურჯ ფერში.
- მე ფერები მიყვარს. უიმათოდ ცხოვრება არ შემიძლია. გახ-
სოვს, გონიო, ზღვის პირი?! დილით თუ დაღამების ჟამს, რამდენი
ფერი ღვივის იმ დალოცვილში. სიმღერა მოგინდება, გალობა მო-
გეწყურვილება.
- ნუ გამახსენებ, თუ ძმა ხარ. რამდენი ხანია მენატრება მისი
ველ-მინდორი, მისი ციხის გოდოლებზე პოტინი.
- არა, ჯერ ვერ წავალთ. ხატების წერას რომ მოვათავებ, წინა-
მძღვარს ვთხოვოთ, დროებით გამოგიშვებს.
- ვაშლია არ ჩამოვა აწი?!

- ვინ იცის, რა მმავია საქართველოში. ახლა შოთაც ძალზე
მოტყდა, გუშინ სენაკიდან გარეთ ვერ გამოვიდა. უცებ მოითენთა,
ეტყობა, ამ წელს ვერ გადაიტანს.
- ქართლში წასვლა არ სურს. ვარდიფინაც გაიხსენა. მოიგონა,
„ვეფხისტყაოსანი“ შორეული ზღვაოსნობის ჟამს თავისი ხელით
რომ გადაწერა. თამარს უყვარდა თურმე ძალიან.
- ვარდიფინა სხვა ქალი ყოფილა. თამარის აღზრდილი სხვა-
ნაირი არც შეიძლება ყოფილიყო.

- განა რუსულან დედოფალი თამარის აღზრდილი არ არის?
- ვარდიფინა წმიდანია. ცხრა ვაკი და ხუთი ქალი გაუზრდია. კარგი საქმეა. ისეთი ქალ-ვაჟები მტერსაც შეენატრება. დედის ხათრიც დიდი აქვთო.
- ალბათ ამიტომ უყვარს შოთას. ვის არ ეყვარება ასეთი ქართველი ქალი.
- უველაზე მეტად ის უხარია ვარდიფინას, შოთამ რომ თქვალექვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადიათ. მეც ვაჟკაცების სწორი ვარ, ასეთი რამ სხვას ჯერ არავის უთქვამს მიწის პირზეო.
- ქმარი ძლიერ ყვარებია.
- ბევრჯერ თავი გაუწირავს მისთვის. ერთხელ, ფიცხელ ომში მძიმედ დაჭრეს ვაშლია. თერთმეტი ისარი გაუყარეს გულ-მეკრდში. უთვალავ დაჭრილთა და მოკლულთა შორის თვალმოუხუჭად ეძია სამი დღე-ღამე. იპოვა, უმკურნალა და ფეხზე დააყენა. როცა კითხეს, რომ მომკვდარიყო რას იზამდიო? უპასუხა: არაფერს არ ვიზამდი, გვერდით მივუწვებოდი, მასთან ერთად დავიმარჩებოდიო!
- ვაშლიასაც ძალზე უყვარს თურმე.
- რა დღესაც მას ვერ ნახავს, იმ დღეს მზე მისთვის აღარ ანათებს.
- აი, ბედნიერები ისინი ყოფილან.
- კი, ბედნიერები არიან. ვაშლია ალბათ მალე ჩამოვა, შოთას ასე მარტო არ მიატოვებს; ახლა ბოდოკიები?!?
- ესენი ვინ არიან?
- ვარდიფინას ძმები. გლეხკაცები, ოდესლაც გეგუთში დაასახლეს თამარის ბრძანებით. ყოველი მათგანი თითო ლომია. მუჭს რომ ვაშლიან, მათ ხელის გულზე ლელობურთს ითამაშებს ერთი სოფელი. მიწა უყვართ, შრომის ხალხია. შოთაზე მზე ამოსდით.
- ალბათ, უზომოდ უყვართ ერთადერთი და.
- ერთი ჰყოლიათ და ისიც ერთი ქვეყნის ფასია. ეყვარებათ, აბა, რა იქნება.
- ხედავ, შოთას სენაკის კარი გაიღო, ერთი წავიდეთ, ვნახოთ მეფეთა სწორი.
- წავიდეთ, მგონი სტუმრები მოსულან კიდეც.
- აქედან არავინ ჩანს.

— ნაბადია კართან მიყუდებული. ეტყობა, ჩვენებურია.

ორივენი ზემო სენაკებისაცენ გაემართნენ. მზე ჩადიოდა. მისი სხივები მონასტერს ისე შემოხვეოდა, თითქოს ქვეყნის დატოვების ენანებაო. აქედან კარგად მოჩანდა გეთსიმანიის ბალოც. წერის ხილის რტოები მზეზე ისე ირხეოდნენ, გეგონებოდათ სხივებს იხვევენ ტანზეო.

სენაკის წინ მართლაც ნაბადი იყო მიყუდებული. კარის ზღურბლს მათი ლანდი დაეცა.

— ვინა ხართ, მოგვეშველეთ, — მოესმათ შიგნიდან უცნობის ხმა. სენაკი შეცვიდნენ და უცებ მეხდაკრულივით გაშეშლნენ. შოთა სკამ-ლოგინზე იწვა, თვალები დაეხუჭა, მიცვალებულს ჰგავდა. თავთით არქიმანდრიტი უჯდა, იქვე უცნობი ვაჟკაცი იდგა.

— ნუთუ ავად არის — წამოცდა ერთს.

არქიმანდრიტმა თვალით ანიშნა, გაჩუმდითო.

შოთამ ამ ხმაზე თვალები გაახილა. ორივეს შეხედა და გაიღიმა.

— აյი ვაშლია მოდისო?! — ჰქითხა ვიღაცას მოხუცის მიმქრალი ხმით.

— სულ მალე აქ გაჩნდებიან, მე წინ გამომიშვეს. — უპასუხა უცნობმა ჭაბუკმა.

— ვითომ მომისწრებენ?

— საცაა მოატანენ, — მტკიცედ თქვა უცნობმა და მონასტრის მძიმე ხის კარს გახედა. მართლაც, ვიღაცამ ჭიშკრის ზარს ჩამოჰკრა. წყნარად აღუღუნდა პატარა ზარი. მერე კარის ჭრიალს ცხენების თქარა-თქური მოჰყვა.

— ნუთუ მოვიდნენ? — ისევ წყნარად იყითხა შოთამ.

— უთუოდ ისინი არიან.

მონასტრის დიდი ეკლესიის წინ სამი ცხენოსანი გამოჩნდა. ძალზე დალლილები ჩანდნენ. ტანსაცმელი სულ დამტვერილი ჰქინდათ. მოალწიეს თუ არა კარიბჭეს, ჩამოქვეითდნენ და ფეხით წამოვიდნენ. ჭაბუკი წინ შეეგება.

— დაიგვიანეთ, — უჩურჩულა მოსულებს.

სამივეს მუხლი მოეკვეთა, ერთ ადგილას გაიყინენ.

— კიდევ კარგი, ცოცხალს რომ მოუსწარით, საღამომდე შეიძლება ვერც კი მიაწიოს. სულ თქვენ სახელს ახსენებდა, ამირბა-

რო, წუხს. — ეტყობა, გრძნობს სიკვდილის სიახლოვეს და შენს
მოსვლას ელოდება.

გაშლიას ხმა არ ამოუღია, სენაკისაკენ წავიდნენ.

ფეხის ხმა გაიგონა თუ არა, შოთა ისევ გამოფეხიზლდა, შემოსუ-
ლებს მიაჩერდა და გაიღიმა. საამო იყო მისი ღიმილი, ნათელი და
ბედნიერი.

— ვარდიფინა ხომ კარგადაა, ჩემი ნათლულები როგორ არიან?

მოსულთაგან ყველაზე ახალგაზრდა შოთას ფეხებთან ჩაემხო.

— აქა ვარ, ნათლია ბატონი, შენთან. დედამ კოცნით მოვიყით-
ხა, — ჩაიღულლულა ცრემლმორეულმა.

შოთა შეკრთა. ოდნავ წამოიწია. დააჩერდა და იცნო.

— ამ სიშორეს არც უნდა წამოსულიყავი, შვილო. თუმცა... —
თუმცა მე მეტად მასიამოვნე. ბედნიერი იყავ შენ ხალხთან ერთად. —
ისევ მალულა თვალები. ეტყობა, დაიღალა, მოითენთა. სუნთქვას
მოუხშირა. მერე ანაზღად ღონე მოიკრიბა, წამოიწია.

— არ დამიმალოთ, რას იქს მამული ჩვენი. ვაითუ მტერთა სანა-
ვარდოდ იქცა ქართლის მიწა-წყალი?!

ამირბარს და მის მხლებლებს თვალები აუგიზგიზღათ.

— მამულს რა უჭირს. ვაი, რომ თქვენ ბრძანდებით სუსტად.
წაყვანა გვინდოდა თქვენი, ვარდიფინამ გვიბრძანა, — ვარძია ელის
თავის შვილსა და მამასო. — მოკრძალებით უპასუხა ვაშლიამ.

— გვიანდა. მე თვითონ განვაგე ბედი ჩემი ასეთი ბოლო წუთი-
სათეის. ამ ტაძარში ქართული სურნელოვანი ზედაში და მირონი
იშოვნება.

ვარდიფინას ვაჟი, შოთას ნათლული დემნა-ჭაბუკი წინ წა-
მოდგა.

— ჩვენო ნათლია, დედამ ეს ყუთი მოგართვათ, — მოხუცი წელში
გაიმართა, ყუთს ხელის კანკალით ახადა თავი. შიგ წიგნად შეკრული
“ვითხისტყაოსანი” იღო.

— თამარისეული ჩემი წიგნი, — ჩაიჩურჩულა, — გადახსნა და
ალმური მოედო, თამარის ხელწერა იცნო. ამ წიგნს ვარდიფინას
უტოვებდა, როგორც უძვირფასეს განძს ძვირფასთა შორის.

მიიხედ-მოიხედა, თითქოს შველას სთხოვდა ყველას. მერე ისევ
მიეყრდნო სასთუმალს. ღონე გამოელია. თვალი არ გაუხელია, ისე
ჩაიღაპარავა:

— როცა წმიდა მამების სახეებს დაასრულებ, მე, მონა-მოწაფე, მუსლიმოდრეკით მიმახატე მათ ფერზთით. თვალები თქვენ დამიხუჭეთ, გონიოდან ხართ. ბედნიერ კაცს ყოველთვის ახლობელი დაუხუჭავს თვალებს. თქვენზე ახლობელი ვინ მყავს ახლა მე?! იბედნიერეთ, როცა იქ ჩახვალთ, ჩემს მიწას ემთხვიეთ. დამილოცნია მართალი გულით მისი ველ-მინდორი, მისი ბალ-ვენახი, მისი მიწა-წყალი.

ყველამ დაინახა, როგორ გადმოვარდა დიდ მოხუცს ორი კურცხალი და სასთუმალს დაეცა.



ს ა რ ჩ ი ბ ი

თქმულება ქუთაისზე	3
აფხაზური თქმულება	14
ამირანის ძმობილი	52
სეანური თქმულება	98
მიაგულის სიყვარული	130
ოქროს და ვერცხლის მარცვლის ამბავი	139
როგორ გააჩინა წყლის წვეთმა ნაპეტწეალი	168
უცრძნის მტევანი	179
ხალდეს ყვავილები	205
სიტყვის ტაძარი	237
ვეგუთის ძელქვები	248



რედაქტორი ც. ნიკოლაი შვილი
მხატვარი ი. ქლიბაძე
მხატვ. რედაქტორი შ. დოლიძე
ტექნიკური რ. კიკნაძე
კორექტორი თ. შინდაგორიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/XI-65 წ.

ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/16$

ნაბეჭდი თაბახა 17.

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახა 13,36

ცი 00412 ტირაჟი 20.000 შეკვ. № 3473
ფასი 55 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, მარჯანიშვილის ქ. № 5

Издательство «Накадули», ул. Марджанишвили № 5

სტამბა № 2, „ნაკადული“. ობილისი, ფურცელაძის ქ. № 5

Типография № 2, «Накадули», Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5



Асатиани Мамия Васильевич
ЦВЕТЫ ХАЛДЕ

(На грузинском языке)
Детюониздат Грузинской ССР
«Н а к а д у л и»
Тбилиси
1966

8903/34

ପ୍ରକାଶନ କେନ୍ଦ୍ର
ବ୍ୟାକାରୀ ମୁଦ୍ରଣ ବିଭାଗ

